



საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

2024

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა	5
1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის მიმოხილვა.....	8
1.1. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის (SPT) პირველი ვიზიტი საქართველოში	8
1.2. პრევენციული ვიზიტები	8
1.3. ანგარიშები	10
1.4. სამართლებრივი ანალიზი და ადვოკატირება	11
1.5. საკონსტიტუციო სამართალწარმოება, როგორც ცვლილებების მიღწევის გზა	11
1.6. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის დაბრკოლებების გარეშე განხორციელება	11
1.7. რეკომენდაციების შესრულების შეფასება	13
1.8. დიალოგი საერთაშორისო პარტნიორებთან/მონაწილეობა საერთაშორისო ლონისპიებებში	18
1.9. საზოგადოებასთან ურთიერთობა	19
1.10. ურთიერთობა დონორ ორგანიზაციებთან	20
1.11. სამუშაო მეთოდოლოგია	20
1.12. თანამშრომელთა სწავლება	21
2. პენიტენციური სისტემა	22
2.1. წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა.....	22
2.1.1. თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ძალადობა	22
2.1.2. პატიმართა არაფორმალური იერარქია და პატიმართა შორის ძალადობა.....	23
2.1.3 პატიმართა ხანგრძლივი განცალკევება	27
2.1.4. პატიმრობის პირობების კუმულატიური ეფექტი	34
2.1.5. პატიმრობის სრული შემოწმების პრაქტიკა	37
2.2. წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის რისკ-ფაქტორები	38
2.2.1. მინიმალური სტანდარტების შეუსაბამო პირობები.....	38
2.2.2. გამოწვევები პენიტენციური ჯანდაცვის კუთხით	51
2.2.3. შეზღუდული კონტაქტი გარე სამყაროსთან.....	64
2.2.4. გასაჩივრების მექანიზმების ხარვეზები	71
3. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა	75
3.1. შესავალი	75

3.2.	არასათანადო მოპყრობა	75
3.3.	სამართლებრივი დაცვის გარანტიები	81
3.3.1.	ინფორმირება უფლებებზე.....	81
3.3.2.	ოჯახის წევრის ან მესამე პირის ინფორმირება.....	82
3.3.3.	ადვოკატის ხელმისაწვდომობა	82
3.3.4.	სამედიცინო შემოწმება.....	84
3.3.5.	არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევებზე რეაგირება	88
3.3.6.	აუდიო-ვიდეო ჩანაწერები	89
3.3.7.	დოკუმენტაციის წარმოება	93
3.3.8.	მოწმის სტატუსით პოლიციაში მყოფი პირის დაკავება	96
3.4.	იზოლატორებში არსებული მდგომარეობა.....	97
3.4.1.	ფიზიკური გარემო	97
3.4.2.	კვება	99
3.4.3.	დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების სწავლება	100
3.4.4.	აღკვეთის სინდრომის მართვა.....	100
4.	მიგრანტთა დაცვა არასათანადო მოპყრობისაგან	103
4.1.	შსს დროებითი განთავსების ცენტრი	103
4.2.	დაბრუნების ფრენის ოპერაციების მონიტორინგი	107
5.	ფსიქიატრიული დაწესებულებები.....	108
5.1.	ზოგადი მიმოხილვა	108
5.1.1.	სამართლებრივი ჩარჩო და პოლიტიკა.....	108
5.1.2.	რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და ძირითადი გამოწვევები.....	108
5.2.	არასათანადო მოპყრობა	110
5.2.1.	თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ძალადობა	110
5.2.2.	პაციენტებს შორის ძალადობა.....	111
5.2.3.	იზოლაცია, ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვა	112
5.2.4.	არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება	115
5.2.5.	შემზღუდავი გარემოს კუმულატიური ეფექტი	119
5.3.	არასათანადო მოპყრობის რისკ-ფაქტორები.....	120
5.3.1.	პაციენტის უფლებების თვითნებური შეზღუდვა.....	120
5.3.2.	პერსონალის კვალიფიკაცია და კრიზისების მართვა.....	123

5.3.3. სისტემური ზედამხედველობა და კონტროლი.....	125
5.3.4. დოკუმენტაციის წარმოების ხარვეზები	125
5.3.5. შესაბამისი სერვისების მიწოდების ხარვეზები	127
5.3.6. სტანდარტის შეუსაბამო გარემო	134
6. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრები და ალტერნატიული საცხოვრისები	138
6.1. შესავალი	138
6.2. არასათანადო მოპყრობა	138
6.3. არასათანადო მოპყრობის რისკ ფაქტორები	139
6.3.1. სეგრეგაცია და ინსტიტუციური ბუნება.....	139
6.3.2. სამართლებრივი დაცვის გარანტიები.....	142
6.4. შესაბამისი სერვისების მიწოდების ხარვეზები	144
6.4.1. საცხოვრებელი პირობები	144
6.4.2. ფსიქიატრიული დახმარება	146
6.4.3. სომატური ჯანმრთელობა	147
7. ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში	150
7.1. შესავალი	150
7.2. საქართველოს თავდაცვის ძალები	151
7.2.1. არასათანადო მოპყრობისგან დაცვა.....	151
7.2.2. საცხოვრებელი და სამუშაო პირობები.....	154
7.2.3. კვება და სასმელი წყალი	156
7.2.4. სახანძრო უსაფრთხოება	156
7.2.5. სამედიცინო მომსახურება	157
7.2.6. ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.....	159
დანართი: რეკომენდაციების ნუსხა	161

ზოგადი მიმოხილვა

2009 წლის 16 ივლისს, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს სახალხო დამცველი ასრულებს.

წინამდებარე ანგარიშში შეფასებულია საქართველოში დაკავების, თავისუფლების აღკვეთისა და სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა, ასევე, სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა.

ანგარიშის ნაწილი ასახავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2023 წლის განმავლობაში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით მინიჭებული მანდატის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. კერძოდ, მოცემულია ინფორმაცია განხორციელებული პრევენციული ვიზიტების შესახებ, გამოქვეყნებული ანგარიშების თაობაზე, გაანალიზებულია რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და მოცემულია ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების მიზნით უწყებებთან გამართული დიალოგის და თანამშრომლობის ხარისხის შესახებ.

ანგარიშის მეორე ნაწილი ეთმობა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს, კერძოდ წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით პენიტენციურ სისტემაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, თავშესაფრებში/საცხოვრისებში და თავდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვას.

წლიური ანგარიშში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა **პენიტენციურ სისტემას**. დადებითად უნდა შეფასდეს პენიტენციურ სისტემაში 2023 წელს განხორციელებული იმგვარი პოზიტიური ცვლილებები, როგორიცაა პენიტენციური კოდექსის მიღება, რომელიც შედარებით აუმჯობესებს პატიმართა და პერსონალის უფლებრივ მდგომარეობას. ასევე, ახალი, შედარებით მცირე ზომის N1 პენიტენციური დაწესებულების გახსნა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებები, რომელიც არასათანადო მოპყრობის გამოვლენას და დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების პროცედურას ეხება. მიუხედავად ამისა, დანახვით უნდა აღინიშნოს, რომ არ შეინიშნება გაუმჯობესება ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევების გადაჭრის კუთხით, როგორიცაა პატიმართა ხანგრძლივი განცალკევება და შემოწმების პროცედურები, გარე სამყაროსთან კონტაქტის გაუმართლებელი შეზღუდვა, მწირი სარეაბილიტაციო აქტივობები და სტანდარტის შეუსაბამო პატიმრობის პირობები. ასევე, რჩება რიგი პრობლემები მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პატიმრების უფლებების დაცვის კუთხით. განსაკუთრებით

აღსანიშნავია გადატვირთულობა. გადატვირთულობის პრობლემას იზიარებს იუსტიციის სამინისტროც, თუმცა კვლავ არ არის შემუშავებული კონკრეტული სტრატეგია პატიმართა რაოდენობის შემცირების და პატიმართა მცირე, დაბალანსებული ინფრასტრუქტურის მქონე დაწესებულებებში განსათავსებლად.

ანგარიში ცალკე მიმოიხილავს **პოლიციის სისტემას**, სადაც 2023 წელსაც კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დაკავებულ პირთა სამართლებრივი დაცვის გარანტიების გაძლიერება. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში დაკავებულებისთვის უფლებების განმარტება და დაკავებულების შესახებ სრულყოფილი რეესტრების წარმოება. პოლიციის შენობებში წლიდან წლამდე იკლებს ვიდეო-მეთვალყურეობის კამერების რაოდენობა. პოლიციის მხრიდან, რიგ შემთხვევებში კვლავ აქვს ადგილი ძალის გადამეტებას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, განსაკუთრებით, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების შემთხვევაში. აქვე აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესებულია დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო შემოწმებასთან და სამედიცინო დოკუმენტაციის დაცულობასთან დაკავშირებული საკითხები.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშში ასევე გაეცნობით **მიგრანტთა** არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მდგომარეობას. კერძოდ, **შსს დროებითი განთავსების ცენტრისა და დაბრუნების ფრენის ოპერაციების** მონიტორინგების შედეგები.

ანგარიშში გაეცნობით **ფსიქიატრიულ დაწესებულებებში** არსებულ მდგომარეობას. დაწესებულებებში კვლავ ფიქსირდება პაციენტთა მიმართ ძალადობისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების უგულებელყოფის რიგი შემთხვევები. სამართლებრივი ჩარჩო და არსებული პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს პაციენტების მკურნალობას ღირსეულ და იძულებისგან თავისუფალ გარემოში. საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე არ შეინიშნება ძალისხმევა პაციენტთა უფლებრივი მდგომარეობის და მკურნალობის პირობების გასაუმჯობესებლად.

ცალკე თავად არის წარმოდგენილი **საცხოვრისებისა და თავშესაფრების** მონიტორინგის მიგნებები. წლების განმავლობაში, სახალხო დამცველი გასცემს რეკომენდაციას, რომ ის პაციენტები, რომლებიც აღარ საჭიროებენ სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას და წასასვლელი არსად აქვთ, თემში შეეთავაზოთ საცხოვრისები. საანგარიშო პერიოდში მონახულებული თავშესაფრები და ალტერნატიული საცხოვრისები წარმოადგენენ დახურულ ინსტიტუციებს და ბენეფიციარები იზოლირებული არიან გარე სამყაროსგან, რაც ეწინააღმდეგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას.¹ მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარები შედარებით უკეთეს პირობებში ცხოვრობენ, გამოწვევას წარმოადგენს ბენეფიციართა სამართლებრივი დაცვის გარანტიები და სათანადო სომატური ჯანდაცვის სერვისები.

¹ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, მუხლი 14.

წლიური ანგარიში მოიცავს თავს **თავდაცვის სფეროში** ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. დადებითად აღსანიშნავია, რომ 2023 წელს თავდაცვის კოდექსით მოწესრიგდა წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლის წესი, რომლის მიხედვითაც 2025 წლიდან წვევამდელები აღარ გაივლიან სამხედრო სამსახურს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემაში. რაც შეეხება გამოწვევებს, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეების მიმართ კვლავ გამოიყენება არაფორმალური და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა. ამასთან, მათი უმეტესი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას საკუთარ უფლებებზე, გასაჩივრების მექანიზმზე და პროცედურებზე. ანგარიშში სხვა საკითხებთან ერთად, უარყოფითად არის შეფასებული ის ფაქტი, რომ სამხედრო მოსამსახურეები ვერ სარგებლობენ კანონმდებლობით დადგენილი სოციალური შეღავათებით.

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის მიმოხილვა

1.1. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის (SPT) პირველი ვიზიტი საქართველოში

2023 წლის 8-14 ოქტომბერს გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა (SPT) საქართველოში პირველი ვიზიტი განახორციელა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა არაერთი შეხვედრა, როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებთან, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის დელეგაციამ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებთან ერთად განახორციელა ვიზიტი, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში, ასევე პენიტენციურ დაწესებულებაში.²

წამების პრევენციის ქვეკომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელის, მასიმილიანო ბაგალინის განცხადებით, საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი სისტემატიურად და პროფესიონალურად ახორციელებდა მონიტორინგს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს და გააფართოვოს მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოს მექანიზმი საკმარისი რესურსებით, რაც მას თავისი პრევენციული მანდატის სტაბილურად რეალიზაციის საშუალებას მისცემს.

წამების პრევენციის ქვეკომიტეტი აღნიშნავს, რომ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია წამების წინააღმდეგ ბრძოლისა და პატიმრობის პირობების გაუმჯობესების საქმეში, მაგრამ საჭიროა დამატებითი ზომები პატიმართა რიცხვის შემცირების, პერსონალის რაოდენობის გაზრდის და სარეაბილიტაციო პროგრამების გაძლიერების, ასევე, პენიტენციური სისტემის 21-ე საუკუნის სტანდარტებამდე მიყვანის მიზნით. ქვეკომიტეტის შეფასებით, პატიმართა რაოდენობის შემცირებისათვის აუცილებელია დაკავების ალტერნატიული ზომების და პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გამოყენება. ციხის თანამედროვე სისტემა განსაკუთრებულად მოითხოვს რეაბილიტაციაზე ყურადღების გამახვილებას.³

1.2. პრევენციული ვიზიტები

	დაწესებულებების რაოდენობა	ვიზიტების რაოდენობა
--	------------------------------	------------------------

² 2023 წლის 10 ოქტომბერს განხორციელდა ერთობლივი ვიზიტი N15 პენიტენციურ დაწესებულებაში, ამავე დღეს ასევე განხორციელდა ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროს N3 დროებითი მოთავსების იზოლატორში.

³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: < <https://www.ohchr.org/sites/default/files/2023-10/2023-10-16-SPT-PR-Georgia.pdf> > [ბოლოს ნანახია: 19.02.2024].

პენიტენციური დაწესებულებები	8	20
შსს დეპარტამენტები/სამმართველოები	47	47
დროებითი მოთავსების იზოლატორები	23	33
მიგრაციის ცენტრი (თბილისი)	1	3
სამხედრო ნაწილები	6	6
შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტი განყოფილებები	5	5
შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი	1	1
დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი	2	2
ფსიქიატრიული დაწესებულებები	3	7
ფსიქიკური დარღვევების მქონე შშმ პირთა თავშესაფარი და საცხოვრისი	2	4
სულ	98	128



პენიტენციური დაწესებულება

2023 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საქართველოში მოქმედი 14 პენიტენციური დაწესებულებიდან 20 ვიზიტი განახორციელა 8 დაწესებულებაში (N2, N3, N5, N8, N10, N14, N15, N16) შესაბამისად, 2023 წელს საქართველოს პენიტენციური დაწესებულებების მოცვის მაჩვენებელი შეადგენდა 57 %-ს.



პოლიციის სამმართველო

2023 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საქართველოში მოქმედი 81 პოლიციის სამმართველოდან/დეპარტამენტიდან 47 მონიტორინგის ვიზიტი განახორციელა 47 პოლიციის დეპარტამენტში/სამმართველოში. შესაბამისად, 2023 წელს პოლიციის სამმართველოების/დეპარტამენტების მოცვის მაჩვენებელი შეადგენდა 58 %-ს.



2023 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საქართველოში მოქმედი 32 დროებითი მოთავსების იზოლატორიდან 33 ვიზიტი განახორციელა 23 იზოლატორში. შესაბამისად, 2023 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორების მოცვის მაჩვენებელი შეადგენდა 72 %-ს.

დროებითი მოთავსების იზოლატორი

2023 წელს 5 შეხვედრა გაიმართა კახეთის, ქვემო ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს და აჭარის რეგიონში სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე, ადგილობრივ ადვოკატებთან. შეხვედრების მიზანი იყო პოლიციის მხრიდან ძალის გადაყენებისა და დაკავებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება.



2023 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საქართველოში სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი 10 ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების გამწვევი დაწესებულებიდან 7 მონიტორინგის ვიზიტი განახორციელა 3 დაწესებულებაში. შესაბამისად, 2023 წელს საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებების მოცვის მაჩვენებელი შეადგენდა 30 %-ს.

ფსიქიატრიული დაწესებულება

1.3. ანგარიშები

2023 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა 4 ანგარიში მოამზადა:

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში;⁴
2. N5 პენიტენციური დაწესებულების ვიზიტის შემდგომი ანგარიში;⁵
3. შსს დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგის ანგარიში;⁶
4. შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრის“ ფსიქიატრიული სტაციონარის მონიტორინგის ანგარიში.

⁴ ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე:
<<https://www.ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf>> [ბოლოს ნანახია: 19.02.2024].

⁵ ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე:
<<https://www.ombudsman.ge/res/docs/2023073114585058376.pdf>> [ბოლოს ნანახია: 19.02.2024].

⁶ ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე:
<<https://www.ombudsman.ge/res/docs/2023122914593916060.pdf>> [ბოლოს ნანახია: 19.02.2024].

1.4. სამართლებრივი ანალიზი და ადვოკატირება

2023 წლის განმავლობაში, რეკომენდაციების შესრულების და ადვოკატირების მიზნით პრევენციის ეროვნული მექანიზმი წარადგენდა მოსაზრებებს კანონპროექტებზე და მონაწილეობას იღებდა საპარლამენტო მოსმენებში. ასევე, წარადგენდა მოსაზრებებს კანონქვემდებარე აქტების პროექტებზე, რომელსაც უწყებები სახალხო დამცველს გასაცნობად და მოსაზრებების წარმოსადგენად უზიარებდნენ. ასე მაგალითად, 2023 წლის განმავლობაში პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მოსაზრებები წარადგინა პენიტენციურ კოდექსზე, თავდაცვის კოდექსზე, სპეციალური საგამომიებო სამსახურის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტებზე, რომელიც ეხება შესაძლო დანაშაულის გამოვლენას და ხელბორკილების გამოყენებას; ფსიქიატრიული დაწესებულებების განახლებულ სანებართვო პირობებზე.

1.5. საკონსტიტუციო სამართალწარმოება, როგორც ცვლილებების მიღწევის გზა

რეკომენდაციების შესრულების მიზნით, სახალხო დამცველი აქტიურად იყენებდა საკონსტიტუციო სამართალწარმოებას. სახალხო დამცველის აპარატის სტრატეგიული სამართალწარმოების სამმართველოსთან თანამშრომლობით, 2023 წელს მომზადდა 1 საკონსტიტუციო სარჩელი იძულებითი მკურნალობის კონსტიტუციურობის შესახებ.⁷

1.6. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის დაბრკოლებების გარეშე განხორციელება

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებების მხრიდან, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.⁸ სახელმწიფო უწყებების მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქვემოთ.

2023 წლის განმავლობაში, პენიტენციურ დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებსა და საცხოვრისებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში, პოლიციის დაწესებულებებში, მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში, ევროპის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ფრენის ოპერაციების ფარგლებში და თავდაცვის ძალებში

⁷ სახალხო დამცველის 2023 წლის 22 აგვისტოს N1794 საკონსტიტუციო სარჩელი. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15866>>[ბოლოს ნანახია: 19.02.2024].

⁸ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის მე-19, მე-20 და 22-ე მუხლები.

განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტები უსაფრთხოდ, შეზღუდვებისა და დაბრკოლებების გარეშე მიმდინარეობდა. სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის შექმნილი იყო თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემო. ჯგუფმა, ვიზიტების დროს, სრულყოფილად მიიღო საჭირო ინფორმაცია, ასევე, დაყოვნების გარეშე, კონფიდენციალურ გარემოში ესაუბრა ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში მოთავსებულ პირებს.

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს მხრიდან მზაობა იყო შეხვედრებისა და კონსტრუქციული დიალოგის გამართვის თვალსაზრისითაც. შედეგად, 2023 წლის განმავლობაში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტის) თანამშრომლების და ზემოაღნიშნული უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები.


დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან განსხვავებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტისთვის არ წარუდგენია ინფორმაცია „2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე გამოცემულ დადგენილებაში შესული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის არ წარმოუდგენია ინფორმაცია იმ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ, რომელიც გაცემული იყო საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშში, თუმცა არ იყო შესული საქართველოს პარლამენტის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში.


1.7. რეკომენდაციების შესრულების შეფასება




2022 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი



პენიტენციური სისტემა




საქართველოს პარლამენტის მიმართ
გაცემული 11 წინადადებიდან



არ შესრულებულა

- საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული 1 რეკომენდაცია
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ გაცემული 2 რეკომენდაცია
- იუსტიციის და ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული ერთობლივი რეკომენდაცია


პატიმართა უფლებების შესახებ გაცემული რეკომენდაციები და
წინადადებები



- შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- შეუსრულებელია
- ვერ ფასდება
- რელევანტობა დაკარგა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა (პოლიციის მიერ დაკავებული

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ
გაცემული რეკომენდაციები




საქართველოს პარლამენტის
მიმართ გაცემული 1
წინადადება არ
შესრულებულა



შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა (მიგრანტები)


დაბრუნების ფრენის ოპერაციების შესახებ გაცემული 1 რეკომენდაცია არ შესრულებულა





თავშესაფრები და საცხოვრისები

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული



- საქართველოს პარლამენტის მიმართ გაცემული 1 წინადადება არ შესრულებულა
- საერთო სასამართლოების მიმართ გაცემული 1 რეკომენდაცია შესრულდა
- საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაცია ნაწილობრივ

ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართ გაცემული 3 რეკომენდაციიდან

- შესრულდა 1
- არ შესრულებულა 1
- ვერ ფასდება 1

ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში



საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული 1 რეკომენდაცია არ შესრულებულა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ გაცემულმა 5-მა რეკომენდაციამ რელევანტობა
დაკარგა

1.8. დიალოგი საერთაშორისო პარტნიორებთან/მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში

2023 წლის განმავლობაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებმა, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის დელეგაციასთან ერთობლივად, მონიტორინგის ვიზიტები განახორციელეს დახურულ დაწესებულებებში. ასევე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენელი დაესწრო გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ ორგანიზებულ დისტანციურ შეხვედრას, სადაც მოხსენება გააკეთა თემაზე - რეკომენდაციების შესრულების მიდევნება და საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის გამოცდილება.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლები შეხვდნენ თურქმენეთის ომბუდსმენს, ასევე, თურქეთის ადამიანის უფლებათა და თანასწორობის ინსტიტუტის წარმომადგენლებს, რომლებსაც გააცნეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი, საქმიანობა და მუშაობის მეთოდოლოგია; თურქეთის დელეგაციის წევრებთან ერთად სასწავლო ვიზიტები განხორციელდა ქ.თბილისის N1 და N2 დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და N16 პენიტენციურ დაწესებულებაში.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატაში გამართულ კონფერენციაში, სადაც მოხსენება გააკეთეს მიგრანტთა დაბრუნების ოპერაციების მონიტორინგთან დაკავშირებით, საქართველოს გამოცდილების შესახებ.



პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენელი დაესწრო დანიაში (კოპენჰაგენი) ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების (NHRI) მე-14 საერთაშორისო კონფერენციას და ეუთოს რეგიონის პრევენციის ეროვნული მექანიზმებისა და სამოქალაქო

საზოგადოების ორგანიზაციების მე-6 ყოველწლიურ შეხვედრას. ასევე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მშვიდობის პარტნიორობის კონსორციუმის (PFPC) და უსაფრთხოების სექტორის მმართველობის ჟენევის ცენტრის (DCAF) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, თემაზე - „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარება შეიარაღებულ ძალებში“ (გერმანია).

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმის (საქართველო 2024-2027) განხილვა;
- ევროპის საბჭოს პროექტის - „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საპოლიციო ღონისძიებები საქართველოში“ შედეგების და არსებული საჭიროებების განხილვა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და სამომავლო ნაბიჯები.

1.9. საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოების ინფორმირება პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შესახებ

თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება პრევენციის ეროვნული მექანიზმის ერთ-ერთი ამოცანაა. საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება ვიზიტის შემდგომი, სპეციალური და წლიური ანგარიშების გამოქვეყნებით, ასევე, სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრებისა და მედიის საშუალებით.

სამუშაო შეხვედრები/სემინარები:

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა უფლებები; იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებულ საქმეებზე; სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და პენიტენციური სისტემების რეფორმის პერსპექტივა უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის ჭრილში.

საგანმანათლებლო აქტივობები

2023 წელს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებმა პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებს გააცნეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის ზოგადი პრინციპები. ასევე, თბილისის, ზუგდიდის და თელავის უნივერსიტეტებში ჩაატარეს შეხვედრები, სადაც სტუდენტებს გააცნეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში და ისაუბრეს დახურულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ



პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლების შეხვედრა სტუდენტებთან

გამოწვევებზე.

1.10. ურთიერთობა დონორ ორგანიზაციებთან

2023 წელს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ ევროპის საბჭოს პროექტების - „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ (Human Rights Compliant Policing in Georgia) და „ჯანდაცვის უზრუნველყოფის გაუმჯობესება საქართველოს პენიტენციურ სისტემაში“ (Enhancing Healthcare Provision in Georgia's Penitentiary System) მმართველი კომიტეტის შეხვედრებში.

1.11. სამუშაო მეთოდოლოგია

პრევენციის ეროვნული მექანიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამუშაო მეთოდოლოგიის გადასინჯვასა და გაუმჯობესებას. 2023 წლის განმავლობაში, პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების მონიტორინგის მეთოდოლოგიის განახლების მიზნით, ჩატარდა არაერთი ონლაინ შეხვედრა საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობით. ასევე, 2023 წელს განახლდა შსს დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგის ინსტრუმენტი.

1.12. თანამშრომელთა სწავლება

2023 წელს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრეინინგში. სასწავლო თემატიკა მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის მონიტორინგი საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში და სასამართლო-ფსიქიატრიულ განყოფილებაში;
- მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგის სახელმძღვანელო პრინციპები;
- წლიური და საპარლამენტო ანგარიშების მომზადების სტანდარტები;
- პოლიციის სისტემაში წამების პრევენცია;
- წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ეფექტური გამოძიება და დოკუმენტირება;
- ცნობიერების ამაღლება ხანდაზმულობის საკითხებში;
- სათემო ამბულატორიული სერვისები;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პრეცედენტული სამართალი; მშვიდობიანი შეკრების უფლება;
- სიცოცხლის უფლება; წამების აკრძალვა; გამოხატვის თავისუფლება;
- ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში; დროის მართვა; თანამშრომელთა მოტივაცია.

გარდა ამისა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ დანიის სამეფოში, სადაც სამუშაო შეხვედრები გაიმართა დანიის პრევენციის ეროვნულ მექანიზმის წარმომადგენლებთან; დანიის წამების საწინააღმდეგო ინსტიტუტთან (DIGNITY); დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტთან (DIHR). სასწავლო ვიზიტები განხორციელდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებისთვის განკუთვნილ სპეციალიზებულ დაწესებულებაში, ასევე, თავისუფლების აღკვეთის და



პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ერთობლივი სასწავლო ვიზიტი კოპენჰაგენში

ბრალდებულთა განთავსების დაწესებულებაში.

2. პენიტენციური სისტემა

2.1. წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა

2.1.1. თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ძალადობა

2023 წელს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ცალკეულ შემთხვევებში მიიღო ინფორმაცია დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის სავარაუდო შემთხვევების შესახებ. მიღებული ინფორმაციის თანახმად, N2 დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან ფიზიკურ ძალადობას, სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა ერთ შემთხვევაში და რამდენიმე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პატიმრების სიტყვიერ შეურაცხყოფას. გარდა ამისა, N5 პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებული ინფორმაციის თანახმად, ადგილი ჰქონდა დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრებისთვის უხეში მიმართვის ფაქტებს, რაც ყვირილში და ხმამაღალ საუბარში გამოიხატებოდა.

პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასებისას, გასათვალისწინებელია სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები/საჩივრები. საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა არაერთი პატიმრის საჩივარი, რომლებიც მიუთითებდნენ პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.⁹ ასე, მაგალითად, ერთ შემთხვევაში, მსჯავრდებული განმარტავდა, რომ 2023 წლის ოქტომბრის თვეში ის სრულიად უსაფუძვლოდ შეასახლეს N6 პენიტენციური დაწესებულების დეესკალაციის ოთახში. მისივე განმარტებით, დეესკალაციის ოთახში შესახლებამდე დაწესებულების თანამშრომლებმა მასზე ფიზიკურად იძალადეს. კერძოდ, გადაუგრიხეს ხელები, აგრეთვე, ისინი ხელებს უჭერდნენ ყელში და თავზე, რაც ძლიერ ფიზიკურ ტკივილს იწვევდა. სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას მსჯავრდებულმა განმარტა, რომ ფაქტის შესახებ 2023 წლის 11 ოქტომბერს შეატყობინა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან მიღებული პასუხის თანახმად, გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, N6 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე.¹⁰

პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების მიერ პატიმართა მიმართ ძალადობის მასშტაბის შეფასებისას, პრევენციული ვიზიტების დროს მიღებულ შეტყობინებებთან

⁹ იხ. „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში“.

¹⁰ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 20 ოქტომბრის NSIS 3 23 00019315 წერილი.

ერთად, გასათვალისწინებელია სპეციალური საგამომიებო სამსახურის მიერ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ არსებული მონაცემები. სპეციალური საგამომიებო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,¹¹ პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან პატიმართა მიმართ 2023 წლის იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით ჩადენილ ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით, 2023 წელს გამოძიება დაიწყო 26 სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, 13 სისხლის სამართლის საქმეზე - 144³-ე მუხლით და 13 სისხლის სამართლის საქმეზე - 333-ე მუხლით. აღნიშნულ 26 სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს 27 სავარაუდო მსხვერპლი და აქედან, 24 მათგანი მიუთითებს, რომ მათ მიმართ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა. მითითებული 26 შემთხვევიდან სავარაუდო ძალადობის ფაქტს ადგილი ჰქონდა შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებებში: N2 დაწესებულებაში - 4 შემთხვევა, N3 დაწესებულებაში - 3 შემთხვევა, N6 დაწესებულებაში - 12 შემთხვევა, N8 დაწესებულებაში - 2 შემთხვევა, N10 დაწესებულება - 1 შემთხვევა, N15 დაწესებულებაში - 1 შემთხვევა და N18 დაწესებულებაში - 1 შემთხვევა. გარდა ამისა, 2 შემთხვევაში, ძალადობას სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებები სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან.

2.1.2. პატიმართა არაფორმალური იერარქია და პატიმართა შორის ძალადობა

გასული წლების მსგავსად, 2023 წელს გამოწვევად რჩება, ცალკეულ დაწესებულებებში, პრივილეგირებული პატიმრების (ე.წ. მაყურებლების) მიერ პენიტენციური დაწესებულებების მართვაში არაფორმალური მონაწილეობა, რაც მიზნად ისახავს დაწესებულებებში მოჩვენებითი წესრიგის შენარჩუნებას და პატიმარების მიერ პრობლემებზე საუბრის აკრძალვას. პრივილეგირებული პატიმრების მიერ პენიტენციური დაწესებულებების მართვაში არაფორმალური მონაწილეობა, ხშირად პატიმართა შორის ფიზიკური და მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოძალვაში, დამცირებაში, გარიყვასა და იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებიან არაფორმალური მმართველობის წესებს, სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაში გამოიხატება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2023 წელს, N14 და N15 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული პრევენციული ვიზიტების შედეგად ირკვევა, რომ წინა წლების მსგავსად, აღნიშნულ პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ არიან ადმინისტრაციასთან დაახლოებული პატიმრები, რომელთაც კრიმინალური სამყაროში მაღალი სტატუსიდან გამომდინარე, შეუძლიათ გარკვეული სახის გავლენა მოახდინონ სხვა პატიმრებზე.

ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში ე.წ. „ობშიაკის“ შეგროვების პრაქტიკის არსებობაზე, სახალხო დამცველის ანგარიშებში მოცემული ინფორმაციის გარდა, ასევე

¹¹ სპეციალური საგამომიებო სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის SIS 8 23 00024044 წერილი.

მიუთითებს ის ფაქტი, რომ 2023 წლის 7 ოქტომბერს მედია საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, N14 პენიტენციურ დაწესებულებაში ე.წ. მაყურებლის მიერ სხვა პატიმრებისგან თანხის გამოძალვის გზით, ე.წ. „ობშიაკის“ შეგროვების ფაქტთან დაკავშირებით.¹² გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო საქმის შესწავლა. აღნიშნული საქმის შესწავლის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში 2023 წლის 8 მაისს, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის, „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, 223³-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით.¹³

საანგარიშო პერიოდში, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტების შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, N14 დაწესებულებაში, ზემოთ ხსენებული „მაყურებლისთვის“ ბრალის წაყენების და სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგაც გროვდებოდა ე.წ. „ობშიაკი“ სხვა მაყურებლის მიერ, თუმცა შენატანის ოდენობა შემცირებული იყო.

N2 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის მაისის თვემდე პრივილეგირებული პატიმრები სხვა პატიმრებისგან განსხვავებით, თავისუფლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე, შედიოდნენ სხვა პატიმრების საკნებში და აკონტროლებდნენ მათ ქცევას. ასევე, ე.წ. „მაყურებლები“ პატიმრებს „ობშიაკისთვის“ ფულს სძალავდნენ. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულებაში მაყურებლების გავლენის აღმოფხვრის მიზნით, 2023 წლის მაისში ისინი ორგანიზებულად გადაიყვანეს სხვა დაწესებულებებში და მათი გადაყვანის შემდეგ, N2 დაწესებულებაში სხვა მაყურებლები არ იყვნენ.

გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის დელეგაციის წევრებთან ერთად N15 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის და ქვეკომიტეტის დელეგაციის წევრებს მუდმივად თან დაჰყვებოდნენ კონკრეტული პატიმრები, რაც სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა ერთი მხრივ მოესმინათ ჯგუფის წევრების მიერ სხვა პატიმრებისთვის დასმული კითხვების შინაარსი და გაცემული პასუხები, მეორე მხრივ კი მათი ადგილზე ყოფნით, პატიმრებზე გავლენა მოხდინათ, რათა მათ თავი შეეკავებინათ დაწესებულებაში არსებულ პრობლემებზე საუბრისგან. პატიმრები ხშირად ვერ ახერხებდნენ არსებულ პრობლემებზე ღიად საუბარს, რადგან ვერ ხერხდებოდა

¹² იხ. ბმული:<https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/49875-qurduli-samkaros-shavi-bugalteria-ra-sqemit-sdzalaven-patimrebs-saqartveloshi?fbclid=IwAR0cKSdxIu_mKucuQ_o8M4b1J9uxhym_jxf2PByOVH23U1BkN8pzy99PI84>[ბოლოს ნანახია: 29.03.2024].

¹³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 7 დეკემბრის MIA 7 23 03602475 წერილი.

კონფიდენციალურ გარემოში მათთან გასაუბრება. აღსანიშნავია, რომ N15 პენიტენციურ დაწესებულებაში პრივილეგირებული პატიმრების მიერ დაწესებულების მართვაში არაფორმალური მონაწილეობა დაადასტურეს სხვადასხვა დაწესებულებებში მყოფმა იმ პატიმრებმა, რომლებსაც 2023 წლის განმავლობაში მოუწიათ N15 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნა. მიღებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ დაწესებულებაში პრივილეგირებული პატიმრები (ე.წ. „მაყურებლები“) აგვარებენ პატიმართა შორის წარმოშობილ კონფლიქტებს და ორგანიზებას უწევენ ე.წ. „ობშიაკის“ შეგროვებას, მათ შორის, იძულების გზით, პატიმრების ახლობლებს და ოჯახის წევრებს არიცხინებენ თანხებს კონკრეტულ საბანკო ანგარიშებზე.

ძალადობის მსხვერპლი პატიმრები ხშირად, მოსალოდნელი ანგარიშსწორების თავიდან არიდების მიზნით, დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სამედიცინო პერსონალთან არ საუბრობენ დაზიანების წარმოშობის რეალურ მიზეზებზე. აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში წარმოებულ დოკუმენტაციაში აღწერილია პატიმრების სხეულის დაზიანების ფაქტები, რომლებიც დაფიქსირებულია, როგორც საყოფაცხოვრებო ტრავმები, თუმცა ამ დაზიანებების ხასიათი, მდებარეობა და მათი წარმოშობის წყაროს შესახებ მითითებული ინფორმაციის ანალიზი წარმოშობს გონივრულ ეჭვს, რომ დაზიანება სავარაუდოდ მიყენებულია ძალადობის შედეგად. მაგალითად, N15 დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს აღენიშნებოდა სილურჯე მარჯვენა თვალებუდის მიდამოში, რაც მისი განმარტებით, მიიღო საკანში საწოლზე დარტყმის შედეგად; N14 დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს აღენიშნებოდა მარცხენა თვალებუდის მიდამოს ჰიპერემია და შეშუპება, რაც მისი განმარტებით, მიიღო ფეხბურთის თამაშის დროს; ამავე დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს აღენიშნებოდა ზედაპირული დაზიანება შუბლის არეში, რაც მისი განმარტებით, მიიღო საწოლიდან გადმოვარდნის შედეგად; ამავე დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს აღენიშნებოდა თავის ზედაპირული ჭრილობა, მცირე ექსკორიაციებით და სხივ-მაჯის ზედაპირული ტრავმა, რაც მისი განმარტებით, მიიღო ეზოში წაქცევის შედეგად; N2 დაწესებულებაში მყოფ პატიმარს აღენიშნებოდა ნახეთქი ჭრილობა შუბლის არეში, რაც მისი განმარტებით, მიიღო აბაზანაში დაცემის შედეგად; ამავე დაწესებულებაში მყოფ პატიმარს აღენიშნებოდა ნაკაწრი და შეშუპება შუბლის არეში, რაც მისი განმარტებით, მიიღო აბაზანაში იატაკზე დაცემის და თავის დარტყმის შედეგად.¹⁴

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა შორის ძალადობის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულებების

¹⁴ ამ მხრივ, ასევე, საგულისხმოა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია პატიმრების მიერ მიღებული დაზიანებების წყაროების შესახებ, რომლის თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფმა 2200 პატიმარმა მიიღო სხეულის დაზიანება, რომელთაგან 377 იყო იდენტიფიცირებული როგორც, სხვა პირის მიერ მიყენებული დაზიანება, ხოლო 62 შემთხვევაში პატიმარმა არ მიუთითა დაზიანების წარმოშობის წყაროს შესახებ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 22 დეკემბრის N357042/01 წერილი.

გადატვირთულობა, რაც ამასთანავე, საქართველოს პენიტენციური სისტემის წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა.

2023 წელს მდგომარეობა არ შეცვლილა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ისევ ერთად არიან განთავსებულები ბრალდებულები და მსჯავრდებულები. კვლავ დარღვეულია საერთაშორისო სტანდარტები და პენიტენციურკოდექსის დადგენილი მოთხოვნა ბრალდებულების მსჯავრდებულებისგან განცალკევებით განთავსების შესახებ. ამ დაწესებულებებში, გადატვირთულობის გამო, პატიმრების საკნებში განაწილების დროს, კვლავ ყურადღების მიღმა რჩება პატიმრის პიროვნული თვისებები, ჩვევები, ქცევა, რისკები. შედეგად, განსხვავებული კატეგორიისა და მსოფლმხედველობის პატიმრებს ერთ საკანში უწევთ თანაცხოვრება, რაც დახურული სივრცის პირობებში ხშირად ხდება პატიმართა შორის კონფლიქტის და ძალადობის მიზეზი.¹⁵

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **2024 წელს უზრუნველყოს N2 და N8 დაწესებულებებში ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება, სულ მცირე, ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში.**

პენიტენციურ დაწესებულებებში არ არის შესაბამისი რაოდენობის პერსონალი, რომელიც საკმარისი იქნებოდა დაწესებულებებში წესრიგის შესანარჩუნებლად და პატიმართა შორის ძალადობის ფაქტების თავიდან ასაცილებლად. ასე მაგალითად, N14 პენიტენციური დაწესებულებაში ვიზიტის დროს, მსჯავრდებულთა საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე მოთავსებული იყო 162 მსჯავრდებული, მეორე სართულზე - 225 მსჯავრდებული, მესამე სართულზე - 192 მსჯავრდებული და მეოთხე სართულზე - 221 მსჯავრდებული; ასევე, N15 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს, მსჯავრდებულთა საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე მოთავსებული იყო 273 მსჯავრდებული, მეორე სართულზე - 489 მსჯავრდებული, მესამე სართულზე - 538 მსჯავრდებული და მეოთხე სართულზე - 549 მსჯავრდებული. რაც შეეხება თანამშრომელთა

¹⁵ ერთ შემთხვევაში, N2 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია, პატიმრის მიმართ მისი თანასაკნელების მხრიდან განხორციელებული სავარაუდო სექსუალური ძალადობის მცდელობის ფაქტის შესახებ. დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტაციის თანახმად, 2023 წლის აგვისტოს თვეში, დაახლოებით დილის 5 საათზე, დაწესებულების თანამშრომელმა ერთ-ერთი საკნიდან გაიგონა ხმაური, რის გამოც შეამოწმა და დათვალიერა აღნიშნულ საკანში მყოფი პატიმრები. დათვალიერების შედეგად, აღმოჩნდა, რომ ერთ პატიმარს აღნიშნებოდა სხეულის დაზიანებები, ბეჭებზე ნაკაწრების და ხელის მტევანზე მრგვალი ფორმის თერმული დამწვრობის სახით. როგორც დაწესებულების თანამშრომელთან გასაუბრებისას აღნიშნულმა პატიმარმა განაცხადა, თანამესაკნეებმა მას მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და აიძულებდნენ ჩაეცვა ქალის ტანსაცმელი, რომელსაც საკანში ინახავდნენ. დაწესებულების თანამშრომლებმა საკნის დათვალიერებისას, საკნის საპირფარეოში აღმოაჩინეს თეთრეულის ნაჭრებისგან შეკერილი კაბის ფორმის ტანსაცმელი, რომელიც ამოღებულ იქნა მათ მიერ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, პენიტენციური დაწესებულებიდან შეტყობინება გაიგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, სადაც გამოიძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-137-ე (გაუპატიურების მცდელობა) და 144³-ე (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით.

რაოდენობას, ორივე დაწესებულებაში თითოეულ სართულზე მუშაობდა სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების 3 თანამშრომელი.

სახალხო დამცველი წლებია გასცემს რეკომენდაციას იუსტიციის მინისტრის მიმართ, შეიმუშაოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმა და გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ ერთი თანამშრომელი. ევროპის საბჭოს მონაცემებით, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის თანაფარდობა 2.9-დან 12.9-მდე მერყეობს¹⁶ და 1:15 თანაფარდობის უზრუნველყოფის რეკომენდაცია სწორედ ამ მონაცემებს ეფუძნება. ამდენად, მიზანშეწონილია სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა იკვლიოს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების პრაქტიკა და გამოცდილება თანამშრომელთა ნაკლებობის თვალშისაცემი და მწვავე პრობლემის მოგვარების მიზნით.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ 1 თანამშრომელი.

პატიმართა შორის ძალადობის შემთხვევების შესახებ, დაწესებულების ადმინისტრაციები შეტყობინებას უგზავნიან იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელიც იწყებს გამოძიებას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, პატიმართა შორის სავარაუდო ძალადობის 586 ფაქტის შესახებ მიიღო ინფორმაცია.¹⁷

2.1.3 პატიმართა ხანგრძლივი განცალკევება

დეესკალაციის ოთახებში და სამართლო (უსაფრთხო) საკნებში განცალკევება

სახალხო დამცველმა გასული წლების ანგარიშებში არაერთხელ აღნიშნა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების დეესკალაციის ოთახებში და სამართლო (უსაფრთხო) საკნებში მოთავსების მანკიერი პრაქტიკის შესახებ და მიუთითებდა, რომ აღნიშნული პრაქტიკა უტოლდება სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.

¹⁶ ევროპის საბჭოს სასჯელაღსრულების წლიური სტატისტიკა, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://www.coe.int/en/web/prison/space> > [ბოლოს ნანახია: 14.03.2024].

¹⁷ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 29 დეკემბრის N14811 წერილი.

საგულისხმოა, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში დეესკალაციის ოთახების 72-საათიანი ვადით ხშირი გამოყენების პრაქტიკა დე ფაქტო დასჯად შეაფასა.¹⁸ სახალხო დამცველი, წლებია, მოითხოვს დეესკალაციის ოთახში მოთავსების ვადის 24 საათამდე შემცირებას. გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა რეკომენდაციით საქართველოს იუსტიციის მინისტრს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განსაზღვრულიყო დეესკალაციის ოთახში და სამართლო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსების უკიდურესობის და აუცილებლობის დასაბუთების ვალდებულება; ასევე, დებულებებში განსაზღვრულიყო აღნიშნული უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენებისას, პატიმრების უსაფრთხოების რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა.

2023 წლის 27 აპრილს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც შეიცვალა დეესკალაციის ოთახში პატიმრების მოთავსების მარეგულირებელი ნორმები, კერძოდ, დებულებებით განისაზღვრა, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსება ხდება სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციისა და დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. გარდა ამისა, დეესკალაციის ოთახში გადაყვანილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობა გადაყვანიდან არაუგვიანეს 24 საათის ვადაში უნდა შეფასდეს მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სპეციალური პროგრამის ფარგლებში გადამზადებული სამედიცინო პერსონალი, დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების მოსამსახურეები. ამასთან, სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციის საფუძველზე, მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, არაუგვიანეს მომდევნო 24 საათის ვადაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობა დამატებით შეიძლება შეფასდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ. დებულებებში ასევე, განისაზღვრა, რომ დაწესებულების დირექტორი, მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტის/სპეციალისტების რეკომენდაციის საფუძველზე, არაუგვიანეს მომდევნო 24 საათის განმავლობაში წყვეტს ბრალდებულის/მსჯავრდებულის საკანში/შიდა კლასიფიკაციის საკანში დაბრუნების საკითხს, ხოლო თუ დასკვნა/რეკომენდაცია ითვალისწინებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანას, მისი გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას, ამავე ვადაში იღებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი. ასევე, თუ მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნა ან/და

¹⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარა. 101, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<https://rm.coe.int/1680945eca>> [ბოლოს ნანახია:24.01.2024].

შესაბამისი დარგის სპეციალისტის/სპეციალისტების რეკომენდაცია ითვალისწინებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ფსიქიატრიული კომისიისთვის მიმართვას, დაწესებულების დირექტორი მიმართავს კომისიას.

სახალხო დამცველის შეფასებით, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელებული ცვლილებები სრულად ვერ უზრუნველყოფს დეესკალაციის ოთახებში პატიმრების მოთავსების მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრას. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით, დეესკალაციის ოთახში პატიმრის ერთჯერადად მოთავსების მაქსიმალური ვადა კვლავ 72 საათით განისაზღვრება. კვლავაც არ არის ნორმატიულად დადგენილი დეესკალაციის ოთახში და სამართლო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსების უკიდურესობის დასაბუთების და ამ ზომის გამოყენებამდე და სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებების გამოყენების ვალდებულება.

ზემოაღნიშნული ცვლილებით მართალია განისაზღვრა მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობა პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას, თუმცა მათ ვალდებულებას არ წარმოადგენს კრიზისული სიტუაციის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად მუშაობა, რაც შეიძლება მოიცავდეს კრიზისული სიტუაციის გამომწვევი სოციალური ან სხვა ყოფითი საკითხების დადგენას და შეძლებისდაგვარად მათ მოგვარებაზე ზრუნვას. დებულებების მიხედვით, მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციას წარმოადგენს მხოლოდ პატიმრის მდგომარეობის შეფასება, შემდგომში მისი საკანში დაბრუნების ან სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის საკითხის გადასაწყვეტად.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელებული ცვლილებები შეეხება მხოლოდ დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების საკითხს და სამართლო (უსაფრთხო) საკანში გადაყვანასთან დაკავშირებული ნორმატიული მოწესრიგება და პრაქტიკა უცვლელი რჩება. N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაირკვა, რომ გასული წლების მსგავსად, განცალკევების მიზნით, დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანის შემდეგ პატიმარს ათავსებენ სამართლო (უსაფრთხო) საკანში და შემდგომ მათ კვლავ ათავსებენ დეესკალაციის ოთახში.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- დეესკალაციის ოთახში და სამართლო (უსაფრთხო) საკანში მოთავსებისას უზრუნველყოფილ იქნეს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად.
- 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ, 2023 წელს განხორციელებული ვიზიტების შედეგად ირკვევა, რომ გასული წლების მსგავსად, N2 და N3 პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების დეესკალაციის ოთახში და სამართაო (უსაფრთხო) საკანებში მოთავსება უმეტეს შემთხვევაში, კვლავ მაქსიმალური ვადით ხდება და კვლავ, ადგილი აქვს ერთი და იგივე პირის ფაქტობრივად უწყვეტ მოთავსებას, რამდენიმე დღისა და კვირის განმავლობაში, წუთებისა და საათების ინტერვალებით. ასე, მაგალითად, N2 პენიტენციურ დაწესებულებაში ერთ შემთხვევაში პატიმრის მიმართ დეესკალაციის ოთახში მოთავსების ღონისძიება ზედიზედ 11-ჯერ გამოიყენეს, დეესკალაციის ოთახში ის ფაქტობრივად უწყვეტად 31 დღის განმავლობაში იმყოფებოდა. ამავე დაწესებულებაში ფიქსირდება პატიმრების დეესკალაციის ოთახში 28, 24 და 21 დღით მოთავსების შემთხვევები. რაც შეეხება N3 პენიტენციურ დაწესებულებას, ფიქსირდება დეესკალაციის ოთახებში პატიმრების 7 დღემდე ვადით მოთავსების შემთხვევები. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა N2 და N8 დაწესებულებებში არასრულწლოვნების დეესკალაციის ოთახში და სამართაო საკანში მოთავსებასაც. კერძოდ, N8 დაწესებულებაში 2023 წელს უსაფრთხო საკანში მოთავსებულ იქნა ერთი არასრულწლოვანი, 24 საათით 2-ჯერ, ხოლო დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ იქნა ორი არასრულწლოვანი, 72 საათით; N2 დაწესებულებაში ორი არასრულწლოვანი იქნა მოთავსებული დეესკალაციის ოთახში 72 საათის ვადით, ხოლო ორი არასრულწლოვანი კი 24 საათიანი ვადით. სახალხო დამცველი თვლის, რომ დაუშვებელია სამართაო (უსაფრთხო) საკანსა და დეესკალაციის ოთახში არსებულ არასათანადო პირობებში და მითუმეტეს, ხანგრძლივად არასრულწლოვნის მოთავსება. აღნიშნული პრაქტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნებს, ბავშვის უფლებათა კონვენციის სულისკვეთებას და წარმოადგენს მათ მიმართ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. საქართველოს სახალხო დამცველი თვლის, რომ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებებით იგივე მიზანი ვერ მიიღწევა, არასრულწლოვანი შეიძლება გადაყვანილ იქნას სპეციალურად მოწყობილ სივრცეში, რომელშიც იქნება ბავშვზე მორგებული გარემო და უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი მულტიდისციპლინური მუშაობა კრიზისის დაძლევის მიზნით. აღნიშნულ სივრცეებში არასრულწლოვნების ყოფნის ხანგრძლივობა რამდენიმე საათს არ უნდა აღემატებოდეს.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახში და სამართაო (უსაფრთხო) საკანში არასრულწლოვნის მოთავსება დაუშვებელია
- 2024 წელს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვნები იმყოფებიან, მოეწყოს სპეციალური სივრცე, რომელშიც იქნება ბავშვზე მორგებული გარემო და უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი მულტიდისციპლინური მუშაობა კრიზისის დაძლევის მიზნით. ამ სივრცეში ყოფნის ხანგრძლივობა, რომელიც არ

უნდა აღმატებოდეს რამდენიმე საათს და ამ სივრცის გამოყენების პროცედურა განისაზღვროს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებით

საგულისხმოა, რომ დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში მოთავსება კვლავაც ხშირად და ხანგრძლივი ვადით გამოიყენება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მიმართ, რადგან პენიტენციურ სისტემაში არ არის უზრუნველყოფილი კრიზისული სიტუაციების მართვის სათანადო რესურსები და ფსიქო-სოციალური მხარდამჭერი სერვისები, ასევე, ჭიანჭურდება იმ პატიმრების სპეციალიზებულ დაწესებულებაში გადაყვანა, რომელთაც სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება ესაჭიროებათ. ვიზიტების დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრებს, სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანამდე, ხშირად რამდენიმე კვირის განმავლობაში უწევთ დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში, სათანადო ფსიქიატრიული დახმარების გარეშე, არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში ყოფნა. ასე, მაგალითად, N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე შემთხვევაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებს სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანამდე, 20-30 დღის განმავლობაში უწევდათ ყოფნა დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო საკნებში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, დეესკალაციის ოთახში/სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება ვერ უზრუნველყოფს პატიმრის დამშვიდებას და ამ საკნებში არსებული პირობები ხშირად, პატიმრების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუარესების მიზეზიც ხდება. აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო საკნებში ყოფნის დროს, პატიმრებს უმეტესად არ ეძლევათ თამბაქოს მოწევის, შხაპის მიღების და გასეირნების საშუალება; მათ შეზღუდული აქვთ მაღაზიით სარგებლობის, სატელეფონო ზარით, პირადი მიმოწერით და პაემნით სარგებლობის უფლება. დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში პატიმრებს შეზღუდულად მიეწოდებათ ჰიგიენის დაცვის საშუალებები და შეზღუდული აქვთ წვდომა გამოსაცვლელ ტანსაცმელზე. დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო საკანში მოთავსებისას პატიმრებს ეზღუდებათ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები, უარესდება მათი საცხოვრებელი პირობები, არ მიეწოდებათ ფსიქო-სოციალური დახმარება და ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც დეესკალაციის/სამარტოო საკანში გადაყვანას თან ერთვის დისციპლინური სახდელის შეფარდება, რაც აძლიერებს მათ განცდას, რომ აღნიშნულ ოთახებში გადაყვანა არის „ჭკუის სასწავლებელი“ ღონისძიება და მათი დასჯის მიზანს ემსახურება. ასე, მაგალითად, N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, ფიქსირდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პატიმრების მიერ დაწესებულების თანამშრომლების დაუმორჩილებლობასა და სიტყვიერი, შეურაცხყოფის სავარაუდო ფაქტების გამო, პატიმრებს დაეკისრათ დისციპლინური სახდელები და ამავე დროს, ისინი დეესკალაციის ოთახში მოათავსეს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახები და სამართო (უსაფრთხო) საკნები არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებულ პენიტენციურ დაწესებულებებში წარმოებული დოკუმენტაციის თანახმად, ზოგჯერ ადგილი აქვს დეესკალაციის ოთახებში და სამართო საკნებში მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენების შემთხვევებს, რა დროსაც მათ მიმართ დამატებით, ხელბორკილები გამოიყენება. N2 და N3 პენიტენციურ დაწესებულებებში რამდენიმე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დეესკალაციის ოთახებში და სამართო საკნებში მოთავსებული პატიმრების მიერ სხვადასხვა ნივთების გადაყლაპვის, სხეულზე ნაკაწრების მიყენების და კედლებზე ხელების და თავის დარტყმის შედეგად სხეულის დაზიანების შემთხვევებს.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახში და სამართო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, თუ რატომ ჩაითვალა, რომ დეესკალაციის ოთახში და სამართო (უსაფრთხო) საკანში მოთავსება წარმოადგენს უალტერნატივო ღონისძიებას. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის და სამართო (უსაფრთხო) საკნის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორიც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა
- 2024 წელს დეესკალაციის ოთახებში და სამართო (უსაფრთხო) საკნებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთებით
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების პერიოდში პატიმარს მიეცეს სატელეფონო საუბრის შესაძლებლობა
- 2024 წელს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით:
 - უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების დეესკალაციის ოთახებში და სამართო (უსაფრთხო) საკნებში ხანგრძლივად მოთავსების, ხელბორკილების გამოყენების და ფსიქიატრიული დახმარების მიუწოდებლობის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით
 - უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში დეესკალაციის ოთახებში და სამართო (უსაფრთხო) საკნებში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დასჯის

**მიზნით პატიმრების გადაყვანის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება,
პატიმრების არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით**

საცხოვრებელ საკნებში განცალკევება

გასული წლების განმავლობაში, განსაკუთრებული რისკის პენიტენციური დაწესებულების დებულებები დაწესებულებების დირექტორებს შესაძლებლობას აძლევდა დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე პატიმარი ხანგრძლივი დროით მოეთავსებინათ ერთადგილიან საკანში და შეეზღუდათ სხვა პატიმართან კონტაქტის შესაძლებლობა. დებულებები ითვალისწინებდა დაწესებულების დირექტორის მიერ დასაბუთების გარეშე, ზეპირი გადაწყვეტილების საფუძველზე, მსჯავრდებულის ერთადგილიან საკანში განუსაზღვრელი ვადით მოთავსების შესაძლებლობას. ამასთან, დებულებები არ ითვალისწინებდა პენიტენციური დაწესებულების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების პერიოდული შეფასების ვალდებულებას და არ უზრუნველყოფდა მსჯავრდებულს ქმედითი და ეფექტიანი გასაჩივრების უფლებით.

აღნიშნული პრობლემური პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში რეკომენდაციით მიმართავდა საქართველოს იუსტიციის მინისტრს და მოითხოვდა პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილებების შეტანის გზით, პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადის განსაზღვრას, ასევე, განცალკევების ღონისძიების გადასინჯვის ვალდებულების გაწერას, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით. ასევე, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წლის 27 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველმა N1676 სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა N3 და N6 პენიტენციური დაწესებულებების დებულებების იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლითაც შესაძლებელი იყო პირის მოთავსება სამართლო საკანში განუსაზღვრელი ვადით ჯეროვანი დასაბუთების გარეშე. 2022 წლის 21 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი, არაკონსტიტუციურად სცნო გასაჩივრებული ნორმები და იუსტიციის სამინისტროს დაავალა ერთადგილიან საკანში პატიმრების მოთავსების პროცედურის და საფუძვლების 2023 წლის 1 მაისამდე დარეგულირება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ერთადგილიან საკანში მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გამწესების დროს გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს განსაზღვრული ვადით, წერილობით და დასაბუთებულად, რომელიც სავალდებულო წესით უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალური შეფასების შედეგებს და ითვალისწინებდეს პენიტენციური დაწესებულების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების პერიოდული შეფასების ვალდებულებას. გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქმედითი და ეფექტიანი გასაჩივრების უფლებით, რასაც სადავო ნორმებით დადგენილი წესი არ ითვალისწინებდა.

2023 წლის 27 აპრილს განსაკუთრებული რისკის პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელდა ცვლილებები და განისაზღვრა, რომ მსჯავრდებულის ერთადგილიან ან ორადგილიან საკანში განცალკევებით მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას დაწესებულების დირექტორი იღებს წერილობითი ფორმით, სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილებების უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ მსჯავრდებულთა თავსებადობის საკითხის შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით შედგენილი პატაკის საფუძველზე, რა დროსაც, დამატებით, მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულის სხვა მსჯავრდებულთან ერთად განთავსებით მათი სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისთვის, დაწესებულების სამართლებრივ რეჟიმისთვის და უსაფრთხოებისთვის შესაძლო საფრთხის შექმნა. მსჯავრდებული ერთადგილიან ან ორადგილიან საკანში განცალკევებით თავსდება დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებაში მითითებული საფუძვლის/საფრთხის აღმოფხვრამდე. დებულებებით ასევე განისაზღვრა, რომ დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება, ერთადგილიან ან ორადგილიან საკანში განცალკევებით მოთავსების შესახებ მსჯავრდებულს შეუძლია გაასაჩივროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორთან. მიუხედავად მოცემულ საკითხზე განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებისა, სამწუხაროდ, პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადა და განცალკევების ღონისძიების გადასინჯვის ვალდებულება, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით, დადგენილი კვლავაც არ არის. შესაბამისად, სახალხო დამცველის ზემოაღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადა, ასევე, განცალკევების ღონისძიების გადასინჯვის ვალდებულება, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით.

2.1.4. პატიმრობის პირობების კუმულატიური ეფექტი

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრობის პირობების შეფასებისას, გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორების ერთობლიობა, როგორიც არის ბრალდებულების/მსჯავრდებულების საცხოვრებელი გარემოს პრივატულობა, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ხელოვნური და ბუნებრივი ვენტილაცია, გათბობა და განათება, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, საკნის გარეთ სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა, დღის განმავლობაში სარეაბილიტაციო აქტივობებით დაკავების და დასაქმების შესაძლებლობა.

2023 წელს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტების შედეგად გაირკვა, რომ ზოგიერთ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პატიმრობის

პირობები ეწინააღმდეგება „ნორმალიზაციის პრინციპს“¹⁹ და ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მოხდას ღირსების დაცვის პირობებში. როგორც პატიმრობისა და დახურული ტიპის, ასევე, განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული შემზღუდველი რეჟიმი, ინციდენტების მართვის პრაქტიკა და საჭიროებებზე მორგებული აქტივობების არარსებობა, უარყოფით გავლენას ახდენს პატიმრების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც, თავის მხრივ, ზრდის პატიმრების მიმართ ძალადობის რისკებს, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს²⁰ და შეიძლება გაუტოლდეს სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.²¹

გასული წლების მსგავსად, მითითებული პენიტენციური დაწესებულებების მართვა ძირითადად ეფუძნება სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებს, რაც გულისხმობს მაქსიმალურად მკაცრი შეზღუდვების, აკრძალვების, რეჟიმის დაწესებას და არ არის ორიენტირებული მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიური ცვლილებისკენ. აღნიშნულ დაწესებულებებში მყოფი პატიმრები მათთვის საინტერესო აქტივობების გარეშე 23 საათის განმავლობაში იმყოფებიან საკანში და მხოლოდ 1 საათის განმავლობაში იმყოფებიან სასაერთაშორისო ეზოებში, რომლის მწირი ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა განტვირთვას და რეკრეაციას; არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა და სათანადოდ არ ხორციელდება მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამები; პატიმრების მიმართ აქტიურად გამოიყენება გარე სამყაროსთან კონტაქტის შემზღუდველი დისციპლინური სახდელები და უსაფრთხოების ღონისძიებები, მათ შორის, სამართლო საკნებში და დეესკალაციის ოთახებში იზოლირება, სადაც პატიმრებს დამატებით ეზღუდებათ საკუთარ ნივთებზე წვდომა, ასევე შხაპის მიღების და გასაერინების უფლება.

დასავლეთ საქართველოში მდებარე N2 და N3 პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავაც იმყოფებიან პატიმრები, რომელთა ოჯახის წევრები აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობენ და ხშირად, პატიმართან პაემანზე მისვლას ვერ ახერხებენ, რადგან სხვადასხვა მიზეზით (ფინანსური და ჯანმრთელობის მდგომარეობა) უჭირთ დაწესებულებაში მისვლა. ისინი ძირითადად, პატიმართან კონტაქტს სატელეფონო კავშირით ამყარებენ და მიუხედავად ამისა, ასეთ მდგომარეობაში მყოფი პატიმრების მიმართ დაწესებულების ადმინისტრაციები კვლავ იყენებენ დისციპლინური სახდელის სახით, სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვას. საგულისხმოა, რომ ხსენებული პატიმრებისთვის, სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა პრაქტიკულად გარე სამყაროსთან კონტაქტის სრულ შეზღუდვას უტოლდება.

¹⁹ ნორმალიზაციის პრინციპი: „ციხის საცხოვრებელი პირობები მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს ციხის გარეთ, ჩვეულებრივ საცხოვრებელ პირობებთან“. ციხის ევროპული წესები, წესი N5. ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3tZ7GbA>> [ბოლოს ნანახია: 06.02.2024].

²⁰ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის(CPT) 21-ე ზოგადი ანგარიში, CPT/info(2011) 28, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 52, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3ic198K>> [ბოლოს ნანახია: 06.02.2024].

²¹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის(CPT) ანგარიში 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/info(2019) 16, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2019, პუნქტი 72, ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/1680945eca>> [ბოლოს ნანახია: 06.02.2024].

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, N2 და N3 პენიტენციურ დაწესებულებებში ადგილი აქვს დეესკალაციის ოთახებში, სამართო საკნებში და საცხოვრებელ საკნებში პატიმრების ხანგრძლივი დროით იზოლირების პრაქტიკას.²² N2, N14 და N15 პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავაც იდგა გადატვირთულობის და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვის პრობლემა.²³ გადატვირთულობის გამო, N2 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრების საკნებში განაწილების დროს, კვლავ ყურადღების მიღმა რჩება პატიმრის პიროვნული თვისებები, ჩვევები, ქცევა, რისკები. შედეგად, განსხვავებული კატეგორიისა და მსოფლმხედველობის პატიმრებს ერთ საკანში უწყევთ თანაცხოვრება, რაც დახურული სივრცის პირობებში ხშირად ხდება პატიმართა შორის უთანხმოების მიზეზი.²⁴

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას:

- საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს პატიმრების რაოდენობის შემცირებას და ამ პროცესში გაითვალისწინოს როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის N R (99) 22 რეკომენდაციები ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის, გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული PC-CP (2015) 6 rev 7 დოკუმენტი ციხის გადატვირთულობის შესახებ.

სახალხო დამცველმა არაერთხელ აღნიშნა, რომ დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები უნდა სარგებლობდნენ შედარებით მსუბუქი დღის რეჟიმით, თავიანთი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში. კერძოდ, მათ უნდა მიეცეთ სხვა პატიმრებთან ერთად, სხვადასხვა საქმიანობით დაკავების შესაძლებლობა. პატიმრებისთვის სხვადასხვა საქმიანობის გეგმის შემუშავება შესაძლოა კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყოს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში, ვიდრე ჩვეულებრივ დაწესებულებებში. ამ საქმიანობებით დაკავებამ შესაძლოა შეამსუბუქოს პატიმრის პიროვნებაზე დამლუპველი ზეგავლენა, რომელსაც იწვევს ჩაკეტილი სივრცე, სადაც ის მოთავსებულია. საქმიანობები, რაც შეიძლება მრავალფეროვანი უნდა იყოს (განათლება, სპორტი, დასაქმება, პროფესიული სწავლება და ა.შ).²⁵ მიზნად უნდა იქნეს დასახული პერსონალსა და პატიმარებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება, რაც განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პატიმრების მიმართ ადამიანური მოპყრობის კუთხით, არამედ დაწესებულებაში ეფექტიანი კონტროლისა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისითაც. დაწესებულებებში სისტემატიურად უნდა მიმდინარეობდეს თითოეული ინციდენტის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მათი

²² იხილეთ ქვეთავი: პატიმართა ხანგრძლივი განცალკევება.

²³ იხილეთ ქვეთავი: პატიმრობის პირობები (ფიზიკური გარემო).

²⁴ იხილეთ ქვეთავი: პატიმართა არაფორმალური იერარქია და პატიმართა შორის ძალადობა.

²⁵ წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-11 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf(2001), 16, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2001, პუნქტი 32 et seq.

პრევენციის კონკრეტული გეგმის შემუშავება, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს პატიმართა ქცევის პოზიტიურ ცვლილებებს და ხორციელდებოდეს კომუნიკაციისა და ზრუნვის ატმოსფეროში.

2.1.5. პატიმრების სრული შემოწმების პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული პრევენციული ვიზიტების დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში, პატიმრების პირველადი შესახლების, ასევე, დაწესებულებიდან გაყვანის და დაწესებულებაში დაბრუნების დროს, გასული წლების მსგავსად შენარჩუნებული იყო მათი სრული გაშიშვლების და ბუქნების გაკეთების პრაქტიკა. რაც შეეხება N11 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პრაქტიკას, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, სრული შემოწმების დროს, ნაწილობრივ იხდიან ტანსაცმელს, კერძოდ, ისინი ჯერ იშიშვლებენ სხეულის ზედა ნაწილს, შემდგომ ჩაიცვამენ და იშიშვლებენ სხეულის ქვედა ნაწილს. ამის შემდეგ მათ ამოწმებენ სკანერის მეშვეობით. ამასთან, N11 დაწესებულებაში არასრულწლოვნებს არ ახდევინებენ საცვალს.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ სრული შემოწმების დროს, პირს არ უნდა მოეთხოვებოდეს სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლება.²⁶ ამ სტანდარტის საპირისპიროდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მთლიანად გაშიშვლების შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება ბუქნების გაკეთების მოთხოვნის პრაქტიკას, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მას არ ითვალისწინებს. ამგვარი პრაქტიკა, სახალხო დამცველის შეფასებით, პატიმრების მიმართ დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობაა.

პენიტენციური დაწესებულებების დებულებების მიხედვით, სრული შემოწმებისას ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია, უფლებამოსილი პირის მითითების შემდეგ, მთლიანად გაიხადოს ან გაიშიშვლოს სხეულის შესაბამისი ნაწილები, თუმცა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით,²⁷ აღნიშნული ნორმა განმარტებული უნდა იქნას იმგვარად, რომ „მთლიანი გახდა“ და „გაშიშვლება“ მიემართება სხეულის შესაბამის ნაწილებს და არ წარმოქმნის მსჯავრდებულის/ბრალდებულის მთლიანად გაშიშვლების ვალდებულებას.

გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებში, საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილებების შეტანით, უზრუნველყო სრული

²⁶ ევროპის საბჭო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ (2014 წლის 1-10 აპრილი, პარა. 85), ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/35cCmvq>> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024].

²⁷ ციხის ევროპული წესები. წესი 54.4. პატიმართა შემოწმების პროცესი არ უნდა იყოს დამამცირებელი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016809ee581> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024]

შემოწმებისას პატიმრის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნის და, ასევე, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას ე.წ. „ბუქნების გაკეთების“ მოთხოვნის პრაქტიკის აღმოფხვრა. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციები არ შესრულებულა.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილების შეტანით აიკრძალოს სრული შემოწმებისას პატიმრის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით, გამოავლინოს და აღმოფხვრას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას ე.წ. „ბუქნების გაკეთების“ მოთხოვნის პრაქტიკა და განახორციელოს თანმდევი რეაგირება

2.2. წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის რისკ-ფაქტორები

2.2.1. მინიმალური სტანდარტების შეუსაბამო პირობები

2.2.1.1. მატერიალური პირობები (ფიზიკური გარემო)

საანგარიშო პერიოდში დადებითად აღსანიშნავია დაბა ლაითურში 700 პატიმარზე გათვლილი ახალი N1 პენიტენციური დაწესებულების გახსნა.²⁸

2023 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები, თუმცა წლის მანძილზე პატიმართა საცხოვრებელი პირობები არსებითად არ შეცვლილა. 2023 წელს ცალკეულ პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ პრობლემური იყო საკნებში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების,²⁹ ვენტილაციის,³⁰ განათების³¹ და ყველა პატიმრისთვის პატიმრობის კოდექსით დადგენილი 4

²⁸ დაბა ლაითურში მდებარე №1 პენიტენციური დაწესებულება გაიხსნა 2023 წლის 13 ნოემბერს; აღნიშნულ დაწესებულებაში პატიმრების შესახლება 2023 წლის 21 დეკემბერს დაიწყო.

²⁹ ვიზიტის დროს N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში გავრცელებული იყო ტარაკნები და ე.წ. საწოლის ბაღლინჯოები. N2 პენიტენციურ დაწესებულებების სამართლო საკნებში კედლებიდან ჩამოშლილი იყო საღებავი და შეინიშნებოდა ნესტის კვალი. N14 პენიტენციური დაწესებულების შიდა კლასიფიკაციის საკნებსა და სველ წერტილებში კედლებიდან ჩამოშლილი იყო საღებავი და იგრძნობოდა ნესტის სუნის.

³⁰ N2, N5, N8, N14, N15 დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს, პატიმართა საცხოვრებელ საკნებში არ ფუნქციონირებდა ცენტრალური ხელოვნური სარეგულირგო სისტემა. 2023 წელს ამავე დაწესებულებების პატიმართა საცხოვრებელ საკნებში ასევე არ დამონტაჟებულა კონდიციონერები, რაც პატიმრებს ტემპერატურის დარეგულირების საშუალებას მისცემდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან მაღალმა ტემპერატურამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც გარკვეული დაავადებების ჩამოყალიბება, ასევე უკვე არსებულის გამწვავება და შესაძლოა, სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს. 2023 წლის 9 აგვისტოს აღნიშნულ საკითხზე N03-1/7879 წერილით მიმართეთ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს. აღნიშნულთან დაკავშირებით ამავე წლის 1 სექტემბერს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან N242718/01 წერილით გვეცნობა, რომ არცერთ პატიმართან დეჰიდრატაციის, გადახურების, სითბური გამოფიტვისა და სითბური დაკვრის შემთხვევები

კვ.მ. მინიმალური ფართობის³² უზრუნველყოფის საკითხი. პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურა არ იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვანთა განთავსების ადგილებში არსებული ფიზიკური გარემო არ შეესაბამებოდა მოზარდთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ვერ უზრუნველყოფდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომას. N5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებას არ ჰქონდა უწყვეტი წყალმომარაგება.³³

2023 წელს კვლავ იდგა გადატვირთულობის პრობლემა, როგორც ნახევრად ღია, ისე დახურული ტიპის ისეთ დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში, როგორიცაა N15,³⁴ N8³⁵ და N2³⁶ პენიტენციური დაწესებულებები. მითითებულ დაწესებულებებში დარღვეული იყო „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანებით დადგენილი ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების რაოდენობრივი ლიმიტი.

არ დაფიქსირებულა. ამავე პასუხის მიხედვით, პენიტენციურ დაწესებულებებში საკნების/საერთო საცხოვრებლების გაგრილება ხდებოდა, როგორც ბუნებრივი, ასევე, ხელოვნური გზით. თუმცა აღნიშნულის საპირისპიროს აჩვენებს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგები, კერძოდ მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ დაწესებულებებში პრობლემური იყო როგორც ხელოვნური ვენტილაციის ასევე ბუნებრივი განთავსების საკითხი.

³¹ N3 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში, ასევე, N8 დაწესებულებების შიდა კლასიფიკაციის და სამართლო საკნებში ბუნებრივი განთავსება არ იყო საკმარისი.

³² N2, N8 და N15 პენიტენციური დაწესებულებები.

³³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://ombudsman.ge/geo/vizitis-shemdgoni-angarishebi/sakhalkho-damtsvelis-angarishi-spetsialuri-penitentsiuri-samsakhuris-n5-kalta-spetsialuri-datsesebulebis-monitoringis-shesakheb>> [ბოლოს ნანახია: 22.01.2024].

³⁴ N15 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტია 1 388; პატიმართა რაოდენობა დადგენილ ლიმიტს 2023 წლის ყოველი თვის განმავლობაში აღემატებოდა: იანვარი +24.6% (+341), თებერვალი +23.7% (+329), მარტი +26.0% (+361), აპრილი +29.0% (+402), მაისი +32.0% (+444), ივნისი +32.7% (+454), ივლისი +36.2% (+503), აგვისტო +34.2% (+475), სექტემბერი +35.7% (+496), ოქტომბერი +32.7% (+454), ნოემბერი +32.4% (+450), დეკემბერი +30.8% (+427); ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/18/2023-tslis-angarishi-tveebis-mikhedvit>> [ბოლოს ნანახია: 09.04.2024].

³⁵ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტია 2 426; პატიმართა რაოდენობა დადგენილ ლიმიტს 2023 წლის ყოველი თვის განმავლობაში აღემატებოდა: იანვარი +10.6% (+256), თებერვალი +13.2% (+320), მარტი +12.9% (+314), აპრილი +11.4% (+277), მაისი +12.8% (+310), ივნისი +13.4% (+324), ივლისი +10.4% (+252), აგვისტო +6.8% (+164), სექტემბერი +8.3% (+202), ოქტომბერი +11.2% (+272), ნოემბერი +12.0% (+292), დეკემბერი +6.8% (+166); ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/18/2023-tslis-angarishi-tveebis-mikhedvit>> [ბოლოს ნანახია: 09.02.2024].

³⁶ N2 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტია 1 068; პატიმართა რაოდენობა დადგენილ ლიმიტს 2023 წლის ხუთი თვის განმავლობაში აღემატებოდა: იანვარი +2.0% (+21), თებერვალი +3.4% (+36), მარტი +1.3% (+14), აპრილი +2.4% (+26), ნოემბერი +2.0% (+21); ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/18/2023-tslis-angarishi-tveebis-mikhedvit>> [ბოლოს ნანახია: 09.02.2024].

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მკაცრად განსაზღვრავს ერთ პატიმარზე საცხოვრებელი ფართობის მინიმალურ სტანდარტს. ამ სტანდარტის მიხედვით, მინიმალური საცხოვრებელი ფართობი (საპირფარეშოს გამოკლებით), რომელიც პატიმარს ერთკაციან საკანში უნდა ჰქონდეს არის 6 m^2 . რაც შეეხება ორ და მეტ კაციან საკანს, აქ მინიმალური საცხოვრებელი ფართობის ნორმა თითო პატიმარზე არის 4 m^2 (საპირფარეშოს გამოკლებით). აღსანიშნავია, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ხელი შეუწყოს უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას, რომლის მიხედვითაც სასურველია, რომ ერთკაციანი საკნის საცხოვრებელი ფართობი იყოს მინიმუმ $8-9\text{ m}^2$, ხოლო ყოველ მომდევნო პატიმარზე მინიმალურ 6 m^2 საცხოვრებელ ფართს დაემატოს 4 m^2 .

სახალხო დამცველი მიესალმება ახალი „პენიტენციური კოდექსით“ ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმის გაზრდას, რითაც ის გაუთანაბრდა მსჯავრდებულთა საცხოვრებელ ფართს (არანაკლებ 4 კვ. მეტრი).

სამწუხაროდ, N17 პენიტენციურ დაწესებულებაში დღემდე არ გაუქმებულა ე.წ. „ბარაკული“ ტიპის საერთო საცხოვრებლები, სადაც შეუძლებელია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, ხოლო მსჯავრდებულთა უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი 4 კვ.მ. პირადი საცხოვრებელი ფართობით, რაც, თავისთავად, ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისითაც გამოწვევას წარმოადგენს.³⁷

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საჭიროა ზომების მიღება ნორმალიზაციის პრინციპზე დაფუძნებული ისეთი მცირე და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის მქონე პენიტენციური დაწესებულებების შესაქმნელად, სადაც უზრუნველყოფილი იქნება პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისთვის აუცილებელი გარემო. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველს მიეცეს შესაძლებლობა გაეცნოს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებამ დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგიის დოკუმენტს, რომელზეც შეეძლება საკუთარი მოსაზრებების წარდგენა.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, შეიმუშაოს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებამ დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგია და მომზადებული დოკუმენტი გაუზიაროს სახალხო დამცველის აპარატს
- N17 დაწესებულებაში გაუქმდეს ე.წ. „ბარაკის“ ტიპის საცხოვრებლები
- პენიტენციურ დაწესებულებებში, თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს, სულ მცირე, 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობით

³⁷ მსჯავრდებულთა სიმრავლისა და სათანადო განიავების შეუძლებლობის გამო, ჰაერი გაჯერებულია თამბაქოს კვამლით; ასეთ პირობებში რთულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და მაღალი ინფექციური დაავადებების გავრცელების საშიშროება.

- შეისწავლოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშის პატიმრობის პირობების თავში პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკური გარემოს კუთხით დაფიქსირებული ხარვეზები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება

2.2.1.2 კვება

პატიმართა არასრულფასოვანი კვება და დაბალი ფიზიკური აქტივობა პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.³⁸ პენიტენციურ დაწესებულებებში კვების ნორმები დადგენილია საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2019 წლის 6 მარტის N388 ერთობლივი ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს კვების ობიექტებისა და ასევე კვების ორგანიზების სანიტარიულ-ჰიგიენურ სტანდარტებსა და მოთხოვნებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის დაცვის, ასევე ინფექციური და არაინფექციური დაავადებების წარმოშობისა და გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. კვების ნორმები შემუშავებულია დაწესებულების ტიპის, პატიმრის სქესის, ასაკის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად.³⁹

პენიტენციურ დაწესებულებებში სრულწლოვანი პატიმრებისთვის გათვალისწინებულია სამჯერადი კვება. საყურადღებოა, რომ როგორც სრულწლოვან, ასევე არასრულწლოვან პატიმართა მენიუებში არ შედის თერმულად დაუმუშავებელი ხილი, რომელიც კომპოტის სახით მიეწოდებათ. ასეთი ჩანაცვლების შესაძლებლობას ზემოაღნიშნული ბრძანება იძლევა, რაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პრობლემურია. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია პატიმრებს ხილი თერმული დამუშავების გარეშე მიეწოდებოდეთ.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოფილი იქნას ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის თერმულად დაუმუშავებელი ხილის მიწოდება სახელმწიფოს ხარჯზე

სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა რეკომენდაციით საქართველოს იუსტიციის მინისტრს, არასრულწლოვანი პატიმრებისთვის უზრუნველყოთ ოთხჯერადი კვება, მათ შორის სამკომპონენტო სადილი. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის 12

³⁸ Herbert K et al. Prevalence of risk factors for noncommunicable diseases in prison populations worldwide: a systematic review. The Lancet, 2012, 379 (9830):1975–1982. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <[http://www.thelancet.com/pdfs/journals/lancet/PIIS0140-6736\(12\)60319-5.pdf](http://www.thelancet.com/pdfs/journals/lancet/PIIS0140-6736(12)60319-5.pdf)> [ბოლოს ნანახია: 30.01.2024]

³⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N388-№01-18/ნ ერთობლივი ბრძანება „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“, დანართი N23.

ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე განისაზღვრა, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან არასრულწლოვნებს მიეწოდებათ ოთხჯერადი კვება.⁴⁰

გახორციელებული ვიზიტებისას პატიმრების ნაწილი უთითებდა საკვების უხარისხობასა და ნაკლებობაზე, განსაკუთრებით კი დახურული ტიპის დაწესებულებებში. სამზარეულოში მომუშავე პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხშირად პატიმრები არ იღებენ წვნიანებს, ჩაშუშულ ბოსტნეულს და სალათებს.

პენიტენციურ დაწესებულებებში ყოველი კვების წინ სამედიცინო პერსონალი ამოწმებს საკვების ვარგისიანობას და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება საკვების დარიგება, სინჯები კი 24 საათი ინახება დაწესებულებაში. რაც შეეხება გარე მონიტორინგის მექანიზმს, სურსათის ეროვნულ სააგენტოს შეუძლია დაწესებულებაში საკვების შემოწმება მიმართვის საფუძველზე. სააგენტოდან მიღებული პასუხის⁴¹ თანახმად, 2023 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში შემოწმება არ ჩატარებულა. ამასთან, ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისთვის სურსათის ეროვნულ სააგენტოს წარმომადგენლებს ესაჭიროებათ საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანხმობა. ამის გამო კი არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სასადილოს თანამშრომლები მოემზადონ მათი ვიზიტისთვის, რაც ექვევშე აყენებს სააგენტოს დასკვნას.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს

- უზრუნველყოს სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებისთვის ნებართვის გაცემა გონივრული ვადით (მაგალითად, 6 თვით), რათა სააგენტოს წარმომადგენლებს შეეძლოთ შემოწმების ჩატარება წინასწარი შეტყობინების გარეშე

რეკომენდაცია სურსათის ეროვნულ სააგენტოს

- საკუთარი ინიციატივით, რეგულარულად, წინასწარი შეტყობინების გარეშე განახორციელოს პენიტენციური დაწესებულებების სასადილოებისა და წყლის ხარისხის შემოწმება, ხოლო შემოწმების შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის

2.2.1.3. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

დადებითი ცვლილებები

⁴⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N388-N01-18/ნ ერთობლივი ბრძანება „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და საინტარგულო-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“. მუხლი 4, ნაწ. 1.

⁴¹ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 29 იანვრის N 09/648 წერილი.

სახალხო დამცველი მიესალმება ახალ პენიტენციურ კოდექსში განხორციელებულ ცვლილებას, რომლის თანახმად, ბრალდებულებთან ჩატარდება სარეაბილიტაციო მუშაობა.⁴² ახალი პენიტენციური კოდექსის თანახმად, ყველა მსჯავრდებულს ენიჭება უმაღლესი განათლების მიღების⁴³ უფლება.

სახალხო დამცველი მიესალმება 2024 წლის პირველი იანვრიდან სამეურნეო სამუშაოებში ჩართული მსჯავრდებულების ანაზღაურების გაზრდის გადაწყვეტილებას. იმ პენიტენციურ დაწესებულებებში, რომლებშიც 1000 და მეტი მსჯავრდებულია, სამეურნეო საქმიანობაში ჩართული პატიმრების ანაზღაურება, საშუალოდ, 90%-ით იზრდება. იმ დაწესებულებებში კი, რომლებშიც 1000 პატიმარზე ნაკლებია, პატიმრების ანაზღაურება თვეში, საშუალოდ, 45%-ით იზრდება.⁴⁴ სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ხელფასის ზრდის ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება.

გასეირნების უფლება

დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში სრულწლოვანი პატიმრები 23 საათის განმავლობაში, საკანში საზრისის მოკლებული აქტივობების გარეშე იმყოფებიან. ისინი დღეში მხოლოდ ერთი საათით გადიან სასეირნოდ და ისიც საკნის ტიპის ოთახებში, რომლებიც ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია კედლით და საიდანაც გარე სივრცის დანახვა მხოლოდ გისოსებიანი ჭერიდან არის შესაძლებელი.⁴⁵ გასეირნების კანონით⁴⁶ გარანტირებული უფლებით საერთოდ ვერ სარგებლობენ ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში,⁴⁷ შიდა კლასიფიკაციის საკნებში,⁴⁸ მოთავსებული პატიმრები, რომლებიც ხშირად იქ 10-14 დღეს ატარებენ. ასევე, N2 დაწესებულებაში⁴⁹ ზემოაღნიშნულ საკნებში მყოფ პატიმრებს დღეში მხოლოდ ნახევარი საათით გასეირნების შესაძლებლობა აქვთ.

სამწუხაროა, რომ ახალ პენიტენციურ კოდექსში არ გაუთვალისწინებიათ სახალხო დამცველის წინადადება⁵⁰ პატიმრის სუფთა ჰაერზე გასეირნების მინიმალური დროის გაზრდასთან დაკავშირებით.

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

⁴² პენიტენციური კოდექსი, მუხლი 51, მეორე ნაწილი.

⁴³ პენიტენციური კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁴⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის N157 ბრძანებით დამტკიცებული მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის მე-5 მუხლი.

⁴⁵ აღნიშნულ სივრცეში მინიმალურად არის წარმოდგენილი სავარჯიშო ინვენტარი, რაც ვერ უზრუნველყოფს პატიმართა განტვირთვას და რეკრეაციას.

⁴⁶ პენიტენციური კოდექსის 94-ე მუხლის მესამე ნაწილის „ზ“ პუნქტი.

⁴⁷ N5 დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 მარტს და 1 -2 მაისს.

⁴⁸ შიდა კლასიფიკაციის საკნები მოწყობილია დაწესებულების C საცხოვრებელ კორპუსში და ფიზიკურად არ არსებობს სასეირნო სივრცე იქ მოთავსებული პატიმრების სუფთა ჰაერზე გასაყვანად.

⁴⁹ N2 დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24-27 ოქტომბერს.

⁵⁰ იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში, გვ. 101. ხელმისაწვდომია: <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf>> [ბოლოს ნანახია: 23.01.2024].

- 2024 წელს შევიდეს ცვლილება პენიტენციური კოდექსის 94-ე მუხლის მესამე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში და განისაზღვროს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველდღიურად არანაკლებ 2 საათისა იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- დაავალოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს სისტემური შემოწმების ჩატარების გზით უზრუნველყოს N2 და N5 დაწესებულებების შიდა კლასიფიკაციის საკნებში მყოფი პატიმრების გასეირნების უფლებით სარგებლობის საკითხის შესწავლა და შემოწმების შედეგების და გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობოს სახალხო დამცველს
- დახურულ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში უზრუნველყოს სასეირნო ეზოების მოწყობა მიწის დონის ზედაპირზე⁵¹ სადაც შესაძლებელი იქნება განტვირთვა და რეკრეაცია

სარეაბილიტაციო აქტივობები

პენიტენციურ დაწესებულებებში ორგანიზებული აქტივობები

ციხის მაღალი პოპულაციის, დიდი პენიტენციური დაწესებულებების, გადატვირთულობის, არასაკმარისი რაოდენობის პერსონალის და საჭირო ინფრასტრუქტურის სიმწირის პირობებში გართულებულია პატიმრებისთვის ადეკვატური სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდება. წინა წლების მსგავსად, რესოციალიზაციის აქტივობების უმეტესობა კვლავ მხოლოდ N16 დაბალი რისკის დაწესებულებაში, N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებასა და N5 ქალთა დაწესებულებაში მიმდინარეობდა. სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი არ დაფიქსირებულა.

2023 წელს წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა იმ მსჯავრდებულთა ხვედრითი წილი, რომლებიც სარეაბილიტაციო აქტივობებში იყვნენ ჩართული, 2023 წელს თვის განმავლობაში სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართულ მსჯავრდებულთა ხვედრითი წილი საშუალოდ 8%-ს შეადგენდა,⁵² 2022 წელს კი 5,3%-ს.⁵³ მიუხედავად ზრდის

⁵¹ სასეირნო ეზოების დიზაინზე და მიწის დონის ზედაპირზე მოწყობაზე საუბრობდა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი 2014 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის დროს. პარ. 75, ანგარიში ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/09000016806961f8>>[ბოლოს ნანახია: 04.01.2024].

⁵² 2023 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში თვის განმავლობაში საშუალოდ 7 857 მსჯავრდებული იყო მოთავსებული, ამასთან თვის განმავლობაში სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის საშუალო მაჩვენებელი 632-ს შეადგენდა. (2023 წელს სულ 7 580 შემთხვევაში იყვნენ მსჯავრდებულები ჩართული სარეაბილიტაციო აქტივობებში). 2023 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე. იხ. ბმული: <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/18/2023-tslis-angarishi-tveebis-mikhedvit>>[ბოლოს ნანახია: 13.02.2024].

⁵³ 2022 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში თვის განმავლობაში საშუალოდ 7 512 მსჯავრდებული იყო მოთავსებული, ამასთან თვის განმავლობაში სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის საშუალო მაჩვენებელი 396-

ტენდენციისა მსჯავრდებულთა დიდი ნაწილი კვლავ არ არის ჩართული სარეაბილიტაციო აქტივობებში. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია გაგრძელდება შემდეგ წლებშიც. სარეაბილიტაციო აქტივობების კუთხით მდგომარეობა კვლავ განსაკუთრებით მძიმე იყო დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში. წინა წლის მსგავსად, სამწუხაროდ, N2 და N8 დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნებისთვის არ ხდებოდა სპორტული აქტივობების ორგანიზება.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2024 წელს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დაინერგოს ახალი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები, ასევე გაიზარდოს რესოციალიზაციის ღონისძიებებისა და მათში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობა არანაკლებ 50%-ით
- უზრუნველყოს N2 და N8 დაწესებულებებში მოთავსებული არასრულწლოვნებისთვის რეგულარული სპორტული აქტივობების ორგანიზება

მნიშვნელოვანია, რომ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები მსჯავრდებულებს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მიეწოდებოდეთ.⁵⁴ 2023 წელს შეინიშნება იმ მსჯავრდებულთა მოცვის მაჩვენებლის ზრდა, რომელთათვისაც შედგენილი იყო სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა. 2023 წელს მსჯავრდებულთა 7.5%-ისთვის მოხდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის გაიწერა, 2022 წელს კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 4.1% იყო.⁵⁵ მიუხედავად ზრდის ტენდენციისა, საყურადღებოა, რომ მსჯავრდებულთა უმეტესობისთვის (92.5%) სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმები კვლავაც შედგენილი არ არის.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ უვადო თავისუფლებაადკვეთილ პირებთან მიმართებით ორი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იყოს გათვალისწინებული. პირველ რიგში, უნდა ჩამოყალიბდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რეჟიმი. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა საკანში მარტო მოთავსებულ პირთა მდგომარეობა,⁵⁶ რადგან

ს შეადგენდა. (2022 წელს სულ 4 750 შემთხვევაში იყვნენ მსჯავრდებულები ჩართული სარეაბილიტაციო აქტივობებში). 2022 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე. იხ. ბმული: <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/19/2022-tslis-angarishi-tveebis-mikhedvit>>[ბოლოს ნანახია: 13.02.2024].

⁵⁴ ნელსონ მანდელას წესები, წესი 4.2.

⁵⁵ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 18 იანვრის № 15182/01 წერილის თანახმად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული იყო 7630 მსჯავრდებული. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა გაწერილი ჰქონდა 312 მსჯავრდებულს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული იყო 8085 მსჯავრდებული. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა გაწერილი ჰქონდა 606 მსჯავრდებულს.

⁵⁶ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პენიტენციურ დაწესებულებებში 78 უვადო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებული იყო მოთავსებული, აქედან: 8 პირი - N1 დაწესებულებაში, 5 - N2 დაწესებულებაში, 6 - N3

მათ უკიდურესად შეზღუდული აქვთ სოციალიზაციის შესაძლებლობა. ის უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები კი, რომლებიც გათავისუფლების პროგრამაში არიან ჩართულები, ერთმანეთთან კომუნიკაციას მხოლოდ კურსის მიმდინარეობისას, კვირაში ერთხელ ან ორჯერ, თითო საათით ახერხებენ, რაც ადამიანური ინტერაქციისთვის სათანადო შესაძლებლობად ვერ ჩაითვლება. ამასთან, დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში სუფთა ჰაერზე ყოფნა მხოლოდ 1 საათით არის შესაძლებელი და არ არსებობს სათანადო სარეკრეაციო საშუალებები.⁵⁷

მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი ეხება უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა სასჯელის გადასინჯვის ვადის შემცირებას. მართალია, უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ვადა შემცირდა 15 წლამდე,⁵⁸ თუმცა არ მომხდარა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა სასჯელის გადასინჯვისთვის დაწესებული 20 წლიანი ვადის შემცირება.⁵⁹ ამ რეკომენდაციის შესრულება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მოსაზრებით, თავისუფლების აღკვეთა გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე, გამორიცხავს პატიმრის რეაბილიტაციის შესაძლებლობას. შესაბამისად, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესრულების შემთხვევაში უნდა არსებობდეს ნებისმიერი განაჩენის გონივრულად გადასინჯვის შესაძლებლობა, რაც პატიმარს უსახავს მიზანს და კარგად მოქცევის მოტივაციას უჩენს.⁶⁰

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი 78 უვადო⁶¹ თავისუფლებააღკვეთილი პირიდან 59 პირი იყო ჩართული შემთხვევის მართვის პროცესში.⁶² უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში წლის მანძილზე 50 პირი

დაწესებულებაში, 2 – N5 დაწესებულებაში, 6 - N6 დაწესებულებაში, 42 - N8 დაწესებულებაში, 6 - N15 დაწესებულებაში და 3 პირი - N17 დაწესებულებაში.

⁵⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე, Babar Ahmed and other v. The United Kingdom (Applications nos. 24027/07, 11949/08, 36742/08, 66911/09 and 67354/09), უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა რეჟიმის კონვენციის მე-3 მუხლთან შესაბამისობის დასადგენად ჩამოაყალიბა კრიტერიუმები: ინტერაქციის შესაძლებლობა სხვა პატიმრებთან და განუსაზღვრელი დროით იზოლირებულად ყოფნის დაუშვებლობა, სუფთა ჰაერზე გასვლის ხანგრძლივობა და სარეკრეაციო შესაძლებლობები. პუნქტები 205-213 და 218-224. ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3G0c24n>> [ბოლოს ნანახია: 09.01.2024].

⁵⁸ საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის №556 ბრძანებულება შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ.

⁵⁹ სისხლის სამართლის კოდექსის 72¹ მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁶⁰ ევროპის საბჭო წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მდგომარეობა, ამონარიდი 25-ე საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf (2016) 10], 2016 წლის აპრილი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://rm.coe.int/16809534f2>> [ბოლოს ნანახია: 14.02.2024].

⁶¹ დამატებით, 3 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული გადაყვანილია ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში.

⁶² ყველა მათგანის მიმართ შემუშავდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა.

მონაწილეობდა.⁶³ სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ უვადო თავისუფლებადკვეთილი პირების აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა აისახება დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე.⁶⁴

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და უვადო თავისუფლებადკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა შემცირდეს რამდენიმე წლით

განათლების უფლების რეალიზება

N11 (არასრულწლოვანთა) პენიტენციურ დაწესებულებაში, N2 და N8 დაწესებულებების არასრულწლოვანთა განყოფილებებში მყოფ არასრულწლოვნებს წლის მანძილზე ჰქონდათ ზოგადი განათლების პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. თუმცა სახალხო დამცველის რეკომენდაციის⁶⁵ მიუხედავად, N2 და N8 დაწესებულებების არასრულწლოვანთა განყოფილებებში სასწავლო ჯგუფების შედგენა კვლავ ხდება არა ბავშვების ასაკისა და საგანმანათლებლო საჭიროების, არამედ მხოლოდ საკნების მიხედვით. სხვადასხვა ასაკის და საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა ართულებს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. განსხვავებული მდგომარეობაა N11 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვნები საგაკვეთილო პროცესში მათი ასაკის, აკადემიური საფეხურის შესაბამისად ერთვებიან.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N2 და N8 დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნებისთვის სასწავლო ჯგუფების შედგენა მოხდეს ბავშვების ასაკისა და საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით

წინა წლის მსგავსად, გამოწვევებია დაწესებულებების ადმინისტრაციის სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან თანამშრომლობის კუთხითაც, ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშობელი უარს ამბობს ბავშვის

⁶³ პროგრამა დაასრულა 34 მსჯავრდებულმა, 2023 წლის ბოლოს ჩართული იყო 11 უვადო თავისუფლებადკვეთილი პირი, მონაწილეობაზე უარი განაცხადა ერთმა მსჯავრდებულმა, ხოლო 4 მსჯავრდებული გათავისუფლდა.

⁶⁴ პროგრამის მიზანია უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების სასჯელის შემდგომი მოხდისგან პირობით გათავისუფლების, აგრეთვე უვადო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლისთვის, შემთხვევის მართვის ფარგლებში, მსჯავრდებულთა ჩართულობა ისეთ ღონისძიებებში (ინტერვენციებში), რომლებიც ხელს შეუწყობს მათ რეაბილიტაციას და რესოციალიზაცია-რეინტეგრაციისთვის მზადებას.

⁶⁵ იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში, გვ. 101. ხელმისაწვდომია: <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf>> [ბოლოს ნანახია: 23.01.2024].

განათლებაზე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკმა იმუშაოს მშობელთან, ბავშვის განათლების უფლებისა თუ სხვა საკითხებზე.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N8 დაწესებულების ადმინისტრაციამ აქტიურად ითანამშრომლოს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშობელი უარს ამბობს ბავშვის განათლებაზე, რათა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკმა იმუშაოს მშობელთან, ბავშვის განათლების უფლებისა თუ სხვა საკითხებზე

N11 (არასრულწლოვანთა) პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვნებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ პროფესიული⁶⁶ და უმაღლესი განათლების მიღების პროცესში, თუმცა სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას მოკლებული იყვნენ N2 და N8 დაწესებულებების არასრულწლოვანთა განყოფილებებში მოთავსებული არასრულწლოვნები.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N2 და N8 დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვნებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა

სახალხო დამცველი მიესალმება 2022 წელს N16 დაწესებულებაში ციფრული სწავლების დანერგვას.⁶⁷ 2024 წლის ბოლომდე სპეციალური პენიტენციური სამსახური გეგმავს ციფრული სწავლების ფორმის დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებას N1, N2, N5 და N10 პენიტენციურ დაწესებულებებში.⁶⁸ სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ციფრული უნივერსიტეტი თანდათანობით ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დაინერგება.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს ციფრული უნივერსიტეტის დანერგვა, სულ მცირე, N1, N2, N5 და N10 პენიტენციურ დაწესებულებებში

სარეაბილიტაციო აქტივობების ხელის შეშლელი ფაქტორები

პენიტენციურ სისტემაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საკმარისი რაოდენობის პერსონალის დასაქმება, ადეკვატური ანაზღაურება და სათანადო სივრცეებით

⁶⁶ წარმოდგენილი პროფესიული განათლება არ შედიოდა არასრულწლოვანთა ინტერესებში.

⁶⁷ ციფრული სწავლება მსჯავრდებულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, დისტანციურად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში, დაესწრონ ონლაინ ლექციებს და ინტერაქტიული კომუნიკაცია ჰქონდეთ ლექტორებთან. 2023 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ციფრულ სწავლებაში 10 მსჯავრდებული იყო ჩართული.

⁶⁸ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის N364340/01 წერილი.

უზრუნველყოფა, რაც საბოლოო ჯამში ხელს უშლის მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო სერვისების მიღებას.

მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა, 2023 წლის მანძილზე განხორციელებული მონიტორინგების ვიზიტებისას აშკარა იყო სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების სიმცირე, რასაც არც პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლები უარყოფდნენ. ასე, მაგალითად: N15 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დროს⁶⁹ დადგინდა, რომ დაწესებულებაში დასაქმებულია: 2 სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი), 7 შემთხვევის ადმინისტრატორი და 2 ფსიქოლოგი. ამავე დაწესებულებაში 2019 წლიდან ვაკანტურია სოციალური მუშაკის (შემთხვევის მმართველი) 3 და 2022 წლიდან ფსიქოლოგის - 1 თანამდებობა. N5 (ქალთა) პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტების დროს⁷⁰ დადგინდა, რომ დაწესებულებაში დასაქმებულია 4 ფსიქოლოგი, 4 სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი) და 5 შემთხვევის ადმინისტრატორი. პერსონალის განმარტებით, 1 სოციალური მუშაკის და 1 ფსიქოლოგის თანამდებობა ვაკანტურია.

აღსანიშნავია, რომ რიგ პენიტენციურ დაწესებულებებში მომუშავე სოციალურ მუშაკებს და ფსიქოლოგებს არ აქვთ საკმარისი რაოდენობის, სათანადოდ მოწყობილი სივრცეები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პატიმრებთან მშვიდ, თერაპიულ გარემოში მუშაობა.⁷¹

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2024 წელს არანაკლებ ორჯერ გაიზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა.
- უზრუნველყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით მომუშავე პერსონალის სამუშაო პირობების შესწავლა და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით მიიღოს ზომები აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

სარეაბილიტაციო აქტივობებში პატიმართა ჩართულობის მნიშვნელოვანი ხელის შეშლელი ფაქტორებია პატიმართა არაფორმალური იერარქია და მოტივაციის არარსებობა. არაფორმალური წესების გამო სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვაზე უარის მიზეზი სხვა პატიმრების გავლენის ქვეშ მოქცევაა, ვინაიდან ასეთ აქტივობებში მონაწილეობა გარკვეული

⁶⁹ 2023 წლის 10 ოქტომბერი.

⁷⁰ 2023 წლის 24 მარტი და 1-2 მაისი.

⁷¹ ასე მაგალითად: N3 პენიტენციურ დაწესებულებაში ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან შეხვედრისთვის მხოლოდ 1 ოთახია გამოყოფილი, რის გამოც, პატიმრების განცხადებით, ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი ცდილობს მალე დაასრულოს შეხვედრები, რათა მოასწროს სხვა პატიმრებთან შეხვედრა. N5 (ქალთა) პენიტენციური დაწესებულების B საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები მსჯავრდებულებისათვის სარეაბილიტაციო აქტივობების ჩასატარებლად სივრცეები არ არის მოწყობილი. ანალოგიურად, სარეაბილიტაციო აქტივობებში ვერ ერთვებიან მსჯავრდებულები, რომლებიც ამავე დაწესებულების დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში არიან განთავსებული.

ჯგუფის პატიმრებისთვის მიუღებელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ასეთი მსჯავრდებულების გამოვლენა, მათი რისკებისა და საჭიროებების შეფასება და მათთან ინდივიდუალური მუშაობა. მნიშვნელოვანია, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კუთხით მომუშავე თანამშრომლებმა აქტიურად იმუშაონ პატიმრების წასახალისებლად, რათა მათ გაუჩნდეთ სხვადასხვა აქტივობაში ჩართვის მოტივაცია.

სასჯელის მოხდის ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმების, არასაპატიმრო სასჯელების და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების აქტიურად გამოყენების პარალელურად, საუკეთესო მოტივატორი მსჯავრდებულებისთვის იქნება ისეთი აქტივობების შეთავაზება, რომლებიც უშუალოდ აისახება დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მექანიზმი⁷² აქტიურად გამოიყენებოდეს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული მსჯავრდებულების მიმართ, რათა, ერთი მხრივ, დაფასდეს მათი ძალისხმევა/შრომა და მეორე მხრივ, ასეთმა მიდგომამ შექმნას მყარი მოტივაცია იმ მსჯავრდებულებისთვის, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, ციხეში არსებული არაფორმალური იერარქიის გავლენით, უჭირთ სამეურნეო სამსახურში ჩართვის გადაწყვეტილების მიღება.⁷³

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- მსჯავრდებულების სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად, შეიქმნას და დაინერგოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უშუალო გავლენას მოახდენს დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე

ქართული ენის არმცოდნე პატიმრები ენის ბარიერის გამო კვლავ ვერ ერთვებიან სარეაბილიტაციო აქტივობებში,⁷⁴ ხოლო რაც შეეხება ქართული ენის სწავლებას, 2023 წლის მანძილზე მხოლოდ 10 მსჯავრდებულმა გაიარა ქართული ენის შემსწავლელი კურსი.⁷⁵ სახალხო დამცველის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, 2024 წელს აღირიცხოს ყველა ის პატიმარი, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას და ყველა მათგანს შეეთავაზოს ქართული ენის შესწავლა. ამასთან, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას მათი ჩართვა ისეთ აქტივობებში, სადაც ქართული ენის არცოდნა არ ქმნის არსებით ბარიერს მონაწილეობისთვის (მაგალითად, ხეზე კვეთა, მერწვა, თიხაზე მუშაობა, სპორტული აქტივობები და სხვა). გარდა ამისა, მიზანშეწონილია განხილულ იქნას შესაბამისი

⁷² სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ 2017 წელს გაჟღერებული ინიციატივის თანახმად, სამინისტრო 2018 წელს დაიწყო მუშაობა ახალი მექანიზმის შემოღებაზე, რომლის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებულ მსჯავრდებულს, სამუშაო დღეების შესაბამისად, მოსახდელი სასჯელის ვადა შეუმცირებოდა.

⁷³ იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში; ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf>> [ბოლოს ნანახია: 08.01.2024].

⁷⁴ სარეაბილიტაციო აქტივობები ქართულ ენაზე ტარდება.

⁷⁵ N8 დაწესებულება - 4 მსჯავრდებული; N16 დაწესებულება - 6 მსჯავრდებული.

ჯგუფებისთვის უცხო ენაზე აქტივობის ჩატარების ან თარგმანის უზრუნველყოფის საკითხი.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს :

- უცხოენოვანი მსჯავრდებულების სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის მიზნით უზრუნველყოს 2024 წელს ყველა იმ პატიმრის აღრიცხვა, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას და ყველა მათგანს შეეთავაზოს ქართული ენის შესწავლა. ამასთან, უზრუნველყოფილ იქნას მათი ჩართვა ისეთ აქტივობებში, სადაც ქართული ენის არცოდნა არ ქმნის არსებით ბარიერს მონაწილეობისთვის. გარდა ამისა, მიზანშეწონილია განხილულ იქნას შესაბამისი ჯგუფებისთვის უცხო ენაზე აქტივობის ჩატარების ან თარგმანის უზრუნველყოფის საკითხი.

2.2.2. გამოწვევები პენიტენციური ჯანდაცვის კუთხით

2.2.2.1. პენიტენციური ჯანდაცვა

წინა წლების მსგავსად პენიტენციური ჯანდაცვის კუთხით კვლავ პრობლემად რჩებოდა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, სამედიცინო პერსონალის რაოდენობა⁷⁶ და კვალიფიკაცია, სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადო წარმოება, სამედიცინო კონფიდენციალურობის დაცვა,⁷⁷ სამედიცინო რეფერალის დროული განხორციელება, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და პრევენციული ჯანდაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა.

სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და ხელმისაწვდომობა

დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე გავლენას ახდენს სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა⁷⁸ და გადატვირთულობა. დახურული ტიპის დაწესებულებებში დაწესებულების თანამშრომლის მიერ პატიმრის ექიმთან მიყვანის პრაქტიკა და ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში არსებული რიგები ზრდის მოცდის დროს და გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების დროულობაზე. სამედიცინო პერსონალი არსებული დიდი მოთხოვნის გამო ძლიერ დატვირთულია, განსაკუთრებული დატვირთვა კი მორიგე პერსონალზე მოდის. ექთნების რაოდენობის გაზრდისა და არსებული

⁷⁶ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) 2007 წელს საბერძნეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში უთითებს, რომ ერთ ექიმზე - 300, ხოლო ერთ ექთანზე 50 პატიმარზე მეტი არ უნდა მოდიოდეს. საქართველოში, დიდ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებისა და ექთნების რაოდენობის თანაფარდობა მაღალია და შესაბამისად, საჭიროა საშუალო სამედიცინო პერსონალის დამატება.

⁷⁷ განხორციელებული ვიზიტების დროს, პატიმრები კვლავ მიუთითებდნენ ექიმთან შეხვედრის დროს დაწესებულების არასამედიცინო თანამშრომლის დასწრების პრობლემაზე.

⁷⁸ N2 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც თვის განმავლობაში საშუალოდ 1055 პატიმარია და N15 პენიტენციურ დაწესებულებაში თვის განმავლობაში საშუალოდ 1816 მსჯავრდებულია მოთავსებული, თითოეულში არასამუშაო დროსა და ღამის საათებში მორიგეობს 1 მორიგე ექიმი და 2 მორიგე ექთან.

ვაკანტური⁷⁹ ადგილების უმოკლეს ვადებში შევსების რეკომენდაცია კი არ შესრულებულა. ასევე არ შესრულებულა რეკომენდაცია N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დამხმარე პერსონალის გაზრდის თაობაზე.⁸⁰

წინა წლების მსგავსად პრობლემები იკვეთება უწყვეტი სამედიცინო განათლების სფეროში. ექიმების პოსტდიპლომურ განათლებაში ქვეყანაში არსებული სისტემური ხარვეზები თავს იჩენს პენიტენციურ სისტემაშიც. სამედიცინო პერსონალისთვის ჩატარებული და ხელმისაწვდომი ტრენინგები, უმრავლეს შემთხვევაში, პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის საკითხებს შეეხება,⁸¹ რაც, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, მაგრამ ექიმებისთვის და შესაბამისად, პაციენტებისათვის, არანაკლებ მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალის მაღალი პროფესიული დონე და კვალიფიკაცია უშუალოდ მათსავე დარგში და დაავადებების მართვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს

- პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული ექთნების რაოდენობა კალენდარული წლის ბოლომდე გაიზარდოს მინიმუმ ორჯერ
- უმოკლეს ვადებში შეივსოს სამედიცინო ნაწილში არსებული ვაკანტური ადგილები
- უზრუნველყოს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დამხმარე პერსონალის რაოდენობის გაზრდა მინიმუმ ორჯერ
- 2024 წელს, პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 20%

სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა

დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიღებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების დაყოვნების გარეშე ჩატარებას. ექიმ-სპეციალისტთა აღრიცხვის ჟურნალების შემოწმებით დადგინდა, რომ ადგილი აქვს დაგვიანებულ კონსულტაციებს.⁸² აღნიშნული ჟურნალებში, რიგ შემთხვევებში, არ ჩანს

⁷⁹ N2 პენიტენციურ დაწესებულებაში ჰქონდათ 1 დღის ექიმის, 1 მორიგე ექიმის, ფსიქიატრისა და სტომატოლოგის ვაკანსიები, N3 დაწესებულებაში 1 დღის ექიმის ვაკანსია, N14 დაწესებულებაში 2 დღის ექიმის ვაკანსია, N15 დაწესებულებაში კი 1 დღის ექიმის ვაკანსია.

⁸⁰ 2022 წელს N18 დაწესებულებაში დასაქმებული იყო 2 მამაკაცი და 4 ქალი დამხმარე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული 2024 წლის 5 თებერვლის N33137/01 პასუხის თანახმად, 2023 წელს N18 დაწესებულებაში დასაქმებული იყო 6 დამხმარე პერსონალი.

⁸¹ სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული 2024 წლის 5 თებერვლის N33137/01 პასუხის თანახმად, 2023 წელს პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები: პირველად ბრალდებული პატიმრების ციხის ცხოვრებასთან ადაპტაციის ხელშეწყობა, სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების პრევენციისა და კონტროლის საფუძვლები, კრიზისული სიტუაციების მართვა პენიტენციურ დაწესებულებებში (დეესკალაცია), სუიციდის პრევენცია პენიტენციურ დაწესებულებებში, ტრენინგები ასევე ჩატარდა არასრულწლოვნებთან და გენდერულად სპეციფიურ საკითხებთან დაკავშირებით.

⁸² არის შემთხვევები, როდესაც პატიმარს 1 თვე ან მეტი უწევს კონსულტაციის ლოდინი.

პაციენტის კონსულტაციაზე ჩაწერისა და კონსულტაციის ჩატარების თარიღები, რაც ართულებს დადგინდეს პაციენტის მოცდის ზუსტი დრო.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების სიხშირე იმგვარად, რომ პაციენტთა მოლოდინის დრო არ აღემატებოდეს 2 კვირას

დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების რგოლში მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორის კლინიკაში დროულად რეფერირება, რათა არ მოხდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმება. სამწუხაროდ, 2023 წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა სამედიცინო რეფერალის დროული განხორციელება, დარღვეული იყო სამედიცინო რეფერალის ვადები.⁸³ აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემური იყო აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტებისთვის. დარღვეული იყო, როგორც გეგმიური ამბულატორიული, ასევე სტაციონარული მომსახურების ვადები, საყურადღებოა სასწრაფო დაყოვნებული წესით გადაყვანის შემთხვევები, რასაც, რიგ შემთხვევებში, 1 თვე ან მეტი სჭირდებოდა.⁸⁴ დასავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციური დაწესებულებებიდან 2023 წლის ბოლოს რეფერირება ხდებოდა კლინიკა „ვივა მედ“-ში, რომელიც თბილისში მდებარეობს. დასავლეთ საქართველოში არსებულ კლინიკებში მხოლოდ კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩასატარებლად გაჰყავდათ, თუმცა პერსონალის განმარტებით, ქუთაისის სამედიცინო ცენტრსა და კლინიკა „ვიანში“ აღნიშნული აპარატი მწყობრიდან იყო გამოსული და ამ მომსახურებისთვისაც თბილისში ახდენდნენ რეფერირებას, შესაბამისად იყო დაყოვნებები.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს გეგმიური სამედიცინო რეფერალის განხორციელება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის N381 ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში

⁸³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის N381 ბრძანებით დამტკიცებული პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტები, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტები, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტი და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხა, მუხლი 8. ნაწილი 4. „ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოლოდინის პერიოდი გეგმურ მომსახურებაზე, სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე განისაზღვრება გონივრული ვადით, რაც გეგმურ სტაციონარულ მომსახურებაზე არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს, ხოლო გეგმურ ამბულატორიულ მომსახურებაზე – 1 თვეს.“

⁸⁴ მაგალითად, ერთ-ერთი პაციენტი ამბულატორიულად დარეგისტრირებული იყო ერთიან ელექტრონულ ბაზაში 2022 წლის სექტემბერში ტრანსეზოფაგური ექოკარდიოსკოპიის ჩატარების მიზნით და 2023 წლის ოქტომბრის თვეში ჯერ გაყვანილი არ იყო. ასევე ერთ-ერთი პაციენტი ამბულატორიულად დარეგისტრირებული იყო ონკო-უროლოგიის კონსულტაციაზე 2023 წლის მარტში, 2023 წლის ოქტომბერში ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი. ერთ-ერთი პაციენტი 2023 წლის თებერვლის თვეში სტაციონარულად დარეგისტრირებული იყო კისრის არეში უცნობი წარმონაქმნის ამოკვეთის მიზნით, სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა 2023 წლის ოქტომბრის თვეში.

პრევენციული ჯანდაცვის კუთხით მნიშვნელოვანია შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებისთვის სათანადო სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის დასაწყისში N5 დაწესებულებაში პატიმართა ნაწილს ჩაუტარდა მკერდის კიბოს სკრინინგი და იგეგმებოდა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ჩატარებაც. დაავადებათა დროული გამოვლენისა და მკურნალობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ტარდებოდეს სკრინინგული გამოკვლევები.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფებისთვის სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება

რაც შეეხება რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, მასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრები და რაიმე სახის აქტივობები არ ტარდება. ორსულობის დადგენის შემდეგ, ხდება პატიმრების აღრიცხვაზე აყვანა და სათანადო კონსულტაციების ორგანიზება სამოქალაქო სექტორის კლინიკაში. ადგილზე კი მეთვალყურეობას უწევენ და მედიკამენტებით უზრუნველყოფენ. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში პატიმარმა თავად უნდა მოიძიოს კლინიკა და გადაიხადოს ყველა ხარჯი, დაწესებულება მხოლოდ მის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოფილი იქნას საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ჯანდაცვის სერვისებზე, პრევენციული ჯანდაცვის საკითხებსა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, ასევე უზრუნველყოფილი იქნას შესაბამის სერვისების დროული მიწოდება

კონფიდენციალურობა და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება

ექიმისა და პაციენტის შეხვედრის კონფიდენციალურობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. დახურული ტიპის დაწესებულებებში პაციენტის ექიმთან ვიზიტის დროს დაწესებულების თანამშრომელი ან ექიმის კაბინეტში იმყოფება ან კართან დგას და აკვირდება პროცესს.⁸⁵ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში კი პირველადი ჯანდაცვის ოთახებში დამონტაჟებული ვიდეო მეთვალყურეობის სისტემითაც მიმდინარეობს დაკვირვება. რაც შეეხება ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებს აქ ექიმის კაბინეტში შესაძლოა რამდენიმე პაციენტი ერთდროულად იმყოფებოდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს, თუმცა რეკომენდაცია არ შესრულებულა.

⁸⁵ ასეთ დროს დაწესებულების თანამშრომელს საუბრის მოსმენაც შეუძლია და სამედიცინო მანიპულაციაზე დაკვირვებაც.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- შევიდეს ცვლილება პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში და განისაზღვროს, რომ სამედიცინო პერსონალის პატიმრებთან შეხვედრისას მესამე პირის დასწრება დასაშვებია იცოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ექიმი, თავისი ან პაციენტის უსაფრთხოების რეალური და იმპუთიერი რისკებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს დაწესებულების მოსამსახურის დასწრებას, რაც აუცილებლად უნდა დასაბუთდეს წერილობით (მოსალოდნელი საფრთხეები დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დოკუმენტაციაში); ასეთ საგამონაკლისო შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურება უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პირების მიერ საუბრის მოსმენის გარეშე, მათ მიერ გონივრული დისტანციის დაცვით

სამედიცინო დოკუმენტაციის კონფიდენციალურად შენახვის პრობლემა არ გამოვლენილა, თუმცა პრობლემებია სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების კუთხით.⁸⁶ რიგ შემთხვევებში სამედიცინო ბარათები არათანმიმდევრულია და მკურნალობის შედეგების შესახებ ინფორმაცია არ არის, რაც ართულებს მკურნალობის ადეკვატურობის შეფასებას, ასევე გართულებულია წლების განმავლობაში პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილების ობიექტურად შეფასება. პრევენციის ეროვნული მექანიზმი არაერთ ანგარიშში აღნიშნავს ელექტრონული საინფორმაციო სისტემის დანერგვის მნიშვნელობას, რაც ხელს შეუწყობს დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას და უზრუნველყოფს პაციენტთა გამოკვლევის, მკურნალობის და შემდგომი ანალიზისთვის სარწმუნო და სრულყოფილი სამედიცინო ინფორმაციის შეგროვებას, ოპერატიულ გაცვლას და ხელმისაწვდომობას. მნიშვნელოვანია, რომ პატიმართა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია შეტანილ იქნას ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ინფორმაციის სისტემატიზებას. სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, EHR მოდულის დანერგვისა და სისტემატიზაციის მიზნით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები/ტექნიკური სამუშაოები.⁸⁷

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზირებისთვის:
 - პენიტენციურ სისტემაში დაინერგოს ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემა

⁸⁶ ბარათებში არ არის კურსუსები (სამედიცინო ჩანაწერები), იქ კი, სადაც ჩანაწერებია, არ არის მითითებული დანიშნულებები, დიაგნოზები და მკურნალობის შედეგები.

⁸⁷ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული 2024 წლის 5 თებერვლის N33137/01 პასუხი.

- სამედიცინო პერსონალს, პენიტენციური სისტემის შესაბამისი დებულებებით, დაევალოს პაციენტების შესახებ ინფორმაცია ასახოს ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მართვა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემისთვის. ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მისაღებად მნიშვნელოვანია ფსიქიატრთან დროული რეფერირება, რაც კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებისას პირველადი სკრინინგი ერთჯერადად, სამედიცინო ბარათში ინტეგრირებული ინსტრუმენტით⁸⁸ ხდება. დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში კი ფსიქიატრთან გადამისამართებას ოჯახის ექიმი ან მორიგე ექიმი ახდენს. მხოლოდ დაწესებულებაში მოთავსებისას ერთჯერადი სკრინინგის ჩატარება არასაკმარისია, რადგან პიროვნებისთვის თავისუფლების აღკვეთა თავისთავად არის მასიური ფსიქოტრავმა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლენას ან მის დეკომპენსაციას. ოჯახის ექიმებს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ობიექტურად შესაფასებლად ინსტრუმენტი არ გააჩნიათ და მხოლოდ მწვავე, მკაფიოდ გამოხატული სიმპტომების შემთხვევაში ახდენენ პაციენტის ფსიქიატრთან რეფერირებას. პრევენციის ეროვნული მექანიზმის გასული წლების ანგარიშებში ხაზგასმულია ადრეული დიაგნოსტიკისა და პრევენციული მიდგომის მნიშვნელობა, რომელიც აქტუალურია დაავადებების მართვასა და პროფილაქტიკაში და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პენიტენციურ სისტემაში პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის დროს. შესაბამისად, სახალხო დამცველის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ოჯახის ექიმების მიერ ობიექტურად შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტის დანერგვის აუცილებლობაზე, თუმცა აღიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს

- პენიტენციურ დაწესებულებებში შემუშავდეს და დაინერგოს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი.

წინა წლების მსგავსად პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციით და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება, ფსიქიატრიული დახმარება კი არ ატარებს ბიო-ფსიო-სოციალურ ხასიათს. პაციენტებთან არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა. სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს რეკომენდაციით, რათა ნორმატიულ დონეზე

⁸⁸ ინსტრუმენტი მოიცავს კითხვებს ფსიქიატრიული ისტორიის, სუიციდის, სტრესის, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების, ტრამული გამოცდილების და ფსიქიატრის ან სხვა სპეციალისტების კონსულტირების საჭიროების შესახებ.

გაწერილიყო ფსიქიატრიული დახმარების საფუძვლები, სადაც მულტიდისციპლინური გუნდის თითოეული წევრის ფუნქცია და მოვალეობები დეტალურად იქნებოდა გაწერილი, თუმცა ეს რეკომენდაციაც არ შესრულებულა.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს

- პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიულ დონეზე გაიწეროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა; ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის ვალდებულება:
 - შეაფასოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც არ ესაჭიროებათ სტაციონარული მკურნალობა
 - შეაფასოს შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაონ ბიოფსიქო-სოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიონ შესაბამისი დახმარება

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა გარკვეული ნაწილი იღებს სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა უმრავლესობა პენიტენციურ დაწესებულებებში რჩება. ის პატიმრები, რომლებიც ფსიქიატრიულ სტაციონარში იღებდნენ ფსიქიატრიულ დახმარებას, გამწვავების პერიოდის დაძლევისა და მდგომარეობის დასტაბილურების შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებებს უბრუნდებიან, სადაც არ არის მხარდამჭერი სერვისები და კეთილსაიმედო გარემო, რის გამოც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამწვავების რისკი კვლავ მნიშვნელოვნად იზრდება. ხშირ შემთხვევაში ჭიანურდება ბრალდებულთათვის სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება, რაც დაკავშირებულია ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გადატვირთულობასთან.⁸⁹ აქედან გამომდინარე ბრალდებული თვეების განმავლობაში შეიძლება იმყოფებოდეს პენიტენციურ დაწესებულებაში მაშინ როდესაც იგი საჭიროებს ფსიქიატრიულ სტაციონარში მკურნალობას. რაც შეეხება მსჯავრდებულებისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას, მსჯავრდებულისთვის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის აუცილებლობის შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი მიმართავს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“, ამბულატორიული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით. სტაციონარული

⁸⁹ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული 2024 წლის 5 თებერვლის N33137/01 პასუხის თანახმად, 2023 წელს ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გადაყვანილ იქნა 815 ბრალდებული/მსჯავრდებული. ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე, გადაყვანას ელოდა 37 ბრალდებული/მსჯავრდებული.

ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნა 2023 წელს არ ჰქონიათ.⁹⁰ 2023 წელს აქტიურად გამოიყენებოდა პატიმართა ფსიქიატრიულ სტაციონარში ნებაყოფლობით მოთავსების პრაქტიკა. N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში განხორციელდა 167 რეფერალი, ხოლო ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში - 134, ყველა შემთხვევაში პაციენტთა სტაციონარში მოთავსება ნებაყოფლობით მოხდა.⁹¹

პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის უნარებს არ ფლობენ. ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში კრიზისული შემთხვევის დადგომის შემთხვევაში პაციენტი სასწრაფო წესით გადაჰყავთ N18 დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში. რაც შეეხება დახურულ დაწესებულებებს, ამ შემთხვევაში კვლავ აქტიურად გამოიყენება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტების დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა. სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, ფსიქიატრიული დახმარების გარეშე დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივად მოთავსება წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და ეს პრაქტიკა დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. საყურადღებოა, რომ 2023 წელს პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალს კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხებში გადამზადება არ ჩატარებიათ.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს

- **2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების პერსონალის არანაკლებ 50% გადამზადდეს ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხებში**

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება მხოლოდ მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება. სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ ხშირად ბენზოდიაზეპინის ჯგუფის მედიკამენტები ინიშნება ხანგრძლივად. აღნიშნული მედიკამენტების ხანგრძლივი მიღება იწვევს დამოკიდებულებას და ახასიათებს გვერდითი მოვლენები. პაციენტების ამბულატორიულ სამედიცინო ბარათებში ფსიქიატრის კონსულტაციებს შორის პაციენტის ფსიქიკურ მდგომარეობაზე ჩანაწერი არ არის, ასევე არ არის ინფორმაცია ფსიქოტროპული მედიკამენტებით გამოწვეული გვერდითი ეფექტების შესახებ. გარდა ამისა საყურადღებოა მედიკამენტ „ზოპინის“ (აქტიური ნივთიერება „კლოზაპინი“) გამოყენება, როგორც სხვა ანტიფსიქოზურ და განსხვავებული ჯგუფის ფსიქოტროპულ მედიკამენტებთან ერთად, ასევე მონოთერაპიის სახით.⁹² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის ანგარიშში⁹³ ხაზს

⁹⁰ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული 2024 წლის 5 თებერვლის N33137/01 პასუხი.

⁹¹ იქვე.

⁹² „კლოზაპინით“ მონოთერაპიის დროს ან სხვა ფსიქოტროპულ მედიკამენტებთან კომბინირებული მკურნალობისას, შეიძლება განვითარდეს ორთოსტატიული ჰიპოტენზია, ბრადიკარდია, სინკოპე და გულის

უსვამს „კლოზაპინის“ დანიშვნის დროს სისხლის ანალიზის რეგულარულად ჩატარების აუცილებლობას. მართალია ზოგიერთ შემთხვევაში ფსიქიატრი გასცემს რეკომენდაციას განსაკუთრებული მეთვალყურეობის შესახებ, თუმცა ეს უმეტესად ვიზუალურ მეთვალყურეობას შეეხება და არა ფიზიკური ჯანმრთელობის მონიტორინგს. პაციენტები, რომლებიც ხანგრძლივად იღებენ ანტიფსიქოზურ მედიკამენტებს, უნდა გადიოდნენ ფიზიკური ჯანმრთელობის რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას.⁹⁴ შიზოფრენიის მართვის ეროვნულ გაიდლაინში⁹⁵ ხაზგასმულია ანტიფსიქოზური მედიკამენტების მონიტორინგის მნიშვნელობა სომატური პრობლემების ადრეული გამოვლენის, სიმძიმის შეფასების და ანტიფსიქოზური მკურნალობის სტრატეგიის სწორი შერჩევისთვის.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს

- უზრუნველყოს აგრანულოციტოზის,⁹⁶ ნივთიერებათა ცვლის პროცესების და განსაკუთრებით ჰიპერგლიკემიის⁹⁷ განვითარების რისკის კლინიკურლაბორატორიული დინამიკური შეფასება, ასევე ლეიკოციტების⁹⁸ კონტროლი მედიკამენტების გვერდითი მოვლენების მართვის მიზნით, ასევე უზრუნველყონ, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ფსიქოტროპული მედიკამენტები, მუდმივად უტარდებოდეთ ფიზიკური ჯანმრთელობის შემოწმება

2.2.2.2. არასათანადო მოპყრობის გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზები

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ წამების და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დროული და მიუკერძოებელი გამოძიება.⁹⁹ ამისთვის, სახელმწიფო ვალდებულია დანერგოს ძალადობის შემთხვევების გამოვლენის ქმედითი

გაჩერება, ასევე შესაძლებელია განვითარდეს ფატალური მიოკარდიტი და კარდიომიოპათია. იხ. ბმული < <https://www.drugs.com/sfx/clozapine-side-effects.html> > [ბოლოს ნანახია:06.02.2024].

⁹³ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი 2018 წლის 10-21 სექტემბერს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში. იხ. ბმული: <<https://rm.coe.int/1680945eca>> [ბოლოს ნანახია 06.02.2024].

⁹⁴ შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი), თავი 4.2.

⁹⁵ შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში - კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაცია (გაიდლაინი), თავი 4.7.

⁹⁶ სისხლში ლეიკოციტების (სისხლის თეთრი უჯრედები) რიცხვის შემცირება.

⁹⁷ სისხლში შაქრის მაღალი დონე.

⁹⁸ სისხლის თეთრი უჯრედები.

⁹⁹ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენცია, მუხლი 12.

მექანიზმი, რათა დაუსჯელი არ დარჩეს ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის ფაქტები.¹⁰⁰

წინა წლების მსგავსად, სავარაუდო ძალადობის ფაქტების გამოვლენის და დოკუმენტირების ხარვეზიან პრაქტიკას ძირითადად განაპირობებდა სამედიცინო შემოწმებაზე პატიმრის თანხმობის მიღების ვალდებულება, არაფორმალური იერარქიის გავლენა, ექიმების პატიმართან არაკონფიდენციალურ გარემოში შეხვედრის პრაქტიკა, ექიმების მიერ ძალადობის შემთხვევების არასათანადო დოკუმენტირების პრაქტიკა, სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობის და მათ მიმართ პატიმრების ნდობის დაბალი ხარისხი.

ინფორმირებული თანხმობა

წინა წლების მსგავსად, 2023 წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა წესი,¹⁰¹ რომლის თანახმადაც, თუ ექიმი ვერ მოიპოვებდა პატიმრის ინფორმირებულ თანხმობას, მას არ ჰქონდა უფლება შეეცაო დაზიანების აღრიცხვის სპეციალური ფორმა. შესაბამისად, ექიმი ვერ გზავნიდა შეტყობინებას სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, მიუხედავად იმისა, სამედიცინო შემოწმების გარეშე აღნიშნებოდა თუ არა დაზიანება და ექიმს გაუჩნდებოდა თუ არა ეჭვი სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე, რადგან აღნიშნული წესი სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის შეტყობინების გაგზავნას ითვალისწინებს მხოლოდ დაზიანების აღრიცხვის სპეციალური ფორმის შევსების შემთხვევაში. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი საქართველოში 2021 წელს განხორციელებული ad hoc ვიზიტის შესახებ ანგარიშში ხაზს უსვამს ექიმების მიერ ძალადობის სავარაუდო შემთხვევების გამოვლენის და საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების სავალდებულოობას, მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას შეიტანოს ცვლილება არსებულ რეგულაციებში, რათა ექიმმა სხეულის დათვალიერების გრაფების შევსებით და ფოტოგრაფირებით დაადოკუმენტიროს დაზიანებები და გადაუგზავნოს საგამოძიებო ორგანოს, მიუხედავად იმისა, თანახმაა თუ არა სავარაუდო მსხვერპლი დოკუმენტირებასა და შეტყობინებაზე.¹⁰²

ზემოთ აღნიშნული წესის ცვლილებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს. სახალხო დამცველი მიესალმება ახალი პენიტენციური კოდექსის 139-ე მუხლის მე-6 ნაწილში ამ რეკომენდაციის გათვალისწინებას. განისაზღვრა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში

¹⁰⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ქინანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keenan v. United Kingdom) Appl. No. 27229/95, პარა. 122. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-59365>> [ბოლოს ნანახია: 25.01.2024].

¹⁰¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის N663 ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, სამედიცინო შემოწმების წინ ექიმმა უნდა მიიღოს პატიმრის ინფორმირებული თანხმობა, რომელიც უნდა დადასტურდეს მისი ხელმოწერით. ამავე წესის თანახმად, პაციენტის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში შემოწმება ამ წესის მიხედვით არ უნდა ჩატარდეს.

¹⁰² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2022 წლის 17-24 მაისის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2022) 11), პარ. 26, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<https://rm.coe.int/1680a6eabd>> [ბოლოს ნანახია: 25.01.2024].

ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას მის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში სამედიცინო პერსონალი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. თუ ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი შეამჩნევს მას რაიმე ფიზიკურ დაზიანებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს აღნიშნული პაციენტის მიმართ შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის განხორციელების ეჭვს აღუძრავდა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება ხორციელდება მისი თანხმობის არსებობის გარეშე. ამ ახალი ნორმის აღსრულების მიზნით, აუცილებელია კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რისთვისაც პენიტენციური კოდექსის 146-ე მუხლი ადგენს 1 წლიან, მაქსიმალურ ვადას.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს

- საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2020 წლის 20 ნოემბრის N663 ბრძანება („პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“) პრიორიტეტულად, უმოკლეს ვადაში, მოიცვანოს შესაბამისობაში პენიტენციური კოდექსის 139-ე მუხლთან

კონფიდენციალური გარემო

წინა წლების მსგავსად, სავარაუდო ძალადობის ფაქტების გამოვლენის და დოკუმენტირების ხარვეზიან პრაქტიკას ძირითადად განაპირობებს ექიმების პატიმართან არაკონფიდენციალურ გარემოში შეხვედრის პრაქტიკა.¹⁰³ ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, პატიმრები ექიმთან შესახვედრად შეგნებულად მიდიან სხვა პატიმართან ერთად, რათა შემდგომში მათ მიმართ პრივილეგირებულ პატიმრებს არ გაუჩნდეთ კითხვები, თუ რა ინფორმაცია მიაწოდა ექიმს და დამატებით არ მოუწიოთ აღნიშნულ საკითხზე პასუხების გაცემა. შესაბამისად, მსგავს პირობებში პატიმარი მაღალი ალბათობით, თავს შეიკავებს სამედიცინო პერსონალისთვის სენსიტიური ინფორმაციის მიწოდებისგან.

არასათანადო დოკუმენტირების პრაქტიკა

წინა წლების მსგავსად დაწესებულებების ექიმების მიერ მხოლოდ იმ შემთხვევებში ხდება დაზიანებების დოკუმენტირება, როდესაც სავარაუდო წამებისა და სხვა სასტიკი,

¹⁰³ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული პრაქტიკით, პატიმრის შეხვედრას ექიმთან, თითქმის ყოველთვის ესწრება დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელი, რომლისთვისაც ცნობილი ხდება ექიმისა და პატიმრის საუბრის შინაარსი. რაც შეეხება ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებს, სამედიცინო ოთახებში ერთად მუშაობენ ექიმი და ექთანი, რომლებიც პატიმრებს პარალელურ რეჟიმში უწევენ მომსახურებას, რის გამოც სამედიცინო ოთახში რამდენიმე პატიმარი ერთად იმყოფება და ესმით ერთმანეთის საუბარი.

არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ჩამდენად შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს მიუთითებენ. სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,¹⁰⁴ 2023 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პენიტენციური დაწესებულებების ექიმებმა დაზიანების აღრიცხვის წესის შესაბამისად,¹⁰⁵ 40 შემთხვევა აღრიცხეს. ასევე სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,¹⁰⁶ 2023 წელს 61 შემთხვევაში პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებული ბრალდებული უთითებდა, რომ დაზიანება დაკავებისას ან დაკავების შემდეგ მიიღო.

2023 წელს წინა წლების მსგავსად დაწესებულებების ექიმებს არ მოუხდენიათ „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად ისეთი შემთხვევების დოკუმენტირება, სადაც სავარაუდოდ მოძალადე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი იქნებოდა.¹⁰⁷ საყურადღებოა, რომ სპეციალურმა საგამომიებო სამსახურმა 2023 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის მიერ, პატიმრების მიმართ განხორციელებული სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის 119 ფაქტზე¹⁰⁸ მიიღო შეტყობინება და 26 სისხლის სამართლის საქმეზე¹⁰⁹ დაიწყო გამოძიება.¹¹⁰ აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ დაწესებულების ექიმების მიერ აღნიშნული მექანიზმის სრულყოფილად გამოყენება არ ხდება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა კვლავ პრობლემას წარმოადგენდა დაზიანების დოკუმენტირების დროს შესაბამისი ფორმის შევსების ხარვეზები, კერძოდ, ფორმაში არ იყო მითითებული დაზიანების ლოკალიზაცია დიაგრამაზე, არ იყო მითითებული დაზიანების ფერი და ფორმა, არ იყო მითითებული დაზიანების მიღების მეთოდი და არ იყო დადგენილი შესაბამისობა დაზიანებასა და მისი მიღების მეთოდს შორის.

რეკომენდაცია იუსტიციის მინისტრს

- „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების

¹⁰⁴ სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მიღებული 2023 წლის 28 დეკემბრის N363946/01 პასუხი.

¹⁰⁵ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის N663 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესი“.

¹⁰⁶ სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მიღებული 2023 წლის 22 დეკემბრის N357042/01 პასუხი.

¹⁰⁷ სპეციალური საგამომიებო სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის SIS 8 23 00024044 პასუხი.

¹⁰⁸ აღნიშნული 119 შეტყობინება შეეხებოდა 122 პირს. აღნიშნული შემთხვევებიდან 38 პირის მიმართ არსებული შეტყობინებები გადაიგზავნა სხვა უწყებაში, ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამომიებო სამსახურის საგამომიებო კომპეტენციას.

¹⁰⁹ 26 სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს 27 სავარაუდო მსხვერპლი. აქედან, 24 მათგანი მიუთითებს, რომ მათ მიმართ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა. აღნიშნული 26 სისხლის სამართლის საქმიდან, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ განხორციელებული სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, ხოლო, გამოძიება შეწყდა 5 სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

¹¹⁰ სპეციალური საგამომიებო სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის SIS 8 23 00024044 წერილი.

აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის N633 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად სამედიცინო შემოწმებაზე პასუხისმგებელ ყველა ექიმს ჩაუტარდეს ტრენინგი პატიმრის დაზიანებათა სრულყოფილად აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და ფოტოგადაღების შესახებ, ამასთან შესაბამისი სამსახურის მიერ მოხდეს აღნიშნული ტრენინგების საფუძველზე მიღებული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების ზედამხედველობა

სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობა

სტამბოლის პროტოკოლი¹¹¹ ხაზს უსვამს იმ გადამწყვეტ როლს, რომელსაც დამოუკიდებელი ექიმები ასრულებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევების დოკუმენტირებაში. ექიმის პროფესიული დამოუკიდებლობასა და პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში ინტეგრაციის მნიშვნელობას ხაზს უსვამს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი.¹¹² საქართველოში 2021 წელს განხორციელებული ad hoc ვიზიტის შესახებ ანგარიშში კიდევ ერთხელ მოუწოდებს სახელმწიფოს მოახდინოს პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში ინტეგრაცია, ამისათვის კი გადადგას კონკრეტული ნაბიჯები და ჩამოაყალიბოს ინტეგრაციის დროში გაწერილი გეგმა.¹¹³

პირის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ობიექტური, პროფესიული და ზუსტი შეფასებით, დამოუკიდებელ ექიმებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ პატიმართა ადამიანის უფლებების დაცვას და წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების თავიდან აცილებას. პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო პერსონალის არაფორმალური დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართ განაპირობებს პატიმრების ნდობის დაბალ ხარისხს და ეჭვქვეშ აყენებს მათ მიუკერძოებლობას პატიმრების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის დროს.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

¹¹¹ წამებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო - სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul Protocol) / გაერო, 2004. ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3apCg2K>>, [ბოლოს ნანახია: 25.01.2024].

¹¹² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი საქართველოში 2014 და 2018 წელს განხორციელებული ვიზიტების ანგარიშები.

იხ. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2014 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარა. 105. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://bit.ly/3tYBpkX>> [ბოლოს ნანახია: 25.01.2024].

იხ. ასევე, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარა. 93. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://rm.coe.int/1680945eca>> [ბოლოს ნანახია: 25.01.2024].

¹¹³ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2022 წლის 17-24 მაისის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2022) 11), პარ. 28, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<https://rm.coe.int/1680a6eabd>> [ბოლოს ნანახია: 25.01.2024].

- ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშაონ პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში სრული ინტეგრაციის კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა

2.2.3. შეზღუდული კონტაქტი გარე სამყაროსთან

ნელსონ მანდელას წესების თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.¹¹⁴ გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელო დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ პატიმრის კონტაქტი გარე სამყაროსთან უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც უფლება და არა პრივილეგია, შესაბამისად, ის არ უნდა გახდეს პატიმრის დასჯისა და წახალისების მიზნებისთვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტი.¹¹⁵

2.2.3.1. ახალ პენიტენციურ კოდექსში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებები

სახალხო დამცველი მიესალმება ახალ პენიტენციურ კოდექსში გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით შემოთავაზებულ სიახლეებს, კერძოდ: პატიმრები ყველა სახის პაემნით ისარგებლებენ საფასურის გადაუხდელოდ;¹¹⁶ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ოჯახის წევრ პატიმრებს ენიჭებათ ერთმანეთთან სატელეფონო საუბრისა და მიმოწერის უფლება.¹¹⁷ სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესაბამისად, ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებსაც მიენიჭათ,¹¹⁸ ასევე პატიმრებს ექნებათ ხანმოკლე პაემნის ვიდეოპაემნით; ხანგრძლივი პაემნის სატელეფონო ზარით, ხანმოკლე პაემნით და ვიდეოპაემნით; საოჯახო პაემნის სატელეფონო ზარით, ხანმოკლე პაემნით და ვიდეოპაემნით ჩანაცვლების შესაძლებლობა. დასაბამია, რომ ბრალდებულები ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობას მხოლოდ 2025 წლის 1 იანვრიდან შეძლებენ.¹¹⁹

¹¹⁴ ნელსონ მანდელას წესები, წესი 106.

¹¹⁵ გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), დინამიკური უსაფრთხოების სახელმძღვანელო, ნიუ იორკი, 2015, p. 22, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/2U7MgXk> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024].

¹¹⁶ პენიტენციური კოდექსი, მუხლი 119, პირველი ნაწილი.

¹¹⁷ პენიტენციური კოდექსი, მუხლი 115, პირველი ნაწილი.

¹¹⁸ 2021 წლის 20 მაისს სახალხო დამცველმა N1602 სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და გაასაჩივრა პატიმრობის კოდექსის იმ ნორმათა შეუსაბამობა საქართველოს კონსტიტუციასთან, რომელიც ბლანკეტურად კრძალავს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულთათვის ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლებას. ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11336> [ბოლოს ნანახია: 20.01.2024].

¹¹⁹ პენიტენციური კოდექსი, მუხლი 144, პირველი ნაწილი.

მიუხედავად ახალ პენიტენციურ კოდექსში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებისა, გარე სამყაროსთან პატიმრების კონტაქტის უფლების რეალიზების კუთხით კვლავ არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა რჩება.

2.2.3.2. გარე სამყაროსთან კონტაქტის გაუმართლებელი შეზღუდვა

კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები

პატიმრებს, რაც შეიძლება ხშირად, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, კონტაქტი იქონიონ გარე სამყაროსთან, მათ შორის, გააგზავნონ წერილები, ისარგებლონ სატელეფონო ზარებით, შეხვდნენ ოჯახის წევრებს. ამ კუთხით გათვალისწინებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი, ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი და რაც შეიძლება ხანმოკლე.¹²⁰

აღსანიშნავია, რომ დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა, ასევე უვადო თავისუფლებადკვეთილ პირთა გარე სამყაროსთან კონტაქტის გაუმჯობესების მიზნით, სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიმართავს საქართველოს პარლამენტს, შევიდეს ცვლილებები კანონმდებლობაში და მსჯავრდებულთა ზემოთ ხსენებულ კატეგორიას გაეზარდოს პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა.¹²¹ სამწუხაროდ, აღნიშნული წინადადება არ შესრულებულა. ასევე სრულად არ არის შესრულებული წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოსადმი გაცემული რეკომენდაციები ყველა კატეგორიის პატიმრისთვის კვირაში არანაკლებ ერთი 1 საათიანი პაემნის უფლების მინიჭების და სატელეფონო საუბრის შესაძლებლობის გაზრდის თაობაზე.¹²²

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილებები „პენიტენციურ კოდექსში“ და დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს, მათ შორის უვადოდ თავისუფლებადკვეთილ მსჯავრდებულებს, გაეზარდოს პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა

მართალია, ბრალდებულებს აქვთ სატელეფონო საუბრის, ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის¹²³ უფლება, თუმცა სამწუხაროდ, კანონით არ აქვთ ვიდეოპაემნის უფლება. გაუგებარია, რატომ არ შეიძლება ბრალდებულს ჰქონდეს ეს უფლება და რა რისკს ქმნის ასეთი უფლების ქონა მაშინ, როდესაც მას ისედაც აქვს, ერთი მხრივ, გარე სამყაროსთან

¹²⁰ ევროპული ციხის წესები 24.1.

¹²¹ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. გვ. 89, ასევე გვ.117-118. ხელმისაწვდომია: <<https://ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf>> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024].

¹²² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 102, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<https://rm.coe.int/1680945eca>> [ბოლოს ნანახია: 24.01.2024].

¹²³ ბრალდებულები ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობას მხოლოდ 2025 წლის 1 იანვრიდან შეძლებენ.

კონტაქტის სხვა საშუალებები, ხოლო თვით ვიდეოპაემანის განხორციელება ხდება რისკების გამომრიცხავი სპეციალური წესით.

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება „პენიტენციურ კოდექსში“ და ბრალდებულებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება

დისციპლინური სახდელის სახით კონტაქტის შეზღუდვა

გასული წლების მსგავსად, კვლავ პრობლემად რჩება დისციპლინური სახდელის სახით პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა. საერთაშორისო სტანდარტები დაუშვებლად მიიჩნევენ დისციპლინური სახდელის სახით პატიმრისთვის გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვას.¹²⁴ პრაქტიკის დაუშვებლობაზე ასევე მიუთითებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი საქართველოში 2018 წელს განხორციელებულ ვიზიტის შემდგომ ანგარიშში.¹²⁵

2023 წელს ჯამში 685 -ჯერ იქნა გამოყენებული სატელეფონო საუბრის, მიმოწერის და ხანმოკლე პაემნის უფლების შეზღუდვა,¹²⁶ მათგან 609-ჯერ შეიზღუდა სატელეფონო საუბრის უფლება. პრობლემა უფრო მწვავეა განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც მსჯავრდებულებს გარე სამყაროსთან კონტაქტის ისედაც მწირი შესაძლებლობები აქვთ. 2022 წელს N6 განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში დისციპლინური დასჯის საერთო შემთხვევებიდან - 66% იყო გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა. აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელს 11 % -ით შემცირდა.¹²⁷ აქვე უნდა ითქვას, რომ განსხვავებული მიდგომაა იმავე ტიპის N3 განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში, სადაც 2023 წელს მართალია მაღალია დისციპლინური დასჯის შემთხვევები (1 103), თუმცა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის მაჩვენებელი მხოლოდ 2.5 %-ია.¹²⁸

¹²⁴ ნელსონ მანდელას წესები 43.3.

¹²⁵ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 100, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<https://rm.coe.int/1680945eca>> [ბოლოს ნანახია: 20.01.2024]. იხილეთ ასევე გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის ანგარიში 2019 წლის 27 იანვარი - 7 თებერვლის შვეიცარიაში ვიზიტის შემდგომ. პარა. 94. ხელმისაწვდომია <<https://bit.ly/3pSf44A>> [ბოლოს ნანახია: 20.01.2024].

¹²⁶ პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინური სახით სატელეფონო საუბარი - 609 შემთხვევაში, მიმოწერა- 11, ხოლო ხანმოკლე პაემანი - 65 შემთხვევაში შეეზღუდათ პატიმრებს.

¹²⁷ N6 დაწესებულებაში 2022 წელს სულ იყო 285 დისციპლინური დასჯა, აქედან პატიმრებს გარე სამყაროსთან კონტაქტი 187 შემთხვევაში შეეზღუდათ (სატელეფონო საუბარი-135, ხანმოკლე პაემანი- 47, მიმოწერა-5). 2023 წელს კი სულ 301 დისციპლინური დასჯა იყო, აქედან გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა -166 შემთხვევაში მოხდა (სატელეფონო საუბარი-129, ხანმოკლე პაემანი -30, მიმოწერა-7). იხილეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სისხლის სამართლის 2023 წლის სტატისტიკური მონაცემები. ხელმისაწვდომია: <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/18/2023-tslis-angarishi-tveebis-mikhdvit>> [ბოლოს ნანახია: 20.01.2024].

¹²⁸ 2023 წელს იგივე პერიოდში სულ 1 103 დისციპლინური დასჯა იყო, აქედან გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა -28 შემთხვევაში მოხდა (სატელეფონო საუბრის შეზღუდვა -22, ხანმოკლე პაემნის შეზღუდვა -5 და მიმოწერის შეზღუდვა -1 შემთხვევა). იხილეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სისხლის

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პატიმრების ოჯახის წევრებს ხშირად არ აქვთ პაემანზე მისვლის შესაძლებლობა და მათთან ურთიერთობის შენარჩუნების ძირითად საშუალებად სატელეფონო კომუნიკაცია რჩება. ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის დროსაც კი პატიმრები შესაძლოა მაინც აღმოჩნდნენ გარესამყაროსგან სრული იზოლაციის პირობებში, მიუხედავად იმისა, ფორმალურად დაირღვა თუ არა კანონმდებლობის მოთხოვნა, ერთდროულად კომუნიკაციის ყველა საშუალების შეზღუდვის დაუშვებლობის შესახებ.¹²⁹ სახალხო დამცველის წინადადების¹³⁰ მიუხედავად, არ გაუქმდა დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება.¹³¹

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილებები „პენიტენციურ კოდექსში“ და გაუქმდეს დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის აზრით, პატიმრების შესაძლებლობა, მოუსმინონ რადიოსა და უყურონ ტელევიზორს, არ უნდა ჩაითვალოს პრივილეგიად და ყველა პატიმრის უფლება უნდა იყოს.¹³² დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში სარეაბილიტაციო აქტივობების სიმწირის პირობებში, ტელევიზორი/რადიომიმღები პატიმრებისთვის ერთ-ერთ ძირითად თავშესაქცევს და ამავედროულად ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს.¹³³ საგულისხმოა, რომ 2023 წელს პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლება 35 შემთხვევაში¹³⁴ შეეზღუდათ პატიმრებს. 34 შემთხვევაში N6 განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში და 1 შემთხვევაში N3 განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში.

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

სამართლის 2023 წლის სტატისტიკური მონაცემები. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/18/2023-tslis-angarishi-tveebis-mikhedvit> [ბოლოს ნანახია: 20.01.2024].

¹²⁹ პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილი კრძალავს დისციპლინური სახდელის სახით ერთდროულად სატელეფონო საუბრის, პირადი კორესპონდენციის და კუთვნილი ხანმოკლე პაემნის ერთდროულად შეზღუდვას.

¹³⁰ იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. გვ. 32, 87 და 89. ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024].

¹³¹ იხილეთ ამ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 22 ივლისის საკონსტიტუციო სარჩელი N1633 ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11961> [ბოლოს ნანახია: 20.01.2024].

¹³² ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2015-42inf-eng.pdf> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024].

¹³³ იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2016 წლის ანგარიში, გვ. 128. ხელმისაწვდომია: <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040513214458561.pdf> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024].

¹³⁴ ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/18/2023-tslis-angarishi-tveebis-mikhedvit> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024].

- შევიდეს ცვლილებები „პენიტენციურ კოდექსში“ და გაუქმდეს დისციპლინური სახდელის სახით პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა

გამომძიებლის/პროკურორის დადგენილებით კონტაქტის შეზღუდვა

წლების განმავლობაში, სახალხო დამცველი მიუთითებდა ხანგრძლივად, ხშირ შემთხვევაში 9 თვემდეც, პროკურატურის მიერ ბრალდებულისთვის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვისას შაბლონურ დასაბუთებაზე. ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის უფლების შეზღუდვისას კი, კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებდა მისი დასაბუთების ვალდებულებას. წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება,¹³⁵ რომლითაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება და 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმატიული შინაარსი, ვინაიდან კანონმდებლობა არ გულისხმობდა გამომძიებლის/პროკურორის გადაწყვეტილების კონკრეტულ საფრთხეებთან მიმართებით დასაბუთების ვალდებულებას და არ არსებობდა გამომძიებლის/პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დამცავი მექანიზმები. ამასთან კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული შეზღუდვის სავალდებულო პერიოდული გადასინჯვის მექანიზმს. შედეგად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განისაზღვრა ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის ან/და ხანგრძლივი პაემნის, მიმოწერის ან/და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, მისი გასაჩივრების და გადასინჯვის წესი.¹³⁶ კერძოდ, განისაზღვრა კრიტერიუმები, რომლითაც უნდა საბუთდებოდეს გამომძიებლის/პროკურორის მიერ ზემოაღნიშნული უფლებების შეზღუდვა და დადგენილება შეიძლება გამოიცეს 2 თვის ვადით.

2.2.3.3. უფლებებით სარგებლობის ხელის შემშლელი ფაქტორები

ხანმოკლე პაემანი ფიზიკური კონტაქტის გარეშე

საანგარიშო პერიოდში, გასული წლების მსგავსად, პენიტენციურ დაწესებულებებში, გარდა N11 (არასრულწლოვანთა) და N16 (დაბალი რისკის) დაწესებულებებისა, ხანმოკლე პაემნები მინის ბარიერის მიღმა, ტელეფონების მეშვეობით ხორციელდებოდა და პატიმრებს არ ჰქონდათ მათ ახლობლებთან ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა. აღნიშნულ საკითხზე ასევე მიუთითებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი საქართველოში 2018 წელს განხორციელებულ ვიზიტის შემდგომ ანგარიშში. ანგარიშის თანახმად, ხანმოკლე პაემნების სივრცეები უნდა მოდიფიცირდეს ისე, რომ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, მიიღონ

¹³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის N2/8/1444 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16045>> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024].

¹³⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 165².

მნახველი გონივრულად ღია პირობებში. დახურულ პირობებში ვიზიტების განხორციელება უნდა იყოს საგამონაკლისო, კარგად დასაბუთებული და განპირობებული ვიზიტორის ან პატიმრის მხრიდან არსებული პოტენციური რისკის ინდივიდუალური შეფასების შესახებ გადაწყვეტილებით.¹³⁷

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის ბარიერის გარეშე

სატელეფონო საუბარი არაკონფიდენციალურ გარემოში

კვლავ პრობლემურია დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში, კონფიდენციალურ გარემოში სატელეფონო საუბრის განხორციელება. დაწესებულებების ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ ტელეფონის აპარატები განთავსებულია ან სამორიგოში ან კაბინაში, რომელსაც არ აქვს ხმის იზოლაცია და პატიმრების საუბარი კაბინის გარეთაც ისმის.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრების სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურ გარემოში განხორციელებას

საზღვარგარეთ მცხოვრებ ოჯახთან დაკავშირების სირთულე

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის კვლავ პრობლემად რჩება საზღვარგარეთ მყოფ ოჯახებთან დაკავშირების სირთულე.¹³⁸ სახალხო დამცველის რეკომენდაციის¹³⁹ მიუხედავად, არ გაუქმებულა საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეები და პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებისთვის საერთაშორისო ზარის განხორციელება არ არის შესაძლებელი ყოველდღიურად, კანონმდებლობით დადგენილი სიხშირით და ხანგრძლივობით. ასევე, ასეთი პირები ვერ ახორციელებენ საერთაშორისო ზარებს შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

¹³⁷ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარა. 103, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <<https://rm.coe.int/1680945eca>> [ბოლოს ნანახია: 28.01.2024].

¹³⁸ საზღვარგარეთ დასარეკად კვლავ 2 დღეა გამოყოფილი კვირაში. სატელეფონო ზარის საფასური მაღალია და ზოგიერთ სახელმწიფოში კი, წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნაც შეუსაბამოდ მაღალ ხარჯებს უკავშირდება.

¹³⁹ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. გვ. 107-108. ხელმისაწვდომია: <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf>> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024]

- გაუქმდეს საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეები და საერთაშორისო ზარის განხორციელება შესაძლებელი გახდეს ყოველდღე, კანონმდებლობით დადგენილი სიხშირით და ხანგრძლივობით.
- მიიღოს ყველა ზომა, რათა უცხოელმა პატიმრებმა, მოქალაქეობის არმქონე პირებმა ასევე საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, შეძლონ საერთაშორისო ზარების განხორციელება შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად.

ვიდეოპაემნის ინფრასტრუქტურის არარსებობა

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად,¹⁴⁰ საანგარიშო პერიოდში, ვიდეოპაემნის ინფრასტრუქტურა არ მოწყობილა იმ დაწესებულებებში, სადაც იმჟამად მოქმედი პატიმრობის კოდექსის თანახმად ვიდეოპაემნის განხორციელება დასაშვებია იყო (N2, N12 და N18 დაწესებულებები).¹⁴¹ ვინაიდან ახალი პენიტენციური კოდექსით ვიდეოპაემნის უფლება განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებსაც მიენიჭათ, მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მოკლე ვადაში, მოხდეს ყველა პენიტენციური დაწესებულების ვიდეოპაემნის ინფრასტრუქტურით აღჭურვა, რათა პატიმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ მათთვის კანონით¹⁴² გარანტირებული უფლებით.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N2, N3, N6, N12 და N18 პენიტენციური დაწესებულებები პრიორიტეტულად აღიჭურვოს ვიდეოპაემნისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით.

ვიდეოპაემნის მხოლოდ საქართველოს ფარგლებში განხორციელების შესაძლებლობა

წინა წლების მსგავსად, უცხოელი პატიმრები და მოქალაქეობის არმქონე პირები, ასევე საქართველოს მოქალაქე მსჯავრდებულები, ოჯახის წევრების საზღვარგარეთ ყოფნის გამო ვერ სარგებლობენ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის უფლებით, ასევე ვიდეოპაემნით. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ვიდეო პაემნების იმგვარად რეგულირების აუცილებლობას, რომლის საშუალებითაც ვიდეოზარის განსახორციელებლად საჭირო აღარ გახდება პატიმრის ოჯახის წევრის დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა

¹⁴⁰ იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. გვ. 86 და 90. ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/tsliuri-angarishebi/preventsii-erovnuli-mekanizmis-2022-tslis-angarishi> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024]

¹⁴¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2023 წლის 26 იანვრის N21431/01 წერილის თანახმად, ვიდეოპაემნების ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით, სარემონტო სამუშაოები 2022 წელს განხორციელდა N10 პენიტენციურ დაწესებულებაში და კანონმდებლობის გათვალისწინებით ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში (სადაც არ არის მოწყობილი ვიდეოპაემნები) ვიდეოპაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით (საჭიროების შემთხვევაში) სარემონტო სამუშაოები ჩატარდება 2023 წელს.

¹⁴² პენიტენციური კოდექსის 123-ე მუხლი.

აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რომელიმე ტერიტორიულ ერთეულში გამოცხადება.¹⁴³

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- გადაიხედოს ვიდეოპაემნის განხორციელების მოქმედი წესი, რათა მისი არსებულ გამოწვევებთან ადაპტირების გზით უზრუნველყოფილი იყოს ვიდეოპაემნის უფრო აქტიური და ხშირი გამოყენება, ასევე დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომლითაც გამარტივდება ვიდეოპაემნების განხორციელება

2.2.4. გასაჩივრების მექანიზმების ხარვეზები

2023 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ გასული წლების მსგავსად, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პატიმრების მიერ გასაჩივრების უფლების რეალიზება, რასაც ხელს უშლის ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა არაფორმალური იერარქიის არსებობა.

არაფორმალური იერარქიის გავლენით, გასული წლების მსგავსად, მსჯავრდებულები თავს იკავებენ საჩივრების გაგზავნისაგან. აღსანიშნავია, რომ მაშინ როდესაც პატიმართა დაახლოებით ნახევარი სასჯელს ნახევრად ღია ტიპის (N14, N15 და N17) დაწესებულებებში იხდის, 2023 წელს, პატიმრებისგან შემოსული 2715 განცხადებიდან, მხოლოდ 64 (2.36%) იყო ზემოაღნიშნული სამი დაწესებულების მსჯავრდებულების მიერ გამოგზავნილი. აღსანიშნავია, რომ მითითებული მონაცემი წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.¹⁴⁴

გასული წლების მსგავსად, N2 პენიტენციურ დაწესებულებაში, პატიმრის მიერ საჩივრის ყუთებით სარგებლობა კვლავ იძლევა მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რადგან კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების მიღება კვლავ დაწესებულების პერსონალზეა დამოკიდებული. თანამშრომლისგან კონფიდენციალური კონვერტის მოთხოვნა კი თავის თავში გულისხმობს იმას, რომ პატიმარი საჩივრის დაწერას აპირებს. ამ ნაწილში საგულისხმოა, რომ, მართალია, საჩივრის შინაარსი დაწესებულებებისთვის უცნობი რჩება, თუმცა, თავად საჩივრის დაწერის ფაქტმა კი შეიძლება პრობლემა შეუქმნას პატიმარს და აქედან გამომდინარე, თავი შეიკავოს კონფიდენციალური კონვერტის მოთხოვნისა და საჩივრის გაგზავნისაგან.

¹⁴³ იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. გვ.108. ხელმისაწვდომია: <<https://www.ombudsman.ge/geo/tsliuri-angarishebi/preventsii-erovnuli-mekanizmis-2022-tslis-angarishi>> [ბოლოს ნანახია: 16.01.2024].

¹⁴⁴ 2022 წელს, პატიმრებისგან შემოსული 2581 განცხადებიდან, მხოლოდ 49 (1.9%) იყო N14, N15 და N17 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების მიერ გამოგზავნილი, ხოლო 2021 წელს, 1641 განცხადებიდან, მხოლოდ 62 (3.8%) იყო აღნიშნულ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულების მიერ გამოგზავნილი.

წლების განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავდა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები განეთავსებინა იმგვარად, რომ კონვერტის მიღება არ ყოფილიყო დაწესებულების თანამშრომელზე დამოკიდებული და არ მომხდარიყო კონვერტის მიმღები პატიმრის იდენტიფიცირება. ამასთან, ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი ყოფილიყო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი) და მიეცათ შესაძლებლობა საკანში ჰქონოდათ გარკვეული რაოდენობის კონვერტები. მითითებული რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული.¹⁴⁵

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **2024 წელს, პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები განათავსოს იმგვარად, რომ კონვერტის მიღება არ იყოს დაწესებულების თანამშრომელზე დამოკიდებული და არ მოხდეს კონვერტის მიმღები პატიმრის იდენტიფიცირება. ამასთან, ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი) და მიეცეთ შესაძლებლობა საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი**

დამატებით საგულისხმოა, რომ გასაჩივრების მექანიზმების ეფექტიანად გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია პატიმრების სათანადო ინფორმირება. მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ უცხოენოვანი პატიმრები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილნი იყვნენ თარჯიმნის მომსახურებით, ასევე მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდებოდათ ინფორმაცია, ზოგადად, დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **2024 წელს ყველა უცხოენოვანი პატიმარი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით, მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ ინფორმაცია დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ**

აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებებიდან ცხელი ხაზის მეშვეობით საჩივრის უფლებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ დაწესებულებაში არსებული სატელეფონო აპარატებიდან ზარის განხორციელებით. ამ ნაწილში, საგულისხმოა, რომ პატიმრებს ტელეფონით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ მათი საბანკო/სატელეფონო ბარათების გამოყენებით, რომელიც პატიმრებს გადაეცემათ დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ. სამწუხაროდ, დაწესებულებაში ახლად მოთავსებული ბრალდებულებისთვის აღნიშნული ბარათების დამზადება და გადაცემა ხდება მათი დაწესებულებაში მოთავსებიდან 10-14

¹⁴⁵ კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები საჩივრის ყუთებთან განთავსებული იყო მხოლოდ N14 პენიტენციურ დაწესებულებაში.

დღეში და ამ პერიოდში, ბრალდებულები ცხელი ხაზის საშუალებით ვერ დაუკავშირდებიან მათთვის სასურველ უწყებას (მაგალითად, სპეციალური საგამომიებო სამსახური, სახალხო დამცველის აპარატი და სხვა).

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ ახლად მოთავსებული ბრალდებულებისთვის სატელეფონო ბარათების გადაცემამდე, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, ცხელ ხაზთან ბრალდებულის დაკავშირებას, კონფიდენციალურობის დაცვით უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია

საგულისხმოა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში გასაჩივრების უფლებით სარგებლობა პირდაპირ არის დაკავშირებული პატიმრების მიერ საკუთარ ადვოკატთან სატელეფონო საუბრის შესაძლებლობასთან, რადგან სატელეფონო კონტაქტი წარმოადგენს ადვოკატებთან დაკავშირების ყველაზე სწრაფ საშუალებას. იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულებს საგამომიებო ორგანოს მიერ ეზღუდება გარე სამყაროსთან კონტაქტი, ამით მათ ერთმევათ ადვოკატთან ტელეფონით დაკავშირების შესაძლებლობა, ვინაიდან ადვოკატი არ არის მითითებული იმ საგამონაკლისო აბონენტთა ჩამონათვალში, რომლებთან დაკავშირებაც ბრალდებულებს შეუძლიათ მათთვის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის პერიოდში.¹⁴⁶ ასეთ შემთხვევებში, ბრალდებულების ადვოკატებთან შეხვედრა ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მივა ადვოკატი, საკუთარი ინიციატივით, მათთან შესახვედრად.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ გამომძიებლის/პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, ბრალდებულის მოთხოვნისას მის ადვოკატთან დაკავშირებას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს „პენიტენციური კოდექსში“ შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს, რომ გამომძიებლის/პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის სატელეფონო საუბრის შეზღუდვა არ ვრცელდება ბრალდებულის ადვოკატთან დარეკვაზე

გარდა ამისა, კანონმდებლობის მიხედვით, ადვოკატთან ტელეფონით დაკავშირების შესაძლებლობა პატიმრებს ეზღუდებათ როგორც დისციპლინური სახდელის,

¹⁴⁶ 2024 წლის 1 იანვრამდე მოქმედი „პატიმრობის კოდექსის“ 79-ე მუხლის 21-ე ნაწილი და 2024 წლის 1 იანვრიდან მოქმედი „პენიტენციური კოდექსის“ 116-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

ასევე, უსაფრთხოების ღონისძიებების სახით, სამართლო საკანში ან დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას. ამ ღონისძიებების გამოყენების პერიოდში პატიმრებს ერთმევათ ადვოკატთან ტელეფონით დაკავშირების შესაძლებლობა, ვინაიდან ადვოკატი არ არის მითითებული იმ საგამონაკლისო აბონენტთა ჩამონათვალში, რომლებთან დაკავშირებაც პატიმრებს შეუძლიათ სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის პერიოდში და სამართლო საკანში ყოფნის პერიოდში,¹⁴⁷ ხოლო დეესკალაციის ოთახში მოთავსების შემთხვევაში, პატიმარს საერთოდ ეკრძალება სატელეფონო საუბრის განხორციელება და შესაბამისად, ის ვერ ისარგებლებს ცხელ ხაზზე დარეკვის უფლებით.¹⁴⁸

წლების განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავდა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში უზრუნველყო პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნება და შეეტანა შესაბამისი ცვლილებები პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში. სამწუხაროდ, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **2024 წელს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ დისციპლინური სახდელების და უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში პატიმრებს უნდა მიეცეთ ტელეფონით ადვოკატთან და ცხელ ხაზზე დაკავშირების შესაძლებლობა.**

¹⁴⁷ 2024 წლის 1 იანვრამდე მოქმედი „პატიმრობის კოდექსის“ 82-ე მუხლის მე-6 ნაწილის (ასევე, 2024 წლის 1 იანვრიდან მოქმედი „პენიტენციური კოდექსის“ 72-ე მუხლის მე-8 ნაწილის) თანახმად, დისციპლინური სახდელის სახით, სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის მოქმედების პერიოდში მსჯავრდებულს/ბრალდებულს უნარჩუნდება სატელეფონო საუბრის უფლება მხოლოდ სპეციალური საგამომიებო სამსახურის, საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დასაკავშირებლად, ხოლო, ამავე კოდექსის 88-ე მუხლის მე-2¹ ნაწილის (ასევე, 2024 წლის 1 იანვრიდან მოქმედი „პენიტენციური კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის) თანახმად, სამართლო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულს/ბრალდებულს უნარჩუნდება სატელეფონო საუბრის უფლება მხოლოდ სპეციალური საგამომიებო სამსახურის, საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დასაკავშირებლად.

¹⁴⁸ პენიტენციური დაწესებულებების დებულებების თანახმად, დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანა მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსების საფუძვლების აღმოფხვრამდე, გარდა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევისა და დამცველთან/ადვოკატთან შეხვედრის შემთხვევებისა.

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა

3.1. შესავალი

წინამდებარე ანგარიშის თავი წარმოადგენს 2023 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის მონიტორინგის ანგარიშს. 2023 წლის განმავლობაში სპეციალური პრევენციული ჯგუფი პრევენციული ვიზიტებით იმყოფებოდა პოლიციის 47 დეპარტამენტსა და სამმართველოში, ასევე დროებითი მოთავსების 23 იზოლატორში.¹⁴⁹ მონიტორინგის ვიზიტები განხორციელდა კახეთში, სამეგრელოში, იმერეთში, რაჭაში, ქვემო ქართლში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გურიაში და თბილისში.

წარმოდგენილი შეფასებები ეფუძნება სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მოპოვებული მოცულობითი ინფორმაციის ანალიზს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის სამუშაო მეთოდოლოგია მოიაზრებს სხვადასხვა წყაროსგან ინფორმაციის მიღებას: დაკავებულებთან, იზოლატორების თანამშრომლებთან და ექიმებთან გასაუბრებას; წინასწარ შემუშავებული ანკეტის მეშვეობით ამოღებული ინფორმაციის ანალიზს სტატისტიკური პროგრამის (SPSS)¹⁵⁰ გამოყენებით; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის და დროებითი მოთავსების იზოლატორების მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ ინფორმაციას; ადვოკატებთან პირისპირ ინტერვიუს; სახალხო დამცველის აპარატში არსებულ მონაცემებს; შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ ინფორმაციას; დაწესებულებებში წარმოებულ დოკუმენტაციას, მათ შორის, სამედიცინო სახის ინფორმაციას. მონიტორინგი ასევე მოიცავდა პოლიციის დაწესებულებებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებულ ვითარებაზე და სამუშაო პროცესზე დაკვირვებას.

3.2. არასათანადო მოპყრობა

2023 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში და პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტების დროს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ცალკეულ შემთხვევებში მიიღო ინფორმაცია პოლიციელების მიერ დაკავების შემდეგ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ. მიღებული ინფორმაციების თანახმად, დაკავების შემდეგ, როგორც პოლიციის მანქანაში, ასევე

¹⁴⁹ პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტის) თანამშრომლები, ასევე, იმყოფებოდნენ თბილისის N1 და N2 დროებითი მოთავსების იზოლატორებში თურქეთის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს დელეგაციასთან ერთად, სადაც დელეგაცია გაეცნო თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურას და სხვა პროცედურულ საკითხებს. ასევე, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა თბილისის N3 დროებითი მოთავსების იზოლატორში განახორციელეს ერთობლივი ვიზიტი გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წევრებთან ერთად, ქვეკომიტეტის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში.

¹⁵⁰ დამუშავდა 431 ანკეტა.

პოლიციის ადმინისტრაციულ შენობებში მყოფ დაკავებულ პირებს პოლიციის თანამშრომლები აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას.

პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დაკავებული პირების მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასებისას, გასათვალისწინებელია სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები/საჩივრები. მოქალაქეები მიუთითებდნენ დაკავებისას და პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ მათზე განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე, არაპროპორციული ძალის გამოყენებასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე. ასე, მაგალითად, ერთ შემთხვევაში, ხელვაჩაურის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ ერთ პირს ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომელმა მიზეზის განმარტების გარეშე მოსთხოვა ტერიტორიის დატოვება. უარის მიღების შემდგომ, პოლიციელმა ადგილზე გამოიძახა მისი თანამშრომლები და აღნიშნული პირი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დააკავეს. დაკავებული ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და მიიყვანეს პოლიციის შენობაში, სადაც დაკავებულს სამმართველოს დაახლოებით თერთმეტი თანამშრომელი ფიზიკურად გაუსწორდა. ისინი ხელბორკილდადებულ დაკავებულს ურტყამდნენ სხეულის სხვადასხვა არეში, ემუქრებოდნენ გაუპატიურებითა და ნარკოტიკის ჩადებით. ამასთან, არ აძლევდნენ წყლის დალევის და საპირფარეშოში შესვლის უფლებას. ასევე, მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ერთ-ერთი საქმის შესწავლისას გაირკვა, რომ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა დაკავების შემდეგ პირი აიყვანეს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს შენობის ბოლო სართულზე, სადაც ამავე სამმართველოს უფროსმა და უფროსის მოადგილემ მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, ის ცემეს ხელების დარტყმით სახისა და თავის არეში. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ შესწავლილ საქმეებთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სულ 30 შემთხვევაში მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებული პირების მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების მოთხოვნით.¹⁵¹

დროებითი მოთავსების იზოლატორებში მონიტორინგის ვიზიტების დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები ამოწმებენ საანგარიშო წლის 1 იანვრიდან ვიზიტის დღემდე შესახლებული ყველა დაკავებულის პირად საქმეს და აღრიცხავენ ყველა იმ შემთხვევას, სადაც დაკავების გარემოებების, სხეულზე დაზიანებების მდებარეობის, რაოდენობის და ხასიათის მხედველობაში მიღებით, ჯგუფს დაკავებულის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე ეჭვი გაუჩნდება.

¹⁵¹ იხ. „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში“.

აღნიშნული მეთოდით, 2023 წელს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 431 საექვო შემთხვევა გამოავლინა.¹⁵² ეს შემთხვევები მოიცავს როგორც ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა, ისე სისხლის სამართლის საქმეებს. მონაცემების თანახმად, აღნიშნული 431 შემთხვევიდან 137 (31.8%) შემთხვევაში ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა დაზიანება დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიიღეს. რაც შეეხება დინამიკას წლების მიხედვით, 2016 წელს ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა სხეულის დაზიანება დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიიღეს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი საექვო შემთხვევების 12,8%-ში, 2017 წელს იგივე მაჩვენებელი - 26,4%, 2018 წელს - 26.8%, 2019 წელს - 31.8%, 2020 წელს - 34.4%, 2021 წელს 26%, ხოლო 2022 წელს 27 % იყო, რაც შეეხება 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი (31.8%) 2022 წელთან შედარებით მცირედ გაზრდილია.

აღსანიშნავია, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული პირების სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები 2022 წელთან შედარებით არსებითად არ შეცვლილა.¹⁵³ 2023 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული იყო 15907 პირი, რომელთაგან დაზიანება სულ 10238 პირს აღენიშნებოდა. ამათგან 142 პირს დაზიანება მიღებული ჰქონდა დაკავების შემდეგ, რამაც დაზიანებით შესახლებული პირების საერთო რაოდენობის 1.7% შეადგინა. რაც შეეხება წინა წლებს, 2022 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1.3%,¹⁵⁴ 2021 წელს - 1.4%,¹⁵⁵ 2020 წელს - 1.7%,¹⁵⁶ 2019 წელს - 1.5%,¹⁵⁷ 2018 წელს კი 1.4%¹⁵⁸ შეადგენდა.

2023 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ 528 პირს დაზიანება მიღებული ჰქონდა დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ,¹⁵⁹ რაც დაზიანებით შესახლებული პირების 5.1%-ს შეადგენს. რაც შეეხება წინა წლებს, 2022 წელს აღნიშნული სტატისტიკური მონაცემი 5.1% შეადგენდა (541 შემთხვევა), 2021 წელს - 5.5% (512 შემთხვევა), 2020 წელს -

¹⁵² შემოწმება ჩატარდა სამეგრელოს, კახეთის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის, გურიის და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებულ პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

¹⁵³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://info.police.ge/page?id=233>> [ბოლოს ნანახია: 23.02.2024].

¹⁵⁴ 2022 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული იყო 16358 პირი, რომელთაგან დაზიანება სულ 10520 პირს აღენიშნებოდა. მათგან, დაკავების შემდეგ დაზიანება მიღებული ჰქონდა 140 პირს.

¹⁵⁵ 2021 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული იყო 13434 პირი, რომელთაგან დაზიანება სულ 9359 პირს აღენიშნებოდა. მათგან, დაკავების შემდეგ დაზიანება მიღებული ჰქონდა 133 პირს.

¹⁵⁶ 2020 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული იყო 11891 პირი, რომელთაგან დაზიანება სულ 8761 პირს აღენიშნებოდა. მათგან დაკავების შემდეგ დაზიანება მიღებული ჰქონდა 150 პირს.

¹⁵⁷ 2019 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში სულ მოთავსებული იყო 15191 პირი, რომელთაგან დაზიანება აღენიშნებოდა 10348 პირს. მათგან დაკავების შემდეგ დაზიანება მიღებული ჰქონდა 155 პირს.

¹⁵⁸ 2018 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში სულ მოთავსებული იყო 12995 პირი, რომელთაგან დაზიანება 8320 პირს აღენიშნებოდა. ამათგან, დაკავების შემდეგ დაზიანება მიღებული ჰქონდა 116 პირს.

¹⁵⁹ აქედან, 385 პირს დაზიანებები მიღებული ჰქონდა დაკავებისას, 103 პირს დაზიანებები მიღებული ჰქონდა დაკავების შემდეგ, ხოლო 40 პირს დაზიანებები მიღებული ჰქონდა დაკავების და დაკავების შემდეგ.

5.9% (521 შემთხვევა), 2019 წელს - 6.3% (656 შემთხვევა), ხოლო 2018 წელს კი - 5.6% (467 შემთხვევა) იყო.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2023 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ 379 პირს პრეტენზია გააჩნდა პოლიციის მიმართ, მათ შორის 338 პირს ფიზიკურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებით, რაც შესაბამისად იზოლატორში მოთავსებულ პირთა საერთო რაოდენობის 2.4% და 2.1% შეადგენს. 2022 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 2.5% (405) და 2.2% (353), 2021 წელს 2.8% (380 შემთხვევა) და 2.5% (334 შემთხვევა), 2020 წელს 2.8% (341 შემთხვევა) და 2.4% (290 შემთხვევა), 2019 წელს - 2.8% (429 შემთხვევა) და 2.3% (343 შემთხვევა) ხოლო, 2018 წელს კი 2.3 % (303 შემთხვევა) და 2% (256 შემთხვევა) შეადგენდა.¹⁶⁰

მონიტორინგის ფარგლებში, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ასევე გაანალიზდა პენიტენციურ დაწესებულებებში სხეულის დაზიანებით შესახლებული პირების შესახებ მონაცემები. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში დაზიანებით შეასახლეს სულ 644 პირი, რომელთაგან 28 (4.3%) პირს დაზიანება მიღებული ჰქონდა დაკავებისას, ხოლო 34 (5.3%) პირს - დაკავების შემდეგ.¹⁶¹ საგულისხმოა, რომ წინა წელთან შედარებით მცირედ გაიზარდა იმ პირთა ხვედრითი წილი, რომელთაც დაკავებისას და დაკავების შემდეგ მიიღეს დაზიანებები. 2022 წლის 1 იანვრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში დაზიანებით შეასახლეს სულ 728 პირი, რომელთაგან 24 პირს (3.3%) დაზიანება მიღებული ჰქონდა დაკავებისას, ხოლო 36 პირს (4.9%) - დაკავების შემდეგ.

2023 წელს განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტების დროს შესწავლილი საქმეებიდან 166 (38.7%) შემთხვევაში, დაკავების ოქმში მითითებულია, რომ ადგილი ჰქონდა პოლიციის თანამშრომლის მიმართ დაუმორჩილებლობას/წინააღმდეგობის გაწევას და სავარაუდოდ, ასეთ შემთხვევებში პოლიციას მოუწევდა ძალის/იძულების ღონისძიებების გამოყენება, თუმცა, დაკავების ოქმში ძალის გამოყენების შესახებ მითითებულია მხოლოდ 35 (21%) შემთხვევაში. შესაბამისად, დანარჩენ შემთხვევებში პოლიციის თანამშრომლებმა სავარაუდოდ ძალა გამოიყენეს, თუმცა ამის შესახებ არ მიუთითეს დაკავების ოქმში. ამასთან, ზემოთ აღნიშნული 35 შემთხვევიდან, სადაც მითითებულია, რომ ძალა იქნა გამოყენებული, ძალის გამოყენების მეთოდი სრულყოფილად აღწერილია 2 შემთხვევაში და ნაწილობრივ აღწერილია 2 შემთხვევაში, დანარჩენ შემთხვევებში კი საერთოდ არ არის აღწერილი. აღნიშნული ადასტურებს იმას, რომ ოქმების შევსება არ ხდება ჯეროვნად.

¹⁶⁰ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://info.police.ge/page?id=233> [ბოლოს ნანახია 23.02.2024].

¹⁶¹ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 22 დეკემბრის N357042/01 წერილი.

2023 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი და დამუშავებული 431 შემთხვევიდან 17.6%-ში (76 შემთხვევა) დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია იზოლატორებში არსებულ სამედიცინო ჩანაწერებში. ცხადია, ამ შემთხვევაში ჩნდება მყარი პრეზუმფცია, რომ შესაძლოა დაკავებული პირი პოლიციის კონტროლის ქვეშ დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას.¹⁶² ეს მონაცემი წინა წლებთან შედარებით შემცირებულია - 2022 წელი - 20%, 2021 წელი - 29.1%, 2020 წელი - 26.3%, 2019 წელი - 30.7%, 2018 წელი - 27.6 %, 2017 წელი - 30.1%, 2016 წელი - 31.3%. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ერთი მხრივ, ჩანაწერებს შორის განსხვავება შეიძლება ნაწილობრივ გამოწვეული იყოს დაზიანებების შემოწმების არსებული ზოგადი პრაქტიკით. კერძოდ, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან დაზიანებების არსებობის შემოწმება ზედაპირულია და არ მოიცავს სხეულის სრულად შემოწმებას, როგორც ეს იზოლატორებში ხდება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანილ დაკავებულს დაზიანება აღენიშნება სახის არეში. 2023 წელს დამუშავებული 431 საექვო შემთხვევიდან ასეთი 32 შემთხვევა გამოვლინდა. აქედან 28 შემთხვევაში დაკავებულს დაზიანება აღენიშნებოდა სახისა და თავის არეში და დაკავების ოქმში კი მითითებული იყო, რომ დაკავებულს **დაზიანება არ აღენიშნება**.¹⁶³ ხოლო, 4 შემთხვევაში დაკავებულს დაზიანება ასევე სახისა და თავის არეში აღენიშნებოდა, თუმცა დაკავების ოქმში **დაზიანების შესახებ ჩანაწერი არ იყო**.¹⁶⁴ ცხადია, თუ დაკავებულ პირს დაკავების დროს აღენიშნებოდა დაზიანება სახის არეში, პოლიციის თანამშრომლებს ეს უნდა შეემჩნიათ და აღეწერათ დაკავების ოქმში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებული პირების მიმართ შესაძლო ძალადობის მასშტაბის შეფასებისას, პრევენციული ვიზიტების დროს მიღებულ შეტყობინებებთან ერთად, გასათვალისწინებელია სისხლის სამართლის საქმეების შესახებ სპეციალური საგამომიებო სამსახურის მიერ წარმოებული მონაცემები. სპეციალური საგამომიებო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,¹⁶⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ განხორციელებული სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹, 144², 144³, 332-ე და 333-ე მუხლების მე-3

¹⁶² საქმეზე „სალმანი თურქეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც სადავო შემთხვევები, მთლიანად ან ნაწილობრივ, წარმოადგენს შესაბამის ორგანოთა ექსკლუზიური ინფორმირებულობის სფეროს, როგორც ეს თავისუფლება შეზღუდული პირების შემთხვევაშია, ჩნდება ძლიერი ეჭვები მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით და, რასაკვირველია, მტკიცების ტვირთი ეკისრება შესაბამის ორგანოებს, რათა მათ წარმოადგინონ დამაჯერებელი განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე სალმანი თურქეთის წინააღმდეგ (Salman v. Turkey, N21986/93), პარ. 100.

¹⁶³ აღნიშნული 28 შემთხვევიდან 21 იყო ადმინისტრაციული წესით, 7 კი სისხლის სამართლის წესით.

¹⁶⁴ ამ 4 შემთხვევაში 2 პირი დაკავებული იყო ადმინისტრაციული, 2 კი სისხლის სამართლის წესით.

¹⁶⁵ სპეციალური საგამომიებო სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის SIS 8 23 00024044 წერილი.

ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, სამსახურმა გამოძიება დაიწყო 185 სისხლის სამართლის საქმეზე. კერძოდ: 153 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით; 18 საქმეზე - დანაშაულთა ერთობლიობით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 335-ე მუხლის პირველი ნაწილით; 9 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“, და „ზ“ ქვეპუნქტებით; 2 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით; 1 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით; 1 საქმეზე - დანაშაულთა ერთობლიობით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 335-ე მუხლის პირველი ნაწილით; 1 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეებიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ განხორციელებული სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე: სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 სისხლის სამართლის საქმეზე (მათ შორის, უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოგზავნილ 1 სისხლის სამართლის საქმეზე); დაზარალებულად ცნობილი იქნა 6 პირი (4 სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოგზავნილ 1 სისხლის სამართლის საქმეზე); გამოძიება შეწყდა 15 სისხლის სამართლის საქმეზე.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის - სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების ჩატარება სახელმწიფოს ერთ-ერთი ვალდებულებაა და შესაბამისად, ამ უწყების საქმიანობა სახალხო დამცველის აპარატისთვის პრიორიტეტულად წარმოადგენს ინტერესის ობიექტს. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარდა კვლევა და გამოქვეყნდა სპეციალური ანგარიში - „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი“,¹⁶⁶ რომლის მთავარი მიზანს წარმოადგენდა არასათანადო მოპყრობის მაკრიმინალიზებული ნორმების საკანონმდებლო რეგულაციის, მათი პრაქტიკული გამოყენებისა და გამიჯვნის პრობლემატიკის შესწავლა. კვლევის ფარგლებში, სხვა საკითხებთან ერთად, შესწავლილ იქნა 2023 წელს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები, რომლის შედეგად გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში, პრობლემატურია სავარაუდო არასათანადო მოპყრობის სწორი კვალიფიკაცია. კერძოდ, გაირკვა, რომ ზოგჯერ ადგილი ჰქონდა მოხელეების მხრიდან არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით კვალიფიკაციას. ანგარიშის მთავარი რეკომენდაცია არის ის, რომ კანონმდებლობა ნათლად და ამომწურავად ახდენდეს არასათანადო მოპყრობის

¹⁶⁶ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი“. ანგარიში ხელმისაწვდომია: <<https://ombudsman.ge/res/docs/2023081816200941495.pdf>>, [ბოლოს ნანახია: 29.02.2024 წელი].

კრიმინალიზაციას მხოლოდ სპეციალური მუხლებით (სსკ-ის 144¹-144³ მუხლები) და პრაქტიკაში გამორიცხავდეს ამ დანაშაულების სხვა მუხლებით კვალიფიკაციის შესაძლებლობას. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრამდე, სამართალდამცავმა უწყებებმა და სასამართლომ პრაქტიკაში კონკრეტულ ქმედებებს მისცნ სწორი სამართლებრივი შეფასება.¹⁶⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიციის მხრიდან დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის კუთხით წინა წლებთან შედარებით, 2023 წელს მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. კვლავ გამოწვევად რჩება ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა დაცვა ძალადობისგან. გარდა ამისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული მონაცემები და დაკავებული პირების გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ პოლიციის მიერ დაკავებისას ძალის გადამეტება, დაკავების შემდეგ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ასევე, სხეულის დაზიანებების და ძალის გამოყენების არასრულყოფილი დოკუმენტირება კვლავ გამოწვევად რჩება. ამდენად, სახალხო დამცველს და სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მიაჩნია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციის თანამშრომელთა საქმიანობაზე მკაცრი კონტროლის დაწესება და მათი ანგარიშვალდებულების გაზრდა. აუცილებელია, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ზემდგომი თანამდებობის პირებისგან მიიღონ მკაფიო გზავნილი, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა დაუსჯელი არ დარჩება.

3.3. სამართლებრივი დაცვის გარანტიები

3.3.1. ინფორმირება უფლებებზე

საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად დამკავებელმა დაკავებულს გასაგები ფორმით უნდა განუმარტოს მისი საპროცესო უფლებები და დაკავების საფუძველი,¹⁶⁸ რაც არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. 2023 წელს დაკავებულებთან გასაუბრების შედეგად კვლავ იკვეთება, რომ უმეტეს შემთხვევებში, არც დაკავებისას და არც გამოკითხვის წინ დაკავებულ პირებს ან საერთოდ არ განუმარტეს

¹⁶⁷ ამ პრობლემატიკას მიეძღვნა სპეციალური საგამომიგებო სამსახურის სახელმძღვანელო „სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მათთან დაკავშირებული დანაშაულების კვალიფიკაციის გამოყენებასთან დაკავშირებით“, რომელიც გამოქვეყნდა 2023 წლის 23 სექტემბერს. არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეებზე, კვალიფიკაციის დამდგენი სახელმძღვანელო დოკუმენტი განსაზღვრავს, ქმედება რა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს უპირობოდ წამებად, დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობად და რა შემთხვევაშია დასაშვები ქმედების კვალიფიკაცია, როგორც სამოხელეო დანაშაული. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://sis.gov.ge/uploads/files/wamebis-da-arasatanado-mopyrobis-faqtebis-kvalifikaciis-gamijvnis-saxelmdzgvanelo-dokumenti.pdf>> [ბოლოს ნანახია: 29.02.2024].

¹⁶⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 28-ე საერთო ანგარიში, 2019 წ. პარაგრაფი: 66, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: < <https://rm.coe.int/16809420e3> >, [ბოლოს ნანახია: 14.02.2024]. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი: 38(2) და მუხლი 174(1). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 245 (1).

უფლებები ან მხოლოდ ნაწილობრივ მიაწოდეს ინფორმაცია. აღნიშნულს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან გასაუბრებისას ადვოკატებიც ადასტურებენ და აცხადებენ, რომ ისინი აწვდიან ინფორმაციას დაკავებულ პირს უფლებების შესახებ.

სამწუხაროდ, დაკავებულებს მხოლოდ დროებითი მოთავსების იზოლატორებში მიუწვდებათ ხელი საპროცესო უფლებების წერილობით ჩამონათვალზე.¹⁶⁹ 2023 წელსაც მონახულებულ პოლიციის ყველა დაწესებულებაში განთავსებული იყო პოსტერები, რომელიც შეიცავს საპროცესო უფლებების შესახებ ინფორმაციას. თუმცა, დაკავებულებმა პოსტერი შესაძლოა ვერც შეამჩნიონ ან წაკითხვის საშუალება საერთოდ არ მიეცეთ.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს პოლიციელთა მიერ დაკავებული პირისათვის უფლებების განმარტების პროცესის ტექნიკური (აუდიო-ვიდეო) საშუალებებით ჩაწერა და გონივრული ვადით შენახვა

3.3.2. ოჯახის წევრის ან მესამე პირის ინფორმირება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, დაკავებიდან 3 საათის ვადაში უნდა ეცნობოს დაკავებულის ოჯახის წევრს ან მისი არარსებობის შემთხვევაში მის ნათესავს. დაკავებულ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, ერთეული შემთხვევების გარდა, სისხლის სამართლის წესით დაკავების შემთხვევაში ოჯახი ინფორმირებულია მათი დაკავების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში მიღებული და გაანალიზებული ინფორმაცია, ასევე მიაწინებდა ოჯახის წევრის დროული ინფორმირების გაუმჯობესების ტენდენციაზე.

რაც შეეხება დაკავებულის ადგილსამყოფელის ოჯახის წევრისთვის შეტყობინებას, ადვოკატებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ხშირ შემთხვევაში ოჯახის წევრებს დაკავებულის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდებათ და ცდილობენ ადვოკატის საშუალებით დაადგინონ, სად იმყოფება დაკავებული. აქვე აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე და ასევე რეგიონულ ოფისებში არაერთი შეტყობინება შედის დაკავებულის ადგილსამყოფელის დადგენაში დახმარების თხოვნით.

3.3.3. ადვოკატის ხელმისაწვდომობა

პოლიციის მხრიდან დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს ადვოკატის დროული ხელმისაწვდომობა, ვინაიდან სწორედ დაკავების პირველ საათებში იმყოფება პირი ყველაზე მოწყვლად მდგომარეობაში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული მონაცემების

¹⁶⁹ ქართულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, არაბულ და თურქულ ენებზე.

მიხედვით პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა 3.5 საათია.¹⁷⁰ ადვოკატები აღნიშნავენ, რომ დაკავებულ პირს პირველად ძირითადად ან დროებითი მოთავსების იზოლატორში ან კიდევ უფრო გვიან ხვდებიან. იგივე დადასტურდა სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირებთან გასაუბრების დროსაც. ადვოკატთან დაკავშირების მოთხოვნა არ აღირიცხება არც პოლიციის დაწესებულებებში და არც დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ადვოკატებს ძირითადად დაკავებულების ოჯახის წევრები უკავშირდებიან.

პრობლემურია პოლიციის დაწესებულებებში ადვოკატთან კონფიდენციალური გასაუბრების შესაძლებლობაც, ვინაიდან დაწესებულებების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს გამოყოფილი ოთახი ადვოკატთან შესახვედრად. დაკავებულები ადვოკატს ძირითადად ღია, სამუშაო სივრცეში ხვდებიან, სადაც პოლიციის თანამშრომლები იმყოფებიან და ამდენად, კონფიდენციალური საუბარი პრაქტიკულად შეუძლებელია.

ვინაიდან ადმინისტრაციულად დაკავებული პირების შემთხვევაშიც, სანქციის სახით გათვალისწინებულია პატიმრობა, მნიშვნელოვანია ყველა დაკავებულს, ვისაც არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა, ხელი მიუწვდებოდეს იურიდიულ დახმარებაზე.¹⁷¹ 2023 წელსაც, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები არ სარგებლობდნენ ადვოკატის მომსახურებით.¹⁷² აღნიშნული, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, დაკავებულ პირებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია საკუთარ უფლებებზე და უფასო იურიდიული დახმარების შესაძლებლობებზე. გარდა იმისა, რომ პოლიციის მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევები მეტწილად ვლინდება ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების შემთხვევაში და ადვოკატის ხელმისაწვდომობა შექმნიდა დამატებით გარანტიებს, აღნიშნული ასევე, მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების ინტერესებისათვის.

რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- პოლიციის დაწესებულებებში განხორციელდეს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით

¹⁷⁰ ზოგიერთ შემთხვევაში პოლიციის კონტროლის ქვეშ დაკავებული იყო 6 საათის (22 შემთხვევა) 7 საათის (16 შემთხვევაში), 8 საათის (7) 9 საათის (3 შემთხვევაში), 10 საათის (1 შემთხვევაში), 11 საათის (4 შემთხვევაში) და 12 საათის (1 შემთხვევაში) განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს 2022 წელთან შედარებით შემცირებული იყო პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა.

¹⁷¹ Mikhaylova v. Russia პ. 90-95 ხელმისაწვდომია < <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-158708> >, [ბოლოს ნანახია: 26.02.2024].

¹⁷² სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2024 წლის 1 მარტის წერილის LA 5 24 00007092 თანახმად 2023 წლის 1 იანვრიდან, 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 255-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები მონაწილეობდნენ 191 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეში.

- უზრუნველყოს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებული პირისა და ადვოკატის კონფიდენციალური შეხვედრა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სივრცის მოწყობით

3.3.4. სამედიცინო შემოწმება

დროებითი მოთავსების იზოლატორებში ექიმების მიერ პირველადი სამედიცინო შემოწმება და დაზიანებების სათანადო დოკუმენტირება წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტიას და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების დროული იდენტიფიცირების მექანიზმს. უმნიშვნელოვანესია, რომ ექიმმა დაადგინოს კავშირი დაკავებულის სხეულზე არსებულ დაზიანებებსა და დაკავებული პირის მიერ მითითებულ, დაზიანებების მიყენების მეთოდებს შორის.¹⁷³ ექიმმა უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა დეტალური, სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად, იმისთვის, რათა მეტი სიზუსტით განსაზღვრონ დაკავებული პირის მიერ მითითებულ გარემოებას, შეეძლო თუ არა გამოეწვია პირის სხეულზე არსებული დაზიანება.

სამედიცინო პუნქტები

ცხადია, იმ იზოლატორებში, სადაც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი და ექიმები დაზიანებებს სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად აღწერენ, მეტი გარანტია იქმნება დაკავებულისთვის, როგორც არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის, ასევე, ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდების კუთხით. დანახებით უნდა აღინიშნოს, რომ სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ შედგენილ ოქმებში კვლავ ზედაპირულად არის აღწერილი დაკავებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებები და ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არ არის მითითებული დაზიანების მიღების გარემოებები.¹⁷⁴

სამწუხაროდ, 2023 წელს არ გაზრდილა იმ იზოლატორების ხვედრითი წილი, სადაც არის სამედიცინო პუნქტი და რეგულარულად მორიგეობს ექიმი. სამედიცინო პუნქტი 2023 წლის მდგომარეობით ფუნქციონირებდა 22 იზოლატორში,¹⁷⁵ თუმცა სამედიცინო პერსონალი 24 საათის განმავლობაში მხოლოდ 11 იზოლატორში მორიგეობდა. 7 დროებითი მოთავსების იზოლატორში კვლავ არ არის სამედიცინო პუნქტი და დაზიანებების დოკუმენტირებას

¹⁷³ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო - სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul Protocol) გაერო, 2022. პარა: 230, ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია: < https://www.ohchr.org/sites/default/files/documents/publications/2022-06-29/Istanbul-Protocol_Rev2_EN.pdf >, [ბოლოს ნანახია: 26.02.2024].

¹⁷⁴ 2023 წელს შესწავლილი 431 საქმიდან, რომელიც სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა საექვოდ მიიჩნია, 289 (67.1%) შემთხვევაში დაზიანება აღწერილი იყო ექიმის მიერ სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად, 129 (29.9%) შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმის მიერ, ხოლო 13 (3%) შემთხვევაში კი ჯერ სასწრაფო დახმარების ექიმის, ხოლო შემდეგ იზოლატორის ექიმის მიერ სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად.

¹⁷⁵ 2022 წელს სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებდა 21 იზოლატორში. 2023 წელს გაიხსნა თბილისის N3 იზოლატორი, სადაც ასევე ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.

ახდენენ სასწრაფო დახმარების ექიმები. სამედიცინო პერსონალის მოზიდვის და დასაქმების კუთხით წინსვლა არ შეინიშნება.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- **2024 წელს, გაიზარდოს იმ იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი**

დაზიანებების სათანადოდ დოკუმენტირება

დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმების მიერ დაზიანებების მიღების გარემოებების სრულყოფილად აღწერის კუთხით მცირედ გაუმჯობესების ტენდენცია გრძელდება. მიუხედავად ამისა, 2023 წელსაც მაინც მაღალია იმ შემთხვევების ხვედრითი წილი, სადაც დაზიანების მიღების გარემოებები არასრულყოფილად ან საერთოდ არ არის აღწერილი.

დაზიანებების მიღების გარემოებების აღწერა დმი-ის ექიმის მიერ			
წელი	გარემოებები აღწერილია სრულყოფილად	გარემოებები აღწერილია არასრულყოფილად	გარემოებები საერთოდ არ არის აღწერილი
2023	64.8 %	15.3%	19.9%
2022	57.3%	19.5 %	23.3%
2021	46.1%	27.9%	21%
2020	42%	35.6%	22,4%
2019	22%	69%	9%

დაზიანებების მიღების გარემოებების სრულყოფილი აღწერა უმნიშვნელოვანესია სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დოკუმენტირებისას, ვინაიდან სწორედ ამის საფუძველზე უნდა დაადგინოს ექიმმა შესაბამისობა დაზიანებასა და დაკავებული პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას შორის. საყურადღებოა, რომ რიგ შემთხვევაში, ექიმი ადგენს შესაბამისობას არსებულ დაზიანებასა და მისი მიღების გარემოებებს შორის, მაშინ როდესაც დაზიანების მიღების გარემოებები არასრულყოფილად ან საერთოდ არ აქვს აღწერილი.¹⁷⁶ ამის საპირისპიროდ, ექიმს შესაბამისობა დადგენილი არ აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც დაზიანებების მიღების გარემოებები სრულყოფილად არის აღწერილი.¹⁷⁷

დაზიანებების ფოტოგრაფირება

სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დაზიანებების დოკუმენტირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს დაზიანებების ფოტოგრაფირება. სამწუხაროდ,

¹⁷⁶ 302 შემთხვევიდან, სადაც დაზიანების მიღების გარემოებები სრულყოფილად არ არის ან საერთოდ არ არის აღწერილი, 12.6%-ში ექიმს შესაბამისობა დადგენილი აქვს.

¹⁷⁷ 195 შემთხვევიდან, სადაც დაზიანების მიღების გარემოება სრულყოფილად არის აღწერილი, 8.7%-ში (17 შემთხვევა) არ არის დადგენილი შესაბამისობა.

დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმები იშვიათად იყენებენ ამ შესაძლებლობას და ფოტოების არგადაღების პრაქტიკას დაკავებული პირის უარით ხსნიან. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული, სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დოკუმენტირებული 302 შემთხვევიდან ფოტო გადაღებული იყო 9 (3%) შემთხვევაში. სახალხო დამცველი მიესალმება დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების და მასალის შენახვის ინსტრუქციის დამტკიცებას, რაც სახალხო დამცველის ხანგრძლივ რეკომენდაციას წარმოადგენდა, თუმცა ექიმებისთვის კვლავ არ არის ცნობილი ინსტრუქცია. 2023 წელსაც, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ ნანახი არცერთი ფოტოს ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი, კერძოდ, ფოტოები იყო ბუნდოვანი, არასაკმარისი ან ზედმეტად მკვეთრი განათების პირობებში გადაღებული. ფოტოები მიმოხეულია კომპიუტერში, სხვადასხვა საქალაქო დეპარტამენტში. ხშირად ფოტო დოკუმენტებს არ ეწერა სახელი, გვარი და თარიღი. 2023 წელსაც იყო შემთხვევები, როდესაც ექიმებმა ვერ იპოვეს ფოტოები და ზოგჯერ ვერ იხსენებდნენ, საერთოდ იყო თუ არა გადაღებული.

მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტრო პერიოდულად ატარებს ტრენინგებს „იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირებისა და ფოტომასალის შენახვის წესის შესახებ“, თუმცა 2023 წელსაც ყველა ექიმი არ იყო გადამზადებული.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტარდეთ ტრენინგები იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღებისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის შესახებ

შეტყობინება

წინა წლების მსგავსად, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც დაკავებულს აღენიშნებოდა დაზიანებები და სპეციალურ საგამომიებო სამსახურში შეტყობინება არ გაგზავნილა. 2023 წელს დამუშავებული 431 შემთხვევიდან სპეციალურ საგამომიებო სამსახურში შეტყობინება გაგზავნილია 348 (80.7%) შემთხვევაში, 83 (19.3%) შემთხვევაში კი არ არის გაგზავნილი. მათ შორის არის შემთხვევები, როდესაც დაკავებულს დაზიანება აღენიშნება სახესა და თვალბუდის არეში და დაზიანებების ხარისხი და ფერი მიაწინებს, რომ სავარაუდოდ ძალადობის შედეგად, ახლად მიღებული დაზიანებებია. ასევე არ გაგზავნილა ისეთი შემთხვევები, როდესაც დაკავებული მიუთითებდა, რომ დაზიანება დაკავების დროს მიიღო.¹⁷⁸ აღსანიშნავია, რომ იმ საექვო შემთხვევების რაოდენობა, რომელიც არ გაგზავნილა

¹⁷⁸ ასე, მაგალითად. დაკავების ოქმში მითითებულია, რომ დაკავებულმა დაკავებისას გაწია წინააღმდეგობა და მიიღო დაზიანებები, ექიმს აღწერილი აქვს შემდეგი დაზიანებები: მოწითალო სისხლნაჟღენთი ცხვირის არეში, წითელი ნაკაწრები ორივე მუხლზე, ორივე მხარზე და მარჯვენა მტევანზე. ერთ-ერთ დაკავებულს აღენიშნებოდა მოწითალო ჰიპერემია კისრის და თავის არეში და განმარტავდა, რომ დაზიანება მიღებული ჰქონდა დაკავებისას მანქანაში ჩასმის დროს.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში 2022 წელს შესწავლილი საქმეების 26.2%-ს შეადგენდა. შესაბამისად აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია.

კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრა

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს გამოკითხულ დაკავებულთა უმეტესობა მიუთითებდა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში ექიმს კონფიდენციალურ გარემოში შეხვდა. თუმცა კვლავ ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც იზოლატორის თანამშრომლები შეღებული კარის მიღმა იდგნენ და შეეძლოთ დაკავებულის და ექიმის საუბრის მოსმენა. იშვიათ შემთხვევაში მესამე პირის დასწრება დოკუმენტირებულია სამედიცინო შემოწმების ფორმაში, თუმცა მონიტორინგის შედეგების გაანალიზებით ირკვევა, რომ ექიმები მესამე პირის დასწრების ყველა შემთხვევას დოკუმენტაციაში არ უთითებენ და საჭიროებას არ ასაბუთებენ.

2023 წელს მონახულებულ ყველა სამედიცინო პუნქტში დამონტაჟებული იყო ვიდეომეთვალყურეობის კამერები, რომელიც ექიმების ინფორმაციით უკვე ახორციელებდა ვიდეო ჩაწერას. სახალხო დამცველი გასულ წელსაც უთითებდა, რომ ექიმის კაბინეტში ვიდეომეთვალყურეობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოვლენაზე და დოკუმენტირებაზე. 2022 წელს სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ვერ მიიღო პასუხი¹⁷⁹ ვიდეომეთვალყურეობის ლეგიტიმური მიზნის შესახებ. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტი შემუშავებულია და მიმდინარეობს განხილვა,¹⁸⁰ თუმცა სახალხო დამცველისთვის კვლავ უცნობია ვიდეომეთვალყურეობის ლეგიტიმური მიზანი და მისი განხორციელების აუცილებლობა.

სამედიცინო დოკუმენტაციის დაცულობა

დაკავებული პირის სამედიცინო დოკუმენტაცია შესაძლოა შეიცავდეს დაკავებულის მიმართ მოპყრობის თაობაზე სენსიტიურ ინფორმაციას, რომელზე წვდომის საშუალებაც შინაგან საქმეთა სამინისტროს არასამედიცინო პერსონალს არ უნდა ჰქონდეს.

სახალხო დამცველის აპარატი დადებითად აფასებს 2023 წელს, იმ იზოლატორებში, სადაც ფუნქციონირებდა სამედიცინო პუნქტი, ყველა სამედიცინო დოკუმენტაცია, მათ შორის

¹⁷⁹ სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 22 სექტემბრის N 03-2/9588 წერილით გამოთხოვილი იყო ინფორმაცია, თუ რა გარემოებებმა გამოიწვია დროებითი მოთავსების იზოლატორების საკნებში და ექიმის ოთახებში ვიდეო-მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟების აუცილებლობა და რა სამართლებრივი საფუძვლით იგეგმება ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება, ასევე, იზოლატორების ექიმების ოთახებში ვიდეო-კამერების არსებობის პირობებში, როგორ იგეგმება დაკავებულ პირებს და ექიმებს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა. შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 4 ოქტომბრის MIA 8 22 02773307 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ გარემოებების სრულყოფილი შესწავლა საჭიროებს ინფორმაციის მოძიებას სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში და ინფორმაცია დამუშავების შემდეგ მოეწოდებოდა.

¹⁸⁰ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 1 მარტის MIA 1 24 00639688 წერილი.

სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ შედგენილი სამედიცინო ბარათები ინახებოდა სამედიცინო პუნქტში, სადაც არასამედიცინო პერსონალს წვდომა არ აქვს.

3.3.5. არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევებზე რეაგირება

დროებითი მოთავსების იზოლატორიდან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული სავარაუდო ძალადობის თაობაზე 2023 წლის 1 იანვრიდან, 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით 914 შეტყობინება შევიდა.¹⁸¹ სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული მონაცემების დამუშავებით შეისწავლა, როგორც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის დროებითი მოთავსების იზოლატორში დროულად გამოცხადების საკითხი, ასევე დაკავებულთან გასაუბრების ხანგრძლივობა და პირობები. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული 431 საექვო შემთხვევიდან შეტყობინება გაიგზავნა 350 (81.2%) შემთხვევაში. აღნიშნული 350 შემთხვევიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი დაკავებულს დროებითი მოთავსების იზოლატორში ადგილზე მისვლით ან დისტანციურად შეხვდა 132 (37.7%) შემთხვევაში, რაც წინა წლებთან შედარებით შემცირებული მაჩვენებელია.¹⁸² აღსანიშნავია, რომ შეტყობინებიდან შეხვედრამდე პერიოდი საშუალოდ 9 - 10 საათია.

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში პრევენციული ვიზიტებისას მიღებული ინფორმაციით, 2023 წელსაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებთან შეხვედრა უმეტესად დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. წამებისა და არასათანადო მოპყრობის გამოძიებისას გასათვალისწინებელია სტამბოლის პროტოკოლის ის პრინციპები, რომლებიც წამების გამოძიებას ეხება. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავარაუდო მსხვერპლისა და სხვა მოწმეების გამოკითხვა, რაც შესაბამისი პროცედურებით უნდა განხორციელდეს და მოიცავდეს ისეთ ღონისძიებებს როგორიცაა: მსხვერპლის თანხმობის მიღება და მისი დაცვის მიზნით ზომების გატარება; გამოძიების ჩატარების პირობების უზრუნველყოფა; მოწმეთა უსაფრთხოების დაცვა და სხვა.¹⁸³ არასათანადო მოპყრობის ზუსტი სურათის დასადგენად, პირველ რიგში, აუცილებელია სავარაუდო მსხვერპლის ნდობის მოპოვება, რაც გამოკითხვისთვის საკმარისი დროის დათმობას, კონფიდენციალური და უსაფრთხო გარემოს შექმნას საჭიროებს. გამომდინარე იქიდან, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულს დისტანციური შეხვედრების ოთახში მარტო არ ტოვებენ, დისტანციური ჩართვის დროს არ არის უზრუნველყოფილი კონფიდენციალური გარემო, რაც გავლენას ახდენს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელთან გულახდილად საუბარზე. გარდა ამისა, პირისპირ

¹⁸¹ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 17 იანვრის წერილი SIS62400000650.

¹⁸² 2022 წელი - 47,4 %, 2021 წელი - 70%.

¹⁸³ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო (სტამბოლის პროტოკოლი), მესამე თავი: წამების ფაქტების სამართლებრივი გამოძიება.

შეხვედრა მნიშვნელოვანია გამომძიებლის მიერ დაკავებული პირისთვის სპეციალური საგამომძიებო სამსახურის შესახებ ინფორმაციის უკეთ მიწოდებისთვის, ნდობის მოპოვებისათვის და დაკავებულის ფიზიკური და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასებისთვის.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირსა და დამოუკიდებელი საგამომძიებო ორგანოს გამომძიებელს შორის შეხვედრების (მათ შორის დისტანციური შეხვედრების) კონფიდენციალურ გარემოში ჩატარება

3.3.6. აუდიო-ვიდეო ჩანაწერები

პოლიციასთან ურთიერთობის ელექტრონული ჩაწერა არის როგორც არასათანადო მოპყრობის პრევენციის ერთ-ერთი გარანტია, ასევე მნიშვნელოვანი უპირატესობა თავად პოლიციელთათვის ცრუ ბრალდებისგან თავის დასაცავად. ჩანაწერები უნდა იყოს დაცული, ინახებოდეს გონივრული დროით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაკავებული პირისთვის, მისი ადვოკატისთვის და შიდა/საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმებისთვის, ისევე როგორც საგამომძიებო ორგანოებისთვის.¹⁸⁴

სამწუხაროდ, 2023 წელსაც, ნორმატიულ ბაზაში არ განხორციელებულა ცვლილებები და არ შექმნილა გარანტიები ვიდეოკამერების კუთხით. კერძოდ, პატრულ ინსპექტორებს/ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღების ვალდებულება კვლავ არ აქვთ. იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილი თანამშრომლების მიერ ვიდეო გადაღება განხორციელდება, პატრულ ინსპექტორების გარდა, არც ერთ შემთხვევაში არ არის გაწერილი ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები.¹⁸⁵ პრაქტიკაში პატრულ ინსპექტორები/ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღებას იშვიათად იყენებენ.

პრობლემად რჩება ტერიტორიული ორგანოების და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების აღჭურვა სამხრე კამერებით, ასევე პოლიციის ავტომანქანების შიდა პერიმეტრის ვიდეო-კამერებით აღჭურვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია უცვლელია და მიიჩნევს, რომ ვიდეოგადაღება წარმოადგენს პოლიციის თანამშრომლის დისკრეციას, თუმცა ეს მნიშვნელოვნად აფერხებს

¹⁸⁴ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 28-ე საერთო ანგარიში, 2019 წ. პარაგრაფი: 81, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: < <https://rm.coe.int/16809420e3>>, [ბოლოს ნანახია: 27.02.2024].

¹⁸⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის N1310 ბრძანება, მუხლი 121.

სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიებას და ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვებას. ასე მაგალითად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში სამსახურის მიერ 161 საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებული ვიდეო-კამერების ჩანაწერების ამოღება ვერ მოხერხდა 80 საქმეზე.¹⁸⁶ მათგან, 43 საქმეზე ვიდეო-კამერის ჩანაწერების ამოღება ვერ მოხერხდა, ვინაიდან ჩანაწერი ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე არ მოიძებნა; 28 შემთხვევაში ვერ მოხერხდა, რადგან ადგილზე არ იყო განთავსებული ვიდეო-კამერები.¹⁸⁷

აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დაწყებული გამოძიებებიდან 82 სავარაუდო მსხვერპლი მიუთითებდა, რომ სავარაუდო დანაშაულს ადგილი ჰქონდა პოლიციის შენობაში. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ვიდეო და აუდიო ტექნიკური საშუალებებით მოხდეს პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ნებისმიერი გამოკითხვის/გასაუბრების ჩაწერა, სადაც უნდა მიეთითოს გამოკითხვის/გასაუბრების დაწყების და დასრულების დრო და მიეთითოს ჩანაწერში მონაწილე ყველა პირის სახელი და გვარი.¹⁸⁸ 2023 წელსაც დაკავებულ პირებთან და ადვოკატებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ პოლიციის დაწესებულებებში კვლავ არ მიმდინარეობს დაკავებულ პირთა გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.¹⁸⁹ გარდა ამისა, წლიდან წლამდე მცირდება პოლიციის სამმართველოებსა და დეპარტამენტებში შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული კამერების რაოდენობა. ქვემოთ მოცემული ცხრილი უჩვენებს, რომ პოლიციის 5 დაწესებულებაში შიდა პერიმეტრზე არცერთი კამერა აღარ არის განთავსებული, მათ შორის ორ დაწესებულებაში კამერა არ არის გარე პერიმეტრზეც, რაც საგანგაშო და მკვეთრად უკან გადადგმული ნაბიჯია.

პოლიციის დეპარტამენტები და სამმართველოები დეპარტამენტები	შიდა პერიმეტრზე არსებული ვიდეო-კამერები					გარე პერიმეტრზე არსებული ვიდეო-კამერები				
	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი

აჭარა-გურია

¹⁸⁶ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 17 იანვრის წერილი SIS62400000650.

¹⁸⁷ დარჩენილი 9 შემთხვევიდან 7 შემთხვევაში ვიდეო-კამერის ჩანაწერების ამოღება ვერ მოხერხდა, რადგან ჩამწერი მოწყობილობა მყარ დისკზე არ მოიძებნა /ადგილზე არ იყო განთავსებული ვიდეო-კამერები; 2 შემთხვევაში არ იქნა ამოღებული, რადგან სავარაუდო მსხვერპლი შესაძლო ძალადობის ადგილად უთითებდა ქუჩას.

¹⁸⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 28-ე საერთო ანგარიში, 2019 წ. პარაგრაფი: 81, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <<https://rm.coe.int/16809420e3>>, [ბოლოს ნანახია: 27.02.2024].

¹⁸⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 113, მე- 9 ნაწილი. „გამოკითხვისას შესაძლებელია ხმის ან/და გამოსახულების ჩამწერი ტექნიკური საშუალებების გამოყენება. გამოსაკითხ პირს მათი გამოყენების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს“.

აჭარის რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტი	ა.	19	19	19	2	1 მიმდინ არეობდ ა რემონტ ი	5	5	5	3	1
ქობულეთის რაიონული სამმართველო		9	9	9	1	1	5	5	5	4	4
შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტი და ოზურგეთის რაიონული სამმართველო		15	15	15	12	9	9	9	9	9	8
ლანჩხუთის რაიონული სამმართველო		7	7	7	3	3	7	7	7	6	4
ჩოხატაურის რაიონული სამმართველო		6	6	6	მიმდინ არეობ და რემონ ტი		4	4	4	მიმდი ნარეობ და რემონ ტი	
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი											
შსს იმერეთის, რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი		12	12	12	2	2	4	4	4	2	2
ქუთაისის საქალაქო სამმართველო		10	10	10	3	0	4	4	3	3	0
წყალტუბოს რაიონული სამმართველო		10	10	10	2	2	5	4	4	4	4
ზესტაფონის რაიონული სამმართველო		8	8	8	4	3	8	8	8	8	8
სამტრედიის რაიონული სამმართველო		7	7	7	2	2	7	5	5	6	6
ბაღდათის რაიონული სამმართველო		1	1	1	1	1	3	3	3	3	3
ვანის რაიონული სამმართველო		1	1	1	1	1	4	4	4	4	2
საჩხერის რაიონული სამმართველო		9	9	მიმდინ არეობ და რემონ ტი	4	2	7	7	მიმდინ არეობ და რემონ ტი	7	7

ტყიბულის რაიონული სამმართველო	1	1	1	1	1	4	5	5	4	4
ხარაგაულის რაიონული სამმართველო	10	10	10	4	2	8	8	8	7	7
თერჯოლის რაიონული სამმართველო	1	1	1	1	1	4	4	4	4	0
ამბროლაურის რაიონული სამმართველო	8	8	8	2	2	2	3	3	4	4
ონის რაიონული სამმართველო	6	6	6	2	2	4	4	4	4	3
ჭიათურის რაიონული სამმართველო	10	10	10	5	4	6	6	6	6	3
კახეთი										
კახეთის პოლიციის დეპარტამენტი	9	8	8	2	2	4	4	3	4	2
თელავის რაიონული სამმართველო	9	11	10	0	0	4	4	4	4	2
ახმეტის რაიონული სამმართველო	5	5	5	1	1	3	3	3	4	2
ყვარლის რაიონული სამმართველო	7	7	7	1	1	6	6	6	6	6
ლაგოდეხის რაიონული სამმართველო	6	6	6	0	0	4	4	4	4	4
გურჯაანის რაიონული სამმართველო	6	3	12	14	6	4	4	15	17	7
დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველო	4	4	4	5	5	3	4	4	6	6
სიღნაღის რაიონული სამმართველო	3	3	3	1	0	3	3	3	3	2
საგარეჯოს რაიონული სამმართველო	5	4	5	მიმდინ არეობ და რემონ ტი	0	5	5	5	მიმდი ნარეობ და რემონ ტი	0

საბოლოო ჯამში, მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ ვიდეო გადაღება უმეტესად არ არის უზრუნველყოფილი დაკავებისას და ტრანსპორტირებისას, ასევე ხშირ შემთხვევაში

გამოკითხვისას და პოლიციის დაწესებულებების სივრცეებში გადაადგილებისას, რაც ზრდის არასათანადო მოპყრობის რისკებს.

რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- 2024 წელს, ტერიტორიული ორგანოების და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ეტაპობრივად აღიჭურვონ სამხრე კამერებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, ასევე, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის N1310 ბრძანებით განისაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება. ვიდეოგადაღების ვალდებულება დაწესდეს შემდეგ შემთხვევებში: პირის იდენტიფიკაცია; ზედპირული შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური შემოწმება და დათვალიერება, პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა, პირის დაკავება
- პოლიციის ავტომანქანები ეტაპობრივად აღიჭურვოს ავტომანქანის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მეთვალყურეობის სისტემით
- ნორმატიული აქტით განისაზღვროს დაკავებული პირის პოლიციის ავტომანქანაში ყოფნის დროს უწყვეტი ვიდეო გადაღების ვალდებულება ავტომანქანის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოკამერით ან მისი არარსებობის შემთხვევაში სამხრე კამერით
- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში გაიზარდოს ვიდეო-კამერების რაოდენობა და დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა
- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება

3.3.7. დოკუმენტაციის წარმოება

დაკავებული პირების არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გასამდიერებლად, ასევე, უკანონო დაკავების ან/და არასათანადო მოპყრობის შესახებ ცრუ ბრალდებებისგან პოლიციის დასაცავად, მნიშვნელოვანია დაკავების ოქმების და დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის ზედმიწევნით სწორად წარმოება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციული დაკავების ოქმში შევიდა ცვლილება და დაემატა დაზიანების აღწერის გრაფა, დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერის კუთხით შეინიშნება გაუმჯობესება. აქვე, ხაზგასასმელია, რომ როგორც სისხლის ასევე ადმინისტრაციული დაკავების ოქმები საჭიროებს განახლებას,

სადაც მნიშვნელოვანია გამოიყოს გრაფები შემდეგი ინფორმაციისთვის: ადგილი ჰქონდა თუ არა დაკავების დროს დაკავებულის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას; გამოყენებულ იქნა თუ არა იძულების ზომა და რა ფორმით.

სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატებთან გასაუბრებით კი ირკვევა, რომ კვლავ ხშირია შემთხვევები, როდესაც დამკავებელი პოლიციელი დაკავების ოქმში უთითებს უფრო გვიან დროს, ვიდრე დაკავება რეალურად მოხდა. აღნიშნულის გამო დაკავებული პირი შესაძლოა უფრო ხანგრძლივად იმყოფებოდეს პოლიციის კონტროლის ქვეშ, ვიდრე ეს დოკუმენტირებულია და ამ პერიოდში განმავლობაში არ ამოქმედდეს ის საპროცესო უფლებები, რომელიც მას კანონით მინიჭებული აქვს.

რაც შეეხება პოლიციის დაწესებულებებში არსებულ დოკუმენტაციას, დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალებში და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანილ პირთა აღრიცხვის წიგნებში არსებული გრაფების დასათაურება არის პრობლემური და პოლიციის თანამშრომლებს არ აქვთ მიცემული შესაბამისი ინსტრუქტაჟი, როგორ უნდა შეავსონ გრაფები. ჟურნალები იმდენად მოძველებულია, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ტერმინებთანაც შეუსაბამოა. არსებული სახით დოკუმენტაციის წარმოება ვერ უზრუნველყოფს დაკავებულის თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის აღწერას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებთან შედარებით, გაუმჯობესებულია პოლიციის დაწესებულებებში დოკუმენტაციის წარმოება, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონახულებული 47 პოლიციის დაწესებულებიდან, 8 დაწესებულებაში მაინც ფიქსირდებოდა დოკუმენტაციის წარმოების ხარვეზები. კერძოდ, არ იყო მითითებული პირის დაკავების თარიღი/დრო; დაკავებული პირის სამმართველოში შეყვანის/სამმართველოდან გაყვანის თარიღი/დრო; შეუსაბამო იყო დაკავების, სამმართველოში შეყვანის და გაყვანის დროები; შეუსაბამო იყო სამმართველოდან გაყვანის და დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანის დრო; არ იყო მითითებული დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლების დრო/თარიღი; არ იყო მითითებული და რიგ შემთხვევებში ურთიერთსაწინააღმდეგო იყო სამმართველოში შეყვანის და სამმართველოდან გაყვანის თარიღები; ასევე რიგ შემთხვევებში უცნობი იყო, რა ბედი ეწია დაკავებულს.

ჟურნალების შევსება ხდება დაკავების ოქმში მითითებული მონაცემების შესაბამისად, დაკავების ოქმის დაწესებულებაში შევსების დასრულების შემდეგ, რაც აზრს უკარგავს ჟურნალების წარმოებას და დაკავებული პირის აღრიცხვის პროცედურას. აღნიშნული მარტივად შესამჩნევია ჟურნალების გრაფებში მოცემული ჩანაწერების და დაკავების ოქმის ჩანაწერების შედარებისას, სადაც სიტყვათა წყობა და გრამატიკული შეცდომებიც კი იდენტურია. აქვე საგულისხმოა, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის დრო წინ უსწრებს ოქმის შევსების დასრულების დროს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩანაწერების წარმოება ხდება პოსტ-ფაქტუმ და არა სინქრონულად.

გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს უზრუნველყონ დაკავებულთა შესახებ ინფორმაციის შემცველი სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების წარმოება.¹⁹⁰ სტანდარტიზებული და გამართული დოკუმენტაციის წარმოება მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად და დროში სინქრონულად აღირიცხოს დაკავებულ პირთან დაკავშირებული ყველა მოქმედება: დაკავება, დაწესებულებაში შემოყვანა და გაყვანა, სხეულის დათვალიერება, დაკავებულის მიერ ადვოკატთან/ექიმთან/ოჯახთან დაკავშირების მოთხოვნა და მისი უზრუნველყოფა, დაკავებულის გათავისუფლების ან სხვაგან გადაყვანის ზუსტი დრო და მიზეზები, ზუსტი ინფორმაცია, თუ სად იმყოფებოდა პირი იმ პერიოდში, როდესაც დაკავებული იყო და სხვა. ფაილური სახით დოკუმენტაციის წარმოება შექმნის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მეტ გარანტიას, ვინაიდან პოლიციის თანამშრომლები ვალდებული იქნებიან დროში სინქრონულად, სისტემაში შეიყვანონ ყველა ზემოაღნიშნული ინფორმაცია და ვერ შეძლებენ მის თვითნებურად შეცვლას და გადაკეთებას. თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ზემოაღნიშნული მექანიზმის დანერგვა დიდ დაბრკოლებებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული.¹⁹¹

სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების ელექტრონული წარმოების დანერგვასთან ერთად, მნიშვნელოვანია დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალების ან დროებითი მოთავსების იზოლატორში გადასაყვან პირთა აღრიცხვის ჟურნალების გამართული წარმოება; შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა პოლიციის დეპარტამენტისთვის, სამმართველოსა და განყოფილებისთვის ერთიანი ჟურნალის ფორმის შემუშავება, სადაც დაფიქსირდება მოქალაქეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების თარიღი და დრო, ასევე შესვლის მიზანი; პოლიციის დაწესებულებების შიდა და გარე პერიმეტრების აღჭურვა ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემებით იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტაციაში მითითებული მონაცემების ვიდეო კამერების საშუალებით გადამოწმება. ამ რეკომენდაციების შესრულება შექმნის მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობას და საბოლოოდ, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს, როგორც წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციაზე, ასევე ზოგადად სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე.

რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- შევიდეს ცვლილება 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N625-ე ბრძანებაში და N9 დანართით დამტკიცებული ადმინისტრაციული

¹⁹⁰ გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის 2016 წლის 25-29 იანვრის ვიზიტი კვიპროსში ვიზიტის შემდგომი ანგარიში, CAT/OP/CYP/1, პარა: 21. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე <<https://bit.ly/3dkjevjd>> [ბოლოს ნანახია: 27.02.2024].

¹⁹¹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მოუწოდებს საბერძნეთის მთავრობას, პოლიციის ყველა დაწესებულებაში დანერგოს დაკავებულების თაობაზე დოკუმენტაციის წარმოების ელექტრონული სისტემა. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2020 წლის 6 ივლისის საბერძნეთში ვიზიტის შემდგომი ანგარიში, პარა. 25, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3jvY6Wd>> , [ბოლოს ნანახია: 27.02.2024].

დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; რა ვითარებაში მოხდა დაკავება; ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას; გამოყენებულ იქნა თუ არა იძულების ზომა და რა ფორმით

- პოლიციის დაწესებულებებში დაინერგოს დაკავებულთა შესახებ ინფორმაციის შემცველი სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების ელექტრონული წარმოება, სადაც დეტალურად და დროში სინქრონულად აღირიცხება დაკავებულ პირთან დაკავშირებული ყველა მოქმედება, მათ შორის, დაკავება, დაწესებულებაში შემოყვანა და გაყვანა, სხეულის დათვალიერება, დაკავებულის მიერ ადვოკატთან/ექიმთან/ოჯახთან დაკავშირების მოთხოვნა და მისი უზრუნველყოფა, დაკავებულის გათავისუფლების ან სხვაგან გადაყვანის ზუსტი დრო და მიზეზები, ზუსტი ინფორმაცია, თუ სად იმყოფებოდა პირი იმ პერიოდში, როდესაც დაკავებული იყო
- გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლოს დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნების და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადასაყვან პირთა აღრიცხვის ჟურნალების გამართული წარმოების საკითხი

3.3.8. მოწმის სტატუსით პოლიციაში მყოფი პირის დაკავება

2023 წელსაც, დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნის შემოწმებით, დაკავებულებთან და ადვოკატებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ფიქსირდება ცალკეული შემთხვევები, როდესაც პირი დაწესებულებაში შესვლის დროს არ იყო დაკავებული და მოგვიანებით მოხდა მისი დაკავება, თუმცა წინასწარვე განსაზღვრული იყო, რომ პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის და გასაუბრების შემდეგ მოხდებოდა მისი დაკავება. პოლიციის დაწესებულებაში მისვლისთანავე პირს ჩამორთმეული აქვს მობილური ტელეფონი, შეზღუდული აქვს გადაადგილების უფლება და არ შეუძლია სურვილისებრ დატოვოს პოლიციის დაწესებულება. ამ პერიოდში, პოლიციის თანამშრომლები ცდილობენ მოიპოვონ მოწმედ დაბარებული პირისგან ის ინფორმაცია, რომელსაც მისსავე წინააღმდეგ გამოიყენებენ. აღნიშნულ პერიოდს რიგ შემთხვევებში თან სდევს მუქარა და დაშინებაც. მსგავსი შემთხვევები არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის კუთხით სარისკო პრაქტიკას წარმოადგენს, ვინაიდან ოფიციალურად დაკავებამდე, დასაკავებელ პირს არ აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის გარანტიებით, მაშინ როდესაც დაკავებამდეც დე ფაქტო და უკანონოდ შეზღუდული ჰქონდა თავისუფლება და პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.¹⁹²

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

¹⁹² I.I. v. Bulgaria (Application no. 44082/98) ხელმისაწვდომია < <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-69313> > [ბოლოს ნანახია: 28.02.2024].

- რეესტრის წარმოების გზით, უზრუნველყოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებში და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა, მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით
- გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლოს მოწმედ დაზარებული პირებისთვის დე ფაქტო თავისუფლების შეზღუდვის და შემდგომ დაკავების პრაქტიკა და მიიღოს შესაბამისი ზომები აღნიშნული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად

3.4. იზოლატორებში არსებული მდგომარეობა

3.4.1. ფიზიკური გარემო

დადებითად აღსანიშნავია, რომ 2023 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შემოწმებულ¹⁹³ ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში დაცული იყო დაკავებული პირებისთვის დადგენილი საცხოვრებელი ფართის ნორმა.¹⁹⁴ საკნებში იყო სისუფთავე და დაკავებულები უზრუნველყოფილნი იყვნენ ჰიგიენური დანიშნულების ნივთებით. დამაკმაყოფილებელი იყო ხელოვნური განათება. წლის განმავლობაში დროებითი მოთავსების იზოლატორებში ეტაპობრივად ხორციელდებოდა კოსმეტიკური სახის სარემონტო სამუშაოები.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში პრევენციული ვიზიტების დროს კვლავ გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოგვარებას საჭიროებს. რიგი დროებითი მოთავსების იზოლატორები არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბუნებრივი განათებით.¹⁹⁵ რამდენიმე იზოლატორში ხელოვნური სავენტილაციო სისტემა გაუმართავი იყო.¹⁹⁶ ასევე, იზოლატორების¹⁹⁷ უმეტესობაში გარემო არ იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

¹⁹³ 2023 წელს ვიზიტები განხორციელდა თბილისის N1, თბილისის N2, თბილისის N3, რუსთავის, მარნეულის, წალკის, თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, ქუთაისის, ბაღდათის, ჭიათურის, ზესტაფონის, სამტრედიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ, ჩხოროწყუს, სენაკის, ფოთის, ბათუმის, ქობულეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის და ამბროლაურის დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

¹⁹⁴ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N423 ბრძანების 26-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მოთავსებულ პირზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა იზოლატორში არ უნდა იყოს 4 კვ.მ-ზე ნაკლები.

¹⁹⁵ მცირე ზომის ფანჯრების გამო ბუნებრივი განათების პრობლემაა თელავის, სიღნაღის, საგარეჯოს, რუსთავის, მარნეულის, წალკის, ბათუმის, ქობულეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ქუთაისის, ბაღდათის, ზესტაფონის, სამტრედიის, ჭიათურის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ, ჩხოროწყუს, სენაკის, ფოთის და ამბროლაურის დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

¹⁹⁶ რუსთავის, მარნეულის, წალკის, ჩხოროწყუს, ფოთის და ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორები.

¹⁹⁷ ამ მხრივ გამონაკლისი და დადებითად აღსანიშნავია ქ.თბილისის N1, ქ.თბილისის N2 და გურჯაანის დროებითი მოთავსების იზოლატორები.

პირებისთვის. კვლავ პრობლემური იყო დროებითი მოთავსების იზოლაციის¹⁹⁸ ორ ან მეტ ადგილიან საკნებში ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძები, სადაც ორი და მეტი დაკავებულის მოთავსების შემთხვევაში, დაკავებულებს ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სხვა დაკავებულის/დაკავებულების თვალწინ მოუწევთ. ამავე დროს, იზოლირებული სანიტარული კვანძის არარსებობის გამო, ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ საკანში მძაფრი სუნი დგება. გარდა ამისა, ამ იზოლაციის საკნების საპირფარეშოებში არ იყო ჩამრეცხი მოწყობილობა და მის ნაცვლად საკნების საპირფარეშოებში არსებული საკანალიზაციო ღია ხვრელის ზემოთ, რამდენიმე სანტიმეტრში დამაგრებული წყლის მილი გამოიყენებოდა. საყურადღებოა, რომ ამ მილიდან უწყვედად დაკავებულ პირებს ხელ-პირის დაბანაც, რაც გამორიცხავს მათი ღირსების პატივისცემის პირობებში, პირადი ჰიგიენის დაცვას. ზემოთ აღწერილ პირობებში დაკავებულის ხანგრძლივი დროით¹⁹⁹ მოთავსება შესაძლოა, გაუტოლდეს დაკავებული პირების მიმართ დამამცირებელ მოპყრობას.²⁰⁰

2022 წელს დროებითი მოთავსების იზოლაციის საკნებში დამონტაჟდა ვიდეოკამერები²⁰¹. აღნიშნული ვიდეოკამერებით 2023 წლიდან ყველა იზოლაციის საკნებში ხორციელდებოდა ვიდეომეთვალყურეობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაციის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „იზოლაციის ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება დასაშვებია იზოლაციის სამორიგეო ოთახებში, დეესკალაციის ოთახებსა და დერეფნებში, სადაც განთავსებულია საკნები“. დებულება არ უშვებს საკნების ვიდეომეთვალყურეობის შესაძლებლობას. სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან წერილობით გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რა გარემოებებმა გამოიწვია დროებითი მოთავსების იზოლაციის საკნებში ვიდეომეთვალყურეობის კამერების დამონტაჟების აუცილებლობა და რა სამართლებრივი საფუძვლით ხორციელდებოდა ვიდეომეთვალყურეობა²⁰². შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2024 წლის 1 მარტს წერილობით გვეცნობა, რომ დროებითი მოთავსების იზოლაციის საკნებში არსებულ საკნებში

¹⁹⁸ ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძებია: მარნეულის, ქუთაისის, ზესტაფონის, სამტრედიის, ჭიათურის, ბათუმის, ქობულეთის, ლანჩხუთის და ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლაციის საკნებში.

¹⁹⁹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული პატიმრობა შესაძლოა დადგინდეს 15 დღემდე ვადით.

²⁰⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე მსჯელობისას ხელმძღვანელობს მის მიერვე დადგენილი სტანდარტით და აღნიშნავს, რომ დაკავების/პატიმრობის მატერიალური პირობები არ უნდა ლახავდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას და არ უნდა იყოს იმაზე მძიმე, ვიდრე ეს გარდაუვლად არის დაკავშირებული პატიმრობასთან. მაგალითისთვის იხილეთ VASILESCU c. BELGIQUE (App. no. 64682/12), პარა. 105. ხელმისაწვდომია ფრანგულ ენაზე: <<https://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-148507>> [ბოლოს ნანახია: 28.02.2024].

²⁰¹ იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <<https://ombudsman.ge/geo/tsliuri-angarishebi/preventsiiis-erovnuli-mekanizmis-2022-tslis-angarishi>> გვ. 167, [ბოლოს ნანახია: 28.02.2024].

²⁰² სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 22 სექტემბრის N 03-2/9588 წერილი.

ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების წესის შესახებ დოკუმენტის პროექტი შემუშავებულია და მიმდინარეობს განხილვა.²⁰³

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მაღალია თვითდაზიანების ან სუიციდის რისკი, შესაძლოა განხორციელდეს ვიდეომეთვალყურეობა, მხოლოდ რეალური და იმშუთიერი რისკის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, გასათვალისწინებელია საკნის ინფრასტრუქტურაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, იზოლატორების უმრავლესობაში ნახევრად ღია საპირაფარეშოებია, რომელიც შეიძლება ვიდეომეთვალყურეობის არეალში მოექცეს. ვიდეომეთვალყურეობის პირობებში ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს დაკავებული პირის პირადი სივრცის უხეშ ხელყოფას და შესაძლოა დაკვალიფიცირდეს, როგორც დამამცირებელი მოპყრობა.²⁰⁴

3.4.2. კვება

წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემურია იზოლატორებში²⁰⁵ მყოფ დაკავებულთა არასრულფასოვანი კვება, რაც მხოლოდ მშრალი სასურსათო ულუფით შემოიფარგლება.²⁰⁶ ამგვარი საკვების 15 დღემდე ვადით მიღება უწევთ ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირებს, რამაც შეიძლება მათ ჯანმრთელობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს. ეს პრობლემა განსაკუთრებულ ზიანს აყენებს დიეტური კვების საჭიროების მქონე დაკავებულ პირებს. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იზოლატორებში სათანადო კვების საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას.

რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშში დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ფიზიკური მდგომარეობის თავში აღწერილი პრობლემების აღმოფხვრა და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს სახალხო დამცველს
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში საკვების მიწოდების დროს გათვალისწინებული იქნას დაკავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სპეციალური კვებითი საჭიროებები. იმ დროებითი მოთავსების

²⁰³ სახალხო დამცველის აპარატიდან 2024 წლის 26 თებერვალს გაგზავნილი N03-6/2035 წერილის პასუხად მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 1 მარტის MIA 1 24 00639688 წერილი.

²⁰⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: CASE OF GORLOV AND OTHERS v. RUSSIA Applications nos. 27057/06 and 2 others. ასევე, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მოუწოდებს იტალიის მთავრობას პენიტენციურ დაწესებულებაში ვიდეომეთვალყურეობა განხორციელოს ისე, რომ გარანტირებული იყოს პრივატული გარემო პატიმრის მიერ საპირაფარეშოთი სარგებლობის დროს. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2016 წლის 8-12 აპრილის იტალიაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. CPT/Inf (2017) 23, პარა: 62, ხელმისაწვდომია: < https://www.ecoi.net/en/file/local/1406598/1226_1505200729_16807412c2-rep.pdf>, [ბოლოს ნანახია: 28.02.2024].

²⁰⁵ გამოწვევისი და დადებითად აღსანიშნავია, ქ.თბილისის N1 და ქ.თბილისის N2 დროებითი მოთავსების იზოლატორები, სადაც დაკავებულებისთვის ადგილზე მზადდება საკვები.

²⁰⁶ საქონლის ხორცის კონსერვი, მშრალი სუპი, პაშტეტი და პური.

იზოლატორებში კი სადაც ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული დაკავებულები 15 დღემდე ვადით შესაძლოა მოთავსდნენ უზრუნველყოფილი იქნას დაბალანსებული სამკურადი კვება, რომელიც ხელს შეუწყობს მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებას

3.4.3. დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების სწავლება

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლებს არ უტარდებათ რეგულარული სწავლება ადამიანის უფლებებსა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გამოკითხული თანამშრომლების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებდა, რომ 2022 და 2023 წელს ტრეინინგი არ ჩატარებია.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების რეგულარული სწავლება ადამიანის უფლებებსა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე

3.4.4. აღკვეთის სინდრომის მართვა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით,²⁰⁷ კონვენციის მესამე მუხლი (წამების აკრძალვა) სახელმწიფოს აკისრებს თავისუფლება შეზღუდული/აღკვეთილი პირების ფიზიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, მათ შორის ასეთი პირებისათვის საჭირო სამედიცინო დახმარების გაწევის გზით. დაკავებულ პირთათვის ადეკვატური მკურნალობის გაუწევლობა არაადამიანურ მოპყრობას უთანაბრდება.²⁰⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ნარკოტიკული ნივთიერების დეტოქსიკაციის პროცესი იწვევს იმგვარ ძლიერ ფიზიკურ და გონებრივ ტანჯვას და სტრესს, რომ ექცევა კონვენციის მე-3 მუხლში. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა დაასაბუთოს, რომ ამ დროს დაკავებულ პირს ადეკვატური სამედიცინო მომსახურება გაეწია.²⁰⁹

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის²¹⁰ მე-16 მუხლით უზრუნველყოფილია ჩანაცვლებით თერაპიაზე ხელმისაწვდომობა. 2023 წელს ის

²⁰⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე დიბეკუ ალბანეთის წინააღმდეგ (Dybeku v. Albania), პარ. 41.

²⁰⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ (Poghosyan v. Georgia), პარ. 47-49.

²⁰⁹ Wenner v. Germany (Application no. 62303/13), პარ 78-80.

²¹⁰ დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანებით.

დაკავებული პირები, რომლებიც დაკავებამდე ჩართული იყვნენ პროგრამაში უზრუნველყოფილი იყვნენ ჩანაცვლებითი თერაპიით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,²¹¹ 2023 წელს დაკავებულ პირებს, რომელთაც დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნის პერიოდში განუვითარდათ აღკვეთის სინდრომი და არ სარგებლობდნენ ჩანაცვლებითი თერაპიით, მათი თანხმობის საფუძველზე, რთავდნენ აღნიშნულ პროგრამაში. რაც შეეხება იმ დაკავებულებს, რომლებიც დაკავებამდე ჩართული არ იყვნენ პროგრამაში და არ დაკავების შემდეგ ითხოვდნენ ჩართვას, წინა წლების მსგავსად, სიმპტომური მკურნალობა უტარდებოდათ, რაც დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების მიწოდებას გულისხმობდა.

სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში მიუთითებს დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის²¹² მართვისთვის ერთიანი სახელმძღვანელოს შექმნის მნიშვნელობაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დახმარების მოცულობა და მოცემული იქნება მკაფიო მითითება, თუ რა შემთხვევაში უნდა მოხდეს დაკავებულის სტაციონარში გადაყვანა. 2023 წლის თებერვლის²¹³ თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, შემუშავებული იყო დოკუმენტი დროებითი მოთავსების იზოლატორში ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულ დაკავებულ პირთა სიმპტომური მკურნალობისა და მართვის შესახებ²¹⁴ და უახლოეს პერიოდში იგეგმებოდა აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცება, ამავე პასუხის თანახმად, 2023 წლის იანვარ-თებერვალში კი დაიწყო სამედიცინო პერსონალის გადამზადება მოცემული მიმართულებით. სამწუხაროდ, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული ვიზიტების დროს სამედიცინო პერსონალის უმეტესობას არ ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტის შესახებ და არ ჰქონდათ გავლილი ტრენინგები, აღკვეთის სინდრომის მართვა კი წინა წლების მსგავსად ხდებოდა. დამატებით გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან, აღკვეთის სინდრომის

²¹¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი პოზიცია “2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 1 ნოემბრის № 3600-XIIIმს-XXმპ დადგენილებით გაზიარებულ რეკომენდაციებზე.

²¹² სხვადასხვა შეხამებისა და სიმძიმის სიმპტომთა ჯგუფი, რომელიც აღმოცენდება იმ ფსიქოპათიური ნივთიერების მოხმარების შეწყვეტის ან შემცირებისას, რომელსაც, ჩვეულებრივ, მოიხმარდნენ დიდი ხნის განმავლობაში და/ან დიდი დოზებით. სინდრომს შესაძლებელია თან სდევდეს ფიზიოლოგიური დარღვევები. იხ. ბმული <<https://bit.ly/3aGshWM>> [ბოლოს ნანახია: 27.02.2024].

²¹³ 2023 წლის 27 თებერვლის MIA 7 23 00564408 პასუხი.

²¹⁴ დოკუმენტი შემუშავდა ევროპის საბჭოს პროექტის - „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ - ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს იზოლატორში მოთავსებული, ნივთიერებებზე დამოკიდებული პირის მიმართ ადგილზე განისაზღვროს და განხორციელდეს ეფექტური მკურნალობა, ხოლო საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, გადაყვანილი იქნას სამოქალაქო სექტორის სტაციონარში, სადაც მიწოდებული იქნება შესაბამისი კომპეტენციებისა და კვალიფიკაციის მქონე ჯანდაცვის პროფესიონალების მიერ ადეკვატური მკურნალობა.

მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტის თაობაზე და მიღებული ინფორმაციის თანახმად აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია, თუმცა ჯერ კიდევ განხილვის ეტაპზეა.²¹⁵

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის სამართავად ერთიანი სახელმძღვანელოს დამტკიცება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დახმარების მოცულობა და მკაფიოდ გაიწერება, თუ რა შემთხვევაში უნდა გადაიყვანონ დაკავებული სამედიცინო დაწესებულებაში; აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო პერსონალის გადამზადება.

²¹⁵ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 1 მარტის წერილი MIA 1 24 00639688.

4. მიგრანტთა დაცვა არასათანადო მოპყრობისაგან

4.1. შსს დროებითი განთავსების ცენტრი

2023 წლის 21 ივლისს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მონიტორინგის ვიზიტი განახორციელა. ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ასევე განხორციელდა მცირე ვიზიტი 2023 წლის 18 სექტემბერს. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა იმ გარემოებების შეფასება, თუ რამდენად არიან დაცული შსს დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები არასათანადო მოპყრობისაგან, როგორ მიუწვდებოდათ მათ ხელი სამართლებრივი დაცვის გარანტიებზე, სამედიცინო მომსახურებასა და სხვა სერვისებზე და რამდენად შეესაბამება მათი საცხოვრებელი პირობები საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს. მონიტორინგის საფუძველზე მომზადდა და გამოქვეყნდა ვიზიტის შემდგომი ანგარიში.²¹⁶ ანგარიშის სამუშაო ვერსია გამოქვეყნებამდე გასაცნობად და მოსაზრებების წარმოსადგენად გაეგზავნა შსს მიგრაციის დეპარტამენტს. სახალხო დამცველი მიესალმება, რომ შესრულდა მონიტორინგის ვიზიტების შედეგად მომზადებული ანგარიშის სამუშაო ვერსიაში მოცემული რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც სანიტარულ-ჰიგიენურ და ინფრასტრუქტურულ საკითხებს შეეხებოდა.²¹⁷

გარდა ამისა, გრძელდება კონსტრუქციული და მაღალი ხარისხის თანამშრომლობა შსს მიგრაციის დეპარტამენტთან, როგორც ინფორმაციის გაზიარების კუთხით, ასევე რიგი რეკომენდაციების შესრულების და შესრულების მზაობის კუთხით. 2023 წლის განმავლობაში, შესრულდა 2022 წლიურ ანგარიშში მოცემული ისეთი რეკომენდაციები, რომელიც შეეხებოდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების სპეციალურ საგამომიებო ორგანოში შეტყობინებას, ექიმთან კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრას, ექიმების ფოტოგადაღების კამერებით აღჭურვას და გადაღებული ფოტომასალის შენახვის ინსტრუქციის დამტკიცებას.

მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ასევე დროულად შესრულდეს სახალხო დამცველის ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციები, რომელთაც მაღალი გავლენა აქვთ არასათანადო მოპყრობის პრევენციაზე.

ალტერნატიული ზომები

²¹⁶ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის შსს დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <<https://ombudsman.ge/res/docs/2023122914593916060.pdf>> [ბოლოს ნანახია: 13.02.2024].

²¹⁷ შსს მიგრაციის დეპარტამენტის 2023 წლის 27 ნოემბრის წერილის MIA 8 23 03480698 მიღების შემდგომ, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 2023 წლის 7 დეკემბერს, შსს დროებითი განთავსების ცენტრში განახორციელა მცირე ვიზიტი ზემოაღნიშნულ წერილში მითითებული ცვლილებების გასაცნობად.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომები პრაქტიკაში არ გამოიყენება.²¹⁸ 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 1 აგვისტომდე, შსს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების თაობაზე, სასამართლოში წარდგენილი 53 შუამდგომლობიდან, ყველა დაკმაყოფილდა.²¹⁹

რეკომენდაცია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას:

- შეისწავლოს შსს დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომების გამოუყენებლობის საკითხი და მიიღოს შესაბამისი ზომები ალტერნატიული ზომების პრაქტიკაში გამოყენების ხელშესაწყობად

ადვოკატის ხელმისაწვდომობა

უცხო ქვეყნის მოქალაქეები, გარდა არასრულწლოვნებისა, ვერ სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით. იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი დათქმას აკეთებს გადახდისუუნარობაზე. გადახდისუუნარიანობა დგინდება სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები ამ ბაზაში რეგისტრირებული არ არიან და ამდენად, მათი გადახდისუუნარობა ვერ დგინდება. შესაბამისად, ფაქტობრივად გადახდისუუნარო უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არ მქონე პირები, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ კერძო ადვოკატზე, ასევე ვერ სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებითაც, რაც ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობასთან ერთად, არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიხედვით, თუ პირს არ აქვს შესაძლებლობა თავად გადაიხადოს ადვოკატის მომსახურების საფასური, მიგრანტი პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასო იურიდიული დახმარება.²²⁰

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონში და უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის გათვალისწინებული დაკავების უცხო ქვეყნის მოქალაქეების და

²¹⁸ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 64-ე მუხლი ითვალისწინებს საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების შესაძლებლობას, როგორც კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელი პირის შემთხვევაში, ასევე თავშესაფრის მაძიებელი პირის შემთხვევაში. კანონის 65-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიულ ზომებს.

²¹⁹ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2023 წლის 9 აგვისტოს MIA 2 23 02313201 წერილი.

²²⁰ ამონარიდი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-19 საერთო ანგარიშიდან „დაკავებული არარეგულარული მიგრანტების სამართლებრივი დაცვის გარანტიები“ CPT/Inf (2009) პარა: 81. ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/16806cce8e>> [ბოლოს ნანახია: 12.03.2024].

მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარება

კონტაქტი გარე სამყაროსთან

მიღებული ინფორმაციით, დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებული პირებისთვის ხელმისაწვდომია ტელეფონი და ინტერნეტი, ასევე შეუძლიათ მიიღონ მნახველი და ამანათი.²²¹ მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ განთავსებულ პირებს კვლავ გარკვეული შეზღუდვები აქვთ გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით. კერძოდ, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით სარგებლობა კვლავ დღეში ორჯერ, თითო საათით არის შესაძლებელი. სახალხო დამცველი წლებია გაცემს რეკომენდაციას, რომ იმ ფონზე, როდესაც ცენტრში მოთავსებული პირებისთვის არ არის შეთავაზებული ორგანიზებული აქტივობები და ისინი მოკლებულნი არიან ოჯახთან ხშირი კონტაქტის შესაძლებლობას, მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს ცენტრში დღის განმავლობაში კომპიუტერით სარგებლობის დრო.²²² ამასთან, ცენტრში ვიზიტორის მიღება შეიძლება სამშაბათს და პარასკევს - 10:00 – 13:00 საათამდე და მხოლოდ 20 წუთით, რაც შორი მანძილიდან და იშვიათად მოსულ მნახველთან შეხვედრისთვის გაუმართლებელი შეზღუდვაა.²²³

რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- კომპიუტერების რაოდენობის გაზრდით უზრუნველყოს დღის განმავლობაში ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით შეუზღუდავად სარგებლობის შესაძლებლობა
- ცენტრში მყოფი პირებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს სამუშაო საათებში მნახველების შეუზღუდავად მიღების შესაძლებლობა და გაიზარდოს შეხვედრის დრო მინიმუმ ერთ საათამდე

არასრულწლოვნები

ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე საიმისეობა ცენტრში ბავშვის, მათ შორის ზრდასრულთან მყოფი ბავშვის, განთავსება უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ უკიდურეს ზომას და რაც შეიძლება ხანმოკლე პერიოდით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად ადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას არასრულწლოვნის საიმისეობა დაკავების ადგილებში განთავსების შემთხვევებში და განიხილავს კუმულატიურად განთავსების პირობებს და ხანგრძლივობასთან ერთად, მაშინ როდესაც იგივე განთავსების პირობები და დაკავების ხანგრძლივობა სრულწლოვანთან მიმართებით

²²¹ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 6 საათამდე ყველას აქვს შესაძლებლობა უფასოდ დარეკოს 4 წუთის ხანგრძლივობით, ნებისმიერ ქვეყანაში.

²²² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2020 წლის 6-16 ოქტომბრის კოსოვოში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. CPT/Inf (2021) 23 პ.46. ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/1680a3ea32>> [ბოლოს ნანახია: 12.04.2024].

²²³ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2021 წლის ლიეტუვაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. CPT/Inf (2023)01 პ.147. ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/1680aa51af>> [ბოლოს ნანახია: 12.04.2024].

არ ფასდება როგორც მე-3 მუხლის დარღვევა.²²⁴ ბავშვის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების სრულ აღმოფხვრამდე მნიშვნელოვანია მისი ადაპტირებულ გარემოში განთავსება, სადაც არ არის თავისუფლების შეზღუდვის ადგილისთვის დამახასიათებელი დამორგუნველი ატმოსფერო და შეთავაზებულია სათამაშოები, წიგნები და სხვა აქტივობები. აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში დროებითი განთავსების ცენტრში არასრულწლოვნების განთავსების ხვედრითი წილი მაღალია. კერძოდ, 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 სექტემბრამდე, განთავსებული 72 პირიდან 21 არასრულწლოვანი იყო, მათგან 11 უმეტესწლოვან მცოფი არასრულწლოვანი.²²⁵ მათთვის არ არის შეთავაზებული არანაირი აქტივობები და მხოლოდ ტელევიზორის ყურებაა შესაძლებელი. დროებითი განთავსების ცენტრში ადგილზე არ არის არც ფსიქოლოგი და არც სოციალური მუშაკი. ფსიქოლოგის გამოძახება ხდება საჭიროების მიხედვით, რომელსაც ექიმი განსაზღვრავს. სოციალური მუშაკის ჩართულობა შემოიფარგლება მხოლოდ საპროცესო წარმომადგენლობით. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში, სადაც იმყოფება თავისუფლებადკვეთილი არასრულწლოვანი, მუდმივად უნდა იმყოფებოდეს სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, რომელებიც პირადად ეკონტაქტებიან არასრულწლოვანს.²²⁶

რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- ცენტრში არასრულწლოვანის ყოფნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დაწესებულებაში მუდმივად ყოფნა და არასრულწლოვანებთან პირადი კონტაქტის შესაძლებლობა
- ცენტრში მოთავსებულ სრულწლოვანებს მოთავსებისას განემარტოთ ფსიქოლოგის კონსულტაციით სარგებლობის უფლება და მათთვის პერიოდულად შეთავაზებულ იქნას ფსიქოლოგის კონსულტაცია
- გაიზარდოს არასრულწლოვანთა სუფთა ჰაერზე გასეირნების დრო და შეთავაზებულ იქნას არასრულწლოვნებზე მორგებული აქტივობები

²²⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-3 მუხლის დარღვევის შეფასებისას მხედველობაში იღებს სამ კრიტერიუმს - ბავშვის ასაკი და მოწყვლადობა, მატერიალური პირობები განთავსების ცენტრში და ხანგრძლივობა. *N.B. and Others v. France* შემთხვევაში მატერიალურ პირობებში შეფასებული იქნა ხმაურიანი გარემო და ის ფაქტი, რომ ოჯახების განთავსების ფლიგელი გამჭვირვალე მინით იყო გამოყოფილი სრულწლოვანების საერთო სივრცისგან. ასევე ის ფაქტი რომ უსაფრთხოების ზომების ხასიათი დაკავების/საპატიმრო დაწესებულებებში არსებულის მსგავსი იყო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *N.B. and Others v. France*, 31 მარტი 2022, application no. 49775/20 და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *M.D. et A.D. c. France* 22 July 2021, application no 57035/18, para: 41-50 ხელმისაწვდომია: <<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-211122>> [ბოლოს ნანახია: 12.03.2024].

²²⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2023 წლის 29 სექტემბრის MIA12302855902 წერილი.

²²⁶ ევროპის საბჭო, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), დაცვის გარანტიები თავისუფლებადკვეთილი არაღლეგალი მიგრანტებისათვის, ამონაწერი მე-19 საერთო ანგარიშიდან, გამოქვეყნდა 2009 წელს, პარ. 99, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://rm.coe.int/16806cce7d>> [ბოლოს ნანახია: 12.03.2024].

4.2. დაბრუნების ფრენის ოპერაციების მონიტორინგი

2023 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა ევროპის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ორი ფრენის მონიტორინგი განახორციელა.²²⁷ გერმანიის სასაზღვრო პოლიციამ დასაბრუნებელი პირები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ესკორტს თვითმფრინავის ბორტზე (დიუსელდორფსა და ლაიფციგი) გადასცა. პროცესს კოორდინირებას უწევდა ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი“ (FRONTEX).²²⁸

2023 წელს განხორციელებული მონიტორინგების დროს დასაბრუნებელ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევები არ გამოვლენილა. თუმცა, სამწუხაროდ, კვლავ არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია საქართველოს ესკორტის ექიმის მიერ დაზიანების დოკუმენტირების ფორმისა და შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების წესის დამტკიცების შესახებ.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- შემუშავდეს და დამტკიცდეს დაზიანების დოკუმენტირების ფორმა, რომელსაც შეავსებს საქართველოს ესკორტის ექიმი, თუ წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ თავად დასაბრუნებელი პირი განაცხადებს ან ექიმს წარმოეშობა ეჭვი ასეთი მოპყრობის შესახებ; ასევე, განისაზღვროს ექიმის მიერ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების წესი.

²²⁷ ევროპის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ფრენის მონიტორინგი განხორციელდა 2023 წლის 7 ივნისს და 13 დეკემბერს.

²²⁸ სახალხო დამცველი ფრენების შედეგად გამოვლენილი პრობლემების შესახებ ინფორმაციას პერიოდულად აწვდის ფრონტექსის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ოფისს.

5. ფსიქიატრიული დაწესებულებები

5.1. ზოგადი მიმოხილვა

2023 წლის განმავლობაში სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა სამ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განახორციელა პრევენციული ვიზიტი. კერძოდ ბათუმის სამედიცინო ცენტრის ფსიქიატრიულ სტაციონარში,²²⁹ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში²³⁰ და ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განყოფილებებში.²³¹ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში შეფასდა დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის კუთხით არსებული მდგომარეობა და არასათანადო მოპყრობის გამომწვევი რისკ ფაქტორები.

5.1.1. სამართლებრივი ჩარჩო და პოლიტიკა

სამწუხაროა, რომ 2023 წელსაც, დაწესებულებებში არსებული სისტემური გამოწვევები პრობლემას წარმოადგენდა გასულ წლებშიც და ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით, სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა დღემდე არ შესრულებულა. აღსანიშნავია, რომ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის დასკვნით მიგნებებში საქართველოს თაობაზე ასახულია ის ძირითადი გამოწვევები, რაზეც სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიუთითებს ანგარიშებში და რეკომენდაციებით მიმართავს შესაბამის ადრესატებს.²³² სამართლებრივი ჩარჩო და არსებული პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს პაციენტების მკურნალობას ღირსეულ და იძულებისაგან თავისუფალ გარემოში. საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე არ შეინიშნება არანაირი ძალისხმევა პაციენტთა უფლებრივი მდგომარეობის და მკურნალობის პირობების გასაუმჯობესებლად. ჩამორჩენა საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის თითქმის ყველა კომპონენტში, რაც თავის მხრივ აისახება ფსიქიატრიულ სტაციონარებში მყოფ პაციენტთა მდგომარეობაზე.

5.1.2. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და ძირითადი გამოწვევები

2023 წელს, არ შესრულებულა პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლიურ ანგარიშში და სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი არცერთი რეკომენდაცია, რომელიც მიემართებოდა საქართველოს პარლამენტს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის

²²⁹ პრევენციული ვიზიტები განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 სექტემბერს.

²³⁰ პრევენციული ვიზიტები განხორციელდა 2023 წლის 14, 15 და 30 ნოემბერს.

²³¹ პრევენციული ვიზიტები განხორციელდა 2023 წლის 4 და 7 დეკემბერს.

²³² გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის დასკვნით მიგნებებში საქართველოს თაობაზე 2023 წლის 18 აპრილი. ხელმისაწვდომია:

https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD%2FC%2FGEO%2FCO%2F1&Lang=en > [ბოლოს ნანახია: 24.01.2024].

სამინისტროს. კვლავ არ არის შემუშავებული ნორმატიული აქტები პაციენტთა შორის ძალადობის პრევენციისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე. გარდა ამისა, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ არის დანერგილი პაციენტის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის დოკუმენტირებისა და საგამომიებო უწყებისთვის შეტყობინების სამართლებრივი მექანიზმი. საკანონმდებლო რეგულირების მიღმა რჩება პაციენტების შეზღუდვის პროცედურებთან დაკავშირებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. კერძოდ, „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში დეესკალაციის მეთოდებად კვლავ, მხოლოდ სიტყვიერი დამშვიდება და მედიკამენტური მკურნალობა არის მითითებული, მაშინ, როდესაც არსებობს დეესკალაციის სხვა მრავალი ეფექტიანი მეთოდი. არ შესულა ცვლილებები ფიზიკური შეზღუდვის განხორციელების შესახებ ინსტრუქციაში, სადაც გაიწერებოდა სპეციალური რეესტრის/ჟურნალის წარმოების ვალდებულება; შეზღუდვის განხორციელების ადგილი და გარემოებები; გამოყენებული სპეციალური საშუალებების კონკრეტული მახასიათებლები; დაზიანების დოკუმენტირების ვალდებულება და პერსონალის პაციენტთან გასაუბრების ვალდებულება. ყოველგვარი სამართლებრივი გარანტიების გარეშე ხორციელდება პაციენტის სწრაფი ტრანკვილიზაცია/ქიმიური შეზღუდვა. დღემდე არ შემქნილა სისტემური მონიტორინგის და ზედამხედველობის მექანიზმი, რომელიც შეისწავლიდა პაციენტთათვის ხარისხიანი სერვისის მიწოდებას, პაციენტთა მიმართ არასათანადო მოპყრობის, მათ შორის ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალურად ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევებს. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს არ შეუსწავლია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და თანმდევი გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა.

მნიშვნელოვანი გამოწვევებია პრაქტიკაშიც. პაციენტები არ არიან დაცული პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობისაგან. ადგილი აქვს პაციენტებს შორის კონფლიქტებს, მათ შორის ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევებს. არ ხდება დაპირისპირებების გამოწვევი მიზეზების შესწავლა და პრევენცია, არ ხდება უკვე განხორციელებულ კონფლიქტებზე სათანადო რეაგირება. პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდები გამოყენების ინტენსივობა არსებითად არ შეცვლილა და არ შეინიშნება ძალისხმევა შეზღუდვის მეთოდების გამოყენების საბოლოოდ აღმოფხვრის მიმართულებით. ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტების დიდ ნაწილს სტაციონარში მოტყუებით ან მუქარით ათავსებენ და დე ფაქტო უზღუდავენ თავისუფლებას. უმეტეს შემთხვევაში, პაციენტები არანაირ მონაწილეობას არ იღებენ საკუთარი მკურნალობის დაგეგმვასა და შეფასებაში და ხშირ შემთხვევაში პაციენტებს ნების საწინააღმდეგოდ ეძლევათ მედიკამენტები და უკეთდებათ ინექციები. პაციენტებს თვითნებურად აქვთ შეზღუდული რიგი უფლებები, მათ შორის ტელეფონით სარგებლობის უფლება. ფსიქიატრიული დახმარება არ ატარებს ბიო-ფსიქო-სოციალურ ხასიათს და შემოიფარგლება მხოლოდ მედიკამენტური მკურნალობით. პაციენტებს სტანდარტის შეუსაბამო, დამორგუნველ და არათერაპიულ გარემოში უწევთ

მკურნალობა. შემზღუდველ გარემოში უკიდურესად მწირია აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობები და ყველა პაციენტს სუფთა ჰაერზე გასვლის შესაძლებლობაც კი არ ეძლევა. პრობლემურია სომატური დაავადებების ადრეული გამოვლენა და დროული სამედიცინო დახმარებაც. სამედიცინო მომსახურების ხარჯების ნაწილი პაციენტმა თავად უნდა დაფაროს, რისი საშუალებაც პაციენტთა უმეტესობას არ აქვს.

5.2. არასათანადო მოპყრობა

5.2.1. თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ძალადობა

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტები არ არიან დაცული პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობისაგან. ცალკეული პაციენტები საუბრობდნენ პერსონალის მხრიდან როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ძალადობაზე. ბათუმის სამედიცინო ცენტრში, ერთეულ შემთხვევებში, პაციენტები მიუთითებდნენ ფიზიკური ძალადობის განმახორციელებელ კონკრეტულ პირებს და საგნებს, რომელთა გამოყენებითაც მოხდა ძალადობა. ასე მაგალითად: ერთ-ერთი პაციენტის განმარტებით, მომვლელმა მას ჯოხი დაარტყა იმის გამო, რომ სიგარეტს აკრძალულ ადგილზე ეწეოდა. ჯოხით ცემაზე მიუთითებდა სხვა პაციენტიც. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ერთეულ შემთხვევებში პაციენტებმა მიუთითეს, რომ ზოგჯერ სანიტრები/მომვლელები „ხელსაც წამოარტყამენ ხოლმე“ პაციენტებს. ასევე, ერთ სავარაუდო შემთხვევაში პერსონალმა პაციენტს ჯოხი მუცელში ჩაარტყა. ერთ-ერთი პაციენტი მიუთითებდა ფიზიკური შეზღუდვის დროს სხეულის სხვადასხვა ნაწილებში ფეხის ჩარტყმის შესახებ. სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში პერსონალის მხრიდან პაციენტების მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე ინფორმაცია არ მიუღია. აღსანიშნავია, რომ პრევენციული ვიზიტი განხორციელდა მხოლოდ სამოქალაქო ფსიქიატრიულ სტაციონარში, სადაც ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პაციენტთა მხოლოდ 7% იყო მოთავსებული. კვლავ არ ხორციელდება სისტემური ზედამხედველობა და კონტროლი პერსონალის მხრიდან პაციენტების მიმართ მოპყრობის საკითხებზე.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- **სამინისტრომ ფსიქიატრიული დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელების გზით გამოავლინოს და აღკვეთოს პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის ფაქტები**

პრევენციული ვიზიტებისას მიღებული ინფორმაციით, დაწესებულებებში, ასევე, ადგილი აქვს პაციენტებისადმი უხეშ მიმართვას, ყვირილს, ინექციის მუქარას, ჯოხით დაშინებას. პერსონალის მხრიდან პაციენტებისადმი უხეშ დამოკიდებულებას არ უარყოფენ

ფსიქიატრიული დაწესებულებების ხელმძღვანელი პირები. ასე მაგალითად, ბათუმის სამედიცინო ცენტრში 2023 წელს ამ მიზეზით სამსახურიდან გაათავისუფლეს მომვლელი. ყურადსაღებია, პერსონალის მხრიდან პაციენტების საჭიროებების უგულებელყოფა. პაციენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ როდესაც რაიმე საჭიროება აქვთ, მათ არ უსმენენ, ყურადღებას არ აქცევენ და უხეშად იშორებენ თავიდან. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში პრევენციული ვიზიტისას, სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის თვალშისაცემი იყო პერსონალის გულგრილობა პაციენტების მიმართ.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტრომ შეიმუშავოს და დანერგოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის პაციენტებთან ურთიერთობის დეტალური ინსტრუქცია, რომელიც უნდა მოიცავდეს პაციენტის უფლებების დაცვისა და ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის სტანდარტებს

5.2.2. პაციენტებს შორის ძალადობა

პაციენტებთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადგილი აქვს პაციენტებს შორის კონფლიქტებს, მათ შორის ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევებს. ფიზიკური დაპირისპირებების შედეგად პაციენტებმა შესაძლოა მძიმე დაზიანებებიც კი მიიღონ. ასე მაგალითად, ბათუმის სამედიცინო ცენტრში, ერთ-ერთი დაპირისპირების შედეგად მიღებული დაზიანების გამო პაციენტის ზოგადი პროფილის სტაციონარში მოთავსებაც კი გახდა აუცილებელი. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში წარმოებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პაციენტი ღამით თავს დაესხა მეორე პაციენტს და თვალის არეში მიაყენა დაზიანება. აღსანიშნავია, რომ ექიმმა დაზიანების აღმოჩენა მხოლოდ მეორე დღეს შეძლო.

პაციენტთა დაპირისპირების მიზეზი ძირითადად პირადი ნივთების მოპარვა, სიგარეტი და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხებია. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში და ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში მიღებული ინფორმაციით, ადგილი აქვს კონკრეტული პაციენტების მხრიდან ლიდერობის მცდელობებს და სხვა პაციენტების კონტროლს და ჩაგვრას.

გარდა იმისა, რომ დაწესებულებებში არ ხდება დაპირისპირებების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და პრევენცია, არ ხდება უკვე განხორციელებულ კონფლიქტებზე სათანადო რეაგირებაც. ძალადობის მსხვერპლ პაციენტებს არ სთავაზობენ ფსიქოლოგიურ დახმარებას. ინფორმაცია არ მიეწოდება საგამომიებო ორგანოს. პაციენტთა შორის კონფლიქტების და ძალადობის შემთხვევების უყურადღებოდ დატოვება ზრდის კონფლიქტების განმეორების რისკებს.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტრომ შეიმუშავოს და დანერგოს პაციენტებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სტრატეგია, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ძალადობის მსხვერპლი პაციენტებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება

5.2.3. იზოლაცია, ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვა

პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენება წარმოადგენს ინტენსიურ ჩარევას პირის თავისუფლებაში. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ პრაქტიკაში შეზღუდვის მეთოდების გამოყენებისას უგულებელყოფილია ეროვნული საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული გარანტიები და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები²³³ და შესაძლოა გაუტოლდეს არასათანადო მოპყრობასაც. მექანიკური შეზღუდვა ხდება ჩვეულებრივ პალატებში, პაციენტის საწოლზე, არასამედიცინო პერსონალის მონაწილეობით, სხვა პაციენტების თვალწინ. რიგ შემთხვევებში მექანიკური შეზღუდვა ხდება ხანგრძლივად და მათ შორის მთელი ღამის განმავლობაში, რა დროსაც პაციენტს ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საწოლში უწევს.

შეზღუდვას ახორციელებს პერსონალი, რომელსაც არ აქვს გავლილი სპეციალური გადამზადება და იზრდება პროცესში პაციენტის დაზიანების რისკები. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში პაციენტებს აღენიშნებოდათ დაზიანებები, რომელიც დაწესებულებაში შემოსვლის შემდეგ, მექანიკური შეზღუდვისას მიიღეს. კერძოდ, ერთ



მექანიკური შეზღუდვის საშუალება თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში

პაციენტს ზედა კიდურის შიდა მხარეს აღენიშნებოდა ხუთი თითის კვალი (მოწითალო -

²³³ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები „ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ზრდასრულთა შეზღუდვის მეთოდების თაობაზე“, ხელმისაწვდომია: < <https://rm.coe.int/16807001c3> > [ბოლოს ნანახია: 23.01.2024].

მოლურჯო მრგვალი ფორმის ჰიპერემიები), ხოლო მეორე პაციენტს აღენიშნებოდა მარცხენა ხელის მაჯაზე კანის მთლიანობის დარღვევა ფუფხით, რომელიც მექანიკური შეზღუდვის შეზღუდვის საშუალებისგან შედეგად ჰქონდა მიღებული.

2023 წელს, წინა წლებთან შედარებით, პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდები გამოყენების ინტენსივობა არსებითად არ შეცვლილა და არ შეინიშნება ძალისხმევა შეზღუდვის მეთოდების გამოყენების საბოლოოდ აღმოფხვრის მიმართულებით. კვლავ არ არის განახლებული შეზღუდვის მეთოდების გამოყენების ინსტრუქცია და წესები,²³⁴ რომელიც მნიშვნელოვნად დაიცავდა პაციენტებს პერსონალის მხრიდან თვითნებობისგან და რომელზეც სამინისტროს ცნობით, უკვე წლებია მიმდინარეობს მუშაობა.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სახალხო დამცველის აპარატთან კონსულტაციის გზით, განახლდეს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია

ქიმიური შეზღუდვა პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება, თუმცა ინიღბება, როგორც ნებაყოფლობითი ინტერვენცია. მონიტორინგის შედეგები მის ხშირ გამოყენებას ავლენს, მათ შორის მანუალურ და მექანიკურ შეზღუდვასთან კომბინირებულად.

იმის გამო, რომ დაწესებულებები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ დინამიკურ უსაფრთხოებას და ვერ რეაგირებენ პაციენტთა საჭიროებებზე, წლებია, რაც ბათუმის სამედიცინო ცენტრში და ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში დამკვიდრებულია პაციენტების სხვა პაციენტებისგან განცალკევების პრაქტიკა. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში იზოლირებული პალატების კარი ჩარაზულია და თანამშრომელი მეთვალყურეობს. პალატებში განთავსებული არიან, როგორც სამოქალაქო არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტები, ასევე იძულებით მკურნალობაზე მყოფი პაციენტები და მსჯავრდებულები. ბათუმის სამედიცინო ცენტრში განყოფილებების შესასვლელში მდებარეობს 2 და 3 ადგილიანი იზოლირებული ოთახები, ე.წ. ობსერვაციის ოთახები, რომელიც გამოიყენება იმ პაციენტების განსანთავსებლად, რომელთა მიმართაც ხშირად ხდება სწრაფი ტრანკვილიზების გამოყენება და დანიშნულების იძულებით მიცემა, მიუხედავად იმისა, იმყოფებიან ნებაყოფლობით თუ არანებაყოფლობით მკურნალობაზე.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

²³⁴ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №92/ნ ბრძანება „ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.“

- შეისწავლოს და აღმოფხვრას ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში და შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრში“ პაციენტთა ხანგრძლივი დროით სხვა პაციენტებისგან განცალკევების პრაქტიკა



ბათუმის სამედიცინო ცენტრის ე.წ. ობსერვაციის პალატები

საყურადღებოა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების ახალი მოთხოვნა ფსიქიატრიულ სტაციონარების მიმართ, რომელთაც 2027 წლიდან უნდა გააჩნდეთ დეესკალაციის ოთახი, სადაც პაციენტებს განაცალკევებენ და რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხო ლეიბით და ანტივანდალური უნიტაზის მქონე ღია ტიპის ტუალეტით.²³⁵ აღნიშნული ცხადყოფს, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტის უსაფრთხოების დაცვის კონცეფცია კვლავ იძულების ღონისძიებებს ეფუძნება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იძულების და უკიდურესად შემზღუდავი ღონისძიებების ნაცვლად, უმჯობესია აქცენტი და ძალისხმევა მიემართოს ნებაყოფლობით, კომფორტის ოთახში დროებით განთავსების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას:

- დაწესებულებებში შეიქმნას დასამშვიდებელი ოთახები, სადაც უზრუნველყოფილი იქნება თერაპიული გარემო და პაციენტს ექნება ნებაყოფლობით განმარტოების

²³⁵ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“, დანართი 2¹

5.2.4. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება

სახალხო დამცველი იზიარებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სულისკვეთებას, რათა სახელმწიფომ ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროში დანერგოს ნულოვანი იძულების პოლიტიკა.²³⁷²³⁸ სტაციონირების და მკურნალობის პროცესში პაციენტის ნების უგულებელყოფა, სამართლებრივი გარანტიების გარეშე პაციენტის სტაციონირება და მედიკამენტების იძულებით მიცემა შესაძლოა გაუტოლდეს არასათანადო მოპყრობას.

იძულებით გადაყვანა სტაციონარში

მცირე გამოწვევების გარდა, პაციენტი სტაციონარში თავსდება ოჯახის წევრის მოთხოვნით ან გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის და საპატრულო პოლიციის თანხლებით. პირის სტაციონარში იძულებით გადაყვანა პაციენტის თავისუფლების შეზღუდვის და არანებაყოფლობითი სტაციონირების საწყისი ეტაპია.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან (112) შემოსული ფსიქიატრიული შემთხვევების თაობაზე შეტყობინებებზე რეაგირებისთვის გაგზავნილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ეკიპაჟებისთვის შეიმუშაოს დარწმუნების გზით პაციენტის ფსიქიატრიულ დახმარებაზე დაყოლიების, ფსიქიატრიულ სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსების საჭიროების განსაზღვრისა და პაციენტის უფლებების განმარტების შესახებ დეტალური ინსტრუქცია

²³⁶ კომფორტის ოთახის მნიშვნელობის, დანიშნულების და მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მითითებულ ბმულზე: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, Quality Rights: Freedom from coercion, violence and abuse. WHO Quality Rights Core training: mental health and social services. Topic 8: Supportive environments and the use of comfort rooms. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე:

<<https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/329582/9789241516730-eng.pdf>> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024].

²³⁷ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს შესახებ. 2023 წლის 18 აპრილი. პარა: 30. ხელმისაწვდომია: <https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD%2FC%2FGEO%2FCO%2F1&Lang=en> [ბოლოს ნანახია: 23.01.2024].

²³⁸ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის სახელმძღვანელო Mental health, human rights and legislation: guidance and practice, ხელმისაწვდომია: <<https://www.who.int/publications-detail-redirect/9789240080737>> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024].

არანებაყოფლობითი სტაციონირება

ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება ნებაყოფლობითია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.²³⁹ ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარებისგან განსხვავებით, არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შემთხვევაში აუცილებელია ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნა და სასამართლოს გადაწყვეტილება. ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულია გადაწყვეტილების გადასინჯვის კონკრეტული პროცედურები.²⁴⁰ დაწესებულებები თავს არიდებდნენ არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარებისთვის საჭირო პროცედურებს და პაციენტებს ფორმალურად, ნამდვილი ნების გამოვლენის გარეშე აწერინებენ ხელს ინფორმირებულ თანხმობაზე და დე ფაქტო უზღუდავენ თავისუფლებას. 2023 წელსაც, ერთეული გამონაკლისების გარდა, პაციენტების უმრავლესობას ფორმალურად განსაზღვრული ჰქონდა ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების სტატუსი.²⁴¹

ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება თავისი არსით გულისხმობს პაციენტის უფლებას და შესაძლებლობას ნებისმიერ დროს თქვას უარი მკურნალობაზე ან გაეწეროს სტაციონარიდან. 2023 წელსაც, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტების დიდ ნაწილს მოტყუებით ან მუქარით ათავსებენ. ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტები სისტემატიურად ითხოვენ სტაციონარიდან გაწერას, თუმცა დაწესებულების დატოვების საშუალებას იქამდე არ აძლევენ, სანამ ოჯახის წევრი არ მოაკითხავს. ერთეულ შემთხვევებში, პაციენტები ახერხებენ სტაციონარიდან გაქცევას, თუმცა დაწესებულებები გაქცევის ფაქტის თაობაზე ატყობინებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც პაციენტი ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ხელახლა გადაყავს სტაციონარში.²⁴²

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

²³⁹ (არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება) და 221-ე (იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა) მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები.

²⁴⁰ პაციენტს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება გაეწევა არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების კრიტერიუმების ამოწურვამდე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. ექიმ-ფსიქიატრთა კომისია ვალდებულია ყოველთვიურად განიხილოს პაციენტის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხი.

²⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 3-1100-23 წერილის თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან, 2023 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, ფსიქიატრიულმა დაწესებულებებმა 241 შემთხვევაში მიმართეს შუამდგომლობით საერთო სასამართლოებს არანებაყოფლობითი სტაციონარული დახმარების მიზნით, პირის სტაციონარში მოთავსების ბრძანების გამოცემასთან დაკავშირებით.

²⁴² დადებითად უნდა აღინიშნოს შპს „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ რეაგირება ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დეპარტამენტმა შეისწავლა. აღნიშნულ საქმეში დაწესებულებამ პაციენტის მიერ დაწესებულების დატოვების თაობაზე ინფორმაცია არ მიაწოდა სამართალდამცავ ორგანოებს, რადგან პაციენტი იმყოფებოდა ნებაყოფლობით მკურნალობაზე. შპს „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ 2023 წლის 29 ივნისის N207 წერილი.

- შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს იმ პაციენტთა სტაციონარიდან გაწერა, რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი

არანებაყოფლობითი მკურნალობა

საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის მეორე ამოცანაში აღნიშნულია, რომ სტრატეგია სრულად აღიარებს იმ მიდგომას, რომ ფსიქიკური პრობლემების გამოცდილების მქონე პირები/სერვისის მომხმარებლები მონაწილეობენ საკუთარი მკურნალობისა და მოვლის დაგეგმვასა და შეფასებაში.²⁴³ მონიტორინგის შედეგები მოწმობს, რომ უმეტეს შემთხვევაში, პაციენტები არანაირ მონაწილეობას არ იღებენ საკუთარი მკურნალობის დაგეგმვასა და შეფასებაში. მათი უმეტესი ნაწილისთვის უცნობია მკურნალობის სქემა, მედიკამენტების სახელწოდებები და მათი გვერდითი ეფექტები.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ცვლილებები შევიდეს მინისტრის ბრძანებაში,²⁴⁴ რათა პაციენტის მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული (№IV-300-12/ა) ფორმის შევსება

გარდა ამისა, სახალხო დამცველი წლებია მიუთითებს, რომ სტაციონარებაზე პაციენტის თანხმობა გაიგივებულია მკურნალობაზე თანხმობასთან, რაც სამართლებრივად გაუმართლებელია²⁴⁵ და გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პაციენტმა თანხმობა განაცხადოს სტაციონირებაზე, მაგრამ არ ეთანხმებოდეს შეთავაზებულ მკურნალობას ან კონკრეტული მკურნალობის მეთოდებს. ამასთან, ფსიქიატრიული დახმარება დაიყვანება მხოლოდ სამედიცინო მომსახურებამდე, რაც ეწინააღმდეგება ფსიქიატრიული დახმარების ბიო-ფსიქო-სოციალურ მოდელს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტაციონირებაზე თანხმობის მიღების შემდეგ, სტაციონარმა პაციენტს მიაწოდოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ფსიქიატრიული დახმარების ბიო-ფსიქო-სოციალური კომპონენტებზე და თითოეულ კომპონენტზე მიიღოს პაციენტის გაცნობიერებული თანხმობა. ამისათვის ასევე

²⁴³ საქართველოს მთავრობის დადგენილება №23 2022 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი საქართველოს 2022 – 2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, გვ. 30, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5357283>> ბოლოს ნანახია: [10.01.24].

²⁴⁴ ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №87/ნ, 2007 წლის 20 მარტი ქ. თბილისი.

²⁴⁵ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წელს განხორციელებული ვიზიტის ანგარიში საქართველოს მთავრობას. პარა. 142. ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/1680945eca>> [ბოლოს ნანახია: 24.01.2024].

მნიშვნელოვანია ფსიქიატრიულ დახმარებაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის ფორმის იყოს სპეციფიური, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ფსიქო-სოციალური კომპონენტები.

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების განხორციელების გზით მკაფიოდ გაიმიჯნოს სტაციონარში მოთავსების თაობაზე ინფორმირებული თანხმობა და მკურნალობის თაობაზე ინფორმირებული თანხმობა

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებაზე ინფორმირებული თანხმობის ერთიანი ფორმა
- შემუშავდეს ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომის ფსიქიატრიული დახმარებაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა
- ბრძანებით განისაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება სტაციონირებაზე თანხმობის მიღების შემდეგ, პაციენტს მიაწოდოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ფსიქიატრიული დახმარების ბიო-ფსიქო-სოციალური კომპონენტებზე და თითოეულ კომპონენტზე მიიღოს პაციენტის გაცნობიერებული თანხმობა

იქიდან გამომდინარე, რომ უგულებელყოფილია ზემოაღნიშნული გამოწვევები, პრაქტიკაში, იმ შემთხვევაში, თუ ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტი უარს აცხადებს კონკრეტული მედიკამენტების მიღებაზე, მედიკამენტების მიწოდება ხდება, იძულებით, დაფხვნილი სახით ან არანებაყოფლობითი მკურნალობის მუქარით. იგივე მეთოდით ხდება ინექციების გაკეთებაც, მათ შორის სხვა პაციენტების თვალთახედვის არეში. მკურნალობის თაობაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობა გადამწყვეტია, ვინაიდან საქმე ეხება ძლიერ ფსიქოტროპულ მედიკამენტებს, რომელთა გამოყენებამ შესაძლოა ტანჯვა გამოიწვიოს და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ინდივიდის ჯანმრთელობას. მედიკამენტების იძულებით მიცემა, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებისთვის, არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას, განსაკუთრებით კი ადამიანის ფიზიკურ ხელშეუხებლობას.²⁴⁶ თანხმობის გარეშე პაციენტის მკურნალობამ შესაძლოა წამებისა და არასათანადო მოპყრობის ზღვარსაც კი მიაღწიოს.²⁴⁷ მეტიც, ყველა პაციენტს, მიუხედავად მათი ნებაყოფლობითი თუ არანებაყოფლობითი სტატუსისა, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა

²⁴⁶ Glass v. the United Kingdom, no. 61827/00, § 70, ECHR 2004-II, X v. Finland.

²⁴⁷ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში გენერალურ ასამბლეის წინაშე, A/63/175, 2008 წლის 28 ივლისი, პარა. 63, ხელმისაწვდომია, <<https://digitallibrary.un.org/record/635981?ln=en>>, [ბოლოს ნანახია: 12.01.2024].

უარი თქვან მკურნალობაზე ან სხვა სამედიცინო ჩარევაზე და ნებისმიერი გამონაკლისი ამ პრინციპიდან უნდა იყოს კანონით განსაზღვრული და ნათელი.²⁴⁸

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტრომ ფსიქიატრიული დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელების გზით გამოავლინოს და აღკვეთოს ინექციებისა და მედიკამენტების, ძალით, ნების საწინააღმდეგოდ გაკეთება და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება

5.2.5. შემზღუდავი გარემოს კუმულატიური ეფექტი

პერსონალის მხრიდან პაციენტებისადმი არასათანადო მოპყრობის, ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების და ნების საწინააღმდეგოდ მკურნალობის პრაქტიკასთან ერთად, არანაკლებ საყურადღებოა დაწესებულებაში არსებული შემზღუდავი გარემოს სხვადასხვა ასპექტები, რომელიც კუმულატიურად შეიძლება გაუტოლდეს არასათანადო მოპყრობას.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არათერაპიული და ქოტური გარემოა. ბათუმის სამედიცინო ცენტრში და თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში პალატებში სიმჭიდროვეა და ზოგიერთ პაციენტს არა საწოლზე, არამედ იატაკზე დაგებულ მატრასზე უწევს ძილი. პაციენტები ქოტურ გარემოში, საზრისიანი აქტივობების გარეშე გადაადგილდებიან დერეფნებში. პაციენტებს არ აქვთ პირადი სივრცე და განმარტების შესაძლებლობა. გარდა ამისა, დაწესებულებაში დასაქმებული დამხმარე პერსონალის რაოდენობა არასაკმარისია, რაც უარყოფითად აისახება, როგორც პაციენტთა უსაფრთხოებაზე, ასევე მათ მხარდაჭერაზე სხვადასხვა სერვისების მისაღებად.

გარდა ამისა, ბათუმის სამედიცინო ცენტრში მდგომარეობა 2023 წელს კიდევ უფრო გაუარესდა. კერძოდ, მამაკაცთა განყოფილების ე.წ. „მღელვარე ნაწილში“ ინფრასტრუქტურა მოეწყო იმგვარად, რომ პაციენტებს პალატის დატოვების შესაძლებლობა მხოლოდ საკვების მიღების დროს, რამდენიმე წუთით ეძლევათ. პალატების კარი გარედან ჩაკეტილია გასაღებით, რომელიც დამხმარე პერსონალს აქვს. პალატებში ძირითადად სამი პაციენტია განთავსებული. მწველი და არამწველი პაციენტები ერთად არიან განთავსებული, არ აქვთ ტელევიზორი ან ინფორმაციის მიღების სხვა წყარო. პაციენტებმა არ იცოდნენ, კვირის რა დღე ან თვის რა რიცხვი იყო. დოკუმენტაციის მიხედვით, მღელვარე ნაწილში ძირითადად 10-20 დღემდე ვადით მოთავსების შემთხვევები ფიქსირდება, არის 28 დღემდე განთავსების შემთხვევებიც. განცალკევებულ პაციენტებს მძიმე და პენიტენციური დაწესებულებების დამახასიათებელ დამორგუნველ გარემოში უწევთ ფსიქიატრიული დახმარების მიღება.

²⁴⁸ ამონარიდი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-8 ზოგადი ანგარიშიდან - „არანებაყოფლობით მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში“ პარა. 41. ხელმისაწვდომია: < <https://rm.coe.int/16806cd43e> > [ბოლოს ნანახია: 12.01.2024].

დამთრგუნველ და შემზღუდველ გარემოს ემატება ისიც, რომ ყველა დაწესებულებაში გამოწვევაა სუფთა ჰაერზე, ეზოში გასვლის ან რაიმე აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა. ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის. პაციენტებს უკიდურესად შეზღუდული აქვთ გარე სამყაროსთან კონტაქტი. ტელეფონზე დარეკვის შესაძლებლობაც ექიმის და დამხმარე პერსონალის ნებართვასა და კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან ტელეფონებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა
- ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან სტაციონარის ხანმოკლე ვადით დატოვების შესაძლებლობა, სტაციონარიდან გაწერის გარეშე, პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით

აღსანიშნავია, რომ მსგავს შემზღუდავ გარემოში ზოგიერთ პაციენტს თვეების და წლების გატარება უწევს. მიუხედავად იმისა, რომ წლებთან ერთად მცირდება იმ პაციენტების რაოდენობა, რომელიც წასასვლელის არ ქონის გამო დაწესებულებას ვერ ტოვებენ, 2023 წელსაც, მონახულებულ სამივე დაწესებულებაში კვლავ რჩებიან პაციენტები, რომლებიც დაწესებულებაში 6 თვეზე მეტი ხანია იმყოფებიან.²⁴⁹

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს სტაციონარში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასება, მათი დაწესებულებიდან გაწერის და სათემო სერვისებზე გადამისამართების მიზნით

5.3. არასათანადო მოპყრობის რისკ-ფაქტორები

5.3.1. პაციენტის უფლებების თვითნებური შეზღუდვა

ფსიქიატრიულ სტაციონარში პაციენტები არ არიან ინფორმირებული საკუთარ უფლებებზე და ხელი არ მიუწვდებათ იურიდიულ კონსულტაციაზე.

²⁴⁹ ასე მაგალითად ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ვიზიტის დროისთვის იმყოფებოდა 10 პაციენტი, მათგან ერთი - 2019 წელს, ორი კი 2020 წელს იყო ჰოსპიტალიზებული.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება სტაციონარში მოთავსებისთანავე და შემდგომ რეგულარულად უზრუნველყოს პაციენტის გასაგები ენით, ზეპირი და წერილობითი ინფორმირება სტაციონარის შინაგანაწესის და პაციენტის უფლებების თაობაზე

რაც შეეხება გასაჩივრების მექანიზმებს, წლიდან წლამდე უარესდება მდგომარეობა და დაწესებულებები ფორმალურადაც აღარ იჩენენ ძალისხმევას დანერგონ გასაჩივრების ჰოსპიტალშიდა მექანიზმები. დაწესებულებებში საჩივრის ყუთები ან საერთოდ არ არის, ან სრულიად უფუნქციოდ არის დატოვებული. პაციენტებს არ აქვთ ინფორმაცია სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებთან დაკავშირების შესაძლებლობებზეც.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის მისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური ჰოსპიტალშიდა და ჰოსპიტალგარე პროცედურები

„ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ექიმი უფლებამოსილია უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით შეზღუდოს პაციენტის რიგი უფლებები საკუთარი გადაწყვეტილებით,²⁵⁰ რაც ზრდის თვითნებობის რისკებს.

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებით უზრუნველყოს უსაფრთხოების მიზნით ექიმის მიერ პაციენტის უფლებების შეზღუდვის მკაფიო პროცედურა სამართლებრივი დაცვის გარანტიების არსებობის პირობებში (განისაზღვროს, თითოეული უფლების შეზღუდვა რა კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში არის დასაშვები, რა ვადით დაიშვება თითოეული უფლების შეზღუდვა და როგორ შეიძლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება)

²⁵⁰ ექიმს შეუძლია შეზღუდოს ისეთი უფლებები როგორიცაა: მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია თავისი დაავადების და განზრახული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ; გაეცნოს მის შესახებ არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციას; უარი თქვას მკურნალობის ჩატარებაზე; მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში; მიიღოს და გაგზავნოს წერილი, გზავნილი შემოწმების გარეშე; სტაციონარის შინაგანაწესის თანახმად, ისარგებლოს ტელეფონით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით და სხვა უფლებებით.

განსაკუთრებით საყურადღებოა „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ექიმის უფლებას, უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით პაციენტს შეუზღუდოს, „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის უფლება - უარი თქვას მკურნალობაზე.²⁵¹ აღნიშნული სრულიად ეწინააღმდეგება ნებაყოფლობითი მკურნალობის არსს.

ნიშანდობლივია, რომ კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებს, სტაციონარში მყოფი პაციენტის ძალადობის შემცველი ქცევის კონტროლის მიზნით, მის მიმართ ფიზიკური შეზღუდვის გამოყენებას. მიუხედავად ამისა, „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ექიმს ანიჭებს დამატებითი უფლებას, უსაფრთხოების მიზნით გამოიყენოს ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული შეზღუდვის ღონისძიება - ე.წ. „ქიმიური შეზღუდვა“ („სწრაფი ტრანკვილიზება“).²⁵² გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ექიმის მიერ გამოყენებული ამ ღონისძიების აუცილებლობის დასაბუთების სათანადო მექანიზმი, იგი შეიცავს თვითნებობის სერიოზულ საფრთხეს, რომელიც შეიძლება გაუტოლდეს არასათანადო მოპყრობას. თვითნებობის რისკების თავიდან ასაცილებლად, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პირის მიმართ მკურნალობაზე უარის თქმის უფლების შეზღუდვის და სწრაფი ტრანკვილიზების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მოხდეს მკურნალობის სტატუსის გადასინჯვა, როგორც ეს გათვალისწინებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს, რომ პაციენტის მიმართ იძულებითი სწრაფი ტრანკვილიზებისას, უნდა გავრცელდეს „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლში (პაციენტის მიმართ შეზღუდვის გამოყენება) მოცემული მოთხოვნები და გარანტიები

პრობლემურია ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიმართ ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების შემთხვევაში, მისი მკურნალობის სტატუსის გადასინჯვის

²⁵¹ სახალხო დამცველმა „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 ზემოაღნიშნული ნორმატიული შინაარსი გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში: სარჩელი ხელმისაწვდომია: < <http://bit.ly/3TNQdxw> > [ბოლოს ნანახია: 15.01.2024].

²⁵² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის თანახმად, პაციენტის ქცევის კონტროლის მიზნით მედიკამენტის იძულებით მიცემა განიმარტება როგორც ქიმიური შეზღუდვა - „chemical restraint (i.e. forcible administration of medication for the purpose of controlling a patient's behaviour).“ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები „ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ზრდასრულთა შეზღუდვის მეთოდების თაობაზე“, ხელმისაწვდომია: < <https://rm.coe.int/16807001c3> > [ბოლოს ნანახია: 12.01.2024].

საკითხიც. ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდის გამოყენებისას საჭიროა მკურნალობის სტატუსის გადახედვა, თუმცა არ არის გაწერილი სავალდებულოდ გასატარებელი ღონისძიებები და არ არის საკმარისი სამართლებრივი გარანტიები თვითნებობის თავიდან ასაცილებლად.

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით მკაფიოდ განისაზღვროს, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში დაწესებულებების მიერ სავალდებულოდ გასატარებელი ღონისძიებები და პაციენტის მკურნალობის სამართლებრივი საფუძვლის გადასინჯვის პროცედურები და მათი დაუცველობის შემთხვევაში შესაბამისი სანქცია

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტრომ მონიტორინგის გზით შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემდგომ სტატუსის გადასინჯვის საკითხი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

5.3.2. პერსონალის კვალიფიკაცია და კრიზისების მართვა

თვითნებობის რისკებს ზრდის ისიც, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებს არ გააჩნიათ აღელვებული პაციენტების და კრიზისული შემთხვევების მართვის თანამედროვე მიდგომები. აღელვებული პაციენტის ქცევის სამართავად, დაწესებულებები უალტერნატივოდ მიმართავენ პაციენტთა ქიმიური და ფიზიკური შეზღუდვის მეთოდებს. მნიშვნელოვანია, თითოეულ დაწესებულებას გააჩნდეს კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და არაძალისმიერი (დეესკალაციის)²⁵³ მეთოდებით მართვის პოლიტიკა.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ, ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და

²⁵³ დე-ესკალაციის ტექნიკის შემადგენელი ელემენტებია: პოტენციური კრიზისის დაუყოვნებელი შეფასება და სწრაფი ჩარევა; პრობლემის გადაჭრაზე ორიენტაცია; ემპათიურობა და დამარწმუნებლობა; სტრესის მართვის ან რელაქსაციის ტექნიკების ფლობა, როგორცაა სუნთქვითი ვარჯიშები; პირისთვის სივრცის გამოყოფა; არჩევანის შეთავაზება; ფიქრისთვის დროის მიცემა.

მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავების და დამტკიცების ვალდებულება, რათა დაწესებულებებმა მინიმუმადე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები

სახალხო დამცველს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიმართაც ჰქონდა გაცემული რეკომენდაცია კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავების და დამტკიცების თაობაზე, რაზეც ეცნობა, რომ სამინისტრო 2023 წლის მესამე კვარტალში გეგმავდა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებას.²⁵⁴ დოკუმენტი კვლავ არ არის შემუშავებული.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შემუშავდეს და დაინერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი იმისთვის, რომ დაწესებულებებმა მინიმუმადე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა უარყოფითად აისახება გაწეული ფსიქიატრიული დახმარების ხარისხზე, პაციენტებს შორის კონფლიქტების პრევენციის და კონფლიქტის შემთხვევაში რეაგირების ეფექტიანობაზე. ასევე, გამოწვევაა პერსონალის კვალიფიკაცია, უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულება, მოტივაციის ნაკლებობა, დაბალი ანაზღაურება და არახელსაყრელი სამუშაო პირობები.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტრომ უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალისთვის სწავლების ჩატარება, სულ მცირე, შემდეგ საკითხებზე: მულტიდისციპლინური მუშაობა, დეესკალაციის ტექნიკა, პაციენტთა უფლებები და ეთიკის სტანდარტები, აღდგენაზე დაფუძნებული მიდგომა და თანამედროვე ფსიქიატრია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პერსონალის მიერ ფსიქიატრიული დახმარების ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელის მნიშვნელობის გააზრებას და პრაქტიკაში განხორციელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას

²⁵⁴ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 20 თებერვლის MOH 8 23 00186440 წერილი.

5.3.3. სისტემური ზედამხედველობა და კონტროლი

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს სათანადო ზედამხედველობა,²⁵⁵ პროაქტიულად გამოავლინოს და აღკვეთოს პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის და უფლებების დარღვევის ფაქტები, რადგან ეს მის პოზიტიურ ვალდებულებას განეკუთვნება.²⁵⁶ ამის საპირისპიროდ, ჯერ კიდევ არ არის მიღებული მინისტრის ბრძანება, რომელსაც მონიტორინგის/შეფასების წესი, პირობები და მონიტორინგის ჯგუფის შემადგელობა უნდა დაემტკიცებინა.²⁵⁷

ერთადერთი უწყება, რომელსაც ამჟამად ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მონიტორინგს განხორციელება შეუძლია არის სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, რომელიც ძირითადად სანებართვო პირობებთან შესაბამისობის ფოკუსით ატარებს სამედიცინო დაწესებულებების შემოწმებას. 2023 წლის განმავლობაში ამ უწყებასაც არ განუხორციელებია შემოწმება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.²⁵⁸

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შეიქმნას ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის ჰოსპიტალგარე სახელმწიფო ზედამხედველობის და ფსიქიატრიული მომსახურების ხარისხისა და უფლებების დაცვის მონიტორინგის მექანიზმი, რომლის კომპეტენციაც იქნება ფსიქიატრიული სერვისების მომხმარებლებისგან, მათი წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისგან კონფიდენციალური/ღია საჩივრების მიღება ფსიქიატრიული სერვისების ხარისხისა და უფლებების კუთხით გამოვლენილ დარღვევებზე და ფსიქიატრიული სერვისების მიმწოდებლების რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი

5.3.4. დოკუმენტაციის წარმოების ხარვეზები

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დოკუმენტაციის წარმოება არათანმიმდევრული და არაერთგვაროვანია. დაწესებულებები ხელმძღვანელობენ “სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს ზოგად წესს ყველა სტაციონარისთვის და არ ითვალისწინებს ფსიქიატრიული სტაციონარის თავისებურებებს, ინსტიტუციურ ბუნებას და

²⁵⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 1-ლი თებერვლის გადაწყვეტილება ვ.ს. იტალიის წინააღმდეგ (V.C. v. Italy) no. 54227/14, პარა-89-95, ხელმისაწვდომია < <https://bit.ly/2Lq2skO> >, [ბოლოს ნანახია: 24.01.2024]. იხილეთ ასევე ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom).

²⁵⁶ „მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენცია, მუხლი 14.2.

²⁵⁷ „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 261 მუხლის, მე-5 პუნქტი.

²⁵⁸ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2023 წლის 23 დეკემბრის წერილი REG 8 23 01400680.

პაციენტების მოწყვლად მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიულ სტაციონარში სამედიცინო და სხვა სახის დოკუმენტაციის წარმოების ცალკე წესი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დაწესებულებაში მომხდარი კონფლიქტების და ინციდენტების აღრიცხვა, ექთნის დღიურების წარმოების ვალდებულება და სახალხო დამცველის რეკომენდაციებში წარმოდგენილი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლის შესახებ ვრცლად მოცემულია ქვემოთ.

დოკუმენტაცია დაზიანებების შესახებ

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დაზიანებების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ქაოტურად ან საერთოდ არ ხდება. იმ შემთხვევაში, თუ დაფიქსირებულია პაციენტის სხეულზე არსებული დაზიანება, ინფორმაციის მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ჩათვალა ექთანმა ან ექიმმა საჭიროდ რომ მიეთითებინა.

სახალხო დამცველი წლებია ამახვილებს ყურადღებას, რომ მნიშვნელოვანია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 და მე-16 მუხლებში მითითებული ქმედებების (წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის, ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის) ფაქტების გამოვლენის, დოკუმენტირებისა და საგამომიებო და მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანოებისთვის შეტყობინების გაგზავნის სავალდებულო, ერთიანი წესი. ჯანდაცვის პროფესიონალებს აქვთ ვალდებულება პროაქტიულად გამოავლინონ, დაადოკუმენტირონ და შესაბამის ორგანოებს მიაწოდონ შეტყობინება პაციენტის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის, ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის ფაქტების თაობაზე.²⁵⁹ აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა შემუშავდეს ბრძანება, სადაც გაიწერება ექიმის ვალდებულება, დეტალურად აღწეროს პაციენტის სხეულზე არსებული დაზიანებები, დაზიანებების მიღების გარემოებების მითითებით, დაადგინოს შესაბამისობა არსებულ დაზიანებასა და მისი მიღების გარემოებებს შორის და ძალადობის თაობაზე ინფორმაციის მიღების/ექვის არსებობის შემთხვევაში შეატყობინოს საგამომიებო ორგანოს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწესებულებაში მიღებული დაზიანების დეტალური აღრიცხვა სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად და საგამომიებო ორგანოსთვის შეტყობინება, როდესაც ექიმს გაუჩნდება ეჭვი რომ პაციენტზე ძალადობა დაწესებულების

²⁵⁹ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო - სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul Protocol) / გაერო, 2002. პარა: 155 ხელმისაწვდომია: <<https://www.ohchr.org/en/publications/policy-and-methodologicalpublications/istanbul-protocol-manual-effective-0>> [ბოლოს ნანახია: 15.01.2024].

თანამშრომელმა განახორციელა. იგივე პრინციპით უნდა მოხდეს დაზიანებების დოკუმენტირება პაციენტებს შორის ძალადობის, საყოფაცხოვრებო ტრავმების და თვითდაზიანებების შემთხვევაშიც და ძალადობის თაობაზე ეჭვის არსებობისას საგამომიებო ორგანოსთვის შეტყობინება.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შემუშავდეს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დოკუმენტაციის წარმოების სპეციფიკური წესები, სადაც გათვალისწინებული იქნება პაციენტთა სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების და საგამომიებო ორგანოსთვის შეტყობინების წესები

დოკუმენტაცია შეზღუდვის მეთოდების გამოყენებაზე

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებებში შეზღუდვის მეთოდები აქტიურად გამოიყენება, ყველა შემთხვევის დოკუმენტირება არ ხდება. ასე მაგალითად, ბათუმის სამედიცინო ცენტრში წარმოებული შეზღუდვის ჟურნალების მიხედვით, 2023 წელს ქალთა განყოფილებაში ფიზიკური შეზღუდვის მხოლოდ 1 შემთხვევა, ხოლო მამაკაცთა განყოფილებაში მხოლოდ 3 შემთხვევაა დაფიქსირებული, მაშინ როდესაც, პაციენტების უმრავლესობა ადასტურებს, რომ უახლოეს წარსულში ან თვითონ შეზღუდეს ან სხვა პაციენტების ფიზიკური შეზღუდვის შემთხვევების შემსწრე გამხდარა.

ყველა დაწესებულებაში პრობლემურია გამოყენებული შეზღუდვის მეთოდების დასაბუთებაც, რაც ზრდის თვითნებობის რისკს. მონიტორინგის დროს გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ე.წ. შეზღუდვის ჟურნალებში დაფიქსირებული შემთხვევები არ იყო მითითებული სამედიცინო ბარათებში და პირიქით, სამედიცინო ბარათებში აღწერილი შეზღუდვის შემთხვევა არ მოიძებნებოდა ე.წ. შეზღუდვის ჟურნალებში.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტრომ მონიტორინგის გზით შეისწავლოს შეზღუდვის მეთოდების გამოყენების კანონიერება და დასაბუთებულობა

5.3.5. შესაბამისი სერვისების მიწოდების ხარვეზები

5.3.5.1. ფსიქიატრიული დახმარება

ანტიფსიქოზური მედიკამენტებით მკურნალობა

პრევენციის ეროვნული მექანიზმი მრავალი წელია ხაზს უსვამს სათანადო ფსიქიატრიული დახმარების მიწოდებისას ბიოფსიქოსოციალური მიდგომის მნიშვნელობას,²⁶⁰ რაც მედიკამენტებით მკურნალობასთან ერთად ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციასაც გულისხმობს. ფსიქიატრიულ სტაციონარებში განხორციელებული ვიზიტებისას დადგინდა, რომ ფსიქიატრიული დახმარება კვლავ მხოლოდ ფარმაცოთერაპიით შემოიფარგლება და ბიოფსიქოსოციალურ ხასიათს არ ატარებს. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში შეთავაზებული სარეაბილიტაციო აქტივობები კი მწირია და არ მოიცავს პაციენტთა სრულ რაოდენობას.²⁶¹

პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია.²⁶² ფსიქიატრიულ სტაციონარებში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს პაციენტის ფსიქიატრიული დახმარების პროცესში ჩართვა. გასაუბრების დროს პაციენტთა უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია დიაგნოზის, დანიშნული მედიკამენტებისა და გვერდითი ეფექტების შესახებ. ამასთან მკურნალობის დაწყებამდე არ მომხდარა მათთან მკურნალობის მეთოდებისა და გზების შეთანხმება.

ქვეყანაში მოქმედი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების თანახმად,²⁶³ ახლად დასმული შიზოფრენიის დიაგნოზის დროს, ასევე მწვავე შეტევის ან რეციდივის დროს შეთავაზებული უნდა იქნას პერორალური²⁶⁴ მედიკამენტები. სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლითა და პაციენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ნებაყოფლობით სტაციონირებულ პაციენტებს არ ეძლევათ მედიკამენტების საინექციო და ტაბლეტირებულ ფორმებს შორის არჩევანის შესაძლებლობა. შესაბამისად, წინა წლების მსგავსად, ექიმები წინასწარი რისკების შეფასების გარეშე, უპირატესობას ანიჭებენ მედიკამენტების საინექციო ფორმების გამოყენებას და პოლიფარმაციას,²⁶⁵ მონოთერაპიის²⁶⁶ ნაცვლად, რაც ხელ უწობს ფარმაცოთერაპიის გვერდითი მოვლენების გამოვლენას. შენარჩუნებულია წინა წლების პრაქტიკა, როდესაც სტაციონარში მოთავსებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში პაციენტებს ინექციები აქვთ დანიშნული.

წელს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ შენარჩუნებული იყო ერთდროულად რამდენიმე მედიკამენტის დანიშვნის პრაქტიკა. კვლავ არის შემთხვევები, როდესაც პაციენტს დანიშნული აქვს აქვს ორი, სამი ან მეტი ანტიფსიქოზური მედიკამენტი, მათ შორის,

²⁶⁰ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. იხ. ბმული, გვ. 215. <<https://ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf>> [ბოლოს ნანახია: 15.01.2024].

²⁶¹ იხილეთ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის თავი.

²⁶² საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 18.

²⁶³ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) – „შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში“, თავები: 4.8.1.1.; 4.8.1.2.

²⁶⁴ მედიკამენტის მიღება პირის ღრუს საშუალებით.

²⁶⁵ ორი ან მეტი სავაჭრო დასახელებით დანიშნული ერთი და იგივე მოქმედი ნივთიერების/ნივთიერებების შემცველი ფარმაცევტული პროდუქტი. ურთერთჩანაცვლებადი და/ან ერთი და იგივე ფარმაცოლოგიური ჯგუფის მედიკამენტების ერთდროულად დანიშვნა (შეყვანის გზის გათვალისწინებით).

²⁶⁶ მხოლოდ ერთი მედიკამენტის, ერთი ნივთიერების გამოყენება სამკურნალოდ.

ზოგიერთ შემთხვევაში მედიკამენტ „ზოპინთან“ („კლოზაპინი“) ერთად.²⁶⁷ ქვეყანაში მოქმედი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების შესაბამისად,²⁶⁸ პაციენტების უმეტესობისთვის, განსაკუთრებული გარემოებების გარდა, რეკომენდირებულია ერთი ანტიფსიქოზური მედიკამენტის დანიშვნა. მნიშვნელოვანია, რომ QT ინტერვალის²⁶⁹ გახანგრძლივებისა და უეცარი კარდიალური სიკვდილის რისკის შესამცირებლად უარი ითქვას პოლიფარმაციაზე.²⁷⁰

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- დაავალოს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და თანმდევი გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა

რაც შეეხება ანტიფსიქოზური მედიკამენტებით მომარაგებას, დაწესებულებებს ჰქონდათ მედიკამენტ „ტიზერცინის“ ამპულების დეფიციტი. აღნიშნულის გამო სამედიცინო პერსონალს არ ჰქონდათ არჩევანის შესაძლებლობა, რაც პრობლემას ქმნიდა მწვავე ფსიქოზური შემთხვევის მართვის დროს. ქვეყანაში ანტიფსიქოზური მედიკამენტების მომარაგებასთან დაკავშირებით 2023 წლის 28 დეკემბერს წერილით მივმართეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თუმცა პასუხი არ მიგვიღია.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს ქვეყანაში ანტიფსიქოზური მედიკამენტების მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა და გაატაროს პრევენციული ღონისძიებები მედიკამენტების დეფიციტის თავიდან ასარიდებლად

საყურადღებოა მედიკამენტ „ზოპინის“ (აქტიური ნივთიერება „კლოზაპინი“) გამოყენება, როგორც მონოთერაპიის სახით, ასევე, სხვა ანტიფსიქოზურ და განსხვავებული ჯგუფის ფსიქოტროპულ მედიკამენტებთან ერთად. ამასთან, წამების პრევენციის ევროპული

²⁶⁷ მაგალითად, ერთ პაციენტს დანიშნული ჰქონდა ტაბ. „სოლიანი“ 400 მგ. დღეში ერთხელ, „ციკლოდოლი“ 2 მგ. 2-ჯერ, ტაბ. „რიპედონი“ 4 მგ. ერთხელ, ტაბ. „ნეიროლეფსინი“ 400 მგ.-იანი 200 მგ. 2-ჯერ, ტაბ. ზოპინი (კლოზაპინი) 100 მგ. 50 მგ. ერთხელ. ერთ-ერთ პაციენტს დანიშნული ჰქონდა ამპ. „ტრიფტაზინი“ 1 მლ. დღეში ერთხელ, ტაბ. „რიპედონი“ 4 მგ. ერთხელ, ტაბ. „ციკლოდოლი“ 2 მგ. 2-ჯერ, ტაბ. „აზალეპტინი“ (კლოზაპინი) 100 მგ. ერთხელ.

²⁶⁸ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) – „შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში“, გვ. 46.

²⁶⁹ გულის რითმის დარღვევა, რომელიც პოტენციურად იწვევს სწრაფ, ქაოსურ გულისცემას.

²⁷⁰ ავტორთა უმრავლესობა პოლიფარმაციად მიიჩნევს 5-დან 10-მდე მედიკამენტის მოხმარებას ან, რაოდენობის მიუხედავად, ერთი და იგივე ჯგუფის სხვადასხვა პრეპარატის ერთდროულად გამოყენებას ან თუნდაც ერთი წამლის არასწორი დანიშნულებით მიღებას. იხ. ბმული: <<https://bit.ly/35h14YY>>[ბოლოს ნანახია:24.01.2024].

კომიტეტი თავის ანგარიშში²⁷¹ ხაზს უსვამს „კლოზაპინის“ დანიშვნის დროს სისხლის ანალიზის რეგულარულად ჩატარების აუცილებლობას. კომიტეტის რეკომენდაციით საქართველოს ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს, ყველა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სავალდებულო გახდეს „კლოზაპინის“ გამოყენების შემთხვევაში სისხლის ანალიზის რეგულარული ჩატარება. ასევე, მნიშვნელოვანია დაწესებულების თანამშრომლებს ჩაუტარდეთ სწავლება, რათა მათ შეძლონ, ამოიცნონ „კლოზაპინის“ გვერდითი ეფექტები, რომელმაც შესაძლოა ლეტალური შედეგი გამოიწვიონ.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს დაწესებულებების თანამშრომელთა სწავლება, რათა მათ შეძლონ, ამოიცნონ „კლოზაპინის“ გვერდითი ეფექტები, რომელმაც შესაძლოა ლეტალური შედეგი გამოიწვიონ

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამით დაწესებულებები ვალდებული არიან სტაციონარული მკურნალობის დროს, უზრუნველყონ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციური ინტერვენციები.²⁷² მიუხედავად ამისა, დაწესებულებებში სარეაბილიტაციო აქტივობები მწირია,²⁷³ არ არის გათვალისწინებული პაციენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და ყველა პაციენტი, რომელსაც აქტივობებში ჩართვის საჭიროება აქვს, არ არის ჩართული ამ აქტივობებში. სპეციალისტების შეზღუდული რაოდენობა და მწირი ბიუჯეტი არის იმ ძირითად ფაქტორთა შორის, რაც ხელს უშლის გადატვირთული სტაციონარის პაციენტთა საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული გარემო არათერაპიული, დამთრგუნველი და შემზღუდავია. სპეციალური პრევენციული ჯგუფი უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტების დიდი ნაწილი დღის განმავლობაში ყოველგვარი აქტივობის გარეშე იმყოფება. პაციენტების ერთადერთი გასართობი განყოფილებებში არსებული ტელევიზორებია. თუმცა, აქაც შეზღუდულები არიან სასურველი სატელევიზიო არხების არჩევაში და უყურებენ მხოლოდ იმ არხს და იმ დროს, რასაც სამედიცინო პერსონალი გადაწყვეტს.

²⁷¹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი 2018 წლის 10-21 სექტემბერს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში. იხ. ბმული: <<https://rm.coe.int/1680945eca>> [ბოლოს 24.01.2024].

²⁷² საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის N609 დადგენილებით დამტკიცებული „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ N11 დანართის - ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 27 03 03 01), მე-3 მუხლის, მე-6 პუნქტის ა.დ.ბ ქვეპუნქტი.

²⁷³ არტ-თერაპია: მუსიკა თერაპია, ხატვა, ქარგვა, მერწყვა.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს ფსიქიატრიულ სტაციონარებში პაციენტთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელის შეშლელი ფაქტორების გამოვლენა, შეიმუშავოს მათი აღმოფხვრის გეგმა და შესწავლის შედეგები აცნობოს სახალხო დამცველს
- ხელი შეუწყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებს სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობების დანერგვაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყველა სტაციონირებული პაციენტის რეგულარული ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში. ეს აქტივობები მიმართული უნდა იყოს აღდგენაზე (recovery), ასევე ხელს უწყობდეს პირის დამოუკიდებელ ცხოვრებას და ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში



თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

5.3.5.2. სომატური ჯანმრთელობა

პაციენტები, რომლებიც ხანგრძლივად იღებენ ანტიფსიქოზურ მედიკამენტებს, უნდა გადიოდნენ ფიზიკური ჯანმრთელობის რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას.²⁷⁴ ანტიფსიქოზური მედიკამენტებით გამოწვეული გვერდითი ეფექტების მონიტორინგის მნიშვნელობა სომატური ჯანმრთელობის პრობლემების დროული გამოვლენისა და მკურნალობის მიზნით, ხაზგასმულია შიზოფრენიის მართვის ეროვნულ გაიდლაინში. იქვეა

²⁷⁴ შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი), თავი 4.2.

მოცემული პაციენტთა ფიზიკური და ბიოქიმიური პარამეტრების კვლევის სავარაუდო სიხშირის ცხრილი.²⁷⁵

2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების კომპონენტს დაემატა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეკომპონენტი, თუმცა პრაქტიკაში არ არის რაიმე სახის ცვლილება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად,²⁷⁶ სამედიცინო მომსახურების, კომპონენტში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების ვალდებულებაა უზრუნველყოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ისევე როგორც სხვა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ სერვისების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნულ კომპონენტს 2023 წელს ასევე დაემატა წამლის გვერდითი ეფექტის კონტროლის უზრუნველყოფა, თუმცა არც ამ მიმართულებით არის რაიმე ცვლილება, სტაციონარში მოთავსებისას, პაციენტებს უტარდებათ სისხლის და შარდის საერთო, „C“ ჰეპატიტის, სიფილისის და გლუკოზის ანალიზები, საჭიროების შემთხვევაში კი ეს ანალიზები უტარდებათ განმეორებით. მხოლოდ აღნიშნული ანალიზების ჩატარება კი ვერ უზრუნველყოფს გვერდითი ეფექტების მართვას.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტები სრულად და დროულად იყვნენ უზრუნველყოფილი საჭირო სამედიცინო მომსახურებით და მკაფიოდ განისაზღვროს გეგმიური სამედიცინო მომსახურების სრულად ანაზღაურების საკითხი
- უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების, მათ შორის სტომატოლოგიური მომსახურების მიწოდების სტანდარტის შემუშავება, აღნიშნული სტანდარტის დანერგვის შემდეგ განხორციელოს მონიტორინგი ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ მის შესრულებაზე. განხორციელებული მონიტორინგის შედეგების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დაწესებულებაში, სადაც პრევენციული ვიზიტები განხორციელდა, უზრუნველყოფილი იყო ექიმი თერაპევტის მომსახურება, რომელიც კონსულტაციითა და სიმპტომური მკურნალობით შემოიფარგლებოდა. დამატებითი გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის კი სხვა სამედიცინო დაწესებულებას უნდა მიმართონ, რაც პაციენტისთვის დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. ასევე დამატებით

²⁷⁵ შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში - კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაცია (გაიდლაინი), თავი 4.7.

²⁷⁶ 2024 წლის 13 იანვრის MOH32400037179 პასუხი.

ხარჯებთანაა დაკავშირებული დანიშნული მედიკამენტების შეძენა, რადგან ადგილზე მხოლოდ გადაუდებელი თერაპიული მედიკამენტებია.²⁷⁷

ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია მხოლოდ გადაუდებელი თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურება, სხვა შემთხვევაში კი თავად პაციენტი ანაზღაურებს მომსახურების საფასურს. დაწესებულებები თავად უზრუნველყოფენ სტომატოლოგიურ კლინიკაში პაციენტის ტრანსპორტირებას, თუმცა ხშირ შემთხვევაში პრობლემა იქმნება სტომატოლოგიური კლინიკის მოძიებისას, რადგან სტომატოლოგიური კლინიკები თავს იკავებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირის მომსახურებისგან. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შემთხვევის დროს დაწესებულებამ ინფორმაცია მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი მანდატის ფარგლებში შეისწავლის კონკრეტულ შემთხვევას.

მნიშვნელოვანია, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტებისთვის უზრუნველყოფილი იქნას სათანადო სამედიცინო დახმარება დროულად, ასევე მნიშვნელოვანია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებისთვის უზრუნველყოფილი იქნას დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგ პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება.²⁷⁸ სომატური ჯანდაცვის სერვისების ხელმიუწვდომლობა ან შეზღუდული ხელმისაწვდომობა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუარესებს, რაც შესაძლოა პაციენტის გარდაცვალების მიზეზიც გახდეს.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება

აღსანიშნავია, რომ პრობლემურია გარდაცვლილი პაციენტების შესახებ ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება. ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ არ ხდება იმ პაციენტთა გარდაცვალების აღრიცხვა, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადაყვანილი იყვნენ სხვა საავადმყოფოში. აღნიშნულის მიზეზად კვლავ იმას ასახელებენ, რომ ასეთ დროს პაციენტის გაწერა ხდება და მათ ვალდებულებას ადარ წარმოადგენს პაციენტის მდგომარეობაზე თვალის მიდევნება. სამედიცინო დოკუმენტაციის

²⁷⁷ აღსანიშნავია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ადგილზე არსებულ აფთიაქში შეუძლიათ პაციენტებს მედიკამენტების შეძენა.

²⁷⁸ 2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები, დანართი 1 - დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 27 03 02 01). პროგრამა გულისხმობს შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებისთვის საშვილოსნოს ყელის კიბოს, ბუბუს კიბოს, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგს.

შესწავლით შედეგად შეიძლება ითქვას,²⁷⁹ რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვლილი პაციენტების შემთხვევაში არ ხდება გარდაცვალების ზუსტი მიზეზების დადგენა, რადგან არ ტარდება ექსპერტიზა. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული ჩანაწერები არაინფორმატიულია და მითითებულია სიკვდილის სხვა დაუზუტებელი და არაზუსტად განსაზღვრული მიზეზები.²⁸⁰

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შესწავლილი იქნას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და ფსიქიატრიული დაწესებულებიდან გადაყვანილი ყველა გარდაცვლილი პაციენტის შემთხვევა, დაადგინოს რა გახდა გარდაცვალების მიზეზი და რამდენად დროულად მოხდა პაციენტის გადაყვანა შესაბამის დაწესებულებაში. მიღებული შედეგების საფუძველზე კი გაატაროს ღონისძიებები, რათა მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული პაციენტთა გარდაცვალება

5.3.6. სტანდარტის შეუსაბამო გარემო

2023 წელს განახლდა „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილება, სადაც ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის გაწერილია დამატებითი მოთხოვნები, მაგალითად უსაფრთხო და ნახევრად გადახურული ეზოს მოწყობა, პაციენტთან შეხვედრების სივრცეები, განგაშის სისტემები, თუმცა ეს მოთხოვნები ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო ხდება 2027 წლის 1-ლი იანვრიდან. აქვე დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულმა დადგენილებამ ფსიქიატრიული მომსახურების მიმწოდებელი ყველა დაწესებულება დაავალდებულა, 2025 წლის 1 იანვრამდე თავიანთი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანონ ისეთ სტანდარტებთან, როგორიცაა მხოლოდ ერთ და ორადგილიანი პალატები, ინდივიდუალური სველი წერტილები, პალატების აუცილებელი ინვენტარი, პაციენტთა რაოდენობის კონკრეტული თანაფარდობა, ექიმ-ფსიქიატრთან, ექთანთან და ექთნის დამხმარესთან და სხვა.

გადატვირთულობა

²⁷⁹ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში 2023 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით გარდაცვლილი იყო 4 პაციენტი, მათ შორის ერთი სუიციდით, ხოლო ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში 8 დეკემბრის მდგომარეობით გარდაცვლილი იყო 5 პაციენტი, მათ შორის 2 სუიციდით.

²⁸⁰ ICD10 კლასიფიკატორი არის R99. იხ. ბმული

<<https://classifications.moh.gov.ge/Classifications/Pages/ViewICD10.aspx>> [ბოლოს ნანახია:18.01.2024].

პაციენტთა უსაფრთხო და თერაპიულ გარემოში განთავსება ფსიქიატრიული დაწესებულებების პასუხისმგებლობაა.²⁸¹ 2023 წელსაც, დაწესებულებებში თვალშისაცემი იყო გადატვირთულობა და პალატებში სიმჭიდროვე. პაციენტები არ არიან უზრუნველყოფილი სტანდარტით დადგენილი 8 კვ.მ. ფართობით.²⁸² ყველა პაციენტს კვლავ არ აქვს პირადი ნივთების შესანახი კარადა ან ტუმბო. ამასთან, მიღებული ინფორმაციით პაციენტების რაოდენობა რეგულარულად აჭარბებს არსებული საწოლების რაოდენობას და ზოგიერთ პაციენტს არა საწოლზე, არამედ იატაკზე დაგებულ მატრასზე უწევს ძილი.²⁸³

ინფრასტრუქტურა

გამოწვევებია ინფრასტრუქტურული კუთხითაც. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში, სადაც შენობა არის ამორტიზებული და საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს. რაც შეეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, რეგულარულად ტარდება სარემონტო სამუშაოები და პაციენტებს შედარებით უკეთეს ინფრასტრუქტურულ პირობებში უწევთ მკურნალობა.



ფსიქიკური ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი



თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

²⁸¹ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო WHO QualityRights tool kit to assess and improve quality and human rights in mental health and social care facilities. Geneva: World Health Organization; 2012, ხელმისაწვდომია: <<https://apps.who.int/iris/handle/10665/70927>> [ბოლოს ნანახია: 24.01.2024].

²⁸² საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის N385 დადგენილებით დამტკიცებული „სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობების“ მიხედვით, ფართობი პალატაში ერთ პაციენტზე უნდა იყოს არანაკლებ 8 კვ.მ. და საწოლებს შორის დაშორება – მინიმუმ 1.2 მ.

²⁸³ ბათუმის სამედიცინო ცენტრში ვიზიტის დროს, დაწესებულებაში განთავსებული იყო 159 პაციენტი. ლიმიტით განსაზღვრული საწოლების რაოდენობა შეადგენს 150-ს. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ვიზიტის დროს, დაწესებულებაში განთავსებული იყო 215 პაციენტი. ლიმიტის განსაზღვრული საწოლების რაოდენობა შეადგენს 210-ს.

არც ერთი დაწესებულება არ არის აგებული უნივერსალური დიზაინის პრინციპით და არ არის გათვალისწინებული მობილობის შეზღუდვის მქონე პირების საჭიროებები, მათ შორის მისაწვდომობა სველ წერტილებზე.

გამოწვევებია უსაფრთხოების კუთხითაც. ასე მაგალითად, თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში III განყოფილებიდან სასადილოში/აბანოში ჩასასვლელი კიბეები იმდენად არის დახრილი, რომ ფეხის დაცურების რისკს ქმნის. საყურადღებო შემთხვევა დაფიქსირდა ბათუმის სამედიცინო ცენტრში, მამაკაცთა განყოფილების ე.წ. „მღელვარე ნაწილში“, სადაც დაწესებულებისთვის დაუდგენელი მიზეზით პალატაში ღამით ხანძარი გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ხანძრის ლიკვიდირება დროულად მოხერხდა, ჩაკეტილ პალატაში პაციენტებმა მაინც მიიღეს დაზიანებები, მათ შორის დამწვრობა და კვამლის ზემოქმედებით გამოწვეული სიმპტომები.

სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში და ბათუმის სამედიცინო ცენტრში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები მეტნაკლებად მოწესრიგებულია და ცხელი წყალი რეგულარულად ხელმისაწვდომია. პრობლემებია თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში, სადაც სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები გაუმართავია და პაციენტებს შხაპის მიღების შესაძლებლობა მხოლოდ კვირაში ერთხელ ეძლევათ. რაც შეეხება ჰიგიენის ნივთებს, საანგარიშო პერიოდში მონახულებულ ყველა დაწესებულებაში პრობლემატურია მათი სათანადო პერიოდულობით და საჭიროებისამებრ მიწოდება, გასაკუთრებით კბილის პასტით და ჯაგრისით პაციენტების მომარაგება. განყოფილებაში მყოფ პაციენტებს ტანსაცმლის, თეთრეულის და წინდების გარეცხვის შემდგომ ურიგებენ სხვის ტანსაცმელს, თეთრეულს და წინდებს, რაც პაციენტთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სისტემური მონიტორინგის გზით გაკონტროლდეს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების შესაბამისობა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ფსიქიატრიულმა დაწესებულებებმა უზრუნველყონ პალატების აღჭურვა საკმარისი რაოდენობის ტუმბოებითა ან/და კარადებით
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ფსიქიატრიულმა დაწესებულებებმა შეასრულონ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფსიქიკური ჯანმრთელობის ქვეპროგრამით განსაზღვრული დამატებითი მომსახურების სახით პირადი ჰიგიენის საგნებით უზრუნველყოფის ვალდებულება

- მიიღოს ყველა ზომა, რათა ფსიქიატრიულმა დაწესებულებებმა უზრუნველყონ ინფრასტრუქტურის სრული მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

6. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრები და ალტერნატიული საცხოვრისები

6.1. შესავალი

2023 წელს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა პრევენციული ვიზიტები განახორციელა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ქალთა და მამაკაცთა თავშესაფრებში (შემდგომში „თავშესაფრები“).²⁸⁴ პრევენციული ვიზიტი ასევე განხორციელდა სენაკში მდებარე საცხოვრისებში, რომელიც ფინანსდება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის, 18 წლის და მეტი ასაკის ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ალტერნატიული საცხოვრისით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში და მომსახურების მიმწოდებელია შშმ პირთა სათემო ორგანიზაცია " ბ და კომპანია" (შემდგომში „სენაკის ალტერნატიული საცხოვრისები“). პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში შეფასდა დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის კუთხით არსებული მდგომარეობა და არასათანადო მოპყრობის გამომწვევი რისკ ფაქტორები.

6.2. არასათანადო მოპყრობა

თავშესაფრებში და სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებში მყოფი ბენეფიციარები პერსონალს ძირითადად დადებითად ახასიათებდნენ. მიუხედავად ამისა, ერთეულ შემთხვევებში გამოვლინდა ბენეფიციარის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევა. კერძოდ, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თავშესაფარში მიღებული ინფორმაციით, პერსონალმა მამაკაც ბენეფიციარს მუცელში ჩაარტყა ფეხი.

სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებში ერთეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ბენეფიციარებისადმი ფსიქიატრიულ სტაციონარში გადაყვანის მუქარას, თუ ბენეფიციარი უარს განაცხადებს მკურნალობაზე ან რეჟიმს არ დაემორჩილება. ორივე დაწესებულებაში გამოვლინდა მედიკამენტების იძულებით მიცემის, მათ შორის დაფხვნილი სახით მედიკამენტების მიცემის სავარაუდო შემთხვევები.

მიღებული ინფორმაციით ორივე დაწესებულებაში სავარაუდოდ ადგილი აქვს ბენეფიციარების ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის²⁸⁵ შემთხვევებს, რაც დაუშვებელია ფსიქიატრიული სტაციონარის გარეთ.²⁸⁶ ასევე, შეზღუდვის პროცესში არასამედიცინო პერსონალის, ე.წ. დაცვის მონაწილეობას. სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებებმა დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრან შეზღუდვის მეთოდების გამოყენების

²⁸⁴ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ქალთა და მამაკაცთა თავშესაფარში პრევენციული ვიზიტები განხორციელდა 2023 წლის 4,5,7 და 8 დეკემბერს.

²⁸⁵ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში დოკუმენტაციითაც დასტურდება დანიშნულების მიღმა სედატიური მედიკამენტების გაკეთების შემთხვევები, თუმცა ისევე როგორც ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, არ არის მოცემული ინფორმაცია ინექციის ნებაყოფლობით თუ არანებაყოფლობით გაკეთების თაობაზე.

²⁸⁶ ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონი, მე-16(1) მუხლით შეზღუდვის მეთოდების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სტაციონარში მყოფი პაციენტის მიმართ.

პრაქტიკა. ასევე დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრან მედიკამენტების იძულებით მიმცემის პრაქტიკა, რომელმაც შესაძლოა არასათანადო მოპყრობის ზღვარსაც კი მიაღწიოს.²⁸⁷

ორივე დაწესებულებაში ადგილი აქვს ბენეფიციარებს შორის დაპირისპირების, მათ შორის, ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევებს. თუმცა, არ ხდება ამ შემთხვევების, ასევე მიღებული სხეულის დაზიანებების დოკუმენტირება და არ ეცნობება საგამოძიებო ორგანოს. არ არის შემუშავებული და დანერგილი ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების პრევენციის და მათზე რეაგირების სტრატეგია.

რეკომენდაციები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- დაწესებულების პერსონალის მხრიდან ბენეფიციარების მიმართ ბენეფიციარების ნების წინააღმდეგ ინეცეიების გაკეთებისა და მედიკამენტების მიღების იძულების ფაქტების გამოსავლენად, ყველა თავშესაფარსა და საცხოვრისში ჩატარდეს მონიტორინგი; მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ფაქტებზე მოხდეს სათანადო რეაგირება და ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს.
- ნორმატიულ დონეზე გაიწეროს და დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 და მე-16 მუხლებით გარანტირებულ უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის, დოკუმენტირებისა და საგამოძიებო უწყებაში შეტყობინების გაგზავნის პროცედურა
- შემუშავდეს ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სტრატეგია;
- ნორმატიულად განისაზღვროს ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება

6.3. არასათანადო მოპყრობის რისკ ფაქტორები

6.3.1. სეგრეგაცია და ინსტიტუციური ბუნება

წლების განმავლობაში, სახალხო დამცველი გაცემს რეკომენდაციას, რომ ის პაციენტები, რომლებიც აღარ საჭიროებენ სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას და წასასვლელი არსად აქვთ, თემში შეეთავაზოთ საცხოვრისები. საანგარიშო პერიოდში მონახულებული თავშესაფრები და ალტერნატიული საცხოვრისები წარმოადგენენ დახურულ ინსტიტუციებს და ბენეფიციარები იზოლირებული არიან გარე სამყაროსგან, რაც ეწინააღმდეგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციას.²⁸⁸ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლის N5 ზოგადი კომენტარის (CRPD/C/18/1)

²⁸⁷ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში გენერალური ასამბლეის წინაშე, A/63/175, 2008 წლის 28 ივლისი, პარა. 63, ხელმისაწვდომია <<https://digitallibrary.un.org/record/635981?ln=en>>, [ბოლოს ნანახია: 28.11.2024].

²⁸⁸ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, მუხლი 14.

მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციები შესაძლებელია სახელწოდებით, ზომით და მოწყობით განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, მაინც არსებობს ინსტიტუციის იდენტიფიცირების რამდენიმე ელემენტი, მათ შორის - იზოლაცია და სეგრეგაცია დამოუკიდებელი ცხოვრებისაგან, პატერნალისტური დამოკიდებულება სერვისის მიწოდებისას. შესაძლებელია ინსტიტუციამ გარკვეული დამოუკიდებლობის ხარისხი უზრუნველყოს ბენეფიციარებისათვის, თუმცა ეს დამოუკიდებლობა ფარგლებშია მოქცეული და ინსტიტუციის სეგრეგაციულ ბუნებას განამტკიცებს.²⁸⁹


დახურული და ინსტიტუციური სახე განსაკუთრებით თვალშისაცემია ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, სადაც თავშესაფარი არაფრით განსხვავდება სტაციონარისგან და ბენეფიციარები იზოლირებული არიან ბეტონის კედლებით შემოსაზღვრულ ფლიგელში და ეზოში, სუფთა ჰაერზე გასვლის შესაძლებლობაც მხოლოდ განსაზღვრულ საათებში ეძლევათ.



სენაკის ალტერნატიული საცხოვრისი

²⁸⁹ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლის N5 ზოგადი კომენტარი. CRPD Committee (2017), General Comment No. 5 – Article 19: Living independently and being included in the community, CRPD/C/18/1, 29 August 2017, para. 16 (c).

სენაკში მდებარე ალტერნატიული საცხოვრისები განკუთვნილია 9-დან 12 ბენეფიციარზე გათვლილი და პროგრამის მიზნებისთვის თითოეული კოტეჯი ინდივიდუალურ საცხოვრისად განიხილება. თუმცა, ყველა კოტეჯი ერთ ეზოში კომპაქტურად არის განლაგებული,²⁹⁰ აქვს ერთიანი სასადილო სივრცე და შემოსაზღვრულია გალავნით. მართალია, ბენეფიციარებს დღის განმავლობაში სუფთა ჰაერზე თავისუფლად გადაადგილება შეუძლიათ, თუმცა ეზოს გარეთ არათუ გასვლა, არამედ სივრცის დანახვაც კი არ შეუძლიათ.



სენაკის ალტერნატიული საცხოვრისების ეზოს კარი, რომელზეც ბენეფიციართა გარე სამყაროსგან სრული იზოლირების მიზნით გაკრულია ხელოვნური ბალახის საფარი და ჩაკეტილია ზოქლომით

ასევე საყურადღებოა, რომ ორივე დაწესებულებაში პენიტენციური დაწესებულებებისათვის დამახასიათებელი წესრიგის და უსაფრთხოების ზომებია მიღებული. სამედიცინო და დამხმარე პერსონალი შესვლისას და გამოსვლისას მეტალოდეტექტორით მოწმდება, იჩხრიკება მათი ჩანთები და შესასვლელში ტოვებენ მობილურ ტელეფონებს. ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში დაცვა აკონტროლებს ფლიგელებს, ხოლო სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებში ეზოებს, გალავნებს და ღამის საათებში საცხოვრებელ კოტეჯებს. სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისში დაცვა ატარებს პერიოდულ შემოვლებს და შემოწმებებს, ადგენს აქტებს ბენეფიციარის გაქცევის რისკებზე, ამ დოკუმენტებში უთითებს, რომ შემოწმების შედეგად გასაქცევი მიწა თხრილები აღმოჩენილი

²⁹⁰ აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობდა სასტუმრო, რომელიც ახლა „ბ და კომპანიის“ საკუთრებაა. კოტეჯებს, სადაც წინათ სასტუმროს ნომრები იყო განთავსებული, ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები.

არ ყოფილა. მსგავსი კარცერალური მიდგომა ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვისაც კი უცხოა.

არ მიმდინარეობს მუშაობა, რათა ბენეფიციარებმა შეინარჩუნონ და შეიძინონ დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევები. ბენეფიციარები იმყოფებიან პერსონალის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და იშვიათი გამონაკლისების გარდა შეზღუდული აქვთ გადაადგილების თავისუფლება.²⁹¹ ინსტიტუციებში ხანგრძლივი ყოფნის შედეგად თავშესაფარში და ალტერნატიულ საცხოვრისებში იგრძნობა ბენეფიციარების მხრიდან დამხმარე პერსონალის მიმართ გარკვეული მიჯაჭვულობაც, ვინაიდან ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საქმიანობის შესასრულებლად სრულიად პერსონალზე არიან დამოკიდებული. დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისთვის და სოციალური უნარების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია ყოველდღიური საყოფაცხოვრებო უნარების შენარჩუნება და განვითარება, მათ შორის საკვების მომზადება და მომზადებაში მონაწილეობა. სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებში, ინფრასტრუქტურულად შესაძლებელია თითოეულ კოტეჯში საკვების მომზადება, თუმცა ბენეფიციარებს ხელშეკრულების დებულებით ეკრძალებათ საკვების თავად მომზადება.

საანგარიშო პერიოდში მონახულებული თავშესაფრები და სენაკის ალტერნატიული საცხოვრისები არ არის თავსებადი დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკასთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და ქვეყნის შიგნით განსაზღვრულ შიდა პოლიტიკასთან და არ ემსახურება ბენეფიციართა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- დაიხუროს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრები და ბენეფიციართა გადაყვანა მოხდეს ალტერნატიული ზრუნვის ისეთ მომსახურებებში, სადაც ისინი თემში, ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში იქნებიან
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი განხორციელდეს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრინციპების შესაბამისად, დროში გაწერილი გეგმით, მკაფიო მარეგულირებელი ნორმატიული ბაზითა და შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფით

6.3.2. სამართლებრივი დაცვის გარანტიები

თანხმობა მოთავსებაზე

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თავშესაფრების ბენეფიციართა უმეტესობა ფსიქიატრიული დაწესებულებების ყოფილი პაციენტია და წლებია, რაც იმყოფება თავშესაფარში. სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული

²⁹¹ ტერიტორიის გარეთ გასვლა, ბანკში ან მაღაზიაში თანამშრომლის თანხლებით, მხოლოდ იშვიათად და ერთეულ ბენეფიციარს შეუძლია.

ცენტრის თავშესაფრების ბენეფიციარებისგან, მათი ნების საწინააღმდეგოდ მოთავსებაზე ინფორმაცია არ მიუღია. განსახვავებული მდგომარეობაა სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებში, სადაც ბენეფიციარები როგორც ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან, ასევე სხვადასხვა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებებიდან გადაიყვანეს. გასაუბრებისას ირკვევა, რომ მათ გადმოყვანამდე არ მიეწოდათ ინფორმაცია, სად და რა პერიოდით გადაჰყავდათ. ერთეულ შემთხვევებში ბენეფიციარები მოითხოვდნენ უკან, სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებებში დაბრუნებას, ვინაიდან იქ მათ მეტად თავისუფალი გარემო ჰქონდათ, ერთეულ შემთხვევებში, კი ბენეფიციარები გეოგრაფიული სიშორის გამო ამჯობინებდნენ აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნებას.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

- სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანების მიხედვით შეისწავლოს ბენეფიციარების ნების საწინააღმდეგოდ საცხოვრისებში მოთავსების შემთხვევები

ინფორმირება უფლებებზე და გასაჩივრების მექანიზმები

ბენეფიციარებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია არც საკუთარი უფლებების და არც უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.

სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებში საერთოდ არ არის გასაჩივრების შიდა მექანიზმი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თავშესაფარში კი ფორმალურად განთავსებულ საჩივრის ყუთებს წლებია არავინ იყენებს. რაც შეეხება გასაჩივრების გარე მექანიზმებს, არცერთ თავშესაფარსა და საცხოვრისში არ იყო გამოკრული სახალხო დამცველის, სხვა სახელმწიფო უწყებების ინსპექტირების ორგანოების ან შშმ პირების უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ცხელი ხაზის ნომრები.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებსა და საცხოვრისებში ბენეფიციარების უფლებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით:

- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს თავშესაფრებისა და საცხოვრისებისათვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის მისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური პროცედურა
- დაავალდებულოს დაწესებულებები მოახდინონ ბენეფიციართა ინფორმირება მათი უფლებების და უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ
- გაუწიოს ზედამხედველობა სერვისის მიმწოდებლების მიერ ბენეფიციართა უფლებების და უფლების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმირებას

კონტაქტი გარე სამყაროსთან

ბენეფიციარებს გარე სამყაროსთან კონტაქტის მინიმალური შესაძლებლობები აქვთ. არ აქვთ ან ჩამორთმეული აქვთ მობილური ტელეფონები და დამხმარე პერსონალის სამუშაო ტელეფონის გამოყენების შესაძლებლობა პერიოდულად ეძლევათ. ორივე დაწესებულებაში არიან ბენეფიციარები, რომლებიც ოჯახის წევრებს ვერ უკავშირდებიან, რადგან არ აქვთ მათი ტელეფონის ნომრები და მათ მოძიებაშიც არავინ ეხმარება. სამწუხაროდ, კვლავ არ არის ხელმისაწვდომი ინტერნეტი, რაც ხელს შეუწყობდა როგორც ბენეფიციარების გარე სამყაროსთან კონტაქტის გაუმჯობესებას, ასევე მათ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ბენეფიციარები წახალისებულები უნდა იყვნენ, რომ შექმნან სოციალური მხარდაჭერის ქსელი ან/ და შეინარჩუნონ კავშირი მათი ქსელის წევრებთან, რათა ხელი შეუწყონ საზოგადოებაში დამოუკიდებელ ცხოვრებას. დაწესებულებამ დახმარება უნდა გაუწიოს ბენეფიციარებს, მათი სურვილების შესაბამისად, დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს
- თავშესაფრებსა და საცხოვრისებში უზრუნველყოს ბენეფიციართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობების გაუმჯობესება, მათ შორის, ბენეფიციარებისთვის კუთვნილი ტელეფონების დაბრუნებით და ინტერნეტ ქსელში ჩართული საერთო სარგებლობის კომპიუტერებით

6.4. შესაბამისი სერვისების მიწოდების ხარვეზები

6.4.1. საცხოვრებელი პირობები

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის თავშესაფრებში და სენაკის ალტერნატიული საცხოვრისში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით და საბაზისო ჰიგიენური დანიშნულების ნივთებით. ასევე, დაწესებულებები ინფრასტრუქტურულად²⁹² გამართულია, თუმცა თვალშისაცემია ბეტონის კონსტრუქციები და ბეტონის სასაფარი ეზოები, რაც კიდევ უფრო დამთრგუნველ და არათერაპიულ გარემოს ქმნის. ამასთან, გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებისთვის არცერთ დაწესებულებაში არ არის ადაპტირებული გარემო და მისაწვდომობის სტანდარტის შესაბამისი. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის თავშესაფრებში არ არის ლიფტები. სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებში კოტეჯების შესასვლელები აღჭურვილია მარტივი ადაპტირების წესით მოწყობილი პანდუსებით, რომლებიც არ არის უსაფრთხო პირის დამოუკიდებლად გადაადგილებისთვის, ასევე დაბრკოლებას ქმნის კოტეჯების კარის ზღურბლი, არ არის ადაპტირებული სველი წერტილებიც. სენაკის ალტერნატიულ

²⁹² გარემონტებულია საცხოვრებელი ფართები და სველი წერტილები. დამაკმაყოფილებელია, როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათება, ასევე ხელოვნური და ბუნებრივი ვენტილაცია. ცენტრალური გათბობის საშუალებით საკმარისად თბება საცხოვრებელი პალატები და სველი წერტილები.

საცხოვრისში 2 ბენეფიციარი ეტლითაც კი არ იყო უზრუნველყოფილი. შესაბამისად, ორივე დაწესებულებაში, მობილობის შეზღუდვის შემთხვევაში, შეუძლებელია დამოუკიდებლად ეზოში გასეირნება, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური კვანძებით სარგებლობა.



სენაკის ალტერნატიული საცხოვრისი - საცხოვრებელი ოთახი



სენაკის ალტერნატიული საცხოვრისი - მისაღები ოთახი



შპს "ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" თავშესაფარი



რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს თავშესაფრების და საცხოვრისების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა მობილობის შეზღუდვის მქონე პირთათვის
- განხორციელდეს ბენეფიციართა საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საჭიროების მქონე პირთა სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფა

6.4.2. ფსიქიატრიული დახმარება

ანტიფსიქოზური მედიკამენტებით მკურნალობა

როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თავმჯდომარეში, ისე სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისში ფარმაცოთერაპია ძირითადად მედიკამენტების მინიმალური და საშუალო თერაპიული დოზებით მიმდინარეობს, დაწესებულებებს მედიკამენტებით მომარაგების პრობლემა არ ჰქონიათ. სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებში ბენეფიციარები შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ამბულატორიის აღრიცხვაზე იმყოფებიან, საიდანაც კონსულტაციების ჩასატარებლად ფსიქიატრი პერიოდულად მიდის დაწესებულებაში. დაწესებულებას ადგილზე არ აქვს გადაუდებელი ფსიქოტროპული მედიკამენტების ტაბლეტირებული ან საინექციო ფორმების მარაგი და ბენეფიციარის მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ მათი გადაყვანა ხდება შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ მწვავე მდგომარეობის ამოწურვის შემდეგ კი ბრუნდებიან საცხოვრისში.

რაც შეეხება მკურნალობას, ბენეფიციარების ნაწილისთვის ცნობილია დიაგნოზი და მედიკამენტების სახელწოდებები, თუმცა მკურნალობის მეთოდებზე შეთანხმება არ ხდება. ასევე არ ხდება შეთანხმება მკურნალობის სქემის ცვლილებაზე. ბენეფიციარების ინფორმაციით მედიკამენტის მიღება სავალდებულოა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სტაციონარში გადაიყვანენ და ინექციას გაუკეთებენ.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ბენეფიციარისთვის ამბულატორიული ფსიქიატრიული მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებით დამტკიცებული ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესით გათვალისწინებული N: IV-200-8/ა ფორმის შევსება და დაწესებულებებმა უზრუნველყონ მკურნალობის თაობაზე ინფორმაციის ბენეფიციარებისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავმჯდომარებისთვის²⁹³ და სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამა ალტერნატიული საცხოვრისებისთვის ითვალისწინებს ბენეფიციართა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციას. ორივე პროგრამით გათვალისწინებულია ბენეფიციარებისთვის

²⁹³ ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ კანონი, მუხლი 21.

რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმების შედგენა და განხორციელება, ამ გეგმების პერიოდული (არაუგვიანეს 6 თვისა) გადახედვა და შეფასება.²⁹⁴

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თავშესაფარში მოთავსებისას თითოეულ ბენეფიციარზე დგება რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმა, რომლის შეფასება და განახლება ხდება 6 თვეში ერთხელ. გეგმები შედგენილია სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისშიც. გეგმები ერთგვაროვანია, არ მოიცავს ბენეფიციართა საჭიროებებს და თავად ბენეფიციარები არ არიან ჩართული გეგმის შედგენის პროცესში. სარეაბილიტაციო აქტივობები ძირითადად მუსიკათერაპიითა და ხატვით შემოიფარგლება. განხორციელებული ვიზიტების დროს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ დასაქმებული ჰყავდათ 4 ფსიქოლოგი და 1 სოციალური მუშაკი. რაც შეეხება სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისს აქ ჰყავდათ 2 ფსიქოლოგი, მაგრამ არ ჰყავდათ სოციალური მუშაკი. როგორც დაწესებულების ადმინისტრაციაში განმარტავდნენ, რეგიონში არის სოციალური მუშაკების პრობლემა და შესაბამისი კადრის მოძიება ვერ მოხერხდა. დაწესებულებაში პერიოდულად შედის სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი.

რეკომენდაციები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე შშმ პირთა თავშესაფრებსა და საცხოვრისებში რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელი პირების მოზიდვის და დასაქმების მიზნით, ასევე უზრუნველყოფილი იქნას რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადება და ბენეფიციარებთან მულტიდისციპლინური მუშაობა
- თითოეული ბენეფიციარისთვის შემუშავდეს ყოვლისმომცველი, ინდივიდუალური აღდგენის გეგმა, რომელიც მოიცავს სოციალურ, სამედიცინო, დასაქმების და განათლების მიზნებს და ამოცანებს, აღნიშნული აღდგენის გეგმები ორიენტირებული უნდა იყოს სერვისის მომხმარებელზე და ეფუძნებოდეს მის არჩევანსა და სურვილებს დახმარებასთან დაკავშირებით; გეგმების განახლება კი განხორციელდეს ბენეფიციარის ჩართულობით; აღნიშნული გეგმების საფუძველზე ბენეფიციარებისთვის შეთავაზებული უნდა იქნას შესაბამისი მათ საჭიროებებზე მორგებული ფსიქოსოციალური პროგრამები

6.4.3. სომატური ჯანმრთელობა

პაციენტები, რომლებიც ხანგრძლივად იღებენ ანტიფსიქოზურ მედიკამენტებს, უნდა გადიოდნენ ფიზიკური ჯანმრთელობის რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას.²⁹⁵

²⁹⁴ საქართველოს 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილება „2022 წლის ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“, ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 27 03 03 01).

შიზოფრენიის მართვის ეროვნულ გაიდლაინში²⁹⁶ ხაზგასმულია ანტიფსიქოზური მედიკამენტების მონიტორინგის მნიშვნელობა სომატური ჯანმრთელობის პრობლემების ადრეული გამოვლენის, სიმძიმის შეფასების და ანტიფსიქოზური მკურნალობის სტრატეგიის სწორი შერჩევისთვის. იქვე არის მოცემული პაციენტთა ფიზიკური და ბიოქიმიური პარამეტრების კვლევის სავარაუდო სიხშირის ცხრილი.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა არ ფარავს თავშესაფრების და სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამა ალტერნატიული საცხოვრისების ბენეფიციარების სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობას, მათ შორის, ფსიქოტროპული მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვის მიზნით კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევებისა და ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების ღირებულებას. ბენეფიციარები სარგებლობენ საყოველთაო დაზღვევით, რაც სომატური ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობის დროს თანადაფინანსებას ითვალისწინებს. აღნიშნული ხარჯების გაწევა კი თავად ბენეფიციარს ან მის ოჯახს უწევს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრსა და სენაკის ალტერნატიულ თავშესაფარში ბენეფიციარებს კონსულტაციას უწევს ექიმი თერაპევტი, თუმცა დანიშნული მედიკამენტები თავად ბენეფიციარებმა უნდა შეიძინონ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოფილია გადაუდებელი თერაპიული მედიკამენტები, რაც შეეხება სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებს, შემთხვევის მართვის მენეჯერები თავად ყიდულობენ ბენეფიციარების პენსიიდან გადაუდებელ მედიკამენტებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი სხვა ბენეფიციარებისთვისაც იყენებენ ამ მედიკამენტებს, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბენეფიციარებს არ აქვთ არანაირი შემოსავალი.²⁹⁷

თავშესაფრებში წარმოებული სამედიცინო ბარათები მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას მოიცავს და ბენეფიციართა სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჩანაწერები არ კეთდება. ბენეფიციართა ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია „ექთნის დღიურებში“, თუმცა ჩანაწერები არ არის სრულყოფილი. მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფრებში წარმოებული სამედიცინო ბარათები მოიცავდეს ბენეფიციართა ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ ინფორმაციასაც, არსებული ჩივილებისა და გაწეული დახმარების თაობაზე. თავშესაფრისგან განსხვავებით, საცხოვრისში ბენეფიციართან დაკავშირებული სამედიცინო დოკუმენტაცია არ ინახება, მათ შორის, სამედიცინო რეფერალი, შესაბამისად რთულია სამედიცინო მომსახურების ორგანიზების ადეკვატურობის შეფასება.

²⁹⁵ შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი), თავი 4.2.

²⁹⁶ შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში - კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაცია (გაიდლაინი), თავი 4.7.

²⁹⁷ შესაძლოა ბენეფიციარი არ სარგებლობდეს სოციალური პაკეტით ან შესაძლოა სარგებლობდეს სოციალური პაკეტით, თუმცა ბარათი, რომელზეც თანხა ირიცხება ჰქონდეს მხარდამჭერს ან ოჯახის წევრს.

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

შესაბამის პროგრამებში ცვლილებების შეტანის ინიცირების გზით:

- სომატური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსების არსებული მოდელი შეიცვალოს ისე, რომ თავშესაფრებსა და საცხოვრისებში მოთავსებულ ბენეფიციარებს სრულად და დროულად მიუწვდებოდეთ ხელი უფასო სამედიცინო მომსახურებაზე;
- ყველა თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარისთვის უზრუნველყოს აგრანულოციტოზის,²⁹⁸ ნივთიერებათა ცვლის პროცესების და განსაკუთრებით ჰიპერგლიკემიის²⁹⁹ განვითარების რისკის კლინიკურ-ლაბორატორიული დინამიკური შეფასება, ასევე ლეიკოციტების 300 კონტროლი მედიკამენტების გვერდითი მოვლენების მართვის მიზნით
- ყველა თავშესაფარსა და საცხოვრისში მყოფი ბენეფიციარებისთვის უზრუნველყოს ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება
- გათვალისწინებული იქნას მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა შესაბამისი გამოკვლევებისა და კონსულტაციების გზით
- უზრუნველყოფილი იქნას საცხოვრისების გადაუდებელი თერაპიული მედიკამენტებით მომარაგება.

²⁹⁸ სისხლში ლეიკოციტების (სისხლის თეთრი უჯრედები) რიცხვის შემცირება.

²⁹⁹ სისხლში შაქრის მაღალი დონე.

³⁰⁰ სისხლის თეთრი უჯრედები.

7. ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში

7.1. შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტის) მიზანია თავდაცვის სფეროში წვევამდელთა და ნებისმიერი რანგის სამხედრო მოსამსახურის უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება პრევენციული ვიზიტების საშუალებით.

2023 წელს მონიტორინგის ფარგლებში ვიზიტი განვახორციელეთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 6 სამხედრო ნაწილში³⁰¹ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 6 გასამხედროებულ ქვედანაყოფში.³⁰²

მონიტორინგის ვიზიტების დროს შესწავლილ იქნა სამხედრო ნაწილებში არსებული მატერიალური პირობები, შემოწმდა დოკუმენტაცია და ჩატარდა ინდივიდუალური გასაუბრებები სამხედრო მოსამსახურეებთან. მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული, სპეციალური ინსტრუმენტის გამოყენებით.

სახალხო დამცველი მიესალმება ახალი თავდაცვის კოდექსის შემუშავებას, რომლის თანახმად, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლა 2025 წლის 1 იანვრიდან შესაძლებელი იქნება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში.

მიუხედავად იმისა, რომ 2025 წლის 1 იანვრიდან წვევამდელები შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში აღარ გაივლიან წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს, გვსურს პოზიტიურად აღვნიშნოთ საანგარიშო პერიოდში შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის მეორე სამმართველოს პირველი განყოფილების პირველ ქვეგანყოფილებაში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების ახალ შენობაში განთავსება და მათთვის ადეკვატური საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შექმნა.³⁰³

³⁰¹ საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-2 ქვეითი და მე-6 საარტილერიო ბრიგადები; საქართველოს თავდაცვის ძალების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შეიარაღების, საბრძოლო მასალებისა და სამხედრო ტექნიკური ქონების ბაზა; საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების რეინჯერთა ბატალიონი; უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი; საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შერეული საავიაციო ესკადრილიის შერეული საავიაციო რგოლი.

³⁰² ობიექტების დაცვის დეპარტამენტი: მე-2 სამმართველოს პირველი განყოფილების პირველი ქვეგანყოფილება; მე-3 სამმართველოს პირველი განყოფილების პირველი ქვეგანყოფილება; მე-2 სამმართველოს პირველი განყოფილების მესამე ქვეგანყოფილება; პირველი სამმართველოს მეორე განყოფილების მეორე ქვეგანყოფილება; პირველი სამმართველოს მეორე განყოფილების პირველი ქვეგანყოფილება.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი: მეოთხე მთავარი სამმართველო.

³⁰³ ზემოთ აღნიშნულ ქვეგანყოფილებაში ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების მოსასვენებელი სივრცე და საკლასო ოთახი წლების განმავლობაში განთავსებული იყო შენობის სარდაფში. აღნიშნული სივრცე სრულად იყო მოქცეული მიწის ქვეშ, შესაბამისად არ იყო ბუნებრივი განათება და ვენტილაცია, იდგა მძიმე ნესტის სუნი და შეინიშნებოდა ჰაერის უკმარისობა.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ თითოეული ვადიანი სამხედრო მოსამსახურისთვის, რომელიც წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს 2025 წლის 1 იანვრამდე გაივლის შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში, უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი და სამუშაო პირობები.³⁰⁴

7.2. საქართველოს თავდაცვის ძალები

7.2.1. არასათანადო მოპყრობისგან დაცვა

საანგარიშო პერიოდში, სამხედრო ნაწილებში განხორციელებული ვიზიტების დროს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არ მიუღია ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურის მიმართ, ზემდგომი ან სხვა სამხედრო მოსამსახურის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შესახებ. თუმცა, გასული წლების მსგავსად,³⁰⁵ კვლავ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურეების არაფორმალური და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა.

თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის (აღმოსავლეთი) დაცვის ბატალიონში, ვადიან სამხედრო მოსამსახურეებთან ჩატარებული გასაუბრების მიხედვით, არაფორმალური სასჯელების (ბუქნები, აზიდვები, სირბილი) გამოყენების შემთხვევები უმეტესად ხდება თავდაცვის ძალების საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში, პირველადი სამხედრო მოსამზადებელი კურსის, ე.წ. „კარანტინის“ გავლის პერიოდში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად - „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის პრინციპით“.

სპეციალური ოპერაციების ძალების რეინჯერთა ბატალიონში, ერთ-ერთმა ვადიანმა სამხედრო მოსამსახურემ სამხედრო ნაწილში ჩუმად შეიტანა კუთვნილი მობილური ტელეფონი, რის გამოც 1 კვირის განმავლობაში არ გაუშვეს დათხოვნაში და მისი ნების საწინააღმდეგოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დატოვეს სამხედრო ნაწილში. ასევე, უფრო ხშირია არაფორმალური სასჯელის სახით სამხედრო ნაწილში 24 საათით დატოვების შემთხვევები ისეთ გადაცდომებზე, როგორიცაა საგუშაგოზე ჩამოჯდომა, ჩადინება, ხმამაღლა საუბარი და ა.შ.

უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში, სადაც ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები გადიან პირველადი სამხედრო მომზადების

³⁰⁴ იხილეთ: პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. გვ. 259-260. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf>> [ბოლოს ნანახია:15.02.2024].

³⁰⁵ იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 316. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<http://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>> [ბოლოს ნანახია:15.02.2024].

იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 316. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf>> [ბოლოს ნანახია:15.02.2024].

კურსს, აღნიშნავდნენ, რომ მათ მიმართ არაფორმალური სასჯელების გამოყენებას სისტემატური ხასიათი აქვს, რადგან ყველანაირ დისციპლინურ გადაცდომაზე უწევთ აზიდვების და ბუქნების გაკეთება, ასევე სირბილი მოკიდებული ზურგჩანთით.

სამხედრო ნაწილში თვითნებურად, უკანონოდ დაყოვნების პრაქტიკის არსებობა გამოიკვეთა ასევე თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შერეული საავიაციო ესკადრილიის შერეულ საავიაციო რგოლში (მარნეული). აღნიშნულ ბაზაზე, ინდივიდუალურად არაფორმალური სასჯელის სახედ იყენებენ სამხედრო ნაწილში დაყოვნებას 18:00 საათამდე.

რაც შეეხება თავდაცვის ძალებში ჩარიცხული პირადი შემადგენლობის ინფორმირებას თავდაცვის ძალების წევრების ადამიანის უფლებების, მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების მსგავსად, 306 სამხედრო მოსამსახურეები არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარ უფლებებზე და გასაჩივრების პროცედურებზე. პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას არაერთმა ვადიანმა სამხედრო მოსამსახურემ მიუთითა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არაფორმალური და კოლექტიური დასჯის ფაქტებს, თუმცა გასაჩივრების მექანიზმი არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებიათ, რომლის ძირითადი მიზეზი საკუთარი უფლებების და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის არქონაა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი არაერთი წელია რეკომენდაციით მიმართავს 307 თავდაცვის სამინისტროს და მოუწოდებს რომ ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მარტივად გასაგებ ენაზე, რთული სამართლებრივი ტერმინებისა და ფორმულირების გარეშე შექმნილი ბროშურის სახით მიეწოდოს სამხედრო მოსამსახურეებს და გამოეკრას მათთვის ხელმისაწვდომ ადგილებში. დანაშებით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებაზე თავდაცვის სამინისტრო ორი წელია ერთი და იგივე შინაარსის წერილით გვპასუხობს, 308 რომ მიმდინარეობს მუშაობა ადამიანის უფლებების, მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე ბროშურის შემუშავების მიზნით.

³⁰⁶ იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 318. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<http://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>> [ბოლოს ნანახია: 15.02.2024].

იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 317. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf>> [ბოლოს ნანახია: 15.02.2024].

³⁰⁷ იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 324. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<http://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>> [ბოლოს ნანახია: 15.02.2024].

იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 321. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf>> [ბოლოს ნანახია: 15.02.2024].

³⁰⁸ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 22.12.2022 წლის N MOD 82201488081 წერილი.
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 18.01.2024 წლის N MOD 02400060761 წერილი.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში (შემდგომში - კომიტეტი) აღნიშნულია, რომ სამხედრო დისციპლინა უნდა ხასიათდებოდეს სამართლიანობით და უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროცედურული გარანტიები. კომიტეტის რეკომენდაციით, სამხედრო მოსამსახურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, მის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების განხილვა უნდა მოხდეს მხოლოდ დისციპლინური წარმოების ფარგლებში და გადაცდომის დადასტურების შემთხვევაში, მას შეიძლება დაეკისროს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული დისციპლინური სახდელი.³⁰⁹ ამასთან, დისციპლინური წარმოების დაწყებისთანავე, უნდა მოხდეს სამხედრო მოსამსახურის სათანადო ინფორმირება და მას უნდა ჰქონდეს დისციპლინურ საქმისწარმოებაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.³¹⁰ კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ უნდა იქნას დაშვებული სამხედრო მოსამსახურეების კოლექტიური და არაფორმალური დასჯის პრაქტიკა, მათ შორის, არასამუშაო საათებში სამხედრო ნაწილის დატოვების უფლების არაგონივრული შეზღუდვა და იძულებითი შრომა.³¹¹ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის შეფასებით, არაფორმალური დასჯის მიზნით, სამხედრო მოსამსახურის სამხედრო ნაწილში დარჩენის დავალდებულება, წარმოადგენს უკანონო ქმედებას, იწვევს სამხედრო მოსამსახურეების თავისუფალი მიმოსვლის უფლების უკანონო შეზღუდვას.³¹²

რეკომენდაცია თავდაცვის მინისტრს:

³¹⁰ ოქვ. 21-ე პუნქტო.

³¹² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14.

<<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-87354,%22%5D%7D>> ობ. ასევე: Lyalyakin v. Russia. [ბოლოს ნანახია:15.02.2024].

- თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა სისტემური კონტროლი გაუწიოს და აღმოფხვრას სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება, ასევე კოლექტიური დასჯის პრაქტიკა და ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს
- უზრუნველყოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხული პირადი შემადგენლობის ინფორმირება შეიარაღებული ძალების წევრების ადამიანის უფლებების, მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე; ამ მიზნით, სამხედრო ნაწილის იურისტის უფლება-მოვალეობებში მკაფიოდ გაიწეროს და დაევალოს, არანაკლებ თვეში ერთხელ ჩაატაროს ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები სამხედრო მოსამსახურეებთან; ასევე, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მარტივად გასაგებ ენაზე (რთული სამართლებრივი ტერმინებისა და ფორმულირების გარეშე) შექმნილი ბროშურის სახით მიეწოდოს სამხედრო მოსამსახურეებს და გამოეკრას მათთვის ხელმისაწვდომ ადგილებში

7.2.2. საცხოვრებელი და სამუშაო პირობები

საანგარიშო პერიოდში, რიგ სამხედრო ნაწილებში კვლავ გამოწვევად რჩება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სათანადო საცხოვრებელი და სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა.

სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შერეული საავიაციო ესკადრილის მარნეულის საავიაციო რგოლში მყოფი ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებზე. კერძოდ, შენობის კედლები, სადაც განთავსებულია საცხოვრებელი და საკლასო ოთახები, რამდენიმე ადგილას გაბზარულია და მნიშვნელოვნად არის დაზიანებული. ასევე, სველ წერტილებში საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემა გამოსულია მწყობრიდან და დგას უსიამოვნო, მძაფრი სუნი. აღსანიშნავია, რომ იგივე სამხედრო ნაწილში, გასულ წელს განხორციელებული პრევენციული ვიზიტის დროსაც ანალოგიური ინფრასტრუქტურული გამოწვევები იყო, რაც აღწერილია სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშში.³¹⁴ თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,³¹⁵ შენობას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი, რაც გათვალისწინებულია 2024 წლის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმაში.

თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის (აღმოსავლეთი) დაცვის ბატალიონში, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები არ იყვნენ უზრუნველყოფილი კარადებით, ინდივიდუალური ტუმბოებით და სკამებით. ასევე, ვადიან

³¹⁴ იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 318. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf>> [ბოლოს ნანახია: 15.02.2024].

³¹⁵ თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის 2024 წლის 9 თებერვლის N MOD 72400165708 წერილი.

სამხედრო მოსამსახურეები აღნიშნავდნენ, რომ საყარაულო შენობაში, სადაც ძირითადი დროის გატარება უწევთ, საპირფარეშო დაზიანებულია და ეზოში ხელოვნურად მოწყობილი ფიცრული ტუალეტით სარგებლობენ.

უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები ხელით რეცხავენ ტანსაცმელს და სამხედრო უნიფორმას. სარეცხი მანქანები გათვალისწინებულია მხოლოდ სამხედრო ნაწილში დამრჩენი პირადი შემადგენლობის გამოყენებისთვის.

თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-6 საარტილერიო და ამავე სარდლობის მე-3 ქვეით ბრიგადებში განხორციელებული განმეორებითი ვიზიტით გაირკვა, რომ დასრულებული იყო საცხოვრებელი/სამუშაო შენობების ძირითადი ნაწილის სარემონტო/სამშენებლო სამუშაოები. ასევე, მე-3 ქვეით ბრიგადაში მიმდინარეობდა სამწყობრო მოედანსა და სარბენ ბილიკებზე ასფალტის საფარის დაგება. ასევე, თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,³¹⁶ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმების შესაბამისად, ყოველწლიურად მიმდინარეობს შენობა-ნაგებობების სარემონტო/სამშენებლო სამუშაოები, აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში, ხორციელდება ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრისა და თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობისათვის სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძების მოწყობა-განახლების პროცესი. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 20 (საცხოვრებელი ყაზარმა/ყაზარმა/სასტუმრო) შენობა-ნაგებობების სარემონტო/სამშენებლო სამუშაოები.

სახალხო დამცველი მიესალმება თავდაცვის ძალებში რიგი ინფრასტრუქტურული გამოწვევების აღმოფხვრას და იმედოვნებს, რომ საქართველოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხული თითოეული სამხედრო მოსამსახურე უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი და სამუშაო პირობებით.

რეკომენდაცია თავდაცვის მინისტრს:

- თავდაცვის ძალების საცხოვრებელ კორპუსებში დროულად ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები, აღმოფხვრას ინფრასტრუქტურული პრობლემები და გაუმჯობესდეს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები; ყველა სამხედრო მოსამსახურისთვის უზრუნველყოფილი იქნას ინდივიდუალური ინვენტარი

³¹⁶ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან 2023 წლის 18 იანვრის MOD 0 24 00060761 პასუხი.

7.2.3. კვება და სასმელი წყალი

საქართველოს თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფილი არიან სამჯერადი კვებით. გამოკითხულ სამხედრო მოსამსახურეთა უმრავლესობა³¹⁷ კმაყოფილი იყო საკვების ხარისხით, ულუფის ოდენობით და საკვების დამატების შესაძლებლობით. მათი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ საკვების მომზადებისას არ არსებობს რელიგიური და ეთნიკური თავისებურებების გათვალისწინების მოთხოვნა, საკვები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ალტერნატივა ყოველთვის არის.

თუმცა, თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის (აღმოსავლეთი) დაცვის ბატალიონში გამოკითხული ყველა სამხედრო მოსამსახურე უკმაყოფილო იყო კვებით. კერძოდ, აღნიშნავდნენ რომ ულუფა არ იყო საკმარისი და არც კერძის დამატების შესაძლებლობა ჰქონდათ. მათივე განმარტებით, საყარაულო შენობაში, განწესში მყოფი მოსამსახურეებისთვის საკვები მოსამსახურეთა რაოდენობის შესაბამისად ცალკე ულუფებად არ მოაქვთ და არ ჰყოფნიან. რაც შეეხება სასმელ წყალს, თავდაცვის ძალების ყველა ზემოაღნიშნულ სამხედრო ნაწილს სასმელი წყალი მიეწოდებოდა უწყვეტ რეჟიმში.

7.2.4. სახანძრო უსაფრთხოება

საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ქვედანაყოფის მუდმივი ან დროებითი დისლოკაციის ადგილებზე მომხდარ საგანგებო სიტუაციებზე პირველადი და გადაუდებელი რეაგირებისა და მათი შედეგების აღმოფხვრის მიზნით, განწესის დანიშვნაზე უფლებამოსილი ქვედანაყოფის მეთაურის გადაწყვეტილებით ინიშნება სახანძრო სამაშველო ჯგუფი, არსებული სტანდარტის შესაბამისად.³¹⁸

აღსანიშნავია, რომ სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ ინფორმირებული არ იყვნენ არცერთ ზემოთ ნახსენებ სამხედრო ნაწილში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები. მათი განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით არ გაუვლიათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლება/მომზადება არც პირველადი სამხედრო მომზადების კურსის გავლის პერიოდში და არც კონკრეტულ ქვედანაყოფებში ჩარიცხვის შემდეგ. ასევე, არ იცნობდნენ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გეგმას და უმეტეს მათგანს არ ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნული გეგმის არსებობაზე. არსებული სტანდარტის თანახმად კი,³¹⁹ ყოველი სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია იცოდეს და შეასრულოს სახანძრო უსაფრთხოების წესები. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, თითოეულმა სამხედრო მოსამსახურემ

³¹⁷ გარდა თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის (აღმოსავლეთი) დაცვის ბატალიონისა.

³¹⁸ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 აგვისტოს N 519 დადგენილება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების შინაგანი სამსახურის წესდების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 50.

³¹⁹ იქვე, მუხლი 113-ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა.

დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები სახანძრო-სამაშველო ჯგუფის გამოსაძახებლად და არსებული საშუალებებით ხანძრის ჩასაქრობად, შეიარაღების, საბრძოლო მასალების, ტექნიკისა და სხვა ქონების გადასარჩენად. ყველა ქვედანაყოფში უნდა შემუშავდეს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გეგმა, რომელიც მტკიცდება ქვედანაყოფის მეთაურის მიერ. გეგმას უნდა გაეცნოს ქვედანაყოფის მთელი პირადი შემადგენლობა.

რეკომენდაცია თავდაცვის მინისტრს:

- თავდაცვის ძალების სტრუქტურაში შემავალი სამხედრო ნაწილების მეთაურებს (შესაბამისი თანამდებობის პირებს) დაევალოთ, უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირადი შემადგენლობის მიერ სახანძრო უსაფრთხოების კურსის გავლა არსებული სტანდარტის³²⁰ მოთხოვნათა შესაბამისად

7.2.5. სამედიცინო მომსახურება

საქართველოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხულ პირად შემადგენლობას პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების მიზნით შეუძლიათ მიმართონ სამხედრო ნაწილის სამედიცინო პუნქტს/ლაზარეთს.³²¹ იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე შეუძლებელია სამედიცინო მომსახურების გაწევა, სამედიცინო პუნქტის/ლაზარეთის სამედიცინო დახმარების მანქანით, ე.წ. „ამბულანსით“ გადაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებაში. გეგმიური სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეები გადამისამართდებიან სამედიცინო დაზღვევის ოჯახის ექიმთან. დაზღვევის პროვაიდერ კლინიკებში მომსახურების მიღების გარდა, საჭიროებისას სამხედრო მოსამსახურეები გადაჰყავთ სამხედრო ჰოსპიტალში. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო მოსამსახურეები არ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დახმარებას, ექიმი ფსიქიატრი დასაქმებულია სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ნაწილიდან იგზავნება სამხედრო მოსამსახურე. შემდეგი ღონისძიებები კი ფსიქიატრის კონსულტაციის საფუძველზე ტარდება. სამედიცინო პერსონალის განმარტებით, მსგავსი შემთხვევები იშვიათია.

განხორციელებული ვიზიტების დროს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა სამედიცინო პუნქტების შტატების სრულად დაკომპლექტება. თავდაცვის სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად,³²² თავდაცვის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე სამხედრო მოსამსახურის სტატუსთან თავსებადი გახდა სამედიცინო სფეროში განხორციელებული საქმიანობა, მათ შორის სამოქალაქო შტატზე დასაქმებული

³²⁰ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 აგვისტოს N 519 დადგენილება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების შინაგანი სამსახურის წესდების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 113.

³²¹ სამედიცინო ნაწილები/ლაზარეთი უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების მედიკამენტებით, ასევე არის ტკივილგამაყუჩებელი და გაციების საწინააღმდეგო მედიკამენტების მარაგი.

³²² საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან 2023 წლის 18 იანვრის MOD 0 24 00060761 პასუხი.

ექიმებისთვისაც, ამასთან გამარტივდა თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების პროფესიულ საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიღების პროცედურები, გაიზარდა სახელფასო წოდებრივი სარგოები. ამავე პასუხის თანახმად, სამედიცინო პუნქტების და ლაზარეთების 82% დაკომპლექტებული იყო სამედიცინო პერსონალით.

თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,³²³ სამედიცინო პერსონალისთვის უზრუნველყოფილია სწავლებების ჩატარება სამხედრო ჰოსპიტალში, ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწავლო სატრენინგო ცენტრის ბაზაზე მოთხოვნის შესაბამისად, ყველა მოსამზადებელ კურსზე გამოყოფილია კვოტები თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პერსონალის პარამედიკოსებად მოსამზადებლად (კურსის საფასურის გადახდის გარეშე) შესაბამისი სერტიფიცირებით. მიუხედავად სწავლებების ჩატარების შესაძლებლობისა, განხორციელებული ვიზიტებით დადგინდა, რომ სამედიცინო პერსონალს პროფესიული ტრენინგები 2023 წელს არ გაუვლიათ.

განხორციელებული ვიზიტების დროს სამხედრო ნაწილების სამედიცინო პუნქტების/ლაზარეთების ნაწილში საპროცედურო ოთახებში არ იყო დამონტაჟებული ხელსაბანი და სამედიცინო პერსონალს ხელსაბანის გამოყენებისთვის სველ წერტილში გასვლა უწევდათ.³²⁴ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 14 სექტემბრის N01-455/ო ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ რეკომენდაციაში (გაიდლაინში) ინფექციის კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში ხაზგასმულია სამედიცინო პერსონალის მიერ ხელის ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობაზე, როგორც ინფექციების თავიდან არიდებისა და კონტროლის მექანიზმზე.³²⁵ იქიდან გამომდინარე, რომ არის შემთხვევები, როდესაც სამედიცინო პერსონალს შეიძლება მცირე მანიპულაციების ჩატარება დასჭირდეს, როგორცაა დაზიანების დამუშავება, ინექციის გაკეთება და სხვა. ინფექციებისგან დაცვისა და კონტროლისთვის მნიშვნელოვანია, რომ საპროცედურო ოთახებში უზრუნველყოფილი იქნას ხელის ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია თავდაცვის მინისტრს:

³²³ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან 2023 წლის 18 იანვრის MOD 0 24 00060761 პასუხი.

³²⁴ ზაზა ფერადის სახელობის საწყისი მომზადების ცენტრი, თავდაცვის ძალების ჯარების უზრუნველყოფის სარდლობა, ლოჯისტიკის ცენტრი (აღმ.) დაცვის ბატალიონი), საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების სპეციალური ოპერაციების რეინჯერთა ბატალიონი.

³²⁵ დანართი N4 - ხელის ჰიგიენა.

- 2024 წელს თავდაცვის ძალებში შეივსოს სამედიცინო ნაწილებსა და ლაზარეთებში არსებული ყველა ვაკანტური ადგილი, ამასთან გაგრძელდეს მუშაობა სამედიცინო პერსონალის დაინტერესებისა და მოზიდვისათვის
- 2024 წელს კალენდარული წლის ბოლომდე პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს სამხედრო ნაწილებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 50%
- სამხედრო ნაწილებში არსებულ სამედიცინო პუნქტებში/ლაზარეთებში არსებულ საპროცედურო ოთახებში მოეწყოს ხელსაბანი

7.2.6. ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურის მატერიალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის საკითხები განსაზღვრულია თავდაცვის კოდექსითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.³²⁶

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პრევენციული ვიზიტებით ირკვევა, რომ კვლავ არ ხდება სამხედრო მოსამსახურეებისთვის ტრანსპორტირების და კომუნალური ხარჯების 50 პროცენტით ანაზღაურება, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.³²⁷ გამომდინარე იქიდან, რომ სამხედრო მოსამსახურე ტრანსპორტირებისა და კომუნალური ხარჯების გადახდისას, კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში, მიემართეთ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და გამოვითხოვეთ ინფორმაცია,³²⁸ იყო თუ არა გათვალისწინებული 2024 წელს თავდაცვის სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხის გამოყოფა. აღნიშნულთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,³²⁹ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, თავდაცვის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში თავდაცვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული ხარჯები განსაზღვრული არ არის.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეებისთვის ყოველთვიური ანაზღაურების გაზრდის შესახებ და იმედს იტოვებს რომ მსგავსი ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.³³⁰

³²⁶ საქართველოს თავდაცვის კოდექსი, თავი XIV.

³²⁷ თავდაცვის კოდექსი, მუხლი 32-სამხედრო მოსამსახურის უფლება და პრივილეგია.

³²⁸ სახალხო დამცველის აპარატის 28/12/2023 წლის N 03-7/12690 წერილი.

³²⁹ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 27.02.2024 წლის N MOD 72400240362 წერილი.

³³⁰ თავდაცვის ძალების წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეების ყოველთვიური ანაზღაურება 2023 წელს 100 ლარიდან 200 ლარამდე, ხოლო 2024 წელს 200 ლარიდან 400 ლარამდე გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ თავდაცვის ძალების სამხედრო ნაწილებში განხორციელებული პრევენციული ვიზიტების შედეგად გაირკვა, რომ კვლავ უცვლელია თავდაცვის ძალებში ენობრივი ბარიერით გამოწვეული პრობლემები, რაზეც სახალხო დამცველი არაერთი წელია საუბრობს.³³¹ წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეთა დიდი ნაწილი არ ფლობს ქართულ ენას (ძირითადად ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეები). ენის არცოდნის გამო ვერ იღებენ სრულფასოვან სამხედრო განათლებას³³² და სათანადოდ ვერ გეზულობენ მათი უფლება/მოვალეობების არსს. ასევე, უჭირთ კომუნიკაცია სხვა სამხედრო მოსამსახურეებთან და შეზღუდულად ურთიერთობენ. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ საჭიროების/სურვილის შემთხვევაში არ აქვთ მათ უშუალო მეთაურთან თუ სხვა ხელმძღვანელ პირებთან კონფიდენციალურად გასაუბრების შესაძლებლობა. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ საწყისი საბრძოლო მომზადების გავლის პერიოდში გათვალისწინებული ქართული ენის შემსწავლელი პროგრამა არ არის ეფექტიანი და საკმარისი ქართულად დამოუკიდებლად მეტყველებისთვის,

რეკომენდაცია თავდაცვის მინისტრს:

- თავდაცვის ძალებში ჩარიცხულ პირად შემადგენლობაზე გავრცელდეს კანონმდებლობით³³³ დადგენილი შეღავათები ტრანსპორტირების და კომუნალური ხარჯების გადახდისას
- დაჩქარებული წესით განახორციელოს თარჯიმნების ხელშეკრულებით დაქირავება, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 3 ნოემბრის N1954 განკარგულების შესაბამისად.

³³¹ იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 419. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>> [ბოლოს ნანახია: 15.02.2024].

³³² თავდაცვის კოდექსი, მუხლი 111 - სამხედრო განათლების მიზანია საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარება.

³³³ თავდაცვის კოდექსი, მუხლი 32 - სამხედრო მოსამსახურის უფლება და პრივილეგია.

დანართი: რეკომენდაციების ნუსხა

პენიტენციური სისტემა

წინადადებები საქართველოს პარლამენტს:

დღის განრიგი და რეაბილიტაცია

- 2024 წელს შევიდეს ცვლილება პენიტენციური კოდექსის 94-ე მუხლის მესამე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში და განისაზღვროს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველდღიურად არანაკლებ 2 საათისა იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე

უვალო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულები

- სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და უვალო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა შემცირდეს რამდენიმე წლით

კონტაქტი გარე სამყაროსთან

- შევიდეს ცვლილებები „პენიტენციურ კოდექსში“ და დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს, მათ შორის უვალოდ თავისუფლებაადკვეთილ მსჯავრდებულებს, გაეზარდოს პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა
- შევიდეს ცვლილება „პენიტენციურ კოდექსში“ და ბრალდებულებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება.
- შევიდეს ცვლილებები „პენიტენციურ კოდექსში“ და გაუქმდეს დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება
- შევიდეს ცვლილებები „პენიტენციურ კოდექსში“ და გაუქმდეს დისციპლინური სახდელის სახით პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

არასათანადო მოპყრობა

- 2024 წელს უზრუნველყოს N2 და N8 დაწესებულებებში ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება, სულ მცირე, ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში

- პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ 1 თანამშრომელი

პატიმართა ხანგრძლივი განცალკევება

- დეესკალაციის ოთახში და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსებისას უზრუნველყოფილ იქნეს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად.
- 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი.
- 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახში და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში არასრულწლოვნის მოთავსება დაუშვებელია;
- 2024 წელს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვნები იმყოფებიან, მოეწყოს სპეციალური სივრცე, რომელშიც იქნება ბავშვზე მორგებული გარემო და უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი მულტიდისციპლინური მუშაობა კრიზისის დაძლევის მიზნით. ამ სივრცეში ყოფნის ხანგრძლივობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რამდენიმე საათს და ამ სივრცის გამოყენების პროცედურა განისაზღვროს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებით.
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების პერიოდში პატიმარს მიეცეს სატელეფონო საუბრის შესაძლებლობა.
- 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახში და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, თუ რატომ ჩაითვალა, რომ დეესკალაციის ოთახში და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსება წარმოადგენს უალტერნატივო ღონისძიებას. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის და სამარტოო (უსაფრთხო) საკნის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორიც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა

- 2024 წელს დეესკალაციის ოთახებში და სამართო (უსაფრთხო) საკნებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთებით
- 2024 წელს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით:
 - უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების დეესკალაციის ოთახებში და სამართო (უსაფრთხო) საკნებში ხანგრძლივად მოთავსების, ხელბორკილების გამოყენების და ფსიქიატრიული დახმარების მიუწოდებლობის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით
 - უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში დეესკალაციის ოთახებში და სამართო (უსაფრთხო) საკნებში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დასჯის მიზნით პატიმრების გადაყვანის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით
 - 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადა, ასევე, განცალკევების ღონისძიების გადასინჯვის ვალდებულება, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით.

შემოწმება

- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილების შეტანით აიკრძალოს სრული შემოწმებისას პატიმრის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით, გამოავლინოს და აღმოფხვრას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას ე.წ. „ბუქნების გაკეთების“ მოთხოვნის პრაქტიკა და განახორციელოს თანმდევი რეაგირება

ფიზიკური გარემო

- არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, შეიმუშაოს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგია და მომზადებული დოკუმენტი გაუზიაროს სახალხო დამცველის აპარატს
- №17 დაწესებულებაში გაუქმდეს ე.წ. „ბარაკის“ ტიპის საცხოვრებლები
- პენიტენციურ დაწესებულებებში, თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს, სულ მცირე, 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობით

- შეისწავლოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშის პატიმრობის პირობების თავში პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკური გარემოს კუთხით დაფიქსირებული ხარვეზები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

კვება

- უზრუნველყოფილი იქნას ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის თერმულად დაუმუშავებელი ხილის მიწოდება სახელმწიფოს ხარჯზე
- უზრუნველყოს სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებისთვის ნებართვის გაცემა გონივრული ვადით (მაგალითად, 6 თვით), რათა სააგენტოს წარმომადგენლებს შეეძლოთ შემოწმების ჩატარება წინასწარი შეტყობინების გარეშე.

დღის განრიგი და რეაბილიტაცია

- დაავალოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს სისტემური შემოწმების ჩატარების გზით უზრუნველყოს N2 და N5 დაწესებულებების შიდა კლასიფიკაციის საკნებში მყოფი პატიმრების გასეირნების უფლებით სარგებლობის საკითხის შესწავლა და შემოწმების შედეგების და გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობოს სახალხო დამცველს.
- დახურულ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში უზრუნველყოს სასეირნო ეზოების მოწყობა მიწის დონის ზედაპირზე, სადაც შესაძლებელი იქნება განტვირთვა და რეკრეაცია
- 2024 წელს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დაინერგოს ახალი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები, ასევე გაიზარდოს რესოციალიზაციის ღონისძიებებისა და მათში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობა არანაკლებ 50%-ით
- უზრუნველყოს N2 და N8 დაწესებულებებში მოთავსებული არასრულწლოვნებისთვის რეგულარული სპორტული აქტივობების ორგანიზება
- უზრუნველყოს ციფრული უნივერსიტეტის დანერგვა, სულ მცირე, N1, N2, N5 და N10 პენიტენციურ დაწესებულებებში
- 2024 წელს არანაკლებ ორჯერ გაიზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა.
- უზრუნველყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით მომუშავე პერსონალის სამუშაო პირობების შესწავლა და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით მიიღოს ზომები აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
- მსჯავრდებულების სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად, შეიქმნას და დაინერგოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უშუალო

გავლენას მოახდენს დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე

არასრულწლოვნები

- N2 და N8 დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნებისთვის სასწავლო ჯგუფების შედგენა მოხდეს ბავშვების ასაკისა და საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით
- N8 დაწესებულების ადმინისტრაციამ აქტიურად ითანამშრომლოს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშობელი უარს ამბობს ბავშვის განათლებაზე, რათა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკმა იმუშაოს მშობელთან, ბავშვის განათლების უფლებისა თუ სხვა საკითხებზე
- N2 და N8 დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვნებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა

უცხო ქვეყნის მოქალაქეები და ქართული ენის არმცოდნე პატიმრები

- უცხოენოვანი მსჯავრდებულების სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის მიზნით უზრუნველყოს 2024 წელს ყველა იმ პატიმრის აღრიცხვა, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას და ყველა მათგანს შეეთავაზოს ქართული ენის შესწავლა. ამასთან, უზრუნველყოფილ იქნას მათი ჩართვა ისეთ აქტივობებში, სადაც ქართული ენის არცოდნა არ ქმნის არსებით ბარიერს მონაწილეობისთვის. გარდა ამისა, მიზანშეწონილია განხილულ იქნას შესაბამისი ჯგუფებისთვის უცხო ენაზე აქტივობის ჩატარების ან თარგმანის უზრუნველყოფის საკითხი.

პენიტენციური ჯანდაცვა

- პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული ექთნების რაოდენობა კალენდარული წლის ბოლომდე გაიზარდოს მინიმუმ ორჯერ
- უმოკლეს ვადებში შეივსოს სამედიცინო ნაწილში არსებული ვაკანტური ადგილები
- უზრუნველყოს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დამხმარე პერსონალის რაოდენობის გაზრდა მინიმუმ ორჯერ
- 2024 წელს, პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 20%
- უზრუნველყოს ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების სიხშირე იმგვარად, რომ პაციენტთა მოლოდინის დრო არ აღემატებოდეს 2 კვირას

- უზრუნველყოს გეგმიური სამედიცინო რეფერალის განხორციელება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის N381 ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში
- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფებისთვის სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება;
- უზრუნველყოფილი იქნას საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ჯანდაცვის სერვისებზე, პრევენციული ჯანდაცვის საკითხებსა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, ასევე უზრუნველყოფილი იქნას შესაბამის სერვისების დროული მიწოდება
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზირებისთვის:
 - პენიტენციურ სისტემაში დაინერგოს ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემა
 - სამედიცინო პერსონალს, პენიტენციური სისტემის შესაბამისი დებულებებით, დაევალოს პაციენტების შესახებ ინფორმაცია ასახოს ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში
- შევიდეს ცვლილება პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში და განისაზღვროს, რომ სამედიცინო პერსონალის პატიმრებთან შეხვედრისას მესამე პირის დასწრება დასაშვებია იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ექიმი, თავისი ან პაციენტის უსაფრთხოების რეალური და იმპუთიერი რისკებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს დაწესებულების მოსამსახურის დასწრებას, რაც აუცილებლად უნდა დასაბუთდეს წერილობით (მოსალოდნელი საფრთხეები დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დოკუმენტაციაში); ასეთ საგამონაკლისო შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურება უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პირების მიერ საუბრის მოსმენის გარეშე, მათ მიერ გონივრული დისტანციის დაცვით

ფსიქიკური ჯანმრთელობა

- პენიტენციურ დაწესებულებებში შემუშავდეს და დაინერგოს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი
- პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიულ დონეზე გაიწეროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა; ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის ვალდებულება:

- შეფასოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც არ ესაჭიროებათ სტაციონარული მკურნალობა
- შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაონ ბიოფსიქო-სოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიონ შესაბამისი დახმარება
- 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების პერსონალის არანაკლებ 50% გადამზადდეს ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხებში
- უზრუნველყოს აგრანულოციტოზის, ნივთიერებათა ცვლის პროცესების და განსაკუთრებით ჰიპერგლიკემიის განვითარების რისკის კლინიკურლაბორატორიული დინამიკური შეფასება, ასევე ლეიკოციტების კონტროლი მედიკამენტების გვერდითი მოვლენების მართვის მიზნით, ასევე უზრუნველყონ, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ფსიქოტროპული მედიკამენტები, მუდმივად უტარდებოდეთ ფიზიკური ჯანმრთელობის შემოწმება.

არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოვლენა და დოკუმენტირება

- საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2020 წლის 20 ნოემბრის N663 ბრძანება („პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“) პრიორიტეტულად, უმოკლეს ვადაში, მოიცვანოს შესაბამისობაში პენიტენციური კოდექსის 139-ე მუხლიდან.
- „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის N633 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად სამედიცინო შემოწმებაზე პასუხისმგებელ ყველა ექიმს ჩაუტარდეს ტრენინგი პატიმრის დაზიანებათა სრულყოფილად აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და ფოტოგადაღების შესახებ, ამასთან შესაბამისი სამსახურის მიერ მოხდეს აღნიშნული ტრენინგების საფუძველზე მიღებული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების ზედამხედველობა
- ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშაონ პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში სრული ინტეგრაციის კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა

კონტაქტი გარე სამყაროსთან

- უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის ბარიერის გარეშე
- დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში მოეწყოს მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრების სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურ გარემოში განხორციელებას
- გაუქმდეს საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეები და საერთაშორისო ზარის განხორციელება შესაძლებელი გახდეს ყოველდღე, კანონმდებლობით დადგენილი სიხშირით და ხანგრძლივობით.
- მიიღოს ყველა ზომა, რათა უცხოელმა პატიმრებმა, მოქალაქეობის არმქონე პირებმა ასევე საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, შეძლონ საერთაშორისო ზარების განხორციელება შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად.
- N2, N3, N6, N12 და N18 პენიტენციური დაწესებულებები პრიორიტეტულად აღიჭურვოს ვიდეოპაემნისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით.
- გადაიხედოს ვიდეოპაემნის განხორციელების მოქმედი წესი, რათა მისი არსებულ გამოწვევებთან ადაპტირების გზით უზრუნველყოფილი იყოს ვიდეოპაემნის უფრო აქტიური და ხშირი გამოყენება, ასევე დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომლითაც გამარტივდება ვიდეოპაემნების განხორციელება

გასაჩივრების მექანიზმები

- 2024 წელს, პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები განათავსოს იმგვარად, რომ კონვერტის მიღება არ იყოს დაწესებულების თანამშრომელზე დამოკიდებული და არ მოხდეს კონვერტის მიმღები პატიმრის იდენტიფიცირება. ამასთან, ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი) და მიეცეთ შესაძლებლობა საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი
- 2024 წელს ყველა უცხოენოვანი პატიმარი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით, მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ ინფორმაცია დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ ახლად მოთავსებული ბრალდებულებისთვის სატელეფონო ბარათების გადაცემამდე, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, ცხელ ხაზთან ბრალდებულის დაკავშირებას, კონფიდენციალურობის დაცვით უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ გამომძიებლის/პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის სატელეფონო საუბრის

უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, ბრალდებულის მოთხოვნისას მის ადვოკატთან დაკავშირებას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია

- საქართველოს „პენიტენციური კოდექსში“ შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს, რომ გამომძიებლის/პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის სატელეფონო საუბრის შეზღუდვა არ ვრცელდება ბრალდებულის ადვოკატთან დარეკვაზე
- 2024 წელს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ დისციპლინური სახდელების და უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში პატიმრებს უნდა მიეცეთ ტელეფონით ადვოკატთან და ცხელ ხაზზე დაკავშირების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას:

გადატვირთულობა

- საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს პატიმრების რაოდენობის შემცირებას და ამ პროცესში გაითვალისწინოს როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის N R (99) 22 რეკომენდაციები ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის, გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული PC-CP (2015) 6 rev 7 დოკუმენტი ციხის გადატვირთულობის შესახებ.

რეკომენდაცია სურსათის ეროვნულ სააგენტოს

კვება

- საკუთარი ინიციატივით, რეგულარულად, წინასწარი შეტყობინების გარეშე განახორციელოს პენიტენციური დაწესებულებების სასადილოებისა და წყლის ხარისხის შემოწმება, ხოლო შემოწმების შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა

რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

სამართლებრივი დაცვის გარანტიები

- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს პოლიციელთა მიერ დაკავებული პირისათვის უფლებების განმარტების პროცესის ტექნიკური (აუდიო-ვიდეო) საშუალებებით ჩაწერა და გონივრული ვადით შენახვა
- პოლიციის დაწესებულებებში განხორციელდეს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით
- უზრუნველყოს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებული პირისა და ადვოკატის კონფიდენციალური შეხვედრა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სივრცის მოწყობით
- 2024 წელს, გაიზარდოს იმ იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტარდეთ ტრენინგები იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღებისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის შესახებ
- უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირსა და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელს შორის შეხვედრების (მათ შორის დისტანციური შეხვედრების) კონფიდენციალურ გარემოში ჩატარება
- 2024 წელს, ტერიტორიული ორგანოების და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ეტაპობრივად აღიჭურვონ სამხრე კამერებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, ასევე, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის N1310 ბრძანებით განისაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება. ვიდეოგადაღების ვალდებულება დაწესდეს შემდეგ შემთხვევებში: პირის იდენტიფიკაცია; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური შემოწმება და დათვალიერება, პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა, პირის დაკავება

- პოლიციის ავტომანქანები ეტაპობრივად აღიჭურვოს ავტომანქანის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მეთვალყურეობის სისტემით
- ნორმატიული აქტით განისაზღვროს დაკავებული პირის პოლიციის ავტომანქანაში ყოფნის დროს უწყვეტი ვიდეო გადაღების ვალდებულება ავტომანქანის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოკამერით ან მისი არარსებობის შემთხვევაში სამხრე კამერით
- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში გაიზარდოს ვიდეო-კამერების რაოდენობა და დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა
- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება
- შევიდეს ცვლილება 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N625-ე ბრძანებაში და N9 დანართით დამტკიცებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; რა ვითარებაში მოხდა დაკავება; ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას; გამოყენებულ იქნა თუ არა იძულების ზომა და რა ფორმით
- პოლიციის დაწესებულებებში დაინერგოს დაკავებულთა შესახებ ინფორმაციის შემცველი სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების ელექტრონული წარმოება, სადაც დეტალურად და დროში სინქრონულად აღირიცხება დაკავებულ პირთან დაკავშირებული ყველა მოქმედება, მათ შორის, დაკავება, დაწესებულებაში შემოყვანა და გაყვანა, სხეულის დათვალიერება, დაკავებულის მიერ ადვოკატთან/ექიმთან/ოჯახთან დაკავშირების მოთხოვნა და მისი უზრუნველყოფა, დაკავებულის გათავისუფლების ან სხვაგან გადაყვანის ზუსტი დრო და მიზეზები, ზუსტი ინფორმაცია, თუ სად იმყოფებოდა პირი იმ პერიოდში, როდესაც დაკავებული იყო
- გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლოს დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნების და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადასაყვან პირთა აღრიცხვის ჟურნალების გამართული წარმოების საკითხი
- რეესტრის წარმოების გზით, უზრუნველყოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებში და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა, მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით
- გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლოს მოწმედ დაზარებული პირებისთვის დე ფაქტო თავისუფლების შეზღუდვის და შემდგომ დაკავების პრაქტიკა და მიიღოს შესაბამისი ზომები აღნიშნული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად

მდგომარეობა დროებითი მოთავსების იზოლატორებში

- უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშში დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ფიზიკური მდგომარეობის თავში აღწერილი პრობლემების აღმოფხვრა და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს სახალხო დამცველს.
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში საკვების მიწოდების დროს გათვალისწინებული იქნას დაკავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სპეციალური კვებითი საჭიროებები. იმ დროებითი მოთავსების იზოლატორებში კი სადაც ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული დაკავებულები 15 დღემდე ვადით შესაძლოა მოთავსდნენ უზრუნველყოფილი იქნას დაბალანსებული სამკერადი კვება, რომელიც ხელს შეუწყობს მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებას.
- უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების რეგულარული სწავლება ადამიანის უფლებებსა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე
- უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის სამართავად ერთიანი სახელმძღვანელოს დამტკიცება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დახმარების მოცულობა და მკაფიოდ გაიწერება, თუ რა შემთხვევაში უნდა გადაიყვანონ დაკავებული სამედიცინო დაწესებულებაში; აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო პერსონალის გადამზადება.

მიგრანტთა დაცვა არასათანადო მოპყრობისაგან

რეკომენდაცია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას

- შეისწავლოს შსს დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომების გამოუყენებლობის საკითხი და მიიღოს შესაბამისი ზომები ალტერნატიული ზომების პრაქტიკაში გამოყენების ხელშესაწყობად

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- შევიდეს ცვლილება იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონში და უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის გათვალისწინებული დაკავების უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარება

რეკომენდაციები შინაგან საქმეთა სამინისტროს

- კომპიუტერების რაოდენობის გაზრდით უზრუნველყოს დღის განმავლობაში ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით შეუზღუდავად სარგებლობის შესაძლებლობა
- ცენტრში მყოფი პირებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს სამუშაო საათებში მნახველების შეუზღუდავად მიღების შესაძლებლობა და გაიზარდოს შეხვედრის დრო მინიმუმ ერთ საათამდე
- ცენტრში არასრულწლოვანის ყოფნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დაწესებულებაში მუდმივად ყოფნა და არასრულწლოვანებთან პირადი კონტაქტის შესაძლებლობა
- ცენტრში მოთავსებულ სრულწლოვანებს მოთავსებისას განემარტოთ ფსიქოლოგის კონსულტაციით სარგებლობის უფლება და მათთვის პერიოდულად შეთავაზებულ იქნას ფსიქოლოგის კონსულტაცია
- გაიზარდოს არასრულწლოვანთა სუფთა ჰაერზე გასეირნების დრო და შეთავაზებულ იქნას არასრულწლოვნებზე მორგებული აქტივობები
- შემუშავდეს და დამტკიცდეს დაზიანების დოკუმენტირების ფორმა, რომელსაც შეავსებს საქართველოს ესკორტის ექიმი, თუ წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ თავად დასაბრუნებელი პირი განაცხადებს ან ექიმს წარმოეშობა ეჭვი ასეთი მოპყრობის შესახებ; ასევე, განისაზღვროს ექიმის მიერ შესაბამისი საგამომიებო ორგანოს ინფორმირების წესი.

ფსიქიატრიული დაწესებულებები

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების განხორციელების გზით მკაფიოდ გაიმიჯნოს სტაციონარში მოთავსების თაობაზე ინფორმირებული თანხმობა და მკურნალობის თაობაზე ინფორმირებული თანხმობა

პაციენტის უფლებების თვითნებური შეზღუდვა

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებით უზრუნველყოს უსაფრთხოების მიზნით ექიმის მიერ პაციენტის უფლებების შეზღუდვის მკაფიო პროცედურა სამართლებრივი დაცვის გარანტიების არსებობის პირობებში (განისაზღვროს, თითოეული უფლების შეზღუდვა რა კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში არის დასაშვები, რა ვადით დაიშვება თითოეული უფლების შეზღუდვა და როგორ შეიძლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება).
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს, რომ პაციენტის მიმართ იძულებითი სწრაფი ტრანკვილიზებისას, უნდა გავრცელდეს „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლში (პაციენტის მიმართ შეზღუდვის გამოყენება) მოცემული მოთხოვნები და გარანტიები.
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით მკაფიოდ განისაზღვროს, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში დაწესებულებების მიერ სავალდებულოდ გასატარებელი ღონისძიებები და პაციენტის მკურნალობის სამართლებრივი საფუძვლის გადასინჯვის პროცედურები და მათი დაუცველობის შემთხვევაში შესაბამისი სანქცია;

პერსონალის კვალიფიკაცია და კრიზისების მართვა

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ, ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავების და დამტკიცების ვალდებულება, რათა დაწესებულებებმა მინიმუმადე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები

რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

არასათანადო მოპყრობა

- სამინისტრომ ფსიქიატრიული დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელების გზით გამოავლინოს და აღკვეთოს პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის ფაქტები.
- სამინისტრომ შეიმუშავოს და დანერგოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის პაციენტებთან ურთიერთობის დეტალური ინსტრუქცია, რომელიც უნდა მოიცავდეს პაციენტის უფლებების დაცვისა და ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის სტანდარტებს.
- სამინისტრომ შეიმუშავოს და დანერგოს პაციენტებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სტრატეგია, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ძალადობის მსხვერპლი პაციენტებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება.

იზოლაცია, ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვა

- სახალხო დამცველის აპარატთან კონსულტაციის გზით, განახლდეს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია.
- შეისწავლოს და აღმოფხვრას ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში და შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრში“ პაციენტთა ხანგრძლივი დროით სხვა პაციენტებისგან განცალკევების პრაქტიკა
- დაწესებულებებში შეიქმნას დასამშვიდებელი ოთახები, სადაც უზრუნველყოფილი იქნება თერაპიული გარემო და პაციენტს ექნება ნებაყოფლობით განმარტოების შესაძლებლობა და დასამშვიდებელი სენსორული სტიმულაციების შესაძლებლობები.³³⁴

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან (112) შემოსული ფსიქიატრიული შემთხვევების თაობაზე შეტყობინებებზე რეაგირებისთვის გაგზავნილი გადაუდებელი სამედიცინო

³³⁴ კომფორტის ოთახის მნიშვნელობის, დანიშნულების და მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მითითებულ ბმულზე: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, Quality Rights: Freedom from coercion, violence and abuse. WHO Quality Rights Core training: mental health and social services. Topic 8: Supportive environments and the use of comfort rooms. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე:

<https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/329582/9789241516730-eng.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024].

დახმარების ეკიპაჟებისთვის შეიმუშაოს დარწმუნების გზით პაციენტის ფსიქიატრიულ დახმარებაზე დაყოლიების, ფსიქიატრიულ სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსების საჭიროების განსაზღვრისა და პაციენტის უფლებების განმარტების შესახებ დეტალური ინსტრუქცია

- შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს იმ პაციენტთა სტაციონარიდან გაწერა, რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.
- ცვლილებები შევიდეს მინისტრის ბრძანებაში,³³⁵ რათა პაციენტის მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული (№IV-300-12/ა) ფორმის შევსება.
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებაზე ინფორმირებული თანხმობის ერთიანი ფორმა
- შემუშავდეს ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომის ფსიქიატრიული დახმარებაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა
- ბრძანებით განისაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება სტაციონირებაზე თანხმობის მიღების შემდეგ, პაციენტს მიაწოდოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ფსიქიატრიული დახმარების ბიო-ფსიქო-სოციალური კომპონენტებზე და თითოეულ კომპონენტზე მიიღოს პაციენტის გაცნობიერებული თანხმობა.
- სამინისტრომ ფსიქიატრიული დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელების გზით გამოავლინოს და აღკვეთოს ინექციებისა და მედიკამენტების, ძალით, ნების საწინააღმდეგოდ გაკეთება და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

შემზღუდავი გარემო

- ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან ტელეფონებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა
- ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან სტაციონარის ხანმოკლე ვადით დატოვების

³³⁵ ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №87/ნ, 2007 წლის 20 მარტი ქ. თბილისი.

შესაძლებლობა, სტაციონარიდან გაწერის გარეშე, პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

- უზრუნველყოს სტაციონარში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასება, მათი დაწესებულებიდან გაწერის და სათემო სერვისებზე გადამისამართების მიზნით.

პაციენტის უფლებების თვითნებური შეზღუდვა

- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება სტაციონარში მოთავსებისთანავე და შემდგომ რეგულარულად უზრუნველყოს პაციენტის გასაგები ენით, ზეპირი და წერილობითი ინფორმირება სტაციონარის შინაგანაწესის და პაციენტის უფლებების თაობაზე.
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის მისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური ჰოსპიტალშიდა და ჰოსპიტალგარე პროცედურები.
- სამინისტრომ მონიტორინგის გზით შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემდგომ სტატუსის გადასინჯვის საკითხი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

პერსონალის კვალიფიკაცია და კრიზისების მართვა

- შემუშავდეს და დაინერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი იმისთვის, რომ დაწესებულებებმა მინიმუმადე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები
- სამინისტრომ უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალისთვის სწავლების ჩატარება, სულ მცირე, შემდეგ საკითხებზე: მულტიდისციპლინური მუშაობა, დეესკალაციის ტექნიკა, პაციენტთა უფლებები და ეთიკის სტანდარტები, აღდგენაზე დაფუძნებული მიდგომა და თანამედროვე ფსიქიატრია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პერსონალის მიერ ფსიქიატრიული დახმარების ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელის მნიშვნელობის გააზრებას და პრაქტიკაში განხორციელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სისტემური ზედამხედველობა და კონტროლი

- შეიქმნას ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის ჰოსპიტალგარე სახელმწიფო ზედამხედველობის და ფსიქიატრიული მომსახურების ხარისხისა და უფლებების დაცვის მონიტორინგის მექანიზმი, რომლის კომპეტენციაც იქნება ფსიქიატრიული სერვისების მომხმარებლებისგან, მათი წარმომადგენლებისა და სხვა

დაინტერესებული პირებისგან კონფიდენციალური/ღია საჩივრების მიღება ფსიქიატრიული სერვისების ხარისხისა და უფლებების კუთხით გამოვლენილ დარღვევებზე და ფსიქიატრიული სერვისების მიმწოდებლების რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი

დოკუმენტაციის წარმოების ხარვეზები:

- შემუშავდეს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დოკუმენტაციის წარმოების სპეციფიკური წესები, სადაც გათვალისწინებული იქნება პაციენტთა სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების და საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების წესები
- სამინისტრომ მონიტორინგის გზით შეისწავლოს შეზღუდვის მეთოდების გამოყენების კანონიერება და დასაბუთებულობა

შესაბამისი სერვისების მიწოდების ხარვეზები

- დაავალოს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და თანმდევი გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა.
- უზრუნველყოს ქვეყანაში ანტიფსიქოზური მედიკამენტების მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა და გაატაროს პრევენციული ღონისძიებები მედიკამენტების დეფიციტის თავიდან ასარიდებლად.
- უზრუნველყოს დაწესებულებების თანამშრომელთა სწავლება, რათა მათ შეძლონ, ამოიცნონ „კლოზაპინის“ გვერდითი ეფექტები, რომელმაც შესაძლოა ლეტალური შედეგი გამოიწვიონ.
- უზრუნველყოს ფსიქიატრიულ სტაციონარებში პაციენტთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელის შემშლელი ფაქტორების გამოვლენა, შეიმუშავოს მათი აღმოფხვრის გეგმა და შესწავლის შედეგები აცნობოს სახალხო დამცველს.
- ხელი შეუწყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებს სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობების დანერგვაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყველა სტაციონირებული პაციენტის რეგულარული ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში. ეს აქტივობები მიმართული უნდა იყოს აღდგენაზე (recovery), ასევე ხელს უწყობდეს პირის დამოუკიდებელ ცხოვრებას და ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.
- ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტები სრულად და დროულად იყვნენ უზრუნველყოფილნი საჭირო სამედიცინო მომსახურებით და მკაფიოდ განისაზღვროს გეგმური სამედიცინო მომსახურების სრულად ანაზღაურების საკითხი. ამასთან უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების, მათ

შორის სტომატოლოგიური მომსახურების მიწოდების სტანდარტის შემუშავება, აღნიშნული სტანდარტის დანერგვის შემდეგ განხორციელოს მონიტორინგი ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ მის შესრულებაზე. განხორციელებული მონიტორინგის შედეგების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს

- უზრუნველყოს დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება.
- შესწავლილი იქნას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და ფსიქიატრიული დაწესებულებიდან გადაყვანილი ყველა გარდაცლილი პაციენტის შემთხვევა, დაადგინოს რა გახდა გარდაცვალების მიზეზი და რამდენად დროულად მოხდა პაციენტის გადაყვანა შესაბამის დაწესებულებაში. მიღებული შედეგების საფუძველზე კი გაატაროს ღონისძიებები, რათა მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული პაციენტთა გარდაცვალება.

სტანდარტის შეუსაბამო გარემო

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სისტემური მონიტორინგის გზით გაკონტროლდეს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების შესაბამისობა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ფსიქიატრიულმა დაწესებულებებმა უზრუნველყონ პალატების აღჭურვა საკმარისი რაოდენობის ტუმბოებითა ან/და კარადებით
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ფსიქიატრიულმა დაწესებულებებმა შეასრულონ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფსიქიკური ჯანმრთელობის ქვეპროგრამით განსაზღვრული დამატებითი მომსახურების სახით პირადი ჰიგიენის საგნებით უზრუნველყოფის ვალდებულება
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ფსიქიატრიულმა დაწესებულებებმა უზრუნველყონ ინფრასტრუქტურის სრული მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრები და ალტერნატიული საცხოვრისები

რეკომენდაციები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს:

არასათანადო მოპყრობა

- დაწესებულების პერსონალის მხრიდან ბენეფიციარების მიმართ ბენეფიციარების ნების წინააღმდეგ ინექციებისა გაკეთებისა და მედიკამენტების მიღების იძულების ფაქტების გამოსავლენად, ყველა თავშესაფარსა და საცხოვრისში ჩატარდეს მონიტორინგი; მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ფაქტებზე მოხდეს სათანადო რეაგირება და ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს.
- ნორმატიულ დონეზე გაიწეროს და დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 და მე-16 მუხლებით გარანტირებულ უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის, დოკუმენტირებისა და საგამომიებო უწყებაში შეტყობინების გაგზავნის პროცედურა
- შემუშავდეს ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სტრატეგია;
- ნორმატიულად განისაზღვროს ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება

სეგრეგაცია და ინსტიტუციური ბუნება

- დაიხუროს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრები და ბენეფიციართა გადაყვანა მოხდეს ალტერნატიული ზრუნვის ისეთ მომსახურებებში, სადაც ისინი თემში, ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში იქნებიან
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი განხორციელდეს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრინციპების შესაბამისად, დროში გაწერილი გეგმით, მკაფიო მარეგულირებელი ნორმატიული ბაზითა და შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფით

სამართლებრივი დაცვის გარანტიები

- სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ

ბრძანების მიხედვით შეისწავლოს ბენეფიციარების ნების საწინააღმდეგოდ საცხოვრისებში მოთავსების შემთხვევები

- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებსა და საცხოვრისებში ბენეფიციარების უფლებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით:
 - შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს თავშესაფრებისა და საცხოვრისებისათვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის მისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური პროცედურა
 - დაავალდებულოს დაწესებულებები მოახდინონ ბენეფიციართა ინფორმირება მათი უფლებების და უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ
 - გაუწიოს ზედამხედველობა სერვისის მიმწოდებლების მიერ ბენეფიციართა უფლებების და უფლების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმირებას
- ბენეფიციარები წახალისებულები უნდა იყვნენ, რომ შექმნან სოციალური მხარდაჭერის ქსელი ან/ და შეინარჩუნონ კავშირი მათი ქსელის წევრებთან, რათა ხელი შეუწყონ საზოგადოებაში დამოუკიდებელ ცხოვრებას. დაწესებულებამ დახმარება უნდა გაუწიოს ბენეფიციარებს, მათი სურვილების შესაბამისად, დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს.
- თავშესაფრებსა და საცხოვრისებში უზრუნველყოს ბენეფიციართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობების გაუმჯობესება, მათ შორის, ბენეფიციარებისთვის კუთვნილი ტელეფონების დაბრუნებით და ინტერნეტ ქსელში ჩართული საერთო სარგებლობის კომპიუტერებით

საცხოვრებელი პირობები

- უზრუნველყოს თავშესაფრების და საცხოვრისების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა მობილობის შეზღუდვის მქონე პირთათვის
- განხორციელდეს ბენეფიციართა საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საჭიროების მქონე პირთა სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფა

ფსიქიატრიული დახმარება

- ბენეფიციარისთვის ამბულატორიული ფსიქიატრიული მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებით დამტკიცებული ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესით გათვალისწინებული N: IV-200-8/ა ფორმის შევსება და დაწესებულებებმა უზრუნველყონ მკურნალობის თაობაზე ინფორმაციის ბენეფიციარებისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება.

- გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე შშმ პირთა თავშესაფრებსა და საცხოვრისებში რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელი პირების მოზიდვის და დასაქმების მიზნით, ასევე უზრუნველყოფილი იქნას რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადება და ბენეფიციარებთან მულტიდისციპლინური მუშაობა
- თითოეული ბენეფიციარისთვის შემუშავდეს ყოვლისმომცველი, ინდივიდუალური აღდგენის გეგმა, რომელიც მოიცავს სოციალურ, სამედიცინო, დასაქმების და განათლების მიზნებს და ამოცანებს, აღნიშნული აღდგენის გეგმები ორიენტირებული უნდა იყოს სერვისის მომხმარებელზე და ეფუძნებოდეს მის არჩევანსა და სურვილებს დახმარებასთან დაკავშირებით; გეგმების განახლება კი განხორციელდეს ბენეფიციარის ჩართულობით; აღნიშნული გეგმების საფუძველზე ბენეფიციარებისთვის შეთავაზებული უნდა იქნას შესაბამისი მათ საჭიროებებზე მორგებული ფსიქოსოციალური პროგრამები

სომატური ჯანმრთელობა

შესაბამის პროგრამებში ცვლილებების შეტანის ინიცირების გზით:

- სომატური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსების არსებული მოდელი შეიცვალოს ისე, რომ თავშესაფრებსა და საცხოვრისებში მოთავსებულ ბენეფიციარებს სრულად და დროულად მიუწვდებოდეთ ხელი უფასო სამედიცინო მომსახურებაზე;
- ყველა თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარისთვის უზრუნველყოს აგრანულოციტოზის³³⁶ ნივთიერებათა ცვლის პროცესების და განსაკუთრებით ჰიპერგლიკემიის³³⁷ განვითარების რისკის კლინიკურ-ლაბორატორიული დინამიკური შეფასება, ასევე ლეიკოციტების³³⁸ კონტროლი მედიკამენტების გვერდითი მოვლენების მართვის მიზნით
- ყველა თავშესაფარსა და საცხოვრისში მყოფი ბენეფიციარებისთვის უზრუნველყოს ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება
- გათვალისწინებული იქნას მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა შესაბამისი გამოკვლევებისა და კონსულტაციების გზით
- უზრუნველყოფილი იქნას საცხოვრისების გადაუდებელი თერაპიული მედიკამენტებით მომარაგება.

³³⁶ სისხლში ლეიკოციტების (სისხლის თეთრი უჯრედები) რიცხვის შემცირება.

³³⁷ სისხლში შაქრის მაღალი დონე.

³³⁸ სისხლის თეთრი უჯრედები.

ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში

რეკომენდაციები თავდაცვის მინისტრს:

არასათანადო მოპყრობისგან დაცვა

- თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა სისტემური კონტროლი გაუწიოს და აღმოფხვრას სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება, ასევე კოლექტიური დასჯის პრაქტიკა და ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს
- უზრუნველყოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხული პირადი შემადგენლობის ინფორმირება შეიარაღებული ძალების წევრების ადამიანის უფლებების, მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე; ამ მიზნით, სამხედრო ნაწილის იურისტის უფლება-მოვალეობებში მკაფიოდ გაიწეროს და დაევალოს, არანაკლებ თვეში ერთხელ ჩაატაროს ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები სამხედრო მოსამსახურეებთან; ასევე, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მარტივად გასაგებ ენაზე (რთული სამართლებრივი ტერმინებისა და ფორმულირების გარეშე) შექმნილი ბროშურის სახით მიეწოდოს სამხედრო მოსამსახურეებს და გამოეკრას მათთვის ხელმისაწვდომ ადგილებში

საცხოვრებელი და სამუშაო პირობები

- თავდაცვის ძალების საცხოვრებელ კორპუსებში დროულად ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები, აღმოიფხვრას ინფრასტრუქტურული პრობლემები და გაუმჯობესდეს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები; ყველა სამხედრო მოსამსახურისთვის უზრუნველყოფილი იქნას ინდივიდუალური ინვენტარი
- თავდაცვის ძალების სტრუქტურაში შემავალი სამხედრო ნაწილების მეთაურებს (შესაბამისი თანამდებობის პირებს) დაევალოთ, უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირადი შემადგენლობის მიერ სახანძრო უსაფრთხოების კურსის გავლა არსებული სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად

სამედიცინო მომსახურება

- 2024 წელს თავდაცვის ძალებში შეივსოს სამედიცინო ნაწილებსა და ლაზარეთებში არსებული ყველა ვაკანტური ადგილი, ამასთან გაგრძელდეს მუშაობა სამედიცინო პერსონალის დაინტერესებისა და მოზიდვისათვის
- 2024 წელს კალენდარული წლის ბოლომდე პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს სამხედრო ნაწილებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 50%

- სამხედრო ნაწილებში არსებულ სამედიცინო პუნქტებში/ლაზარეთებში არსებულ საპროცედურო ოთახებში მოეწყოს ხელსაბანი

ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

- თავდაცვის ძალებში ჩარიცხულ პირად შემადგენლობაზე გავრცელდეს კანონმდებლობით დადგენილი შეღავათები ტრანსპორტირების და კომუნალური ხარჯების გადახდისას
- დაჩქარებული წესით განახორციელოს თარჯიმნების ხელშეკრულებით დაქირავება, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 3 ნოემბრის N1954 განკარგულების შესაბამისად